

821. 353.1
5 226

ଓଡ଼ିଆକୁଣ୍ଡଳ
ସମ୍ପଦବିହାରୀ



ମାତ୍ରା କାନ୍ଦେଲାକୁ

ଶ୍ଵେତଶର୍ମଙ୍କଳାର୍ଜ
ଧୂର୍ବଳବିଜ୍ଞାନୀ





მაკა კანდელაკი

821.363.1-32

3226

უსამშობლო დაცარგულები

$\checkmark \frac{33530}{2}$

603.00

თბილისი 2018





1 თავი

ზღვა დამშრალიყო, დახოცილი თევზები გამოერიყა. ტალღების ხმა კი ისმოდა, მაგრამ ზღვა არ ჩანდა შეშინებული ჰასანი სანაპიროდან უკან მიპრონდა და აჩქარებული ჩანდა შინისაკენ გაემართა, ჭიშკართან მისულს უთავო მამალი შემოეფეთა გასისხლიანებული პატრონთან მიახლოებას ცდილობდა ჰასანი გაუსხლტა მამალს ეზოში შეირჩინა. თხას მამლის თავი პირში გაეჩირა, გამოპენტერებული თვალებით არც იმჩნევდა ნამოქმედარს – მამლის თავი დაეჭუდაცებინა. ამ შფოთვაში იყო ჰასანი, როცა მამამ გააღვიძა: ადექი ჰასან! ნანახით გაოგნებული შეჰყურებდა მამას.

მამამ შეშფოთებულმა ჰკითხა: ავად ხომ, არ ხარ მთლად ოფლად ხარ გაღვრილი თუ არ შეგიძლია ნუ ნამოხვალ.

ბედნიერი იყო, რომ ეს კოშმარი სიზმარი აღმოჩნდა. ჰასანმა ბალიშს დახედა, რომელიც სულ დაესველებინა ჰასანის შიშს და მოუსვენარ ძილს. დიდი ბრძოლა გამიმართავს ლოგინში.

მამამ სათვალე მოიხსნა და დააკვირდა შვილს და გაუმეორა: თუ სიცხე გაქვს, დარჩი შინ, შემოდგომის სუსხიანი ქარი დათარეშობს ზღვაში და უარესად გაცივდები.

ჰასანმა მიუგო: არაფერია მამა ცუდი სიზმარი ვნახე და ზღვას გავატან ამ სიზმარს.

ჩაეძია მამა – რა ნახე ასეთი?

იქვე სამზარეულოში მოფუსფუსე დედამ შვილს გამოსძახა-არ თქვა ჰასან წადი ონკანი მოუშვი და წყალს უთხარი. გული რაღაც ცუდს მიგრძნობს იქნებ არ წახვიდეთ დღეს სათევაზაოდ?!

მამამ ცოლს მიმართა – მე უნდა წავიდე და შენი ვაჟი თუ გინდა დაიტოვე.

ჰასანმა გაღიმებულმა მშობლებს გადახედა თან შარვალი ამოიცვა ამით მათ მიახვედრა, რომ შინ არ აპირებდა დარჩინას.

და ქცევით მიახვედრა მშობლებს, რომ არ აპირებდა სახლში დარჩენას.

დედამ მამას გადახედა და უკმეხად უთხრა: ოხ,შენი შვილია ჯიუტი! თბილად მაინც ჩაიცვი არ გაცივდე და დროზე დაბრუნდით არ მანერვიულოთ.

მათი სახლი ზღვის სანაპიროსთან იდგა – კოლხური ოდა და ხეხილიანი მოვლილი ეზო, ყვითელ ფოთლებს ოქროსფერად, რომ შეემოსა. იქვე სახლთან ძაღლის მომცრო ფიცრული მოჩანდა. როგორც კი ხასანის ხმას ყური მოჰკერა რა ძალმა შურდულივით გაექანა მისკენ. ოჯახის უფროსად კარგა ხანია ჰასანის მამა მიაჩნდა, ხოლო მის ტოლ მეგობრად ჰასანი. კუდის ქიცინით ემორჩილებოდა პატრონს ათას კაცში იყონსავდა ჰასანის სუნს.

– სდექ არქადაშ დაუყვირა ჰასანის მამამ. ძალლიც ადგილზე გაშეშდა.

– შენ რჩები და სახლს დაიცავ!

არქადაშმა მორჩილად გახედა ოჯახის უფროსს, საბრალოდ აწკმუტუნდა, მერე ჰასანის ფეხებთან საცოდავად ჩაცუცქდა და სველი თვალები მუდარით მიაპყრო ჰასანს თითქოს ევედრებოდა წამოგყვებითო. ის იყო ჰასანმა დააპირა ერთგულ არქადაშ გამოსარჩლებოდა, წამსვე შეიკავა თავი, რადგან მკაცრად მზირალმა მამამ წარმოთქვა: – სჯობს შინ უდარაჯოს უცხო კაცები შევნიშნე ორი დღის უკან ლამით და როგორც კი ეზო გავანათე ერთი ლობიდან გადაძვრა,თუმცა ორის ხმა მესმოდა შუქის ანთებამდე, ეზო შემოვიარე, მაგრამ მეორე ვერ ვნახე. ძალლიც იმ ლამეს შენ წაგეყვანა სანადიროდ. ჰასანის თვალებში შიში გაკრთა და უმალვე გაიფიქრა: „ნუთუ ისინი იყვნენ!“ მამას შეუმჩნეველი არ დარჩენია შვილის შიშნარევი თვალები ჰკითხა:-შენ რას იტყვი,რამ შეგაშინა, სანამ დროა მითხარი იქნებ დახმარება შევძლო.

27 წლის ახალგაზრდას არ უნდოდა მოხუცი მამა გაერია პოლიტიკაში იმ იდეოლოგიაში, რომელიც თურქეთის იმჟამინ-დელი მთავრობის ბრძანებით, ყოვლად მიუღებელი იყო მოსახლეობისათის. მეამბოხის სისხლი უჩქეფდა ძარღვებში და სურდა დრომოქმული წესების უარსაყოფად ახალ სივრცეში გასულიყო.

კომუნისტებს დაპირება დიდი ჰქონდათ და ასევე მოკავშირებს ეძებდნენ თურქეთის ტერიტორიაზე. ჰასანის მიმნდობმა ხასიათმა და მეგობრისადმი ერთგულებამ გადააწყვეტინა კომუნისტურ პარტიას დროებით მიჰკედლებოდა და საფუძვლიანად ჩასწოდო-მოდა იდეოლოგიურ პროპაგანდას.

როცა რუსმა ოკუპანტებმა 1878 წელს ბერლინის ხელშეკრულებით რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მოაქცია ჰასანის მშობლიური ლაზეთის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთი ნაწილი და 16 სოფელი გონიოდან-ხოფამდე ბრესტის ზავის შედეგად ლაზეთი რუსეთის შემადგენლობაში აღმოჩნდა 1914 წელს. ოსმალეთის და რუსეთის იმპერიის გასაყარზე მყოფი ხოფა-ორ დედინაცვალ შორის აღმოჩნდა. ჰასანი იმ მასალიდან იყო შექმნილი, რომლისთვისაც საზღვრები არ არსებობდა, მამას ეგონა შვილი წინა ღამით სანადიროდ იყო იხვებზე, სინამდვილეში კი მეგობართან ერთად ბათუმში გადასულიყო ჩუმად, ეს მხოლოდ სამამა იცოდა ასლანმა, ჰასანმა და არქადაშმა. ჰასანი ვერ ეგუებოდა მშობლიური მხარის დაცილებას საქართველოსთან. სივრცეს ეძებდა, რათა ჩაკეტილი წრე, გაერღვია და მიახლოებოდა საქართველოს, ეს რა თქმა უნდა, შეუმჩნეველი არ დარჩენია თურქეთის ადგილობრივ აგენტებს და ჰასანის სახლს ბოლო 5 დღე-ლამე აკვირდებოდნენ.

ჰასანი მშვიდად მიყვებოდა მამას უკან და მამა კი ეჭვობდა, რაღაცას მიმალავს ეს ოხერი, როგორ წამოვაცდენინო რამე თავს არ დაუშავოს და შაირი არ ქნას. ჩემი ჯილაგისაა, სტკივა ის რაც მე მტკივა, წუხელ ნეტავ სად იყო? წანადირევიც არ მოუტანია, სუფთა ჰქონდა ფეხსაცმელიც. შეკითხვებით უფრო არ გავაღიზიანო ნეტა რა ფიქრს მისცემია მისი დაუდგრომელი გული, ხიფათს არ ეწიოს. სხვის ხმას არ აჰყვეს, თუმცა მუდამ სხვის მორჩილებას სჯობს საკუთარ გულისხმას აჰყვეს, მაგრამ ეს უკანასკვნელიც, რომ უშლის კაცს ჭეშმარიტების პოვნაში. ამ ფიქრებში ჩაძირულ მამას ჰასანის ხმა მოესმა:- ნუ გეშინია მამა ისეთს არ ვიზამ შენ შეგარცხვინო.

მამისთვის მოულედნელი ჰასანის გამოპასუხება და დაბ-ნეულმა უთხრა:

– შენ შერცხვენას ჩემი დათვლილი დღეები შეენიროს .ოღონძ იცოდე გაგიჭირდება ცხოვრება თუ ასეთი რამ გადაგინყვეტია შენს სულს არ ეკუთვნის და დემონი კარნაზობს ვერ გაგირჩევია ლმერთის ხმა დემონისგან მაშინ მაქვს სანერვიულო.

– არა გაქვს მამა სანერვიულო სწორ გზას ვადგივარ და თუ არ გამოდგა ეს გზა მაიც უნდა გავიარო!

– უკვე გადაგინყვეტია ყველაფერი და ჩემი რჩევა დაგვი-ანებულიცა, მაგრამ ერთს გეტყვი შვილო სანამ გზას აირჩევ ნიადაგს დახედე, რომ არ გიმტყუნოს.ყოველივე დღეს რაც სარ-წმუნო ჰგონია ხვალ შეიძლება ეჭვით შეიცვალოს.

ჰასანს გაელიმა და იმედიანად წარმოთქვა: – უფალი არ გამ-ნირავს!

– სწორ არჩევანში არ გაგნირავს, ილბალს მთლად ნუ მიენ-დობი-უპასუხა მამამ

მამა-შვილი ამასობაში ზღვას მიუახლოვდნენ ტალღები დრო-დადრო ეხეთქებოდნენ ნაპირს და რასაც მისწვდებოდნენ მიაქა-ნებდნენ ზღვაში.სანაპიროზე ლაზი მეთევზები ნავებს ამზა-დებდნენ ზღვაში გასასვლელად, მათ ფანრებს ისე გაენათებინათ სანაპირო, რომ შორს ზღვის ჰორიზონტსაც დაინახავდი.

ჰელიმ, სადა ხარ ამდეხანს! სადაცა გათენდება ნავი მზა-და და მაშხალებიც მოვიმარავე, შეიძლება გვიან დამემდე ვერ დავბრუნდეთ, ეგია რომ აღმოსავლეთის ქარი დასრიალებს ზღ-ვის პირზე. ჰელიმი და ქემალი ბადის დაშლას შეუდგნენ.

ნეტავ გვიანობამდე დავრჩეთ თუ ამინდმა დაგვაყენა თქვა ჰელიმმა და ცას ახედა, ვარსკვლავების იმედად .

ჰასანმა წყალთან მიიწია და ჩურჩულით გააგონა ზღვას;ჩემი უშიშარო მეგობარო და დაუნდობელო მტერო. ლაზების გამომ-კვებო და სიკვდილით გაუმაძლარო ლაზ მეთევზს არ ინდობს შენი ტალღები, წუხანდელ სიზმარში მიწაში შენმა გაქრობამ გამაოგნა და აპა უნდა შენს ტალღებს მივცე ჩემი სიზმარი.

მოულოდნელად ქალების კისკისმა შეაწყვეტინა ზღვასთან საუბარი გვერდით მიიხედა, ორი ქალი ცდილობდა ქარქალაკის პოვნას. ერთს გოდორი შემოედო ზურგზე. ქალებს განმარ-

ტოებული ჰასანის საუბარი არ გამოჰქონდათ და ხალისიანად გასძახეს: რაო ჰასან, მარტო ლაპარაკი დაიწყე? დაიბნა და როგორც კი აკისებული ქალები ჩაწენარდნენ-გაღიმებული სახით მეზობლის რძალსა და ქალიშვილს – გასძახა: თქვენ რა ქარქალაკის შესაგროვებლად მშვიდი ტალღები აირჩიეთ?! გუშინ უნდა მოსულიყავით და გოდორსაც აავსებდით, რაც ფიჩი იყო უკვე გუში-გაზიდეს მეზობლის რძალი არ დაიბნა და გამომწვევად უპასუხა: – იქნებ შენს გასაცილებლად მოვედით, ამაზე არ გიფიქრია? ჰასანს გაეღიმა მის ეშმაკურ ნათქვამზე და ვალში არ დარჩა: – გოდორიც ჩემთვის მოიტანეთ?!

ქალმა ნიშნის მოგებით უპასუხა: – აბა, აბა-შენზე უკეთეს სასიძოს ვერც კი ვინატრებთ. ხადიჯემ რძალს უჩქმიტა: – გეყოს ფატიმე ხუმრობა! საქმარისია, დაანებე თავი ასეთ ხუმრობას. ყველაფერს თავისი ზღვარი აქვს.

ნაჩქმეტით შენუხებულმა ფატიმემ მულს გადახედა:-ამისთვის ლირდა დაო ასეთი გამეტება?!

ჰასანმა ქალებს მიუგო: – ვიცი, რომ ხუმრობთ აბა მე რა მოსაწინო სასიძო ვარ.

ფატიმემ ხელი ჩაიქნია, გოდორი ზურგიდან მოიხსნა ალმაცერად მულს გადახედა გამომწვევად უთხრა: – შამილიშვილის ქალო შეიძლება აქ, ნაპირზე ჩამოვჯდე?

ხადიჯემ მოუბოდიშა: ფატიმე მაპატიე, რომ გაგანაწყენე. მე და ჰასანი და ძმა ვართ. მისი დედა დედობილია ჩმი ერთი ძუძუ გვაქვს ნაჭამი. ალბათ ეს არ იცოდი და იმიტომ აგიტაცა ასე ხუმრობამ.

ჰასანს არ გაუგონია ქალების დიალოგი, უკვე ნავისკენ მიღიდა მეთევზეებმაც აღარ დააყოვნეს და ზღვაში შეაცურეს ნავი. ჰასანმა ნავიდან გადმოსძახა ქალებს: – რა ცხვირი ჩამოგტირით მალე დავბრუნდებით... ქემალის შვილი იყო ხადიჯე. წითური, ჭორფლიანი ლერწამივით ქალი.

ქემალმა ჰასანს გადაულაპარაკა; – შენ რა იცი როდის დავბრუნდებით მთავარია სახლის გზა მოკლე დარჩეს და ზურგის ქარმა არ გვიმტყუნოს.

ქალები ხელების ქნევით აცილებდნენ მეთევზებს და მშვიდ ზღვასა და იღბლიან თევზაობას უსურვებდნენ

ჰასანს მიავინყდა კიდეც წინა დამის დაუპატიჟებელი სტუმ-რები, სიზმარიც წყალს გაატანა. გაჰყურებდა ცას და მშვიდათ უსასრულობის სიმშვიდით ტკბებოდა.

მამასა და ძია ქემალს არ ეცელათ პეიზაჟით ტკბობისთვის, მარდად იქნევდნენ ნიჩქებს, რათა ღრმა ზღვაში მალე გასული-ყვნენ. ქემალი სიტყვაძუნნი კაცი იყო თუ რამეს არ ჰკითხავდი არ გამოგელაპარაკებოდა. თუ საუბრის თემა მოეწონებოდა ენ-აწყლიანად აგიბამდა მხარს.

ჰელიმა გაძედა და დარღვია სიჩუმე:-ქემალ რა ლამაზია დღეს ეს ოხერი ზღვა არა?

ქემალმა ზანტად მიუგო: – ხო ლამაზია.

– გავიგე ახმედს ჯარში იწვევენ, სამშობლოს სამსახურში უფრო გაიწვროთნება და ვაჟკაცი მოგივა.

ქემალს სახე ეცვალა და ჰასანს მიმართა მოდი შვილო შემენ-აცვლე ღონივრად მოუსვი ამ ნიჩაბს.

ჰასანმა უსიტყვოდ შეასრულა თხოვნა.

ქემალმა დინჯად ამოილო ჯიბიდან პაპიროსის ქაღალდი. გახუნებული ქისიდან თუთუნი გადმოყარა და შეუდგა შეკეთებას ამ პროცესს ისე მშვიდი გულმოდგინებით მიჰყვა ეტყობოდა და ნელა აკეთებდა ეტყობოდა ამ საქმით მთელი ცხოვრებ, რომ იყო დაკავებული. ფილტვებს უჩიოდა თუმცა თავს არ ანებებდა. მისი გაყვითლებული სახე და თამბაქოსაგან შეტრუსული ულვაშები მწეველის სტაჟს ამხელდა. ქემალი კეხიანი ცხვირითა და ულვაშით სელიმს მიაგავდა, ორთავეს დარბაისლური ლაზური გარეგნობა ჰქონდა. ნუშისებრი ქუთუთო მძიმედ ჩამონილოდა თვალებზე მათი იერი ტკივილსა და გენეტიკაზა მეტყველებდა, წარსულში რომ აღბეჭდილიყო. დაღარულ შუბლთან შეკრული ნაოჭები თითქოს ითვლიდა დროს და მისი ცხოვრების კალენდრად ქცეულიყო. დიდი შუბლის ძარღვი სინდისის მარადიულობა – წარსულიდან აწყმოში გადმოსული, ვერ ითავსებდა ანმყოს და თითქოს შუბლით გამოხატავდა პროცესს. განრისხებულ ლაზს

ხშირად შეხვდებოდით, რადგანაც მავანის ნამოქმედარი იძლეოდა ამის მოტივს. ლაზის მეომარი ბუნება ვერ შერიგებოდა აწმყოს მანიშნებელი იყო იმის, რომ ჩვენ ის ხალხი ვართ, ვინც ადვილად არ ივიწყებს წარსულს და ვერ ეგუება მის გათელვასო, ისე როგორც ლაზი კახაბერი.

ქემალმა პაპიროს მოუკიდა ღრმად ჩაისუნთქა და სხვათაშორის, მაგრამ გზნებით წარმოთქა: – რომელ ჯარში იწვევენ ახმედს, რომელი სამშობლოსთვის, როცა დამონებული ვართ და ირგვლივ სიბნელეა. მერე ხელი ჰორიზონტისკენ გაიშვირა და განაგრძო: – ეს ერთი ამომავალი მზეც ვერ განდევნის ამ სიმბნელეს, თუ კაცის გული არ განათდა. უსამშობლო კაცი ვერავის სამშობლოს ვერ დაიცავს. რადგანაც მისთვის არ მისწავლებია თუ როგორ დაიცვას სხვისი ჩვენი სამშობლოს სანაცვლოდ. ან ვისგან უნდა დაიცვას ჩვენი სამშობლოსაგან?! სხვისი სამშობლო, როგორ უნდა დაიცვას ჩვენი სამშობლოს სანაცვლოდ. ან ვისგან უნდა დაიცვას?! ჩემი სამშობლოსაგან?! ახმედი იმალება ორი დღეა სხვენში. არ უნდა ჯარში წასვლა. ფატიმას ჰელინია ართვინშია ჩემს ძმასთან.

ჰელიმი შეწუხდა: – ეს რა მითხარი, თუ დააკავეს არ დაინდობენ.

ჰასანი თანაგრძნობით გაეპასუხა: – ჩემთვის მაინც ეთქვა, რაღაცას მოვიფიქრებდი.

ჰელიმა შვილს შიშით გადახედა და გაბზარული ხმით უთხრა: – იცი რას გეტყვი, ნიჩბები დაყარე და აქ გავჩერდეთ. შენ ქემალ მომაწოდე ბადე. ქემალი წამოდგა გაუწოდა ბადე ჰელიმს. სელიმა ბადე წყალში მთელი ძალით მოიქნია.

ჰასანი ხვდებოდა, მამის შეშფოთების მიზეზს და იმასაც ხვდებოდა, ვერაფერს რომ შეცვლიდა.

მზემ ჰირველი სხივი დააფინა ზღვის სარკეს. ანარეკლი ლივლივებდა ზედაპირზე, სხივები სამოსივით ირგებდა ზღვის ფერს. ჰასანი მშვიდად გაჰყურებდა ამ უზადო სანახაობას და რწმუნდებოდა იმ ჭეშმარიტებით, სინათლე რომ იყო ერთადერთი სხივი კაცობრიობის, რომელიც ათვალსაჩინოებს საგნებს და

ყოველგვარ სტერეოტიპებს ამსხვრევს, მაგრამ ჰასანი ჯერ ვერ გარკვეულიყო, დადგენილი წესების ლოგიკურობაში. უფრო ზუსტად ის რაც მამას ასე ძლიერ აშინებდა და არ უნდოდა მისი ერთადერთი შვილი არ შესწირვოდა იმ იდიალებს, რომელიც გადამოწმებული არ იყო გონებით.

ჰელიმს თავისი ყმანვილკაცობა გახსენდა ფიქრმა წაიღო. გახსენდა ბაბუას მონათხრობი ოსმალოსთან ბრძოლაში თავისუფლებისთვის მებრძოლი ლაზი, როგორ არ ეპუებოდა დამყრობლებს, შემდეგ რუს ოკუპანტებთან ბრძოლა იყო. მამის ნადრევი სიკვდილი და ოჯახის გაძლოლა სელიმს დააწვა. ახლა ჰასანზე დარდი მოემატა და ნაღვლიანად გაიფიქრა:-ნუთუ მშვიდი ცხოვრება არ უნდა მეღირსოს, რომ შვილიშვილებს შორის ვიხსენებდე ტკბილ-მნარე წარსულს. ახმედიც ჩემს თვალწინ გაზრილი ბიჭია, როგორ უყივის წინაპრთა სისხლი ძარღვებში. ვერ ისვენებს.

მეთევზეების დუმილი ქარმა დაარღვია. ქემალმა ჰელიმს მიმართა: – მგონი ტყუილა წამოვიღეთ ეს მაშხალები, დაღამებამდე ვერ ვითევზავებთ ამინდი გაფუჭდება.

ჰელიმმა მიუგო:-დავჯერდეთ იმას, რასაც მოგვცემს ზღვა.

ქემალს მნარედ გაეღიმა და თქვა:-ზღვა თუ უნდა არაფერს არ მოგცემს უფრო მეტიც შენგან წაიღებს.

– დაბერებულ ხარ მეგობარო, უნუგეშოდ ფიქრობ – გამხნევებას შეეცადა სელიმი.

– რას გეტყვი იცი ძმაო? რაც უფრო ვპერდები, უფრო ვხვდები, რომ კაცმა სიკვდილზე სულ უნდა იფიქროს.

ჰასანმა ლაზური სიმღერა წამოიწყო, მეთევზეების. სელიმს ესიამოვნა შვილის ხმა. მისი სიმღერა დროული იყო, ტალღები ნელ-ნელა არწევდა ნავს.

ქემალმა თქვა: – დროა უკვე ბადე ამოვიღოთ.

ჰელიმი მეგობრის სურვილს დაჰყვა, ბადე ისე დამძიმებულიყო, რომ მისი ამოღება ორ კაცს გაუჭირდებოდა. როგორც იქნა ამოქაჩეს მაინც დიღძალი თევზი ამოჰყვა. ასხმარტალებულები ნავში მიმოაბნიეს. რამდენიმემ ისე ზღვისკენ ისწრაფა.-ხედავ

ჰასან გამართლება რას ნიშნავს?! როცა სასიკვდილოდ ხარ განწირული და იღბალი სამშვიდობოს გაგიყვანას?! მამის ნათქვამი ჰასანს მოეწონა და მიუგო: – მარტო იღბალი რას უშველიდა მამი თუ თევზი არ გაიბრძოლებდა თავისუფლებისთვის!

არ მოეშვა ჰელიმი: – იქნებ ამათი ხტომა ინსტიქტია, რომელიც ნებისმიერი ცოცხალი არსების გენშია ის რაც შენ ჭეშმარიტი თავისუფლება ჰგონია ეგებ გადარჩენის ინსტიქტია უფროა.

მამა-შვილს ქემალამაც შეანია სიტყვა: -თავის გადარჩენისთვის თავისუფლება, რომ დაუთმიათ ბევრი მინახავს, ამ თევზების ფართხალიც ან გადარჩენის ინსტიქტია ან თავისუფლების წყურვილი. რას გაუგებ განგებას?! თავისუფლების ძიება გულუბრყვილოთა ხვედრი მგონია, რას მარგებს შეპირებული თავისუფლება და მისთვის ბრძოლა თუ თვითონ ვერ გავთავისუფლდები ეჭვის-გან.

ჰასანი შეეკამათა: – რას ამბობ, ბიძია ქემალ, ნუთუ უგუნურ-თა ხვედრია თავისუფლებაზე ფიქრი და ნუთუ ჩვენ სისულელებს ჩავდივართ?!

ქემალმა სიტყვა ბანზე აუგდო: – შვილო ჩემო, ერთი ის ვედრო მომაწოდე, თევზი რომ ჩავყარო. მერე კი დაუზუსტა პასუხი:-იცი რას გეტყვი? ვისაც ჰგონია ამ წუთისოფელში ნამდვილ თავისუფლებას მიაღწევს, იმ კეთროვანს მაგონებს, ჩემს სოფელში, უიმედო მონობაში არ ამოძვრა სული სჯეროდა თავისუფლებას მოიპოვებდა.

ჰელიმმა გაიკვირვა: – რატომ ვართ მონობაში შუა ზღვაში შესული ვთევზაობთ არავინ არ გვყავს ზედამხედველი ვინც ამას დაგვიშლის, სახლში მივიტანთ ჩვენს ნაშრომს. არ მგონია ქემალ, მონები ვიყოთ ა, რას იტყვი და თვალი ჩაუკრა მეგობარს.

ჰასანს ნამიერად თევზი შესძულდა და ინატრა სიზმრი ახდენოდა – ზღვა დამშრალიყო, უნდოდა მეთევზები ხელმოცარული ენახა, ვიდრე მამისა და ქემელის უგულებელყოფილი თავისუფლება.

ქემალი თავისას არ იშლიდა: – რას ერჩი შვილო ამ ხალხს თურქებს, ძმებივით მიგვიღეს ჩვენი მიწიდან არ გაუვუყრივარ,

ჩვენს სამშობლოში ვართ, ოღონდ სხვისი დროშის ქვეშ განა ადამინის სიცოცხლე უფრო მნიშვნელოვანი არ არის, ვიდრე რო- მელიმე დროშა თუნდაც ერთად აღებული?!

ქემალმა თვალი ჩაუკრა სელიმს ჰასანის შეუმჩნევლად. ჰე- ლიმს ჩაეღიმა და მთელი ძალით მოიქნია ბადე წყალში. ტალღები იმატებდა, მზე ღრუბლებს დაეფარა.

- რას ამბობთ ბიძია ქემალ ნუთუ თქვენ ფიქრობთ საქართ- ველოსთან დაცილებული ლაზი უფრო ბედნიერი იქნება?! ჩვენზე ბედნიერი ამ წყალში ახლახან გადამხტარი თევზია, რომელიც თა- ვისუფლებას ენია. ჰასანს ისეთი დაძაბული და დაბნეული სახე ჰქონდა, ქემალს შეეცოდა და გადაიხარხარა, მისი სიცილი ჰე- ლიმს მოედო და უფრო ახარხარდნენ მითუმეტეს როცა ჰასანის აჭარხალებული და დაბნეული სახე დაინახეს.

ჰელიმმა შვილს შესძახა:-რას გაშტერებულხარ ბიჭო, აქ მოდი, ბადე დამიჭირე, ერთი პაპიროსი უნდა მოვუკიდო. მერე მეგობარს ჩაეკითხა:-ქემალ როგორია თავისუფლებისთვის მებრძოლი?

ამიგდეთ არა?-მიუხვდა ჰასანი:-კიდევ კარგი, რომ იხუმრეთ თორემ დარდისგან აღარ ვიყავი.

ქემალმა ჰელიმს პაპიროსი მიაწოდა და ჰასანს შემწყნარე- ბლურად მიმართა: - რამ შეგაშინა ბიძია დაანებეთ თავი შენ და ახმედმა სისულელებზე ფიქრს, შეგვარგეთ მე და მამაშენს ორი დღის წუთისოფელი. რა თავისუფლება აგიტყდათ და თანაც სად უნდა ეძებოთ?! ეს მზე თანაბრად დაანათებს - მეფესაც და მონა- საც. მონა მეფეზე მეტად შეიძლება იყოს თავისუფალი. ადამიან- ის მდგომარეობა არ განსაზღვრას თავისუფლებას, სინდისი თუ სუფთა გაქვს კაცს თავისუფალია.

ჰელიმი აკვირდებოდა თავის ერთადერთ შვილს და გარ- დაცვლილი მამის სახე წარმოუდგა თვალნინ, ისტორია მეორდე- ბა მის გვარში. გრძნობდა, რომ ჰასანი არ დათმობდა სამშობ- ლოზე ფიქრს, სადღაც გულში კიდეც უხაროდა მოხუცს შვილის შეუპოვრობა. აშინებდა მისი მომავალი.

- ჰელიმ... ჰელიმ - ჰელიმს არ ესმოდა. ჰელიმ ძმაო რა ჩაგაფიქრა.

– არც არაფერმა ძმაო!-ფიქრი მეთევზის ხვედრია-მიუგო მან მეგობარს.

– 15 კილოზე მეტი უნდა იყოს, ამინდი აირევა და იქნებ უკან დავბრუნდეთ?!

– როგორც იტყვი ძმაო – გაეპასუხა მეწყვილეს.

ჰასანმაც დაუდასტურა-ხო, დავბრუნდეთ ბიძია ქემალ, ცუდი სიზმარი ვნახე თითქოს ზღვა დამშრალიყო.

ქემალმა დაამშვიდა: – ნუ გეშინია ბიძია ზღვას რა დააშრობს, მეთევზის მოკარნახე ცა არის, იცის თუ როდის ააღელვებს ზღვას ქარი და მისწევს ნაპირისკენ.

– მე არაფრის არ მეშინია თქვენზე ვჯავრობ!-იწყინა ჰასანმა.

ჰასანი წყალს ნაღვლიანი ჩაჰყურებდა, მარტო ეს არ დამსიზმრებია, ჩვენი ყვინჩილაც თავნაცლილი დაბორიალობდა ჭიშკართან თხას წაეწყვიტა თავი.

ჰელიმი შეცბა: – ეს ცუდია წყალს გაატანე შენი სიზმარი.

ჰასანმა დაუდასტურა: – გავატანე მამა.

ჰელიმი წამოდგა ბადის თოკი შვილს გამოართვა, ისიც უს-იტყვოდ დაემორჩილა.

მამამ მეწყვილეს გასძახა: -ქემალ ძმაო დამეხმარე!

ქემალმა ძლიერ წამოიწია, ჰასანმა ხელი შეაშველა: -ო, როგორ დამდალა ამ წელმა სიცივეში მიხსენებს თავს, ნესტი ხომ მკლავს!

– დაჯექი თუ არ შეგიძლია, ჰასანს დავიხმარ-მიუგო ჰელიმმა.

ჰასანიც ჩაეჭიდა თოკს და წყლიდან სავსე მეორე ბადეც ამოილეს, ისიც ნავში ჩაცალეს.

ქემალმა ჰასანს მიმართა: – ხედავ ის გადარჩენილი თევზი შეიძლება ახლა ამ ბადეში გაეხვა და ვეღარც გადახტეს წყალში და ვერ მოიპოვოს თავისუფლება. მეორეჯერ ჩაგდებულ ბადეს ვერ გადაურჩეს.

ჰასანმა მზერა მიაპყრო და უთხრა: – ის თევზი შეიძლება მართლაც აქ იყოს, მაგრამ შეხე, ბიძია ქემალ იქ რა ხდება! და რამდენიმე თევზი დაანახა, რომლებიც ნავიდან ლამობდნენ გადასხლტომას.

ამით რა გინდა თქვა, ბიძია, იმ თევზმა ასწავლა თუ როგორ გადამხატარიყვნენ? -რიტორიკულად იკითხა ქემალმა.

ჰასანმა რიტორიკულად აუხსანა: – არა მარტო იმ თევზმა ბიძია, ზოგადად, ყოველ ცოცხალში და მითუმეტეს ადამიანში თავისუფლებისკენ სწრაფვა ბუნებრივად დევს.ხოლო გამონაკლის შემთხვევაში თუ ადამიანი არ ისწრაფვის თავისუფლებისკენ, ასეთ შემთხვევაში სხვამ უნდა ასწავლოს თავისი მაგალითით.

– თუ კი სხვა არ ისურვებს ბიძია გადარჩენას? მაშინ რა?-კითხვით მოუჭრა ქემალმა.

– მაშინ ეს ყოფილა მისი არჩევანი ბადეში ყოფნა და სხვის თავკერძად დარჩენა.

ჰელიმს სიამაყეს ჰევრიდა და თან გულს სტკენდა ჰასანის სიტყვები. მისახვედრი იყო ახალთაობელი მამების იძულებით მშვიდ ცხოვრებას და შემგუებლობას, რომ არ ამართლებდა. ჰასანის ნათქვამი. ხვდებოდა შვილის ნათქვამი მას და ქემალის მშვიდ ცხოვრებას და უმოქმედობას, რომ არ ამართლებდა.

ქემალი გუნება-განწყობილების გამოსწორებას შეეცადა:- რაცხა სწორს უბნობ ბიძია, მაგრამ ჩემი შემანუხებელი რადიკულიტი არ მაძლევს საშუალებას, ბოლომდე ჩავწვდე შენს სიტყვებს. იქნებ გემლერა რამე?!

მაგაზე გაწყენინებ ბიძია ქემალ?-და ჰასანმა აღარ დაახანა, გულშიჩამნვდომად ამღერდა.

...ზღვაზე დავბადებულვარ,

ვიცი იქვე მოვკვდები,

მე გული მაგარი მაქვს,

სულაც არ შევშინდები,

ჰასანის ხმა ზღვის ტალღებმა შთანთქეს. ჰელიმი ნიჩბებს ღონივრად ჩაეჭიდა, შვილმა კი გაწყვეტილი სიმღერა გააგრძელა.

„ვარსკვლავო, შენ ანათე,

მთვარე არ მეგულება.

თევზი თუ დავიჭირე მექნება წვეულება.“

ქემალმა ზღვას შეშფოთებით გადახედა: – ზღვა აღარ ხუმ-რობს!

– მართალი ხარ ბიძია ქემალ ზღვა არ ხუმრობს ჩვენ ვეხუმ-
რობთ მას. – ახალგაზრდული გამბედაობით მიუგო ჰასანმა.

– ზღვაში განოლილ პოსეიდონი ალბათ, ვიღაცამ განარისხა
და ქარის ჭურას აყოლილა ტალღებიც. – დასძინა ბოლოს.

– პოსეიდონი, შვილო, არ ვიცი რა კაცია, მაგრამ დროზე
უნდა მივბრუნდეთ, სიხარბემ არ გვძლიოს!

ამასობაში ჰელიმა შვილის დახმარებით მესამეჯერ ამოსწია
ბადე. ხვავრიელად დაბერტყა ნავზე. თევზები, რომლებიც ჰაერ-
ში სხმარტალებდნენ და ისევ ნავზე ეცემოდნენ, აღმოსავლეთის
ქარი არ აძლევდა საშუალებას, ზღვაში გადამხტარიყვნენ. ზღვის
მარდი შვილები პირდალებული თითქოს ერთმანეთის გამხნევე-
ბას ცდილობდნენ, მაგრამ მათი იდუმალი ბერები ლაყუჩებს არ
სცილდებოდა, გადმოკარკლული თვალებით უკანასკვნელი გა-
ბრძოლებით ეცემოდნენ ნავის ფსკერზე.

ქემალმა ბრძანებლურათ გასძახა: – ჰასან იალქანი გამართე.
ისიც უხმოდ გაემართა დავალების შესასრულებლად. ჰელიმა თევ-
ზებს განიერი ცელეფონი გადაფარა და მაშხალებიც დააწყო,
რათა ქარს არ გადაეძრო და ნიჩბები მოიმარჯვა.

თეთრი გედივით გაიბადრა ნავი ზღვის ზედაპირზე. ზღვის
ჰორიზონტი, რამდენიმე იალქნიანმა ნავმა დაფარა. ამით მიხვდე-
ბოდით რამდენი მეთევზის ნავი გასული იყო საშოვარზე.

ნაპირისკენ სხვა მეთევზთა ნავებიც დაიძრნენ. ხოფის სანაპ-
ირო ნისლს მოეცვა. ტალღები აკვანივით არწევდა ნავს.

ქემალმა მიუხედავად იმისა ჰასანი ახლოს იყო, ხმამაღლა
გასძახა, რადგანაც ქარი ახშობდა მის ხმას. რა იყო ბიძია, რომ
შემაშინე შენი სიმღერით, „ვიცი ზღვაზე მოვკვდებიო“, რაღაც
საიმედო მითხარი, ხომ ხედავ, როგორ გვარნევს ეს შენი პოსე-
იდონი. წარმოთქვა და სახეზე ღიმილი ნაძალადევად მოეფინა.

ჰელიმაც სიმტკიცე გაურია ხმას: – ეჰჰ, მიდი შვილო შენებუ-
რად გაგვამხნევე! გვიმღერე მოხუცებს.

ჰასანს გაეღიმა და სანუგეშოდ უთხრა მათ:-რა დროს თქვენი
სიბერეა ორთავე ქვაომხაზე ხართ. ლექსად ვიტყვი:

„ჰე ქვაომხაზე, მოვარდა ქარი,

ტალღა გაიხსნა, ქაფით თეთრდები,
 ეს მერამდენე თვე და წელია,
 ჭარმაგად დგახარ, ალარ ბერდები“.

ქემალი სიამოვნებისგან გაიბადრა, მისი იალქანივით ჭალარა თმა და ნაოჭებიანი სახე აღტყინებულმა გულმა წამიერად მოიცვა და მეგობარს გადასძახა: – რას იტყვი ძმაო, ჰელიმ, მართალს ამბობს ეს ბიჭი, მართლა ვართ ქვაომხაზე, რაც ჩვენმა ხოფამ გადაიტანა, რუსის ბარაბანი ვერ გაუძლებდა.

– ჰელიმმა მიუგო ქვაომხაზე უზარმაზარი ლოდია ზღვაში გადმოვარდნილი, ლოდს რა დააბარებს, ამიტომაც აქვს შესაშური სიმტკიცე. ჩვენი ლაზები, ქვაომხაზე მეტი ვართ, რადგანაც ჩვენი გული ზღვას ესკუთვნის, და ტალღამ როგორაც არ უნდა გაგვლახოს, მაინც ხოფის ნაპირზე ვბრუნდებით, რათა ზღვიდან ამოსარუკილი მზე იმედიანად ვიხილოთ. ხოფიდან ზღვაში მობანავე მზე უფრო კარგი სანახავია, ვიდრე მის სიახლოვეს რომ ბანაობ ზღვაში; არ იცი ზღვა, როდის მიგახეთქებს ნაპირს და ისევ ჩაგითრევს თავის აღლულებულ ტალღებში – ზღვა ჩვენი ცხოვრების მსგავსი – ცოცხალი ორგანიზმია, რომელიც მოგიალერსებს ან დაგახრჩობს. კაცს მხოლოდ გონება ასწრაფებს დაბრუნდეს გაშლილი იალქანით ნაპირზე, ზოგჯერ სიფრთხილეც რომ გამოიჩინო, შეიძლება ჰასანის პოსეიდონიც განრისხდეს იმ გათვლისთვის, რისი უფლებაც შენთვის არ მოუციათ ღმერთებს. შენ, ვინ მოგცა კაცს გონება, ღმერთების სურვილს წინა აღუდგე. ამიტომ, ჩემო ქემალ, ამ მცირედით დავკმაყოფილდეთ და ნაპირზე გასულებმა ჰასანის პოსეიდონს მადლობა შევწიროთ, მშვიდობით რომ დაგვაბრუნა ნაპირზე.

– მართალი ხარ ძმაო, აბა ჩვენ, უბრალო მეთევზებს, ვინ მოგვცა უფლება ღმერთების სურვილი ამოვიცნოთ. სანამ ზღვაში შემოვიდოდით დარი იყო.

ჰასანს გულში ელიმებოდა, პოსეიდონი მისი ღმერთი რომ გახადეს.

ნაპირიც გამოჩნდა აქაფებული ტალღების, რამდენიმე მეტევზე თოვით ხელში, ელოდებოდა ზღვაში გასული მეთევზების მოახლოებას.

– ქემალმა ნაპირზე მყოფებს გასძახა: – აქეთ თოკი, აქეთ.
 თოკი მოიქნიეს და ქემალის ნავის გამოქაჩვას შეეცადნენ. ქა-
 ფიანი ტალღები ასკდებოდა ნავს.

დიდი ლოდინი არ დასჭირვებია, ნაპირისკენ მის გამოქაჩვას,
 წყალზე მოტივტივე ნავს წონა არ ჰქონდა.

როგორც კი ნაპირს მიუახლოვდა, ჰასანი წყალში ჩახტა.

ჰელიმა და ქემალმა თევზით სავსე ტომარა გადმოათრიეს.
 ჰასანმა ზურგზე მოიგდო ნადავლი და სამივენი ქემალის სახ-
 ლისკენ გაემართნენ.

ჰასანი წელს ქვემოთ სულ დასველებულიყო. ჰელიმა შვილს
 ტომარა გამუართვა და მამობრივი მზრუნველობით უთხრა: – აბა
 გაქრი აბა სახლში და გამოიცვალე, მე წავიღებ თევზს. დედას
 გააგებინე თევზის გამოსაწელად.

ჰასანს შეამცივნა.

უხმოდ დასცილდა მეთევზებს და შინისაკენ გაიქცა.

ეზოში შესულს არქადაში შემოეგება. ჰასანმა სიყვარულით
 დაუტატანა: – მომცილდი ბიჭო გავიყინე, მერე მოგხედავო.

ის მაინც სახლის კარებამდე მიჰყევა ლაქუცით.

დედამ, რა დაინახა შვილი ერთიანად გალუმპული, უსაყვედუ-
 რა: – ეს რა გიქნია, მამაშენი რა შვებოდა ვერ მოგხედა?! მოდი
 დოროზე, წყალი ცხელია, გაიხადე დაგზილო და ფეხებიც დაგით-
 ბილო!

– დე, წადი, თავს მივხედავ, ბავშვი ხომ ალარა ვარ, მამა გე-
 ლოდება ბიძია ქემალთან-მიუგო ჰასანმა.

– დამელოდება, სად გარბის, ჯერ შენ მოგხედავ-არ დათმო
 დედამ.

ჰასანმა იცოდა აზრი არ ჰქონდა დედასთან ჭიდილს, მაინც
 თავისას გაიტანდა. შიშველი ფეხები კალთაში ჩაულაგა. დედა
 გაყინული თითების ზელვას მოჰყვა. დედის ნაჯაფი და გამომშ-
 რალი ხელების ალერსი ჰასანს ბავშობას ახსენებდა და ტკბილად
 ირგებდა დედის სიყვარულს.

ჰასანის თვალები მისი უმანკო ღიმილით გაფიქრებინებდათ,
 რომ ის იყო დიდი ბავშვი ალალი, წრფელი, მიმნდობი. ჰასანის

გულის ასაკს გათქვამდა მისი უმანკო ღიმილი. ჰასანმა არ იცოდა, მხოლოდ ერთი რამ იმ წუთების მარადისობა, რომელიც არას-დროს არ განმეორდებოდა მის ცხოვრებაში, დედის ალერსი და დაუსრულებელ წარსულზე ფიქრი, რომელიც თან სდევს ადამიანს მთელი ცხოვრების განმავლობაში. ჰასანს იმ წუთებში არც უნდოდა მომავალზე ეფიქრა, რადგანაც უზომოდ ბედნიერი იყო.

2 თავი

ჰასანმა თვალები გაახილა და ორი ულვაშიანი კაცი დაინახა საწილთან.

— ვაუბატონო, აპრძანდი და ჩაიცვი, უბრძანეს თურქულად. ჰასანი თვალგაშტერებით მისჩერებოდა უცნობებს.

მელოტიანის მკაცრმა ხმამ საბოლოოდ გამოაფხიზლა: — რას გამოლენჩებულხარ, ჩაიცვი!

წამოდგა დაბნეული და ირგვლივ მიმოიხედა. ისევ ბურანში იყო, ვერ გაეგო მის თავს რა ხდებოდა. იდგა საბრალო ბავშვივით ფიქრის უნარნართმეული.

— არც გაიფიქრო გაქცევა, სამი კაცი გარეთ გვყავს. — ისევ მელოტი იყო და უკვე მიხვდა ჰასანი, რაც უნდოდათ მომხვდურებს.

ჰასანი ჩაცმას შეუდგა. არ უნდოდა შინიდან ისე წასულიყო, მშობლებისთვის წერილი არ დაეტოვებინა. თანაც ჩქარობდა, რადგან არც ის უნდოდა მათ დაკავებული ენახათ. ვაი თუ ქემალთან გადასულები დაპრუნებულიყვნენ და შესწრებოდნენ ერთადერთი შვილის დაპატიმრებას.

მშობლებს წერილს დავუტოვებო, ნებართვა ითხოვა. მელოტი ქუდჩამოფხატულ კაცს გადახედა, ფანჯარასთან რომ იდგა. იმანაც გამოსცრა: მხოლოდ 5 წუთი გაქვსო და კალამი გაუწოდა.

საწილის გვერდით კომოდის უჯრა გამოსწია ჰასანმა და ფურცელი მოიძია.

არეულმა უჯრებმა მიახვედრა: „ეძებდნენ...ვერც იპოვიდნენ,
კიდევ კარგი არქადაშ მივაბარე რვეულიო...“.

სუფთა ფურცელსაც მიაგნო და სწრაფად დაწერა: „დე არ
ინერვიულო, ბათუმში მივდივარ, სამსახურს დამპირდნენ, რო-
გორც ვნახავ დროს, გადმოვალ, მაპატიე, ასე ნაჩქარევად მომი-
ნია ნასვლა და ვეღარ გაგაფრთხილეთ. შენი ჰასანი.“

მელოტმა ფურცელი გამოჰვილივა, ჩაიკითხა და იქედნურად
გაეღიმა –სამსახურს დაპირდნენ ბიჭს!

მეორემ კი კატეგორიულად უთხრა: – სადაც გინდა იქ
იმუშავე, თურქეთში შემოსული კი არ დაგინახოთ.

ჰასანმა ჩანთაში ჩაუძახა იმ აუცილებელ ნივთებს, რაც ხელთ
მოჰყვა, მერე ქურთუკი ჩაიცვა და ქუდი დაიხურა.

გარეთ როცა გაიყვანეს, არქადაშის სადგომისკენ გააპარა
თვალი...

ძალი არ ჩანდა. არც მამალი დადიოდა ეზოში. უცებ სიზმარი
მოაგონდა. მიმოიხედა, თითქოს თხას ეძებდა, მისი თვალები მელ-
ოტის გამჭოლ მზერას შეეჩება. ჭიშკართან კი, ნიკაპზე მეჩერი
წვერით, მამაკაცი ელოდათ. ჰასანმა გაიფიქრა: „ესეც ჩვენი თხა“,
მაგრამ ყვინჩილა სადღა? უცებ გული შეეკუმშა იმის გაფიქრების
გამო, რომ ყვინჩილა თვითონ იყო... სიზმარი აუცხადდა.

მსუქანმა იქვე მდგარი ავტომობილის კარი გაუღო, ზურგში
ხელი დარტყა და მიაყოლა: – ძალლის ლეკვო! დაეგდე!

უკვე ვილისში იჯდა, სამი მამაკაცის თანხლებით და ემშვი-
დობებოდა მშობლიურ ოდას, უკან რომ მოიტოვა ავტომობილმა.
უკვე დამძიმებოდა დედის დაზელილი ჩამთბარი ფეხები. ფიქრობ-
და მშობლებზე, არქადაშსზე, ზღვაზე, ქემალზე და ხატიჯეს მაყ-
ვალივით შავ თვალებზე... მამის ნათქვამი მნარედ ახსენდებოდა,
„ჩვენ ვინ მოგვცა უბრალო ხალხს იმის უნარი, ღმერთების სურ-
ვილი გავთვალით და ამოვიცნოთ. ჰასანი ახლა იმ ნავში იჯდა,
პოსეიდონი რომ აქანავებდა...“

ჰასანი მიდიოდა და თითქოს არქადაშის ყეფა ადამიანურ ხმა-
სავით მისდევდა. „ჩემო მეგობარო, მაგრამ არა პატრონო, შენს
ბრძანებას მაშვინ შევასრულებ, როცა დადინჯდები და თეთრსა

და შავს ერთმანეთისაგან განარჩევ. ახლა კი როგორმე ეცადე, მაგათ გამოუსხლტე, და ოჯახს დაუბრუნდე, ჩემს პატრონ ჰელიმს ნუ დაამზუხრებ“.

ჰასანი ამ რამდენიმე წუთს, ერთბაშად შეეცვალა. იგი მძაფ-რად განიცდიდა და აღიქვამდა ყოველივეს.

გალმა საქართველომდე უნიფორმიანმა კაცებმა მიაცილეს. ჰასანს ხიდის როლი უნდა ეტვირთა ცხოვრებაში და გალმა-გამოლმა საქართველო როგორმე დაეკავშირებინა, თავისი წილი ცხოვრების წყალი დაელია. მესაზღვეებს გალმა ხოფის ტკივილი დაუტოვა. უსამშობლოდ დარჩენილი ჰასანი მისთვის უცნობ გარემოში აღმოჩნდა, უნდა მოესმინა და გაეზიარებინა, თუ რა სტკიოდა ამ სამშობლოს ხოფიდან სარფამდე რამდენიმე მეტრით დაცილებულს.

3 თავი

ბათუმში გადმოსულმა ჰასანმა უპირველესად ამხანაგის სამსახურს მიაშურა. ჰაჯი პორტში მუშაობდა და იქ მდგარ უცხოურ გემებს აკონტროლებდა.

სატვირთო გემი მოსგომოდა ბათუმის სანაპიროს. მუშები გემბანს ცლიდნენ. ჰაჯი არსად არ ჩანდა. ჭოკის ჯოხივით აყლაყუდა კაცი მუშებს უყვიროდა, მბძანებლურად მიუთიებდა, სად და როგორ დაეწყოთ ტვირთი. ერთს, სიმძიმისაგან წელში მოხრილს, ისეთი მუჯლუგანი უთავაზა, რომ არა ჰასანი, საცოდავი ქვაფენილზე დაენარცხებოდა.

– რა დაგიშავათ, ასე რომ გაიმეტეთ? – ჰკითხა მუშების ზედამხედველს.

- შენ ვინდა ხარ და ვინ გეითხავს?
- ლაზი ვარ, ხოფიდან – მიუგო ჰასანმა.
- მერე აქ რა დაგუარგვია? ამათ ასე, რომ არ მოექცე თავზე დაგაჯდებიან და ჩემი დასაცლელი იქნება ეს გემი.
- მერე ცემა და დამცირება რა საჭიროა?!

– ჭკუის სწავლებას სჯობია დაგვეხმარო, თუ არ დავცალეთ გემი შუადღემდე, უცხოელები ტვირთს ზღვაში გადმოყრიან.

– მოგეხმარებით, მაგრამ მითხარი, პაჯი სად არის?

– ეგ ვინდაა? აქ, რომ ყველას სახელს ვიმახსოვრებდე, ამ რეგვენებთან რა მინდოდა ასეთ სუსტიან ამინდში. იმას კიდევ, რომ ვუთავაზე, კუთვნილ ფულს თუ მივცემ, ახლავე წავა და დალექს, ხუთი შეილი კი უჭყავის სახლში.

– ადამიანია, ცხოველი, ხომ არ არის, ან ცხოველის ცემა რა საკადრისია? – თქვა ჰასანმა.

– ეხ, ბიძია, ყველა ადამიანი ცხოველია, გააჩნია, როგორ ავლენს თავს, ზოგი მშიერი ცხოველია, ზოგიც – მაძლარი. ვისაც ამათი მართვა შეუძლია, ის ერთი საფეხურით მაღლა დგას ყოველთვის და აი, იქ არის ხელგაშვერილი. ზედამხედველმა ლენინის ძეგლისკენ გაიშვირა ხელი.

– ბელადზე ამბობთ?! – გაიკვირვა ჰასანმა.

– აბა, ბაბუაშენზე ხომ არ ვიტყვი, – ისე გადაიხარხარა, ალაგალაგ ჩასმული ვერცხლისფერი კბილები გამოუჩნდა პირდაფჩენილს. ეტყობოდა, თავისი სიტყვამოსწრებულობა მოსწონდა.

ჰასანი უყურებდა ამ ახარხარებულ მტაცებლისმაგვარს და ფიქრობდა, ნეტა თავის თავს რომელ ცხოველს მიაკუთვნებს, მაძლარს თუ მშიერსო, ან რა ჯიშისა უნდა იყოსო?! ადამიანის მოდგმისა არ უნდა იყოს, დაასკვნა. როგორც რუსებს აქვთ საშუალო სქესი, არც ქალს რომ ეკუთვნის და არც კაცს, ალბათ ისაა... არა, არც ცხოველია. ჩემი არქადაშის თათადაც არ ღირს, ეს ჯოჯოხეთის მოციქულიო.

– რას გაშტერებულხარ, სწორი არ ვარ თუ? – გამოსძახა მან გამარჯვებულის ხმით.

ჰასანმა თავი მოიფხანა და მიამიტური ღიმილი შეაგება: – რა ვიცი ბიძია, რა გითხრა, მაძლარი ცხოველი დედაჩემის თხაა, ხოფაში, ხოლო მშიერი, ტყეში ვიცი მე ნადირი... ადამიანი უფრო მეტი მგონია.

– ადამიანი, რამეს რომ წარმოადგენდეს, ე, ის კაცი ვერ მართავდა და ისევ ხელი ლენინის ძეგლისკენ გაიშვირა. დაუჯე-

რე ჩემს ჭალარას, მეფეც მოვიცვალე, კოლმეურნეობის თავჯ-დომარეც. უკვე ამ პორტში დავყურყუტებ და ვუყურებ, სულ ამ ძეგლს უკრავენ ტაშს, ყოველ ჯერზე, როცა მარშით ჩაივლიან. ახლა კი თუ შეგიძლია დამეხმარე და თუ არა გამცილდი, მალე გათენდება და ხალხიც მოაწყდება ლენინის მოედანს, დღეს ხომ შრომის დღესასწაულია.

ჰასანმა ქურთუკი გაიხადა და ქვაფენილზე დადებულ ჩანთა-ში ჩადო.

— აქ არ დატოვა, ბიძია, მაგი. მე წავიღებ და შეგინახავ, თუ მომენტონა შენი შრომა, კარგად გადაგიხდი.

ჰასანმა მიაწოდა ჩანთა და უთხრა: — მე არ მინდა ფული, ისე დაგეხმარებით.

— ოჰ, ფული არ უნდა ბიჭს, იქსო ხარ? — ხა,ხა,ხა და ისევ გადაიხარხარა, ისევ გადმოყარა ალაგ ვერცხლისფერი და ალაგ თუთუნისგან ჩაშავებული კბილები.

ჰასანმა ხელი ჩაიქნია იმ განზრახვით, რომელიც კარნახობდა, რომ ასეთ ადამიანებთან ლაპარაკი უშედეგოა, რადგან მათ აქვთ მხოლოდ თავისი სიმართლე, რომელიც უანგს არ იკიდებს, რაც არ უნდა წყალი ასხა.

მუშაობაში იყო გართული, როცა ჯარისკაცების მარში შემოესმა, ვაშას გამაყრულებული შეძახილებით ჩაიარეს: „გაუმარ-ჯოს საბჭოთა საქრთველოს! გაუმარჯოს დიად ლენინს! გაუმარ-ჯოს მშრომელ საბჭოთა ხალხს!“.

ტაში, დოლის ბრაგუნი თუ საყვირი ხმა, დროშებითა და ბუშტებით გაფერადებული ქუჩა, ჰასანის თვალნინ, სანახ-აობად გადაიშალა. ბავშური ალტაცებით გაჰყურებდა ზემის მონანილებს და სურვილი მოეძალა, თვითონაც გაევლო მათ მწკრივში. წარმოიდგინა კიდეც, ლამაზი საპარადე ფორმა აცვია, პიჯაკზე დამაგრებული საბჭოთა კავშირის გმირის ორდენით მკერდდამშვენებული ჯარისკაცებს წინ მიუძღვება, ტრიბუნიდან დიდი ბელადი ხელს უქნევს და უღიმის, სახეგაბადრული ჰასანი კი ამაყად მიუყვება მწკრივს. ზედამხედველის ხმა საყვირის ხმამ და ვაშას შეძახილებმა დაახშო, მერე თვალი გაეპარა ფქვილში

ამოგანგლული თავისი შარვლისკენ და ერთბაშად ჩაეფერფლა წამიერად გაელვებული ნაოცნებარი. მწუხარება ჩამოეღვენთა სახეზე, ამასობაში ზედამხედველიც წამოადგა თავზე.

ჰასანმა დაბნეულად ახედა და უთხრა: – მეტად ვერ დაგეხ-მარებით, უნდა წავიდე, მეგობარი მყავს სანახავი.

– სად უნდა წახვიდე, აქ დარჩი და იმუშავე ჩვენთან. ბინასაც მოგცემთ საერთო საცხოვრებელში. ყოჩალი ბიჭი ჩანხარ. სახეც სუფთა გაქვს, არ უნდა სვამდე.

ჰასანს ცოტა არ იყოს ჭვუაში დაუჯდა ბინადრობის საკითხი, მაგრამ ზედამხედველს ისევ რომ ახედა, გაიფიქრა: „ ამას ყოველ-დღე მტერმა უგდო ყური, კარგი გამძლეობა უნდა ” და შეეცოდა ჰაჯი, თუკი მასთან მუშაობდა.

პასუხად კი მიუგო: – მოვიფიქრებ და მერე გეტყვით ჩემს აზრს.

მან ისევ ჩაიხითხითა: – ოხ, მეტყვის მის აზრს!

ჰასანმა სთხოვა, ეგებ ჰაჯის სახლი მიმასწავლოთო.

მან კი შარვლის ჯიბე მოიქექა, ფული გადაითვალა და ჰასანს ორი მანეთი გაუწოდა.

– არ მინდა, გმადლობტ! – იუარა ჰასანმა.

– აიღე-მეთქი! გერგება, თავს ნუ იფასებ. – შემოსწყრა იგი.

– მე იმიტომ ვიმუშავე, შემებრალეთ, რადგანაც მითხარით, თუ შუადლემდე ვერ გადმოტვირთავდით გემს, ტომრებს ზღვაში გადაგიყრიდნენ.

– მე არაფერი მჭირს შენი შესაბრალისი, ეს ორი მანეთი იმ კაცს რომ მივცე, იმ ცხვირგაბუმტულ თათარს – თითი გაიშვირა ფქვილის ტომრებზე მიწოლილი მუშისკენ, რომელიც ჭუჭყიანი ხელებით კეფირსა და ფუნთუშას შეეცეოდა, – „ლეზინკას“ იცეკვებს. რა ხართ ეს ლაზები, ასეთი ამაყები. აიღე და წადი. მე აქ რაც ვმუშაობ, ჰაჯის არავის ვიცნობ, მაგ თათარმა შეიძლება იცოდეს, აქ დაბერდა მგონი, ტვირთის თრევაში.

ჰასანმა გაფქვილული ტანსაცმელი ჩამოიფეროთხა, ფული გა-მოართვა და თათრისაკენ წავიდა. ზედამხედველმა მედიდურად გადახედა ჰასანს, ალბათ გაიფიქრა თავპატიუი გამოიდოო და თა-

ვისი სიბრძნე, ადამიანის სიხარბესა და და ცხოველთან გაიგივე-ბაზე უტყუარად მიიჩნია, თუმცა მისი პრიმიტული ფილოსოფია ჰასანმა ერთ წერტილში დაამსხვრია, როცა ფული თათარს გაუწოდა და გამოჰკითხა, ჰაჯის საცხოვრისისთვის როგორ მიეგნო.

განპილებულმა ზედამხედველმა ხელი ჩაიქნია და რუსულად ჩაიბურტყინა: – „გორდი დურაკ!“

მუშა გააკვირვა ახალგაზრდა კაცის საქციელმა.

ჰასანმა მხარზე ხელი შემოჰკირა და მეგობრულად გაულიმა: – ეს დანამატია ჯამაგირზე, ზედამხედველისგან. აიღე შენია, მე არ მეუფორნის.

– როდის იყო დანამატებს იძლეოდა მაკარიჩი?! სულელი კი არ ვარ, ფულს არ გამოგართმევდი, რომ არ მიჭირდეს!

მერე ფული ჯიბეში ჩაიდო და ჰასანს დამტვრეული რუსულით აუხსნა ჰაჯის საცხოვრისი, რომელიც პორტან ახლოს, ბაზრის უკანა მხარეს ყოფილა.

ციოდა. ზღვის ნესტიანი ჰაერი პირდაპირ ძვალსა და რბილში ატანდა. მიუხედავად იმისა, ჰასანი მძიმე სამუშაომ მოთენთა, თანაც არცთუ თბილად ეცვა, მაინც მხნედ მიუყვებოდა ქუჩას. მისთვის, როგორც ზღვისპირელისათვის, უცხო არ იყო ბუნების ჭირვეულობა.

ჰასანმა ბაზრის ჩიხი რომ გაიარა, იტალიურ ეზოში შევიდა. ნავთის გამყიდველი აისორი საუცხო ბარიტონით გაჰყვიროდა: – ნავთი იაფად, ორ კაპიკად. გვერდით წითურმა ჩამრგვალებულმა კაცმა ჩაუარა და დატუქსა: – რა გაყვირებს, ყრუ კი არა ვართ. ერთ დღესაც მილიცია დაგიჭერს სპეციალურანტობისთვის.

აისორი გაანჩხლდა: – მე დამიჭერს, შენ გაიხარდეს, შენ გაცივდე, ქონები დაყარო და მერე მოკვდი. ხოჩის? ნი ხოჩიშ? მაშინ გაიარე? ნუ დურაჩ!

უკმაყოფილო წიშკრისკენ გაემართა, თანაც ნავთის გამყიდველს მიაძახა: – გადი, გადი, ნავთით ნუ ამამყრალე. – აისორი ქოთქოთებდა: – ეს რა კაცია ვაჲ! მისი ცოლი კაი ცოლი, იყიდა, გათფო სახლი, მერე ეს პომიდორა. ჩემი ნავთი ასე აწითლებს თუ ეს დიავალსკი ნაჩალნიკი ტაკოი კრასნი, ნიზნაუ სლუში,

მოუიტ ტი ზნაიშ კრასავჩიკ? ა? – და ჰასანს მიაშტერდა. აისორის შეკითხვამ მას ლიმილი მოჰვევარა და შეეცადა დაემშვიდებინა: – არ გეწყინოთ მისი ნათქვამი, ალბათ არ იყო ხასიათზე.

აისორის გული მოეცა: – ა გდე სოვისტ, პრიჩომ ნასტრაენია, თქვა და თვალი ჩაუკრა, მე არ მწყინს შვილო, პუსტ იო მამა პანერვიჩიტ ნა იო ჟიზნ, რომელიც არ გამოუვიდა და ასე დაბოლმა. მე ჩემი ნავთის 2 კაპიკად ყოველთვის მყავს მუშტარი.

ჰასანს ისევ გაეღიმა.

აისორმა ახლა მას შესთავაზა: – არ გინდა ნავთი, დვე კაპეიკი. თვალები გილიმის, ტუჩები ლურჯი, შტო ზაბესპარიდაკ?

– ნავთი არ მჭირდება, მაგრამ თქვენ ხომ არ იცით, ჰაჯი სად ცხოვრობს?

აისორი დაფიქრდა: – ა, ჰაჯი, ახ, ჩვენი ჰაჯუსტანი, მაგას ჰაჯია ჰაჯუსტანი, სულ ინდურ კინო სმოტრიტ.

მერე შუშაბანდებიან სახლზე მიუთითა, თანაც დამოძღვრა:

– აბა ნავედი, შვილო, ჩაიცვი თბილი, ლურჯი ხარ, ლურჯი.

ჰასანი ახლადა მიხვდა, რომ ქურთუკი არ ეცვა, სწრაფად ამოილო ჩანთიდან და შემოიცვა, თანაც მადლიერად გახედა ნავთის გამყიდველს, რომელიც თავისთვის მილაპარაკობდა:

– მალადიოჯ გარაჩი კროვ! ჰაჯუსტანს მაგრად დაკაუნე, გაიგო...

მერე თავისი საზიდარი ადგილიდან დაძრა. ნავთის რკინის ბიდონების ხმას თავისი სიმღერა შეუწყვილა: – „ბოგ დალლლ, დიავალ უკრალლლ, ნო ბოგ ზნაიტ ვსო“.

ჰასანი ჰაჯის სახლის კარებთან იდგა, თანაც გონებაში იმეორებდა აისორის სიტყვებს „ბოგ ზნაეტ...“

ამ ფიქრებში იყო ჰასანი, როცა კარი გაიღო და გამოვიდა თორმეტიოდე წლის ჟღალთმიანი ბიჭი, პიონერის ყელსახვევი რომ ეკეთა. უცბად სახე მოელუშა და გაკვირვებული ხმით უცხო კაცს ჰკითხა: – ვისთან ხართ, ამხანაგო? – ჰასანი დაბნეული უყურებდა და ფიქრობდა, ნეტავი ამ ბავშვის ამხანაგი როდისლა გავხდიო.

– ბიძია, შენ შემოგევლე, კარგო ბიჭ...



ბიჭმა შეაწყვეტინა: – მე თქვენ არ გიცნობთ, ამხანაგო!

ჰასანი დაემორჩილა ბავშვის ბრძანებლურ კილოს. მარჯვენა ხელი შუბლთან მიიდო და ჩაუპატაკა: – ამხანაგო პიონერო, მოსული ვარ სამსახურეობრივი დავალების შესასრულებლად მეგობარ... ოპ, უკაცრავად, ამხანაგ ჰაჯი ტიგრანოვიჩთან და გთხოვთ დამრთოთ ნება, დავუძახო.

– თავისუფლად! – თქვა ბიჭმა.

ჰასანს გაელიმა და შუბლთან მიტანილი ხელი ჩამოილო.

– შედით, ბოლო ოთახია, მარჯვნივ.

ჰასანი გრძელ კორიდორს გაუყვა. ჰაჯის კარები ნახევრად ღია დახვდა, გვერდით ოთახიდან წყლის ხმა შემოესმა. ჰასანმა მორიდებით დაკაკუნა. ამასომაში გვერდით ოთახიდან, პირსახოცით ხელში, ჰაჯი გამოვიდა. დაინახა რა მეგობარი, სიხარულისაგან სახე გაებადრა და შესძახა: – ღმერთმა გადმომიგდო შენი თავი, ჰასან!

– აბა, რომ მეუბნებოდი ღმერთი არ არსებობსო?! – ღიმილით შეახსენა ჰასანმა.

– კარგი ახლა, ჩემს სიტყვებს ნუ გამოეკიდები, ღმერთმაც რა დააშავა, ზოგჯერ ისიც ვახსენოთ, იქნებ პარტის წევრიც გახდეს... სიტყვა დასრულებული არ ჰქონდა ჰაჯის, მოპირდაპირე ოთახიდან ქალმა გამოსძახა: – „ნე აბიუა ბოგა“.

ჰაჯიმ გადაიხარხარა, თანაც ხელით უბიძგა ჰასანს: – ეძმაო, რას გაშტერებულხარ, შედი ოთახში! დადე ჩანთა, არავინ წაგართმევს. ჰაჯიმ მეზობელი ოთახის კარზე დააკაკუნა და რუსულად გასძახა: – „მარუსია, მატრონიმეა, დრუგ პრიეხალ იზღაზეთი, ადალუ კერასინ ვოდუ, ნაგრეუ დღია ჩაი“.

ქალმა პასუხი დაუბრუნა: – „შტო დარაგო, ვჩერა ნა საბრანია ნი დალი კამუნისტი კერასინ?“

– „მარუსია, ნასაბრანია ნე დალი, ნო მი რეშალი, შტო უნაროდა ბილ კერასინ!“ – გაეპასუხა ჰაჯი.

ქალმა კარი გააღო, ნავთქურა იატაკზე დადო ჰაჯის ნინდა გამომწვევად უთხრა: – „ა ვი ატ ნას ნაგლა ბრალი! ვაპშეტა ბლაგადარი დრუგა, ონ სპას ტებე სევოდნია, ატ პლახოვა

ვისკაზავანიე ბოგა ი შტო ონ ტვოი გოსტი! ეშმ ინ ის ლაზეთი, ნასტაიაში გრუზინ, ა ტი ჩულბან ნასტაიაში, ნადეიუს ტი ნე უს-პელ ეშმ ნატრავიტ სვაიმ ლენინიზმამ. „— ჰაჯიმ ლოყა მიუშვირა ქალს და უთხრა: — „ჰენრიხევნა, უდარ, ია ტვოი რაბ სევოდნია და დამ სლოვა, სევოდნია ბუდუ ვერიტ ტვაივო ბოგა, ჰატომუ შტო იოო რაბინა მნე სპასლა, სევოდნია პრინატ დრუგა და უგას-ტიტ ჩაიმ“. — ჰაჯი როცა ამ სიტყვებს ნარმოთქვამდა, ეშმაკუ-რად იღიმებოდა.

— კუზს სამარა არ გასცოროს! — თქვა ქალმა და კარი მიი-ჯახუნა..

ჰაჯიმ გადაიხარხარა, მატრონას სიტყვებზე, ეტყობა ქართუ-ლი ესმოდა, მაგრამ ლაპარაკი უჭირდა.

- „სმეისა, სმეისა, ატ სმეხა ნი უმერაიუტ!“ — თქვა ქალმა.
- „მატრიონუშკა, ნი ნერვიჩი, ვეჩერამ კერასინუ პრინისუ“. ქალმა ხმამაღლა გამოსძახა: — „კერასინუ პრინისიოტ ბიჭი!

აშოთ ბილ სევოდნა უტრამ ნადა ბილა ოტნევო კუპიტ, ონ ნე პრიდიოტ დო სუბოტუ“.

ჰაჯიმ კერასინს ხელი დაავლო და ინდური მელოდია წაიმ-ლერა ქართული ვარიაციებით: — „ჰერა ჯუპანე ჯაპანე, ჰაჯის მისცეს კეროსინე, ჩაი ჯუპანე მაგარე, მიმიქარავს ინდუსტანე“. ჰაჯი შევარდა ოთახში, მეგობარს თვალი ჩაუკრა და უთხრა:

— ახლა გავთფებით ჰასან, ჩაის დავლევთ. სადღაც დედის გა-მოგზავნილი ჩირი მაქვს, ხილის ასორტის ტკბილი შაქარიც არ დაგვჭირდება. დღეს პარადზე ვერ წავედი, დილით 6-ზე მოვედი სახლში. ყველაფერს მოგიყვები, ჯერ გავთბეთ.

— ვინ იყო ის ქალი, შინაურულად რომ გელაპარაკებოდა?

— მატრონა დეიდა, კარგი ქალია, კეთილი, მაგრამ კომუ-ნისტებს ამრეზით უყურებს. ეშმაკის მოციქულები ხართო. ღმერ-თი არ გწამთო. სულ ასე ვკბენთ ერთმანეთს, მაგრამ ვიცი, რომ კეთილი გული აქვს.

— ეტყობა, თორემ ამ გაჭირვებულ დროს ნავთქურას არ დაგითმობდა.

- მარტო ცხოვრობს? — დაეკითხა ჰასანი.

ჰელიკონის წევრი განმინდა, მერე აანთო და ჰელიკონის
უთხრა: – რა მითხარი, ძმაო?

– მარტო ცხოვრობს შენი მეზობელი-მეთქი?

ჰელიკონი შუბლი მოიფხანა და კერასინის მური წაეცხო. ხო მარტოა, გაუთხოვარია. დედა ჰყავდა ბავშვების ექიმი, კეთილი ქალი იყო. ავადმყოფი ბავშვიდან ტუბერკულოზი გადაედო, თავს არ გაუფრთხილდა და შარშან გარდაიცვალა. მატრონას მამა გერმანელი ჰყავდა, მაგრამ არ ახსოვს. ამის შესახებ არასდროს არაფერს არ ჰყვება. ის ვიცი მხოლოდ, ის და დედამისი მიატოვა და სხვა ქალს გაჰყვა ევროპაში.

– მერე ვინ ეხმარება? – დაინტერესდა ჰელიკონი.

– რა დახმარება უნდა, ინვალიდი კი არ არის. მუშაობს, ფილოლოგია, სკოლაში რუსულს ასწავლის.

– ქალია მაინც, მარტოს გაუჭირდება. – თქვა ჰელიკონმა.

– ამდენ რომანტიზმს შენ უძლებ მხოლოდ, მოდი მიწაზე ჩამოდი. რეალურად, თავისუფალი მუშის და ნამდვილი კომუნისტის იდეით მიუვდგეთ ცხოვრებას, სად გვცალია მარტოსულობაზე ფიქრისათვის, იმდენი საქმეა გასაკეთებელი, მხოლოდ ერთად დგომა და მუშაობა გადაარჩენს ჩვენს ქვეყანას. – ამაყად წარმოთქვა ჰელიკონი.

– არ ვიცი, შენ როგორ აპირებ ქვეყნის გადარჩენას, მაგრამ მე ანი ხოფაში ვეღარ გადავალ, რადგანაც გამომაძევეს, პოლიტიკური მრნამსის გამო. – ჩაილაპარაკა ჰელიკონმა.

– არც გამკვირვებია, ადრე თუ გვიან ეს მოხდებოდა. – თქვა ჰელიკონი და ჩაიდანი შემოდგა ნავთქურაზე. – ახლა მთავარია, მომავალზე ვიფიქროთ.

– ჩემი მომავალი იქაა, სადაც ჩემი ხოფაა – ნანე, მამა, არქადაში და ჩემი ლაზები არიან.

– ჩემებიც ხომ შორს არიან, ჰელიკონ. უკვე 10 წელია მარტო ვარ ამ ქალაქში, არ შეშინდე, ერთად ვიქნებით და გადავლახავთ სირთულეებს, რაღაც შეიცვლება, რაღაცას ჩვენ თვითონ შევცვლით, ყურები ნუ ჩამოყარე.

ჰასანს უგერგილოდ გაეღიმა. – რა ვიცი, ძმაო, სადაც წახვალ, თან წამოგყვები თუ კი ეს გზა დამაბრუნებს ჩემს სოფელში. ხოლო თუ ჩემი სოფელი მოწყვეტილი არ დარჩება საქართველოდან, ჩემზე ბედნიერი კაცი არ იქნება.

– იქნება, ჰასან, ყველაფერი კარგად იქნება, მაგაზე არ იდარდო!

ჩაიდანი აშიშინდა, ორთქლი გამოუშვა. ჰაჯის ოთახის ავეჯს წარმოადგენდა დივანი, კომოდი, მაგიდა და ორი სკამი. ორიოდე შარვალი და მრავალ პარტიულ შესვედრაზე ნაცვამი გამოხუნებული, ნაცრისფერი პიჯაკი ერთ სკამზე გადაეფინა მასპინძელს. მხოლოდ მისი მხიარული ხასიათი, ოპტიმიზმით აღსავსე საუბარი და ხალისიანი ინდური მელოდიები ხმაურობდნენ მის ნაცრისფერ ოთახში, მზე იქამდე ვერ აღწევდა. დიდ უზარმაზარ რუხ შენობას დაეჩრდილა ჰაჯის მოკრძალებული ბინა.

ჩაიდანი გადმოლებულიც არ ჰქონდა, კარზე რომ დააკაკუნეს..

– შემოდი, ჰენრიხევნა – გასძახა ჰაჯიმ.
– „კაკ უზნალ ჩულბან?“ – ქალს ხელში პატარა მურაბიანი ქილა დაეკავებინა.

– „უზნაუ სტუკ პალჩიკავ, კატორიე ნა ფორტეპიანო პამუჩალის. თი სკაუი მატრონიუშკა, შტო ტი ნამ პრინისლა?“

ჰასანი, როგორც კი ქალი შემოვიდა, ფეხზე წამოდგა და ადგილი დაუთმო. იმასაც ესიამოვნა ახალგაზრდის თავაზიანობა და გაღიმებულმა თქვა: – „ვოტ მუჟიკ, ნასტაიში გრუზინ, ნო ინტერესნა, შტო ტი პატერიალ უ ეტავა ჩულბანა?!“

ქალი დაჯდა ჰასანის შეთავაზებულ სკამზე.

ჰასან გაელიმა და მიუგო: – „მოჟ ბიტ, უ მენია ნებილა დრუგოვა ვიბარა“, – თქვა და ჰაჯის თვალი ჩაუკრა.

– „ვიბარ ვსიგდა იესტ, სმატრაია, შტო ტი ვიბირიშ“, – გაეპასუხა ქალი.

ჰასანმა კი ნაღვლიანად დაამატა: – „ეტო დლია ნიხ, უკავო მნოგა ვიბარა“.

– თანახმა ვარ, მლანძლოთ და მე მურაბას შევჭამ, საიდან ჰენრიხის ასულო, მურაბა? გამოაჯავრა ჰაჯიმ.



– „ა ტვაივო მამინა როდინი“, – უპასუხა ქალმა.

გაკვირვებული ჰაჯი ჩაეკითხა: – მე რომ ხილის ჩირი მოგიყითხე, იმით მოხარშე?

– „დიაგ, დიაგ“. – ღიმილით მიუგო მან.

ჰაჯიმ ცერა თითო ჰაერში ასწია და თქვა: – ქალი ხარ რომ უნდა ისეთი!

– „ვარ, ვარ! ჩაი ჩამოაგსხი ბიჩო. როგორი სუნია ოთახში, კუხნაში ნადა ბილა კიპიტიტ ჩაი“. – დედაჩემი აზერბაიჯანელია, როგორ მიყვარდა დედულეთში ჩასვლა, როგორი ფლავი იციან, ნდომით წარმოთქვა და მურაბიანი ხელი მკერდზე დაირტყა ჰაჯიმ.

ჰასანი ახლა მიხვდა, სომეხ კაცს ჰაჯი რატომ შეარქვეს. რაღაცის თქმა დააპირა, მაგრამ მატრონას შეკითხვამ შეაჩერა, რომელიც დაინტერესდა, ვინ გასწავლა რუსულიო?

– კარგად არ ვიცი, მაგრამ იმედია, მალე გავიწაფები, – მიუგო მორიდებულად.

– დარჩი, მე გასწავლი, – შესთავაზა ქალმა.

ჰასანმა მასპინძელს გადახედა: – ჩემი დარჩენა და წასვლა, ამის გადასაწყვეტია, ქალბატონო.

– „ესლი ჰაჯი ბუდიტ რეშატ ტვორი ბედი, კარგად კოფილა შენი საკმე“. – ირონიულად ჩაილაპარაკა.

– როგორ ცუდად მიცნობ, ჰენრიხევნა, – ხმაში წყენა შეიმჩნია ჰაჯიმ.

– „სპერვა ტი უზნაი სება, ა ჰატომ ია პასტარაიუს უზნატ!

– უთხრა ქალმა.

მატრონამ ჰასანს გადახედა და თქვა: – „კსაუალენიო ჰასან, ია საგლასშუს სვამი, დლია სლაბიხ ასტავილი ტოლკა ადინ ვიბარ, ნო დლია სილნიხ, იესტ დრუგორი ვიბარ, ნო დლია ეტოგო ნადა იმეტ ხარაკტერ – სილუ ვოლი. ჩელავეკ ბეზ პრინციპა, ბეზ ვოლი-ვიგლიდიტ კაკ მედუზა ვმორე, ბეზ მაზგოვ, ბეზ ვოლი. ლუდი კატორიე იხნი ნრავ, არ სცილდება მედუზის მორალს, ანი ნეკაგდა ნებუდუტ არლიმ პატამუშტო იმ უდობნა ბიტ მედუზი ჩემ ნაგრუზიცა ვრაგოვ, ნოკანეც ბეზ მოზგლავა მედუზი ვიტ-

რატ პატერანავა ლიცო, ვიკინუტ ბერეგ, კაკ მილა რასტვარიტ-ცა, რა გარიაჩის კამნას გდე სონცე ვინოსიტ პაკაზანია. ვოტ ი კანეც მედუზი.

ტაკ ვას ასუდიტ სონცე, კაგდა ვი ბუდიტე ვალეტ ნა გარიაჩის კამნას, კაკ მედუზა კატორის ვიბრასილ სამი პარტიინი ამხანაგი”.

ჰასანი უსმენდა მატრონას და ეთანხმებოდა მისი ერთი ხმა, ხოლო – მეორე, არ აძლევდა საშუალებას მისთვის დაეჯერებინა.

– ნაწილობრივ სწორი ხარ, მატრონა. თუ პარტიის პრინციპებს ღალატობ, აუცილებლად დაგაბეზღებს ამხანაგი.

ამ საუბარში იყვნენ, უღალთმიანმა პიონერმა რომ შემოყოთავი ჰაჯის ოთახში.

– ჰაჯი ტიგრანოვიჩ, ვას სპრაშივაეტ პარტალიონ, – წამოიყვირა წითელყელსახვევიანმა.

ჰაჯი წამოდგა და გარეთ გავიდა, ორიოდე წუთიც არ იყო გასული, დეპეშით ხელში რომ დაბრუნდა.

– 2 საათზე წინა შენობაში ვარ დაბარებული, შენც უნდა წამოხვიდე, ჰასან!

– მე რატომ? – გაიკვირვა მან.

– ვსო ბუდუტ ხარაშო და – მატრონუშკა, – თქვა და თვალი ჩაუკრა. მერე ჩემოდანი გამოათრია საწოლის ქვემოდან. პერანგი ამოილო. – ისე უნდა გააუთაო, რომ ჰასანზე უარი არ მითხრან, უნდა მოეწონას ყველას, თორემ მარტო შენი მოწონება არ ეყოფა.

მატრონამ ხელი ჩაიქნია და თქვა: – „დავაი, დავაი, ვსო ტაკი პადიოტე ნა კარნავალე დიავალა, ილი ბოგა, ვსერავნო ნადა ხარაშო ვიგლადიტ, ატო ნაპრასნა მაი მუკი დაკაზატ, ვამ შტო ნიბუდ“.

ჰაჯიმ ჰასანს გადაულაპარაკა: – ერთი საათი დრო გვაქვს. ჰასან, ფიქრობენ ეროვნული უმცირესობის წარმომადგენლები ლენინგრადში გაუშვან სასწავლებლად. მე ამის შესახებ გამესაუბრნენ და მთხოვეს შემერჩია კიდევ ორი კანდიდატი. ერთი აფხაზია, ჩემი თანაგუნდელი, მეორე კი შენ იქნები.

– რა სასწავლებელია ასეთი? – დაინტრესდა ჰასანი.

– ყველაფერს ნელ-ნელა გაიგებ, ახლა უცებ გავალ, პეტრეს
 შევატყობინებ და მალე დავბრუნდები.

თავი 4

შენობის ფართო შესასვლელში ორმოციოდე წლის ქალი საბეჭდ მანქანაზე უკაკუნებდა. დროდადრო ქალალდს ახედავდა. შესასვლელში 7 მამაკაცი ისხდა ჩამწკრივებულ სკამებზე, დაძაბული გამომეტყველებით და ელოდებოდნენ მმართველი როდის დაუძახებდათ. ჰასანი კედლის საათს გაჰყურებდა. ისრებს თითქოს დღეს საგანგებოდ ნელა გადაეწყვიტათ მოძრაობა, დრო მიიზლაზნებოდა, მაგრამ ჰასანის გულის სარქველი გამალებულად ფეთქავდა. რახან არ იცოდა წინ რა ელოდა, თანაც, ჰაჯისაგან მიწოდებული მშრალი ინფორმაცია ცნობისმოყვარეობას მეტად უმძაფრებდა. ჰასანს სიზმარში ეგონა თავი და ძალიან აპნევდა ეს გაურკვევლობა, თანაც მატრონას ნათქვამი ახსენენდებოდა და სწუხდა, ვათ თუ მცდარ გზას ვადგავარო. გულისგულში არსებული ორი ხმა ერთმანეთს ისევ არ ეთანხმებოდა. ტელეფონი აწკრიალდა. მდივანმა ბრიოლინით გადასლეპილ თმაზე ხელი გადაისვა და ისე, რომ არავისთვის შეუხედავს დამარცვლით წარმოთქვა: – ჰაჯი ტიგრანოვიჩი შევიდეს!

ისიც მდივნის ხმაზე სხარტად წამოხტა და კაბინეტისაკენ გაემართა.

ჰასანსა და პეტრეს, სხვა რა გზა ჰქონდათ უნდა დალოდებოდნენ.

პეტრე ცისფერთვალება ქერა აფხაზი იყო, რომელსაც ჰაჯივით გადაეწყვიტა, სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში თავისი წვლილი შეეტანა.

მან ჰასანს გადაულაპარაკა: – ნერვიულობ?!

– ჩემი სანერვიულო სამშობლოში დავტოვე. აქ კი ველოდები ჩემს რიგს, რომელიც ისე უნდა განვვლო, სხვა არ შევაწუხო, თორემ ჩემს წილ წყალს ყველგან დამალევინებენ.



- წყალი კარგია, თუ სუფთაა, – დაუდასტურა პეტრემ.
- ამას წყაროზე მისასვლელი გზა გვასწავლის ძმაო, მწყურვალმა კი ის გზა უნდა განვლო, რასაც ცხოვრება პეტრია. იქ რას დალევ უკვე განსაზღვრული იქნება.

– ტელეფონი ისევ აწკრიალდა.

ჰასანმა გაიფიქრა; ახლა აიღებს ყურმილს და თუ ისევ თმაზე ხელი გადაისვა, ჩვენ დაგვიძახებენ.

მდივანმა თავზე მარჯვენა ხელი მართლაც გადაისვა და უცნობებს მიმართა: – შედით!

ჰასანს გულში გაელიმა თავის ცრუმორწმუნეობაზე, თანაც, საბეჭდ მანქანასთან მჯდარ ქალს აკვირდებოდა და ხვდებოდა, თავზე ხელის ხშირი გადასმა მისი ნერვული დაძაბულობის მანიშნებელი რომ იყო, ჩვევადაც გადაქცეოდა. მისი ასეთი განცდები, მმართველთან მომლოდინე მამაკაცებზეც აისახებოდა, ისინიც დაძაბულად გრძნობდნენ თავს. მითუმეტეს, იცოდნენ, რომ იმ კარის მიღმა, მათი ბედი წყდებოდა. ალბათ ასეა ყველა სამსჯავროს ზღურბლთან, ვიდრე ნაბიჯს გადადგამ, ეჭვი გიპყრობს და განგრევს. რაოდენ მნიშვნელოვანი იყო იმ წუთებში მდივანს სიმშვიდე და სასიამოვნო გარემო შეექმნა, რასაც ადვილად შეეძლო გაეფანტა დაძაბულობა!

...მამაკაცები მალე გამოვიდნენ. ჰაჯი იგვიანებდა...

ჰასანი ღელავდა, არ იცოდა კარის მიღმა, რა ხდებოდა, როცა ტელეფონი ისევ აწკრიალდა, დაძაბულმა ხმამ უკვე მათ მიმართა: – შეგიძლიათ შეხვიდეთ!

ჰასანმა ამოისუნთქა, ამოჩრილი თეთრი გახამებული ჰაჯის პერანგი შეისწორა და პეტრესთან ერთად, კარი შეაღო.

უზარმაზარ კაბინეტში, მაგიდის თავში, სათვალიანი კაცი იჯდა. როგორც კი შემოსულები შენიშნა, წამოდგა. ჰაჯიმ წარუდგინა მეგობრები.

ჰასან პელიმიში, ლაზი პოეტი, სამი ენის უბადლო მცოდნე და პოეტ ნაზიმ პიქმეთის თანამებრძოლი. პეტრე ჭანბა – აფხაზი მასწავლებელი.

სათვალიანი გამჭოლად დააკვირდა მათ და ხელი ჩამოართვა.

– თქვენ, ამხანაგებო, ალბათ იცით, თუ რა ძნელი გზა გაქვთ გასავლელი კომუნიზმის მშენებლობისთვის, ამისთვის საჭიროა ცოდნის მიღება და გაღრმავება, რომ უკეთ ვემსახუროთ ხალხს და ჩვენი ბელადის იდეებს – და მან კედელისკენ გაიშვირა ხელი.

ჰასანმა ლენინის სურათს ახედა, მთელი ტანით რომ გამო-სახულიყო და ხელი სივრცისკენ გაეშვირა. რაზე საუბრობდა სუ-რათზე ალბეჭდილი ბელადი იმ დროს, ძნელი მისახვედრი იყო. ჰასანი აბა რას გაიგებდა. მხოლოდ ცოდნის მიღება და გაღრ-მავება, აი რას მოითხოვდა ეს სათვალიანი კაცი მათგან. და ჰასანსაც სხვა არჩევანი არც ჰქონდა, დინებას უნდა მიჰყოლო-და. სათვალიანი დიდაქტიკური ტონით მოძღვრავდა მათ, რომ ისწავლიდნენ ლენინგრადში, სოციალურ-პოლიტიკურ ფაკულტე-ტზე, გაიმდიდრებდნენ ცოდნას და გაიზიარებდნენ პარტი-ულ გამოცდილებას, ხოლო თუ სურვილი ექნებოდათ, სწავლას გააგრძელებდნენ... ზეგ დილით გაფრინდებით თბილისიდანო, – დაამატა ბოლო სიტყვად.

– ზეგ, ასე სწრაფად?! – გაუკვირდა ჰაჯის.

სათვალიანმა მკაცრად გადმოხედა: – რა არ მოგეწონა, ჰაჯი?

– ამხანაგო, გრიგორიჩ, უბრალოდ, მინდოდა მშობლები მე-ნახა მანამდე.

– მშობლები მერე ინახულე, ამხანაგო ჰაჯი. ჩვენთვის მთა-ვარი პარტია!

– აბა ახლა დავიშალოთ, იმედი მაქვს პარტიას არ შეარცხ-ვენთ, ხალხის ნდობა უნდა გაამართლოთ! გასამგზავრებელ დო-კუმენტებს ხვალ ჩემი მდივანი, ლუნა, გადმოგცემთ.

სამივემ დატოვა გრიგორიჩი, ლენინის სურათთან ერთად, თა-ვის კაბინეტში.

– როგორ მოგეწონათ ბიჭებო? – იყითხა ჰაჯიმ თავმომწონედ.

– დრო გვიჩვენებს! – მიუგო ჰეტრემ.

– თუ ხალხის ნდობა ჩვენზეა, უფრო მეტი პასუხისმგებლობა გვმართებს, – ჩაფიქრებით თქვა ჰასანმა.

– აბა, აბა, წავედით, ეს კარგი საქმე უნდა აღვნიშნოთ, თქვა ჰაჯიმ და დაწინაურდა გასასვლელისაკენ!..

თავი 5

ჰაჯისთან, საერთო სამზარეულოში, უცხო ქალი ბორშს ამზა-
დებდა კაცი მაგიდასთან იჯდა და გაზეთს კითხულობდა, დრო-
დადრო წამოიძახებდა ხოლმე: – „ნადა პავესიტ, სუკი“.

ჰასანმა ის ნითური შეიცნო, დილით ეზოში რომ ნახა, კერას-
ინის გამყიდველთან მოკამათე.

ჰაჯი სამზარეულოში შევიდა და დამხვდურებს მიმართა: –
ჩემი მეგობრები, აფხაზი პეტრე და ლაზი ჰასანი. კაცი არ ამდ-
გარა, ისე ამოხედა სათვალიდან ორთავეს.

– ეს, ჩემო მეგობრებო, სიმენოვიჩია, ჩემი კარის მეზობელი
და მისი მეუღლე, ზურაბოვნა.

ზურაბოვნას არ მოუხედავს მათკენ, ისე დახარა თავი გაც-
ნობის ნიშნად.

სიმენოვიჩმა ჰასანს ეჭვის თვალით ახედა და ჩაეკითხა: –
თქვენ ადრე არ მინახისართ ჰაჯისთან. სად ცხოვრობთ?

ჰასანმა ჰაჯის გადახედა, რადგან კაცის მზერა არ მოეწონა.

– აქაურია. ხვალ მივემგზავრებით ლენინგრადში და არ ვიცი
როდის ჩამოვალთ. ზურაბოვნა, დედასაც ვერ ვემშვიდობები და
თუ ჩემი დისიშვილი ჩამოვიდა ზაფხულში დასასვენებლად, არ
აუკრძალოთ სამზარეულოში ჩემი კუთხით რომ ისარგებლოს...

ქალმა ჭარხლის გახეხვა შეწყვიტა და თქვა: – ისარგებლოს
მერე, მე რა ხელს შევუშლი, მთავარია 12 საათზე შინ იყვეს და
არ გამიღვიძოს ნიკოლოზი.

ზურაბოვნა იყო თხელი ქალი, კეხიანი ცხვირითა და თა-
ფლისფერი თვალებით, მუდამ ცბიერი ლიმილი რომ უკრთოდა...

ნითურმა ჩაახველა, სათვალე შეისწორა და გაზეთის კითხვა
განაგრძო.

სამზარეულოში მატრონაც შემოვიდა, დასვრილი თეფშები
ონკანს მიუმარჯვა, თანაც ჰასანსა და პეტრეს უთხრა: – რა ფეხზე
დამდგარხართ, არავინ არ შემოგთავაზათ დაჯდომა. დასხედით!

ჰაჯი თითქოს ახლა გამოერკვაო, ხო ბიჭებო, დაჯექით. ქვე-
მოთ ჩავალ, რაღაცას ვიყიდი და გავამზადებო.

ჰასანი და პეტრე დასხდნენ მაგიდასთან. ჰასანს სიმენოვიჩის დაუინებული მზერა არ მოსწონდა. მატრონას სამზარეულოდან გასვლამ უფრო დაძაბა ვითარება. ჩამონილილი დუმული, სიმშვიდესა და მოსვენებას არ აძლევდა, ქვაბებთან მოფუსფუსე ქალი ახმაურებდა იქაურობას, ხოლო სათვალიანიც დროდადრო ამოიძახებდა: – „ვოტ სვოლაჩი, ზაპასტოვკუ პრიდუმალი, მენ-შევიკი დრობანიე.“

- ისინი იცავენ შრომის უფელებებს! – უთხრა პეტრემ.
- „კტო დალ იმ პრავა?“ – იკითხა სიმენოვიჩმა
- „ვი გავარიტე პო გრუზინსკი?“ – ჰკითხა პეტრემ.

სიმინოვიჩმა თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია.

– ცნობილი შოტლანდიელი ფილოსოფოსი ადამ სმიტი ადამიანის საქმიანობის მოტივად მიიჩნევს ინდივიდის სწრაფვას კეთილდღეობისკენ. სწორედ ეს მოტივი ამოძრავებთ მუშებს უფლებების დასაცავად, ბატონ-ყმობა გადავარდა დიდი ხანია და მონურ პირობებში შრომა არის დისკრიმინაცია, – განუმარტა პეტრემ.

სიმინოვიჩმა გაღიზიანებით იკითხა: – და მერე ვის ჰყავს მონობაში, როცა ყველა მშრომელს მიწები დავურიგეთ კომუნისტებმა და მივეცით შესაძლებლობა ეშრომათ, რისი უფლებაც წართმეული ჰქონდათ, ქარხნებში მივუჩინეთ სამუშაო და ასეთი უმაღლურობა გაგონილა?! არ დავინდობდი, ჩემს ხელში რომ იყოს ძალაუფლება!

– რას უზამდით, ბატონო, ამ გაფიცულებს? – ჰკითხა ჰასანმა.

– ბატონო კი არა, ამხანაგო-თქო, ბატონობა დიდი ხანია გადავაგდეთ. რას ვუზამდი და ჩამოვახრჩობდი, სხვას რომ არ გაებედა მიბაძვა.

– აბა სხვას რას აშავებდა ის ბატონი, იმაზე უარესს, რაც თქვენ ჩავიფიქრებიათ, ადამიანზე იძალადებთ, სიცოცხლეს მოუსპობთ თუ მიწით სარგებლობის უფლებას მოუშლით, არც ერთი არაა სანაქებო საქციელი და თანაც, რაღა ზრუნვა გამოდის ხალხისათვის?

სიმინოვიჩს ისედაც წითელი სახე უფრო აუჭარხლდა, ხველა აუტყდა და ცოლს გასძახა: – ქალო, გააღე ფანჯარა, დამახრჩო საჭმლის სუნმა. – იმანაც უხმოდ გამოაღო ფანჯარა.

სიმენოვიჩი რომ ჩაწყნარდა თქვა: – ჩვენ ბატონები არა ვართ და აქედან გამომდინარე, არჩევანის შესაძლებლობას კანონს ვუტოვებთ! ხალხის ბატონი კანონია, რომელიც ბელადის იდეოლოგიითა და სამართლიანობითაა გაუდენთილი. თუ თქვენ ამ დრომდე ვერ გაგიგიათ ეს, ამხანაგო ლაზო, რა აზრი აქვს თქვენს ლენინგრადში წასვლას სასწავლებლად?

მატრონა შემოვიდა და იკითხა: – ვინ მიდის ლენინგრადში, შენ ჰასან?

ჰასანმა თანხმობის ნიშნად თავი დახარა.

– „ოჩენ ხარაშო, რადა, ბიძაშვილთან წერილს გაგატან და პატარა პასილკას ციტრუსით“.

ჰაჯიც შემოვიდა, ძეხვი და კვერცხები ეყიდა.

– მატრონიუშკა, დაგვეხმარე, დიდი ხნით მივდივარ და და-გასვენებ.

– მე კი არ დამასვენებ, შენ დაისვენებ სოკრატეს ბზიკისგან, რომლის კბენა გაჩვენებდა სწორ გზას, ახლა შენი ულაყით რამ-დენ ფარისეველს შეიძენ, უფალმა უწყის.

– უფალი არსად არ დაგეკარგოს ჰენრიხევნა. დასცინა სიმი-ონოვიჩმა.

– „კაგდა ვი პატერიალი ბოგა, ტაგდა პატირიალი ლიცო...“

სიმინოვიჩმა გაზეთი მოიქნია და გაბრაზებულმა თქვა: – ტანია, წავედი ჩემს ოთახში და იქ გამომიტანე საჭმელი.

– ბიჭებო, გზად ნომერი დავბრონე აბანოში, წავიდეთ ვი-ბანაოთ და მანამადე ვახშამსაც გაამზადებს ჰენრიხევნა.

– „აფერისტ არმენინ, ხოჩეტ მატრონაშკა ვარ, ხოჩეტ ჰენ-რიხევნა. ცადი, დაიბანე, იქნებ დუშის წეალმა ჩამოგრეცხოს ცოდვები – ვრიატლი ეტო მოჟეტ. ბეზ ბოგა ი ბეზ სვეტოი ვადი“. ცადი,

– ხოდა ზუსტად შენდა გასახარად, მაგ ცოდვების ჩამოსარე-ცხად მივდივარ.

ძველი აბანო თათრის ქუჩაზე მდებარეობდა და ერთგვარი არქიტექტურული მნიშვნელობის ნიმუში იყო. აბანომდე რამდენიმე დუქანი და ყავახანა უნდა გაგევლო. ერსართულიან შენობა გრძივად მოჩანდა ქუჩის პირას და სამნაწილიანი ფანჯრები ამშვენებდა, თითქმის ნახევარი საუკუნის ნინანდელი ნაგებობის ნახევარმთვარისებური გუმბათების თავზე სანათის მინები მოჩანდა. აბანოს შესასვლელი კარის ამაღლებულ პარაპეტზე გირლანდისებური ნალოსები თავს იწონებდა. აბანოში შესული ჰასანი განცვიფრდა, როცა მარმარილოს მაგიდა და პატარ-პატარა აბაზანები იხილა, შადრევნები, გარდა შესასვლელისა, აბანოს ცალკ-ცალკე დანაყოფებშიც ჩუხჩუხებდა, გუმბათის სანათურებიდან კი მზის სხივები სწვდებოდა.

– რას გაშეშებულხარ ძმაო, მოგწონს თათრების ჰამამი? – ჰკითხა ჰაჯიმ გაკვირვებულ ჰასანს.

პეტრემ თქვა: – მთლად თათრების არ უნდა იყოს, ალბათ რომაელებს მოპარეს შადრევნებისა და მარმარილოთი მოპირკეთების იდეა.

პეტრეს ამაყი ხასიათი არ იმჩნევდა აღტაცებას, თითქოს ასეთ აბანოში პირველად არ ყოფილიყო, დინჯად გაიხადა ტანსაცმელი.

ორთქლის ოთახში რომ შევიდნენ, სამ უცნობ მამაკაცთაგან, ერთს მოწინებით მიესალმა ჰაჯი. წვეროსანს გაეცინა და უთხრა: – მოეშვი ჰაჯი, აბანოში ვართ, იყავი თავისუფლად, არ არის საჭირო ოფიციალურობა. ჰასანი ორთქლში ვერ არჩევდა მათ სახეებს, მაგრამ დაინტერსდა წვეროსანით, რომელიც დახვეწილი ქართულით ხმადაბლა ესაუბრებოდა გვერდით მჯდობს: – რისიც მწამდა მთელი ცხოვრება, იმას ვემსახურე და აწი ამ ახალგაზრდებმა მიხედოს საქმეს, პეტრესა და ჰასანს გადახედა.

თანამოსაუბრე დაუინებით დაეკითხა: – მაინც არაფერს არ ამბობ მემედ კომუნიზმზე?!

– მე არ მომწონს მათი იდეა კოლექტივიზაციის, როგორ შეიძლება ადამინს წაართვა საკუთრება?! – იკითხა მან განბილე-

ბულის ტონით და დასძინა: მაგ შეკითხვაზე ომარი გაგცემს პასუხსო.

– რომელი ომარი? – გაუკვირდა მის მოსაუბრეს.

– ხაიამი თქვა და გაეღიმა მემედს, იცი რა, ჩემო მეგობარო, როცა ერთ ფანჯარაში ორი იყურება, ერთმა დაინახოს შეიძლება წიგიმა და ჭუჭყი, მეორემ კი მწვანე ფოთლები, გაზაფხული და კრიალა ცა. ასე რომ გააჩნია, კომუნიზმს როგორ უყურებ.

– ტარზანი სად დაგვეკარგა?

მექისეც შემოვიდა!

– პეტრე ფეხზე წამოდგა! – ჰაჯის გაეცინა.

მემედის თანამოსაუბრე მექისეს მიუბრუნდა და უსაყვედურა,
– აგვიანებ, ყმაწვილო!

მემედი გამოესარჩლა, ნუ ეტყვი ფრიდონ, ჩვენი კაცია ტარზანი, ხედავ რა კუნთები აქვს? მისი ბაბუა სულთანს ემსახურებოდა ამ კედლებში, სისხლში აქვს მექისეობა, ნახე როგორ დაგვზილოს.

ჰაჯისანი ოფლში გაიღვენთა, არ უყვარდა დიდად სიმხურვალე, გარეთ გამოვიდა და ცივ აბაზანაში ჩანვა, რომელზეც რუსულად იყო ამოტვიფრული – “აბანო ვენეცია”.

ნიუარაში ჩაწოლილი ჰაჯი ფიქრობდა, არ შემცდარა პეტრე, ბანაობის რიტუალი და ატრიბუტი, რომაელებიდან აქვთ აღებულიო...

მალე აღფრთოვანებული ჰაჯი მიუახლოვდა მეგობარს და ამცნო: – ეს წვეროსანი, მემედ აბაშიძე არის, მაგარი კაცია, თურქებს ტრაპზონიდან დაუსხლტა. სიკეთე გაუკეთა ქართველ მუსლიმანებს. ჰაჯი კმაყოფილი სახით იქაფებდა ტანს და თან ლიღინებდა ინდურ მელოდიას, რომელიღაცა ფილმის ფრაგმეტიდან. შემდეგ პეტრეს მიუბრუნდა და უთხრა: – რა წესია ძმაო, ყოველი კაცის შემოსვლაზე ფეხზე რომ დგები. ყველა თანასწორი ვართ, გადავაგდეთ ბატონობა.

პეტრემ უკმაყოფილოდ უპასუხა: – ფეხზე ადგომას თქვენ ბატონობის გადავარდნას ეძახით და ჩვენ – ზრდილობას!

ჰასანს გაეღიმა და ჰაჯის ურჩია: – მაგას ვერ გადააჩვევ ძმაო, ჩვევა რჯულზე უმტკიცესია. მემედი თავზე წამოადგა ერთმანეთში მოლაპარაკე ახალგაზრდებს და თქვა: – მერე სახელიც, რომ აქვთ შერქმეული „ახანგილარა“. ამასაც გამოყენება სჭირდება პრაქტიკაში. თქვენზე არ მითქვამს ახალგაზრდა, მიმართა ჰასანს, შეგიძლიათ ვენეციელის ნიუარაში დარჩით. ჰასანი დაიბრა, ჰეტრეს კი ესიამოვნა, ადვოკატი რომ გამოუჩნდა მემედის სახით.

მერე კი მემედი დარბაისლურად დაემშვიდობა მობანავეებს. მისმა თანამოსაუბრემ, ფრიდონმა გასძახა: – არ წახვიდე მემედ, მე დაგტოვებ სახლში.

– სად უნდა დამტოვო, აქვე ვარ, თათრის ქუჩაზე. შეირგეთ და გაამოთ ბანაობა.

მემედის ნახვამ იმედი ჩაუსახა ჰასანს, თუ ასეთი კაცები შემხვდებიან ჩემს არჩეულ გზაზე, ყველაფერს გადავლახავ, მაგრამ ეჭვი მღრნის, ფანჯრიდან მზირალი, ნეტა რომელი ვარ, ტალახს რომ ვხედავ თუ გაზაფხულს? ამის დაზუსტებას დრო სჭირდება, რნმენა რომ განმიმტკიცდეს. მაგრამ ის რაღა რნმენაა, გადამონმებას თუ საჭიროებს?! იქნებ ჯერ ფანჯარა გამეღო და მერე დამენახა სახილველი... ჰოდა, ამ ფანჯრის გაღებამდე უნდა გავიარო ეკლიანი გზა, რომ შევძლო რეალობის აღქმა და არა ჩემი წარმოსახვის ქვეშ დავრჩე. ოჰ, ეს ფანჯრები რა მრავლადაა გამოჭრილი. მხოლოდ არ უნდა მოვტყუვდე, რომელი ჩარჩოდან უფრო უკეთ ჩანს საგნები. ფიქრებში ჩაძირულს თავზე პეტრე წამოადგა, – არ წავიდეთ, ჰასან?

– ჰო, წავიდეთ, ჰაჯისაც უთხარი, თორემ აიღო აბანო თავისი ინდურებით.

სულ მალე სამივენი კმაყოფილნი გამოვიდნენ აბანოდან. ან რა გასაკვირი იყო, ეს ხომ ის ადგილია იყო, საიდანაც გამოსულს სიმსუბუქე ტანში აქვს გამჯდარი და გუნება-განწყობაც ამაღლებული. მითუმეტეს, იმას რა შეედრება, როცა ისეთ ისტორიულ ჰასანიში იბან, სადაც ხელოვნების ნიმუშებს მოუყრია თავი და სადაც მთელი ისტორიაა დავანებული, – დაწყებული სულთნი-

დან, დასრულებული პარტიული მუშაკებით. ეს ის ადგილი იყო, სადაც უამრავი ადამიანის გაყინული სული გაუთბია ცხელი წყლის ძალას...

თავი 6

ლენინგრადი აღმშენებლობის პროცეში დახვდა ჰასანს, ყველაფერი მოძრაობაში იყო. ახალგაზრდა ლაზის რომანტიკულ ბუნებას ზოგჯერ ეს მოძრაობა არ აძლევდა დაფიქრების საშუალებას და ასეთ დროს, მდინარე ნევის სანაპიროს ირჩევდა განმარტოებისთვის. ჰასანს მოსწონდა მდინარე ნევა, როცა დაჰყურებდა, შევი ზღვის მონატრებას უმძაფრებდა. ფიქრობდა მონატრებულ მშობლებზე, არქადაშსზე და მისთვის მიბარებულ დღიურზე, ხშირად რომ მოუნდებოდა ხოლმე ჩათვალიერება. იქ ხომ ცხოვრების ყოველი ფურცელი ჰქონდა აღბეჭდილი. ჰასანი წარსულს აწყოსთან ადარებდა, ხოფაში განვლილი დროის მოგონებას პეტერბურგის ნესტიან ჰავასთან ერთად ისრუტავდა. ზღვის სუნი არ სცემდა, მაგრამ ლენინგრადის ჰაერი არ ჩამოუვარდებოდა ჰასანის სამშობლოს ჰავას. ნესტიანი სიცივე აქაც ძვალ-რბილში ატანდა.

ლენინგრადში გატარებული პერიოდი ალბათ, უღიმდამოდ გაივლიდა, რომ არა ერთი შემთხვევა, რამაც არსებითად შეცვალა მისი ცხოვრება.

ჰაჯიმ დაუინებით მოინდომა, ცნობილთა წრეში გარეულიყო, ამიტომ იშვიათად იცლიდა მეგობრებისთვის. პეტრე, როგორც ამაყი აფხაზი, მისებურად ცდილობდა თავისი უპირატესობის წარმოჩენას. ულვაშები ისე გადაიგრიხა, ნევაში რომ ჩავარდნილიყავი რწყილის დახმარება ნამდვილად არ დასჭირდებოდა, რომ მოგშველებოდა...

მის ულვაშზე ჰაჯი მოუწყინრად ხუმრობდა. ჰასანს კი ვერაფერს შებედავდა, ულვაშის გამო, რადგან მისი ბუნება არ აძლევდა საშუალებას დაეცინა. პეტრეს კი, მიუხედავად იმისა რომ იუმორთან მწყირალად იყო, წარამარა ექილიკებოდა..

პეტრეს რუსი ქალების თავისუფალი ბუნება არ მოსწონდა, როცა ქალი შესთავაზებდა ახალი ფილმის სანახავად ერთად წასულიყვნენ, უკვირდა და ყოველთვის ცივად გაეცლებოდა ხოლმე.

ერთ დილას ჰასანმა ურჩია: – პეტრე, ასე არ გამოვა, უკვე სამი თვეა, ლენინგრადში ამდენი ლამაზი ქალის გარემოცვაში ვართ და მაინც კენტად დავდივართ.

მხოლოდ სასწავლებელში სიარული და მოსაწყენი ლექციების მოსმენა, არა მგონია, საკმარისი იყოსო.

პეტრემ ულვაში აინკიპა და ჰასანს გადახედა, როგორ დავდივართ ჰასან, ჩემორ?

- პარტნიორები არ გვყავს-მეთქი – განუმარტა ჰასანმა.
- ამხანაგი და პარტნიორი მე ვიცი პარტიაში; თუ შეყვარებული გინდა, გაიჩინე, მაგრამ აქ არ გირჩევ. მე რაც შემეხება, საცოლე მყავს.
- მერე მაგას მიმალავდი ძმაო? სადა გყავს საცოლე, გამაცანი – ღიმილი შეაგება ჰასანმა.
- სად და სოხუმში, მშობლებმა დანიშნეს, პატარაობისას, აკვანში, ჩემთვის.

ჰასანმა სიცილი ვერ შეიკავა და მეგობარს ურჩია – პეტრე, ძმაო, მაგ აკვნის ამბავი ჰაჯის არ უთხრა, თორემ აგიკლებს, ცხოვრებას ჩაგაშხამებს.

– ისედაც ჩაშხამებული არა მაქვს მთელი ცხოვრება?! უნდა ვიქორწინო ქალზე, რომელიც არ მიყვარს.

- მერე შენც ნუ იქორწინებ!
- შეუძლებელია, ადათი მიკრძალავს! – ჩაილაპარაკა პეტრემ.
- რაო, რა თქვი პეტრე?..მერე შენ, კომუნისტ კაცს, გჯერა მითების? რასაკვირველია, მესმის შენი, ისეთ გარემოში აღიზარდე, უბრალოდ, არავინ შეგყვარებია, თორემ ამ ადათზეც უარს იტყოდი. იცი რა ძმაო, მოდი, სადმე გავიდეთ, დღეს ლენინგრადებს ქალაქის იუბილე აქვთ, მართალია ჰაჯის ჩვენთვის არ სცალია, მაგრამ ჩვენ მოვიცალოთ ერთმანეთისთვის.

პეტრე და ჰასანი როცა შინიდან გასვლას აპირაბდნენ, მეზობლის ქალმა, ოლია ნიკალაევნამ თავისი ოთახიდან გამოსძახა: – პეტრიუშა, თუ ფოსტაში მიხვალ, ჩემი ილუშას წერილიც მოიკითხე.

რომ ყოფილიყო, ნიკალაევნა, ფოსტალიონი უთუოდ მოიტანდა. – გააგონა პეტრემ, თუმცა ნიკალაევნამ მაინც გაუმეორა თხოვნა:

- შენ მაინც მოიკითხე, ფოსტალიონი გასათხოვარი გოგოა, პეპლები უფრინავს თავში, იქნება ჩემი ილუშა დაავიწყდეს კიდეც.
- კარგი, ოლია ნიკალაევნა, მოვიკითხავ, მაგრამ თუ იქნა, მაინც არ გამომატანენ. მოკლედ, რამეს ვიზამ.
- გმადლობ, პიოტრ! – გამოსძახა დაიმედებულმა ქალმა.

თავი 7

ჰასანმა და პეტრემ ქუჩა გადაჭრეს და ტრამვაის გაჩერებაზე მივიდნენ. ქალ-ვაჟის ხმამაღალმა ლაპარაკმა მიიქცია მათი ყურადღება. ქალი 23 წლისა თუ იქნებოდა, ხმის ტემპრი იმდენად მომხიბლავი ჰქონდა, ათასში რომ გამოარჩევდით, რაღაც აარაამქვეყნიური მისი დაბალი ხმის ტემპრი, ნიავივით მსუბუქ და მკაფიო ბგერებს გამოსცემდა. ტყავისქურთუკიანი მამაკაცი რაღაცას აიძულებდა. მერე მაჯაზე წაავლო ხელი და ავტომობილისკენ ექაჩებოდა. ქალმა ირგვლივ მიმოიხედა, თითქოს მშველელს ეძებდა და იქვე მდგარ სათვალიან კაცს მიაჩერდა, ეგებ გამომესარჩლოსო. სათვალიანმა ზურგი შეაქცია მათ და ჩაიბურდდუნა: – მილიციას დაუძახეთ, ეს ჩემი საქმე არაა.

ჰასანმა ველარ მოითმინა, მოძალადეს მიუახლოვდა და ჰკითხა: – რა გნებავთ, ამ გოგონასგან?

კაცმა ჰასანს ხელი გაჰკრა და შესძახა: – შენ ვინ გკითხავს, ქართველო, წადი აქედან!

პეტრემ ხელი მოუქნია ტყავისქურთუკიანს და ძირს დასცა.

შუქნიშანთან მდგარი მიღიციელი მათკენ გამოეშურა. მიუახლოვდა თუ არ ქალს,

ქურთუკიანი სწრაფად წამოდგა და მამის მკვლელივით გახედა პეტრეს.

– რაშია საქმე ამხანაგებო, გთხოვთ წარმოადგინოთ თქვენი დოკუმენტები!

უცნობმა ახალგაზრდა კაცმა ტანსაცმელი გაიფერთხა და პასპორტი ამოიღო ჯიბიდან.

ჰასანმა და პეტრემაც წარუდგინეს დოკუმენტები.

მიღიციელმა დოკუმენტები შეამონმა რა, ბიჭებს მიმართა: – რა ჩხუბი აგიტყვდათ, მეტი ადგილი ვერ შეარჩიეთ? წადით, დაიშალეთ დღეს ზეიმია, შეირგეთ და სხვასაც შეარგეთ!

გოგონამ დიდი ცისფერი თვალები შეანათა მიღიციელს, მერე ჰასანს ხელკავი გამოსდო და ერთად გაუყვნენ ქუჩას. ქურთუკიანი გადევნებას შეეცადა, მაგრამ წესრიგის დამცველმა მკაცრად შეაჩერა...

გოგონას საქციელმა კი სახტად დატოვა პეტრე.

განბილებული ქურთუკიანი პეტრეს მიუბრუნდა და უთხრა: – ეს ქალი არ იყო შენი თავდაცვის ღირსი!

მან კი თვალი გააყოლა მიმავლებს და წამქეზებელს ამაყად უთხრა: – ნებისმიერი ქალი დაცვის ღირსია! მე არ ვიცი, თქვენ, რუსებს როგორ გესმით, მაგრამ ქალზე ძალადობა ვაჟვაცის საქმე არ არის...

ქურთუკიანმა ხელი ჩაიქნია და გაემართა თავისი ავტომობილისაკენ, მანქანის კარი გამოაღო, ჩაჯდა და ისეთი სიჩქარით დაძრა, გაჩერებაზე მომლოდინე ხალხმა მწყრალად გააყოლა თვალი თავხედ მძღოლს.

პეტრემ ჰასანს გასძახა: – რა შვები ჰასან, არ მოდიხარ თუ წავიდე?

– შენ თავისუფალი ხარ, ამხანაგო ჭანბა!..

პეტრემ მუშტი უჩვენა ჰასანს და ჩაიბურდლუნა, გაჩვენებ ამხანაგოს, სახლში რომ დაბრუნდებიო.

ჰასანი უყურებდა ქალს და ტკბებოდა მისი სიტურფით. თე-
თრი ბერეტი ფრანგული ვარცხნილობის გიშერივით თმაზე უცხო
ელფერს სძენდა; თანაც მის თოვლივით თეთრ სახეს და წითელ
ტუჩებს უფრო მოხდენილად წარმოაჩენდა. ჰასანი ქერა ქალების
ხილვას შეეჩვია პეტერბურგში და პირველი რაც ჰკითხა სწორედ
ეს იყო, თმა შეღებილი გაქვთ თუ ბუნებრივი ფერიაო. ქალმა გა-
დაიკისებისა და ბროლივით ქათქათა კბილები გამოუჩნდა.

– როგორი უცნაური შეკითხვაა, არ ველოდი და რომ გითხ-
რათ, შეღებილი მაქვს-მეთქი დამინუნებთ?

– არა, რა თქმა უნდა, მაგრამ თმის ფერი მართლაც თუ ბუნე-
ბრივია, ბედნიერი ვიქნებოდი.

– რა შუაშია ჩემი თმის ფერი თქვენს ბედნიერებასთან. ასეთი
მარტივია თქვენთვის ბედნიერება?!

– ბედნიერებაა, როცა შენნაირი ქალი შინა გყავს, შვილის
აკვნის არწევს და ქუჩაში კაცებს არ აგიჟებს. გინდა თქვა მე ქა-
რაფშუტა ვარ?

– გინდათ თქვათ, რომ ქარაფშუტა ვარ? – თითქოს ეწყინა
მას.

– მე ეგ არ მითქვამს, – თავი იმართლა ჰასანმა.

– მაგრამ ხომ გაიფიქრეთ? – ჩაეძია ქალი.

– არც მიფიქრია მსგავსი რამ! მადონას ჰგავხარ, იტალიელთა
წმინდანს – წარმოთქვა ჰასანმა.

– ქალს კომპლიმენტის გაგონებამ ღაწვები შეუფაკლა და
უფრო დაამშვენა სიმორცხვემ.

– არ გაინტერესებთ, ის ბიჭი რატომ მექცეოდა ასე თავ-
ხედურად?-იკითხა ქალმა.

– თუ გინდათ ნუ მეტყვით, ისე კი მაინტერესებს, რა გესაქმე-
ბოდათ ისეთ ნაძირალასთან?

– ის ვაუბატონი თანაჯგუფელია და ჩემს მეგობართან აქვს
რომანი, ჩემი შებმაც გადაწყვიტა, ისეთი უტიფარია, რომ ჰგო-
ნია, ყველა ქალის დამორჩილებას შეძლებს. შენც იმავეს ფიქრობ?

– მე ყველა ქალის მიმართ თავაზიანი ვარ! – უთხრა ჰასანმა.

– ქართველებს გცოდნიათ ქალის ფასი. – მოუწონა ნათქვამი.

– ლაზ ქართველებს განსაკუთრებულად, – დაუზუსტა
ჰასანმა.

– ლაზი რა ხალხია? – გაიკვირვა ქალმა.
– ამას მაშინ აგიხსნი, როცა შენს სახელს მეტყვი, – მიუგო
ჰასანმა.

– და თუ არ გაგიმხელ? – გადაიკისკისა ქალმა.
– ვეღარც შენ შეიტყობ დიდი ისტორიის ფურცელს ლაზებზე.
– კარგი, იყოს ნება შენი. ვარია ფედოროვნა ვარ.
– ჰასან ჰელიმიჩ ჰელიმიში!
– თქვენ, ნუთუ სულთნის შთამომავალი ხართ?!
– ნახევრად – უპასუხა ჰასანმა.
– ეს როგორ გავიგო? – ჩაეძია ვარია.
– ჩვენ ოსმალომაც გადაგვიარა, რუსეთის არმიამაც და
დღეს იმპერატორების მიწაზე დავაბიჯებ, რომ ჯინი ვიპოვო,
ჩემი სურვილების აღმსრულებელი. მაგრამ თქვენმა ხილვამ ჯინი
საერთოდ გადამავიწყა, რადგანაც მაღალმა ღმერთებმა თხოვნის
გარეშე მარგუნეს ნაოცნებარი.
– როგორ ხატოვნად საუბრობთ, ლექსებს ხომ არ წერთ? –
დაინტერესდა ქალი.

ჰასანს თვალები აუციმციმდა: – ვწერ, ოღონდაც, ჩემთვის.
– წამიკითხეთ, გეთაყვა, – სთხოვა ვარიამ და ტაში შემოჰკრა.
– სხვა დროს წაგიკითხავთ, თქვენ ვისი ლექსები მოგწონთ?
– დაინტერესდა ჰასანი.
– პუშკინის. ევგენი ონეგინზე ვგიუდები. – წამოიძახა ვარიამ.
– არა მაქვს წაკითხული, – დანანებით თქვა ჰასანმა.
– როგორ არა გაქვთ, აუცილებლად გათხოვებთ და წაიკითხ-
ეთ, – შეპირდა იგი.

ჰასანს ქალის ლალი ხასიათი უფრო და უფრო ხიბლავდა.
ვარიას თვალები ისეთი სუფთა და უძირო იყო, ნებისმიერ კაცს
გაუმძაფრებდა მასთან დაახლოების სურვილს.

ისტორიულ შენობას მიუხლოვდნენ, ვარიამ ახედა და თქვა:
– მოვედით, აი აქ ვცხოვრობ, ეს ტოლტსტონის სახლია, აქ ახლა
ცნობილი ოჯახებია დაბინავებული, ეს შენობა კულტურულ ძე-

გლთა სიაშია შეყვანილი. ამოდი ჩვენთან, წიგნი უნდა გათხოვო, რათა მერე ერთად ვიკამათოთ პუშკინზე.

- ლევ ტოლსტიო ცხოვრობდა აქ? – დაინტერსდა ჰასანი.
- არა მიხეილ ტოლსტიო და ბოლოს მისი ქვრივი, ოლგა ტოლსტიო.
- ვარია, მოდი სხვა დროს გესტუმრები, – თქვა და ბავშვივით დაიმორცხვა.

– არა, ახლავე უნდა ამოხვიდე! – და ხელი ჩაავლო ჰასანს, – მერე შეიძლება კიდეც გადავიფიქროო, – დაემუქრა.

ჰასანი დაჲყვა ვარიას ნებას. ქალმა ხელკავი გამოსდო. მშვენიერი ქალის სიახლოვებ ჰასანს ბედნიერება განაცდევინა. ინატრა, ნეტა ასე სიარული გაგვიხანგრძლივდესო.

გენერალ ფეოდორ ბელაოზერევის ქალიშვილი იყო ვარია. ძმაც ჰყავდა, 30 წლის იგნატი, პროფესიით მხატვარი, რომელიც გამორჩეულად განსხვავდებოდა ოჯახის ყველა წევრისაგან. გენერალი ვაჟს, განსხვავებული ხასიათით, თავის გარდაცვლილ ძმას, იგნატს ამსგავსებდა, რომელმაც თვითმკვლელობით დაასრულა სიცოცხლე. ბატონი ფეოდორ სერგიევიჩი დროდადრო ფიქრობდა, რომ შვილს ხასიათს ვერაფერი შეაცვლევინებდა, არც სიმკაცრე უშველიდა და არც მოფერება. ფეოდორს იმის იმედილა დარჩენოდა, ეგბ დრომ და სასურველმა გარემოებამ იქონიოს გავლენა იგნატზე. მამის ერთადერთი ნათელი სხივი ვარია იყო. მხოლოდ მას ესმოდა მამის, რადგანაც ქალბატონი ზინაიდა ვლადიმეროვნას, ვარიას დედა, დაკავებული იყო თეატრით და სცენის მტვრის სუნით დაავადებულს, ნაკლებად ეცალა ოჯახისთვის.

ახალგაზრდებს კარი სონიამ გაუღო, ბელაოზერებს დამხმარედ რომ ჰყავდათ ოჯახში. შესასვლეში ეგნატე იჯდა და ფეხსაცმლის თასმებს იკრავდა. სტუმრის მოსვლა თითქოს არც გაუგია, ისევ გულმოდგინედ აგრძელებდა თავის საქმეს.

- ვერ ხედავ ძმაო, სტუმარი მოვიყვანე?
- სტუმარია აქ ყოველდღე, – ისე ჩაილაპარაკა, არც კი შეუხედავს ჰასანისათვის.

– მაგრამ, ყოველდღე არ გვსტუმრობენ კავკასიოდან?! შეხედე, ლაზი ქართველია და აღტაცებულმა ჰასანს გახედა.

– ეს, ლაზი ქართველი ყოფილა, აბა ის ნეტა რომელი ქართველია?

– რას ამბობ, ვერ გავიგე? – ჰკითხა დამ.

– მამას ბელადი სტალინი, თქვენ რა საქართველოში კატეგორიებათ ხართ დაყოფილნი?

– ნუ ხარ უშმური, ნუთუ არ გრცხვენია, დღეს ჩვენი სტუმარია, ჰასანი. წიგნი უნდა გავატანო, პუშკინის, რადგანაც ონეგინი არ ჰქონია წაკითხული. იგნატი წამოდგა, ხელი გაუწოდა ჰასანს და უთხრა: – არ გეწყინოს ძმობილო, ზოგჯერ ხუმრობაც არაა ურიგო რამ. პუშკინი თუ არ წაგიკითხავს, არაუშავს, დიდი შოთაც გეყოფათ ქართველებს. და თუ ამ პოემის სიბრძნით ცხოვრობთ, მთლად უკეთესი. აბა წიგნს ჩვენგან წაიღებ თუ საჯარო ბიბლიოთეკიდან, რა აზრი აქვს, ცოდნას თუ არ გამოიყენებ?

– გააჩნია ვის გულისხმობ, ვისზე ხუმრობ?! – გამომწვევად უთხრა დამ.

– ჭკუა რომ გქონდეს ვარია, პირველ რიგში საკუთარ თავზე იხუმრებდი და მეტად კრიტიკულიც იქნებოდი, საკუთარი თავის მიმართ. შესაბამისად, შეცდომებსაც წაკლებად დაუშვებდი.

– ნამდვილად არ გვცალია იგნატი, შენი ფილოსოფიისთვის, მერე ჰასანს ხელი ჩაავლო და მისალებში ძალით შეიყვანა.

იგნატი უხმოდ გავიდა და კარიც მიიხურა.

– არ გეწყინოს ჰასან იგნატის თავისებური ხასიათი აქვს.

ჰასანი გაკვირვებული უცქერდა ხან მისალების 4 მეტრიან ჭერს და ხანაც პარკეტს, თვალისმომჭრელად რომ ლაპლაპებდა. დიდ მრგვალ მაგიდასთან მიიწვია ჰასანი, ახლავე ჩაისა და ორცხობილას მოვიტანო, თქვა.

– არ არის საჭირო, ამჯერად მხოლოდ წიგნს წავიღებ – მორიდებულად უპასუხა ჰასანმა.

გოგონას არც მოუსმენია, ისე გაიჭრა მისალებიდან. ჰასანი მდიდრულ ოთახს ათვალიერებდა და ხვდებოდა, როგორ გარემოში გაზრდილიყო ვარია. მისი სურათი, მშობლებთან ერთად,

ამშვენებდა წიგნის თაროს. გენერლის მუნდირში გამოწყობილი ფეოდორი, ლამაზი მეუღლის გვერდით ბედნიერად იყურებოდა, ასეთი ლიმილი ან ფოტოგრაფის შერჩეული პოზა იყო, ან ბუნებრივი გამომეტყველება, ზინაიდა ვლადიმეროვნა სათხო ხასიათით გამოწვეული. ვარია 18 წლისა იქნებოდა ამ სურათში, გიმნაზიელის კაბა ეცვა. წრფელი ლიმილით შეჰყურებდა მამას. ფეოდორი ისე იყო წელში გამართული, გეგონებოდათ ანგარიშს აბარებდნენ მომავალ სტრატეგიაზე ჯარისკაცები. იგნატი, დედის გვერდით, უემოციოდ გაჰყურებდა სივცეს. ჰასანი უფრო და უფრო რწმუნდებოდა, ფოტოგრაფის შესაძლებლობაში, რომ შეჩერებულ წამში ადვილად ამოიცნობოდა ამა თუ იმ დროს აღბეჭდილი ადამიანის ხასიათი თუ განწყობა. და რომ აწყობში შესაძლებლობა გეძლევა ცოცხლად წარმოისახო ის წუთები, კარგა ხნის წინათ წარსულს რომ ჩაბარდა: რამდენად ბედნიერი ან უბედური იყავი იმ დროს, როცა ფოტოსურათი გადაიღე. დიახ, ფოტოგრაფიის ეს მშვენიერი ნიმუში წარსულს აცოცხლებდა ბელოზერების ოჯახში.

ჰასანი იგნატის სახემ დააფიქრა და მისმა ნათქვამაც ქართველებზე. იმასაც მიხვდა, იგნატი იმ ყალიბიდან იყო ჩამოსხმული, ყველაფერს რომ აპროტესტებენ და მაინც ვერ გარკვეულან, რა სურთ, იგნატიც საკუთარი თავის ძიებაში იყო, ისევე როგორც თვითონ. განსხვავება მხოლოდ ის იყო, რომ იგნატი თავის სამშობლოში ექებდა გამოსავალს, ხოლო ჰასანი უცხო გარემოში ცდილობდა საკუთარი ადგილი ეპოვნა.

ვარიას შემოსვლამ ფიქრი შეაწყვეტინა. მან ჩაის ფინჯნები შემოიტანა, მოსამსახურემ კი უკან რომ მოჰყვებოდა დიდი მოოქროვილი ლანგრით, ორცხობილა და სხვადასხვა ნუგბარი დააწყო მაგიდაზე და უსიტყვოდ გაბრუნდა.

– ჰასან, მიირთვი მშობლიური ქართული ჩაი, ნუ მოგერიდება. მერე მშობლებსაც გაგაცნობ, მაგრამ უნდა გაგაფრთხილო, მამა ცოტა უნდობლად ხვდება ხოლმე უცნობებს, მაგრამ ნუ შეშინდები, თანაც სასარგებლო საიდუმლოსაც გაგიმხელ: გაცნობისას თუ თავზე ხელი გადაისვა, იგულისხმე, რომ მოენონე,

ხოლო თუ ხელები გადაიჯვარედინა და მკერდზე დაიწყო, იცოდე რომ საერთოდ არ ისურვებს, რამე სიახლოვე იქონიოს ახალგაცნობილთან. ჰასანი გაამხნევა ქალის ასეთმა ზრუნვამ და უფრო და უფრო უღვივდებოდა მისდამი ნდობა. იმასაც გრძნობდა, ვარიასთვის რომ არ იყო შემთხვევით გაცნობილი ამხანაგი. ამ ფიქრს, განუმტკიცებდა ისიც, რომ ვარია მონდომებული იყო მის მშობლებსაც მოსწონებოდათ ჰასანი.

გაღიმებულმა ვარიასთან ახლოს მიინია და ჩასჩურჩულა: – ვარენკა, შენმა სტუმარმა რა უნდა ქნას ამ დროს, ისიც გეცოდინება?! ვარიას ესიამოვნა ჰასანმა მოფერებით რომ წარმოოქვა მისი სახელი, სახე წაზად შეეფაკლა და თვალები მორცხვად დახარა.

სიჩუმე ჰასანმა დაარღვია: – იცი, ვარენკა, ისე მოვიქცევი როგორიც ვარ, არ ინერვიულო, შენი ლირსეული სტუმარი ვიქნები. იმ დროის აღქმაც დავკარგე, როდის გაგიშინაურდი, ახლა შენობით რომ გელაპარაკები. იმედია მაპატიებ და არ შემომწყრები?

– ჰასან, დღეს იმდენად მომენტი, თქვენი მეგობრისთვის მადლობის გადახდაც დამავიწყდა, რაღაც არის თქვენში ისეთი, რაც მიზიდავს და ჩემი თავისთვისაც ვერ გამიმხელია. თვითონაც არ ვიცი, რა გრძნობაა ეს. მაგრამ აუცილებლად ამოვიცნობ და თქვენც გაგაგებინებთ. – გულწრფელად უპასუხა ვარიამ.

ჰასანს ქალის ნათქვამმა სიხარული მოჰკვარა.

– ახლა გეგმის მეორე მხარეც უნდა განვსზღვროთ. დედაჩემი ვიგულისხმე.

მისი ნუ შეგეშინდება, რომანტიკოსია და ადვილად მოხიბლავ, მითუმეტეს ლექსებს წერ.

ვარიას დასრულებული არ ჰქონდა სიტყვა, გაზეთით ხელში, ფეოდორ სერგევიჩი რომ შემოვიდა.

ჰასანი წამოდგა და გენერალს მიესალმა.

ვარიამ მამას წარუდგინა სტუმარი: – ლაზი ჰასან ჰელიმიში.

ფეოდორმა თავი დაუკრა და ჰქითხა: – ლაზეთს სამეფოც ჰქონდა, ხომ ასეა?!

- დიახ, გვქონდა სამეფოც.
- დიახ, დიახ, ასეა, – დასძინა ოჯახის უფროსმა. – ახლა რა მისით ხართ ჩამოსული ლენინგრადში?
- ვსწავლობ, – უპასუხა ჰასანმა.
- რომ სწავლობთ, სასიამოვნოა, ჯარში მსახურობდით?
- დიახ, ვმსახურობდი.

ამასობაში დიასახლისიც შემოვიდა და საყვედურიანი კილო-თი მიმართა გენერალს: – ფიდო, რა შეაწუხე ეს ახალგაზრდები, არმიითა და მსახურობით. მამაჩემს ვინ დაუფასა ქვეყნისადმი ამ-აგი, აგენტად რომ მონათლეს და პეტრე-პავლეს ციხესიმაგრეში აღმოხდა სული.

ვარიას დედის შემოსვლა ისე მოულოდნელი იყო, ჰასანმა სკამიდან წამოდგომაც ვერ მოასწრო. თანაც, ჯერ გენერლთან გასაუბრებით იყო დაკავებული.

ქმარმა, სათვალის ზემოდან, ცოლს საყვედურიანი მზერით ახედა, თითქოს ეუბნებოდა, რა საჭიროა უცხოსთან ასეთი ლაპა-რაკიო...

ვარიას დედა თვითონ მიუახლოვდა დაბნეულ სტუმარს და ხელი გაუწოდა.

ჰასანი სხარტად წამოხტა სკამიდან, ქალს ფაფუკ თეთრ ხელ-ზე ეამბორა და სკამი გამოსწია, რათა მაგიდასთან დაესვა. დედა ვარიას მიუბრუნდა და შეწყვეტილი საუბარი განაგრძო.

– ვარიჩა, რომ არა მამაშენის სიძეობა, ტოლსტოის სახლსაც დავემშვიდობებოდით. ზინაიდა ვლადიმიროვნა გენერალ-მაიორ იაკუბოვის ერთადერთი ქალიშვილი იყო, რომლის ქვრივმაც ფე-ოდორ ბელიოზეროვი ჩაისიძა. ვლადიმირ იაკუბოვის საქმინობა-ში იმ დროინდელმა მთავრობამ ეჭვი შეიტანა და პეტრე დიდის აშენებულ ციხესიმაგრეში, პეტრე-პავლოვში, სასტიკად ანამეს, ისე რომ სასამართლო განხილვამდეც არ მისულა მისი საქმე. დაქვრივდანატალია მიხაილის ასული და დარჩა ერთადერთ სტუ-დენტ ქალიშვილთან ერთად. ნატალია ფრთხილი ადამიანი იყო. ეშინოდა მეუღლის სიკვდილის შემდგომ, ქალიშვილი უპატრონოდ არ დარჩენოდა, ამიტომაც მიათხოვა ფეოდორ ბელიოზეროვს. ნა-

ტალიამ ამგვარი გადაწყვეტილებით მშვიდი ცხოვრების გარანტია მოიპოვა, ფეოდირი კომუნისტი იყო და მისი პოლკოვნიკობა საბჭოთა არმიაში იძლეოდა სწორედ იმის პირობას, რომ იაკუბოვის წარსულს აღარ ამოქექავდნენ. ფეოდორი მშვიდი ბუნების კაცი იყო, მაგრა არ ახსოვდა, უბრალო ოჯახს ეკუთვნოდა, დედამისმა ის და მისი ძმა, იგნატი იბლობაში გაზარდა. იგნატმა საყვარელი ქალის გამო რომ თავი მოიკლა, შვილმკვდარი დედა, ნატალია იაგოროვნა სახლში ჩაიკეტა და გარეთ აღარ გამოდიოდა. ასე დარაბებს მიღმა გაატარა მთელი 8 წელიწადი, თანდათანობით ავადმყოფობა ისე გაურთულდა, შვილმა ფსიქიატრიულ საავადმყოფოში მოათავსა. ფეოდორი დედის ავადმყოფობას არ ამხელდა. არ სურდა მასზე, როგორც გიუსის მემკვიდრეზე ეფიქრათ. ებრალებოდა დედა, რომელმაც თვითონ გამოუტანა თავს განაჩენი. გულს უკლავდა მისი უსიცოცხლო, გამოფიტული სახის დანახვა, მხოლოდ უაზროდ გაშტერებული თვალები რომ უნათებდა. საბრალო ქალის ბეჭედ სულში ამოკირულიყო დიდი ტკივილი, მისი ავადმყოფი სხეული კი ძაფზე მომართული თოჯინასავით მოძრაობდა.

ვარია დედას ჰგავდა, იმისავით მხიარული ბუნებისა იყო, არ უყვარდა სევდიანობა, მართალია, ყოველთვის აშინებდა ბებიასთან შეხვედრა, მაგრამ მაინც მოინახულებდა ნატალიობის დღესასაულზე ხოლმე.

ზინაიდა ვლადიმიროვნა ჰასანს გვერდით მიუჯდა და მსახურს გასძახა: – სონეჩია, ჩაი ჩვენც შემოგვიტანე. მერე სტუმარს მიმართა მზრუნველად: – ხომ არ ინებებთ, კიდევ დაიმატოთ? უკაცრავად, ახლგაზრდავ, თქვენი სახელი არ ვიცი.

- ჰასანი, – მორიდებულად წარმოოქვა.
- ზინაიდა ვლადიმიროვნა, – მერე ხალისიანად დასძინა: –
- კულისებიდან ისე შემოვვარდები ხოლმე, წარმოდგენასაც ვერ ასწრებენ ოჯახის წევრები. – ბოლოს მომხიბვლელად აკისკისდა.
- სასიამოვნოა ქალბატონო, თქვენი გაცნობა, ჩემი წასვლის დროა, მაპატიეთ რომ შემოგეჭერით და დავარღვიე ოჯახური სიმუდროვე – წარმოოქვა ჰასანმა.

გენერალი სავარძელში იჯდა, ისეთი ინტერესით ჩასცეროდა გაზეთს, თითქოს არც იმჩნევდა სტუმრის არსებობას. ჰასანი უხერხულად გრძნობდა თავს. თანაც არც ის უესტები გამოიყენებია, ვარიამ რომ გააფრთხილა. ამიტომაც გადახედა მუდარით და თვალებით დახმარებას სთხოვდა.

— დედა, ჰასანი წასასვლელია, ონეგინს გავატან და გავაცილებ.

გენერალმა სტუმარს გაზეთიდან ამოხედა და ჰკითხა: — ონეგინი არ იცით, ყმაწვილონ?!?

— ქართველებს რუსთაველი ჰყავთ და ესეც საკმარისია. მერე თვალი ჩაუკრა ჰასანს და გამომწვევად უთხრა: ერთ თვეში პრემიერა გვაქვს, ნატალიას როლში ვარ, წამოყევი ვარიას.

ახალგაზრდები წამოდგნენ, ჰასანი გენერალს გამოემშვიდობა და გასასვლელისკენ გაემართა.

ვარიამ წიგნი გაუწოდა და შესთავაზა, ხვალ საღამოს ცირკში წავიდეთ, ბილეთები მაქვსო. თუმცა არ დალოდებია, ჰასანი რას უპასუხებდა.

— ნევის მარჯვენა სანაპიროსთან დაგელოდები. შენს მეგობარს მაღლობას ვუძღვინი, რომ მიხსნა იმ ურჩხულისაგან.

ჰასანს თითქოს ახლა მოაგონდა მათი უეცარი შეხვედრის დასაწყისი. ეს რომ არ შეეხსენებინა ახლა ვარიას, დარწმუნებული იყო, თითქოს დიდი ხანია იცნობდა მას.

თავი 8

ბელიოზეროვებთან სტუმრობა იმავე ღამეს ჩაჰყვა ძილში სიზმრად. თითქოს, იგნატი იდგა დიდ მისაღებში და თავის ნახატებს ათვალიერებინებდა. ყველგან აღებეჭდა სტალინი, რომელ-საც თვალები არ ჰქონდა. მზის ნაცვლად, გენერალი იყო ცაში გამოკიდებული და ასხივებდა ბელადის თვალებს. განცალკევებით მდგომი ვარია სურათიდან ამოსულ სხივს იკავებდა ხელისგულით, რათა თვალებზე აეფარებინა. გრძელ შავ კაბაში

გამოწყობილი ვუალიანი ზინაიდა ვლადიმეროვნა ტრიალებდა და თითქოს მეუღლეს ემუდარებოდა: „ჩამოდი ციდან, ფიდო, არ დაიდალე?“ ოთახი ბრუნავდა, ვლადიმეროვნას კაბასთან ერთად, საგნების გაუჩერებელმა ტრიალმა სიზმარშივე რეტი დაასხა ჰასანს და იატაკზე მოადინა ზღართანი.

პეტრეს გამოეღვიძა: – რა გჭირს, ჰასან? – ჰკითხა შეშფო-
თებულმა.

– ისეთი არაფერი, სიზმარი ვნახე, – უპასუხა დაბნეულმა და ნამოდგა.

- ხომ არაფერი იტკინე? – ჩაეძია.
- არა, აარა, – მიუგო ჰასანმა.
- ჰაჯის კი ისე ღრმად ეძინა, სულ არ გაუგია, ჰასანი საწოლ-
იდან რომ გადმოვარდა.
- დაიძინე, პეტრე, დაიძინე, კარგად ვარ! – დაამშვიდა ჰა-
სანმა მეგობარი.

მერე ფიქრობდა, ბელიოზერევბთან გატარებულ საღამოზე,
ეს სიზმარიც იმ შთაბეჭდილებათა ნაყოფი იყო, ტვინის რომე-
ლილაც კუნჭულში რომ დარჩენოდა და დაუკითხავად მოევლინა.

თავი 9

პეტრე ხშირად სტუმრობდა მეზობლად მცხოვრებ ლიდია პეტროვნას, რომლის ვაჟი, ილია ნიკალაევიჩი თეატრის დასს გა-
ჰყვა გერმანიაში და იქ დარჩა. ქალს უძილობა დასჩემდა და ხში-
რად ანტიდეპრესანტებს სვამდა. ხელისუფლებაც არ ასვენებდა, ხშირად აკითხავდა გამომძიებელი, უსვამდნენ ერთსა და იმავე შეკითხვებს. თუ კი მანამდე თვითონ ლიდია დაბარებისთანავე დადიოდა საგამომძიებლო დაწესებულებაში, ახლა აღარ შეეძლო გარეთ გასვლა, კატარაქტის გამო, ამიტომ აქეთ აკითხავდნენ პერიოდულად გამომძიებლები.

იყო ღამეები, როცა ქალი შეშლილივით წამოხტებოდა და გასძახოდა: – ილუშა შვილო, ილუშა! მის ასეთ ყვირილს ჰასანი

და მისი მეგობრები შეჩვეულნი იყვნენ, მხოლოდ მეზობლად მცხოვრები ქარხნის მუშა, სევა და მისი ჭორიკანა ცოლი, მარგო ლიზიანდებოდნენ და ეჩენებოდნენ საბრალო ქალს, რადგანაც ალვიძებდათ მისი ოხრა-გოდება. ლიდია ქმარმაც ხუთი წლის წინათ მიატოვა, როცა მათმა ვაჟიშვილმა დატოვა საბჭოთა კავშირი. ევგენი ივანიჩი სანიმუშო ინჟინერი იყო და მიაჩნდა, აღარაფერი არ ესაქმებოდა ქალთან, რომელთანაც საბჭოთა კაგებე საგამოძიებო სამუშაოებს ატარებდა და დასასრული აღარ უჩანდა და დაკითხვებს: „სად და როგორ წავიდა, რა ვითარებაში, ვინ მეგობრობდა ილია ევგენიჩთან?“ ეს ყოველივე მობეზრდა ქმარს, რადგანაც მან დიადი კომუნიზმის იდეები ამჯობინა და ადვილად დათმო ოჯახი და მეუღლეც, მითუმეტეს, უცხოეთში გადახვეწილ შვილზე იმთავითვე უარი განაცხადა...

არაერთი საჩივარი მიიტანა სევამ სახლმმართველობაში, რათა ლიდია ივანოვნა გოგოლის ქუჩიდან გაესახლებინათ, როგორც სულიერად ავადმყოფი და მოეთვსებინათ ფსიქიტრიულში. მაგრამ კაგების გამომძიებელს ხელს არ აძლევდა ლიდიას სიგიჟე, რითაც მისი გამოკითხვის ოქმებს დაეკარგებოდა მტკიცებულებათა ძალა. პეტრეს ეცოდებოდა მარტოხელა პენსიონერი ქალი და თუ რამე ამანათს მიიღებდა ახლობლებიდან, აუცილებლად მიუკითხავდა ხოლმე. იმ დღესაც, ასე მოიქცა, ლიმონი და ჩაი შეუტანა მოხუცს. დამზუხრებული ლიდია ფანჯარასთან იჯდა, როცა ოთახში პეტრე შევიდა.

– პიოტარ, რაღაც მინდა გაჩვენო, ახლოს მოდი და ყაზანის ლვთისმშობლის ეკლესიის გუმბათი დაანახა.

– ხედავ, პეტრე, რა მშვენიერია, ლენინგრადის ნებისმიერი კუთხიდან ჩანს, შენს სეხნია პეტრე დიდს ისე აქვს ეს ქალაქი გაშენებული, ყველა მხრიდან შეგიძლია დაინახო ლირშესანიშნაობანი. მას უნდოდა ევროპასავით თავისუფალი ქვეყანა, ფორმით კი გამოუვიდა, მაგრამ შინაარსით – არა, რადგანაც რუსი ხალხის გაუმაძლრობა ვერ დაასძლია. ხოლო თუ ადამიანი არ არის თავისუფალი მანკიერებისაგან, თუნდაც, რვა პეტრესნაირი იმპერატორი მიუჩინო, ვერას უშველის.

– პეტრე, ძვირფასო, დღეს ილიაობაა, მინდოდა ეკლესიაში წავსულიყავი და ჩემი ილუშას სახელზე სანთლი ამენთო, მაგრამ ვერ შევძელი... აქედან შევთხოვ, ყაზანის ხატი ხომ ყოვლისშემძლეა და იქნებ მალე ვნახო ჩემი ერთადერთი ილუშა.

– იქ ხომ მოქმედი ტაძარი არ არის?! – იკითხა გაკვირვებულმა პეტრემ.

– ეჭ, ამ სატანებმა, მარგოსნაირებმა, ათეისტების მუზეუმად აქციეს, მაგრამ ღვთისმშობლის სული მაინც იტრიალებს. მე უკვე თვალს დამაკლდა და მეშინია არ წავიქცე, თორემ არ შეგანუხებდი, შვილო, შენც გარგებს იქ მისვლა, – ჩურჩულით დაამატა.

პეტრე მიუხვდა მოხუცს ჩურჩულის მიზეზს. ლიდიას ეშინოდა, მეზობლების, რათა არ დაეპეზლებინათ თუ შეიტყობდნენ, რასაც ლაპარაკობდა.

– აუცილებლად წავალ, მუზეუმის დათვალიერების საბაბით და ღვთისმშობლის ხატს ვთხოვ თქვენს სიმშვიდეს, მაგრამ სანთელს ვერ ავანთებ, რადგანაც არ შეიძლება ადამიანი ერთდროულად ემსახუროს კომუნიზმსა და უფალს.

– აბა, ჩემზე რომ ასე ზრუნავ, შვილო, თემურელის ვალებულება გაკეთებინებს სიკეთეს თუ ადამიანის სიყვარული?

პეტრე მოულოდნელმა შეკითხვამ ჩააფიქრა და მიუგო: – ალბათ აღზრდა, დეიდა ლიდია, რადგანაც ჩემს ოჯახში არ იციან, რა არის თემურელი.

– ნანილობრივ გეთანხმები. მეც ხომ თავისუფლების უზენაესობას ვასნავლიდი ილუშას, იმიტომაც გაექცა ამ ქვეყანას. თქვენი აფხაზური აღზრდა ჩვეულებაშია და სისხლში გაქვთ გამჟღარი, რასაც ყოველდღიურობაში ავლენთ კიდეც. უღირსო ასაკოვანთანაც კი ზრდილობიანები ხართ, რაც უდავოდ კარგია, მაგრამ ადამიანების სიყვარული უფრო მეტია, გულიდან მოდის და ის არის საფუძველი ბუნებრივად დამკვიდრებული ყოველგვარი წესისა. უფროსს სკამი რომ დაუთმო ფარისევლურად, გული კი სიძულვილით გქონდეს სავსე, ასეთ დროს ფუჭია შენი ზრდილობა. ეს მხოლოდ ლუდოვიკო მეფის შემოღებილი ეტიკეტია და მეტი არყერი.

შენ პასუხისმგებლობა გამოძრავებს პეტრე და ჩემ მიმართ სიბრალული და იმიტომ მომიკითხავ ხოლმე. მე არ მინდა შენი სიბრალული და ნურც შენ ინანებ, თუ კი ოდესმე, ადამიანები შენს პასუხისმგებლობას და მზრუნველ ბუნებას უმაღლობას დაახვედრებენ, ნუ განრისხდები ამისთვის, ქრისტეს სიკეთეს ჯვარცმა დაუხვედრეს. აბა შენ ვინა ხარ, ერთი მოკვდავი ადამიანი. ადამიანი ღმერთმა თავის ხატად შექმნა და სიყვარულის ნიჭი უბოძა... ამაზე უკეთესს ვერას ინატრებს კაცი. ასე, რომ თქვენი იდეოლოგია წარმავალია, ქრისტიანობა კი მარადიული. ასე, რომ სანთლის

**ანთება უფლის სახლში არავის აწყენს. გიყვარდეს მოყვა-
სი, ეს არის კაცობრიობის დანიშნულება.**

თავი 10

პეტრე ყაზანის ტაძრისკენ მიდიოდა და გუნებაში ილი-ას ადანაშაულებდა, რადგანაც მისმა დაუფიქრებელმა ქმედე-ბამ დედამისი ცუდ დღეში ჩააყენა. პეტრემ ლიდიას თხოვნა შეასრულა, ყაზანის ტაძართან მივიდა, თუმცა შიგ შესვლა ვერ გაებადა. ტაძრის ეზოში, საფლავზე ამოიკითხა მიხეილ კუტუ-ზოვი და გაახსენდა ისტორიის ის მონაკვეთი, როცა მთავარ-სარდლის გამარჯვებების შედეგად, ყაზანის ტაძარს ჩაბარდა 17 ქალაქისა და 8 ციხესიმაგრის გასაღები. მრავალრიცხოვანი სვეტებით დამშვენებული და წმინდა პეტრეს ნიმუშით შექმნი-ლი ვორონიხინის ქმნილებას ბევრი მოწინააღმდეგე გამოუჩნდა თავის დროზე, რადგანაც მართმადიდებელი ტაძრის მსახურუნი უარყოფდნენ ბაზილიკის ნიმუშის შექმნას. მაგრამ მაინც დარჩა ტაძარი უცვლელად. კომუნისტებმა იგი მუზეუმად გადააკეთეს... მაინც შევიდა ტაძარში პეტრე, დადგა ღვისმშობლის ხატის წინ და ეჭვები ულრღნიდა გულს. ფიქრობდა ლიდიას სიტყვებ-ზე, რომ ეს დიდებული ტაძარი რწმენისთვის აიგო. ფიქრობდა ტაძრის ეზოში დაკრძალულ კუტუზოვზე და საკუთარი თავი ამ

დიდებულ სალოცავში უსუსური ეჩვენებოდა. დაბნეული იხედებოდა –ირგლივ, მოულოდნელად მისი ყურადღება ხატთან დაჩოქილმა ქალმა მიიქცია. იგი თავანეული და ხელებგანვდილი ლოცულობა და უფალს შველას სთხოვდა. პეტრეს მიახლოება არც უგრძვნია, ხატთან განმარტოებულს. პეტრემ ფრთხილად შეახო ხელი მხარზე, გაკვირვებულმა ქალმა ამოხედა. სამოციოდე წლისა იქნებოდა, სახე ჭორფლს დაეფარა.

– ქალბატონო მაპატიეთ, ხელი შეგიშალეთ, შეგიძლიათ მომცეთ ერთი სანთელი?

– კი შვილო მოგცემთ, მაგრამ მითხარით, ცოცხალს უნდა დაუნთოთ თუ გარდა ცვლილს? – პეტრე დააბნია ასეთმა შეკითხვამ და შეეცადა დაეზუსტებინა, ჰქონდა თუ არა ამას არსებითი მნიშვნელობა. ქალმა თავდახრილმა უპასუხა: თუ მიცვალებულთა სულის მოსახსენებლად გინდათ, ჯვარწმასთან უნდა აანთოთ, ხოლო თუ ავადა გყავთ ვინმე წმინდა პანტელიმონთაო.

– ავად არ არის... გზააბნეულია, – გაანდო პეტრემ.

ქალმა უპასუხა: – ღვთისმშობლის ხატთან აანთეთ, უფალი თვითონ გადაწყეტს, გზააბნეული ის არის თუ ჩვენ! ორ სანთელს მოგცემ და თქვენთვისაც შესთხოვეთ.

პეტრემ გაიკვირვა: – ჩემთვის რად მინდა, არა მაქვს სათხოვარი!

ქალმა სიბრალულით გადახედა პეტრეს და უთხრა: – არ არსებობს ადამიანი, რომელსაც უფლის შემწეობა არ სჭირდებოდეს, უფალს ვებარებოდეთ! მე ჩემი გითხარით, თქვენც ხელს ნულარ შემიშლით! – და განაგრძო ლოცვა.

პეტრე მიხედა, რომ შეუფერებლად მოიქცა მლოცველის წინაშე. ორივე სანთელი ღვთისმშობლის ხატის წინ აანთო და მიტევება ითხოვა თავისი უცოდინარობის გამო. მითუმეტეს, გულით მლოცველს დაბრკოლება რომ შეუქმნა. ხატის წინ შეჩერებულ პეტრეს რაღაცნაირი სიმშვიდე დაეუფლა, მსგავსი რამ არასდროს რომ არ განეცადა.

თავი 11

ჰასანმა, რაც ვარია გაიცნო, სახლში ნაკლებად ჩერდებოდა. თითქოს მეორეჯერ დაიბადა, ისეთი ბედნიერი იყო. ხშირად სეირნობდნენ ნევის პროსპექტზე და ანიჩკოვის ხიდზე დგებოდნენ. ჰასანს ძალიან მოსწონდა გამოქანდაკებული ოთხი ცხენი, თითქოს გადახტომას რომ ლამობდნენ მდინარე ფონტანკაზე. ცხენები ჰასანისთვის თავისუფლებისა და დაუმორჩილებლობის სიმბოლო იყო. ულამაზეს სამთალიან ხიდს ძვირფასი ორნამენტებით შემკული რკინის მოაჯირები ჰქონდა. ჰასანს უკვირდა, როგორ გულგრილად ჩაუვლიდა ხოლმე ვარია ამ სილამაზეს. თუმცა იგი ლენინგრადის მკვიდრი იყო და შესაბამისად, შეჩერეულიც ამ დიდებულ სანახაობას.

ხშირად სტუმრობდა იგი ბელიოზერევების ოჯახს. იგნატის პატივისცემა მას შემდეგ მოაპოვა, რაც მან ჰასანის დახატული ზღვა დის ოთახში მოიწონა. ვარიას ნარმოსახვით ეს ოთახი ზღვის სანაპიროდ ქცეულიყო, თვითონ ნაპირთან იდგა და გაჰყურებდა ჰასანის თვალით დანახულ აღელვებულ ტალღებს, რაც ვაჟისადმი ინტერესს უფრო უმძაფრებდა, უფრო მეტად უჩნდებოდა მას ჰასანთან ყოფნის სურვილი. ერთხელაც, მოულოდნელად განაცხადა ოჯახში, დღეს ჰასანი მოვა და ჩემს ხელს გთხოვთო. გენერალ ბელიოზერევს ისტერიული ხველა აუტყდა, არ ელოდა ქალიშვილის ასეთ ნაჩქარევ გადაწყვეტილებას და უთხრა: ვარია, ჯერ ინსტიტუტიც არ დაგიმთავრებია, თანაც ჰასანი არის ლაზი, თავისი ტრადიციებით, შენ გაგიძნელდეს იქნება მასთან ცხოვრება. ჯერ საფუძვლიანად გაიცანი, გაჭირვებაშიც გამოსცადე და მერე მიიღე ერთობ რთული გადაწყვეტილებაო.

იგნატმა მამას უთხრა: – ამ ქორწინებაში ჰასანი შემეცოდება, რადგანაც ვარიას მეტიჩრობებს ცოტა გაძლება კი არ უნდა. რა დრო და შესწავლა უნდა ჰასანს, თავის ნახატებით დაატარებს სამშობლოს სიყვარულს, შეხედა მის ზღვას ვარიას ოთახში, მხოლოდ ალალ კაცს შეუძლია ასეთი სიყვარული ჩააქსოვოს ნამუ-

შევარს. გენერალმა დაფიქრებით და მკაცრი ხმით წარმოთქვა:
– მხოლოდ სიაღალის იმედად, შორს ვერ წავა ადამინი!

– რატომ, ვითომ, მამა, თქვენსავით გენერალი უნდა იყოს და
ადამინის მოკვლა შეძლოს, რომ დაიმსახუროს ჩემი სიყვარული?!
– გაცხარდა ვარია.

– მე არა ვარ მომხრე საუბრის გაგრძელებისა და ძალიან
გთხოვ, ამ თემაზე აღარ დამალაპარაკო. – გენერალმა ეს ისე
შეურყევლად წარმოთქვა, იგნატი მიხვდა, საუბრის გაგრძელებას
აზრი აღარ ჰქონდა.

– რისთვის? რატომ? ჩემ წაცვლად რატომ წყვეტი ყველაფერს?
– ვარიას ხმა აუკანკალდა, ატირდა და მამაზე გამწყრალმა თავის
ოთახს მიაშურა, საწოლზე დავარდა და ხმამაღლა ატირდა.

იგნატი დის ოთახში შევიდა, აცრემლებულს თავზე ხელი გა-
დაუსვა და დაუყვავა: – ჩემი ლამაზი ბაჭია, რომ იცოდე, ვარია,
ახლა რა ლამაზი ხარ, ყოველდღე გამართავდი ასეთ სცენებს, ისე
გიხდება გაცხარება.

– სისულელებს მორჩი, როდის უნდა დასერიოზულდე? – უს-
აყველურა ვარია.

– ჰასანმა თუ იცის, რა გენეტიკის მატარებელი ხარ ? ასე თუ
გააგრძელე, შეიძლება გაგიჟდე, ნატაშა ბებოსავით.

ვარიამ ტირილი შეწყვიტა, დააფიქრა ძმის ნათქვამმა, ცხვირი
მოიწმინდა და დაეჭვებულმა თქვა: – ნუთუ მართლა გავგიჟდები,
იგნატ?

მერე ძმას ჩაეკრა და ალუდლულდა: – მე არ მინდა გაგიჟდება...
– იგნატმა გადაიხარხარა: – ნამდვილი ბავშვი ხარ, ვარია,
ყველაფრისა გჯერა.

– უგულო ხარ, იგნატ, უგულო! – და ძმას მსუბუქად უბიძგა.
– შენი გული ვარია, მთელ ბელიოზერევებს ეყოფათ. ხოლო
თუ ასე გააგრძელე, მართლა გაგიჟდები.
– ისევ მაჯავრებ, – თქვა ვარიამ და ბალიში მოუქნია.
– იგნატმა ბალიში ჰაერში დაიჭირა და დას უთხრა: – ჩვენ,
ყველანი, ცოტათი გიჟები ვართ, ვარია, მარტო ბელიოზერევები
კი არა, მთელი კაცთა მოდგმა, გააჩნია, როგორ სიგიჟეს აირჩევ.

– ხო მართლა, სიგიურს რაც შეეხება, ხვალ ნატალიას ხსენების დღეა და იმედია ბებოს მოინახულებ. – შეახსენა დამ.

იგნატიმა გულის ჯიბიდან ცხვირსახოცი ამოილო, დასს გაუწოდაა და უთხრა: – ცრემლები შეიმშრალე და მოიცილე ბნელი აზრები.

ვარიამ ცხვირსახოცი გამოართვა და თქვა:

– ხვალ ნავალ ბებოსთან და ჰასანსაც ნავიყვან. ნახოს, მარტო გენერლის ქალიშვილი არა ვარ, ნატალიას შვილიშვილიც ვარ, დავინახავ მამას, როგორ არ შერცხვება ჰასანთან! თქვა ნიშნის-მოგებით და ტუჩები გაბუტულივით წინ ნამოსწია.

– იგნატის გაელიმა დის უსუსური შურისძიების ჩანაფიქრის გამო, მიუახლოვდა და გულში ჩაიკრა დაიკო, თანაც დასძინა: – მთელ ქვეყანას გადავიკიდებ, ვინმერ, რომ ბებოს სიგიურ ახსენოს. ჰასანი კარგი ადამიანია, მამას გულიც გაულლვება და ყველაფერი დალაგდება.

ვარიამ ნუგეშით შეხედა და ჰკითხა: – მართლა ასე გგონია, იგნატი?

– მართლა, ჩემო ბაჭია! – დაამშვიდა.

თავი 12

დეკემბრის ერთ სუსხიან დღეს მამაზე განაწყენებულმა ვარიამ შურისძიება გადაწყვიტა და მოინდომა ჰასანისთვის გადაეშალა გული, რადგანაც მასში ხედავდა თავის მხსნელს, ხოლო მამა მტრად მიაჩნდა. ჰასანი ხვდებოდა, ვარიას გაუცხოებას ოჯახის წევრებისადმი, თუმცა არც არაფერი უკითხავს, ხოლო როცა გოგონამ სთხოვა გაპყოლოდა ბელიოზერევების აგარკზე, უსტ-სლავიანსკში გაუკვირდა კიდეც, მაგრამ უარი არ უთქვამს. ...ხის ორსართულიანი სახლი ხეხილის ბაღში იყო ჩაფლული. ხვავრიელ თოვლს დაეფარა ეზო, დიდრონი ხის ტოტები მძიმედ ჩამოეზნიქა.

– ვარიამ ზღურბლთან თოვლი ჩამოიბერტყა ქურთუკიდან და კარებს მოარგო. შევიდნენ დიდ ოთახში... მან გათოშილი ხელები სატრფოს გაუწოდა. ჰასანმა ქალის ხელები თავის ხელებში მოიქცია და სული შეუბერა, რათა დაეთბო. – შენა ხარ ჩემი სიხარული, ვარიუშკა. მინდა სულ გათბობდე. მაგრამ რაც ახლა ჩაგიფიქრებია, ძვირფასო, მე უფრო სკეპტიკურად ვუყურებ ამ ამბავს. მოდი, გავჩერდეთ აქ ცოტა ხნით, გავთბეთ და შემდეგ შინ მიგაცილებ.

- დღეს აქ დავრჩეთ რა ჰასან! – უთხრა აღელვებულმა.
- ასე არ იქნება, შენები ინერვიულებენ და თანაც, მე არ შემიძლია შენს უინს ავყვე, მითუმეტეს, ვიცი, ჩვენი თავშეუკავებლობით რეპუტაციის შეგილახავ.
- ნუთუ ასეთი საშინელი ვარ? უარს რომ ამბობ ჩემზე? – ატირდა ვარია.
- რომ მიყვარხარ, სწორედ ეს მალაპარაკებს. – მიუგო ჰასანმა.
- არ გიყვარვარ ვნებით და საერთოდ არ მესმის სიყვარული ვნების გარეშე. – უნდობლად თქვა ვარიამ.
- აქ და თანაც ასე შემოპარულები ვართ... ქურდულად არ მინდა დაგეუფლო, რადგან უზომოდ მიყვარხარ.
- ვინ მოიგონა ასეთი წესები სიყვარულის სამტროდ?
- მე ამ სიყვარულის გარდა, შენს ღირსებას ვიცავ – მშვიდად გაუმეორა ჰასანმა.
- და სად არის ეს ღირსება? ვარიამ ერთბაშად ხელები გამოსტაცა და ოთახში მოჰყვა ბოლთისცემას.
- მამაჩემის ღირსებაც მის მუნდირშია, გადავწყვიტე გამეგო, თუ როგორ გიყვარვარ და შენც ღირსება მოიშველიე. შენ იცავ შენს ღირსებას! – წარმოთქვა მკაცრი ტონით.
- ჰასანმა სევდიანად მიუგო: – ახლა თამაშობ, ვარია! აქ იმიტომ მომიყვანე, მამაზე ხარ გაჯავრებული და გსურდა, ის რომ გაგემნარებინა. მხოლოდ სიყვარული რომ ყოფილიყო აქ ჩვენი ერთად ყოფნის საბაბი, მე ამას ვიგრძნობდი... დიახ, მე ვიცავ ჩემს ღირსებას!

– ამას როგორ ამბობ, ნუთუ დარწმუნებული არა ხარ ჩემს სიყვარულში? – იწყინა ვარიამ.

– მე მეტს მოვითხოვ შენგან, ვიდრე შურისძიებაა, საკუთარი მამის მიმართ.-უპასუხა ჰასანმა.

ვარია დააფიქრა სატრფოს ნათქვამმა. შერცხვა კიდეც სულმოკლეობისა, თანაც რომ მიუხვდა ჰასანი. მართლაც ხომ მამაზე შურისძიების გამო წაიყვანა აგარაკზე. უფრო მოხიბლა მისმა სპეტაკმა ბუნებამ, დარწმუნებული იყო რომ ნებისმიერი მამაკაცი გამოიყენებდა ამ შემთხვევას თავის სასარგებლოდ. მოულოდნელად ისეთი სიახლოვე იგრძნო ჰასანისადმი, გადაწყვიტა მისთვის ყველაფერი მოეყოლა თავისიანების შესახებ.

– მინდა ბებია ნატალია გაგაცნო! – უხერხული დუმილი თვითონვე დაარღვია.

ჰასანმა ხელები მოჰქვია და მიიზიდა.

თვითონაც ხომ ეწადა ვარია თავისიანებისთვის გაეცნო. მწარედ ჩაფიქრდა, რადგანაც ამას ვერანაირად ვერ შეძლებდა...

თავი 13

ტყის პირას წამომართულ დიდ თეთრ შენობას ლამაზი შადრევნები ამშვენებდა. რამდენიმე თეთრხალათიანი მონოტონურად დააბიჯებდა დააბიჯებდა პაციენტებთან ერთად ეზოში, დიდი ქვის გალავანი რომ ჰქონდა შემოვლებული.

ჰასანი გაოგნებული უყურებდა სამოციოდე წლის მამაკაცს, დროდადრო თავზე ხელს რომ შემოირტყამდა და ყვირილით ამბობდა: – გაუშვი, გაუშვი ძალლო! სახეს მანჭავდა და კბილებს აკრაჭუნებდა. მერე თვალი მოარიდა იმ საცოდავს. ვარია, თეთრხალათმოხურული, შენობის შესასვლელთან იდგა და ხელს უქნევდა.

ჰასანი სწრაფად გაემართა მისკენ.

– საშვი გამოვაწერინე, ჰასან, შენთვის! – და ფურცელი გაუწოდა.

შენობაში შესულები თეთრ რიკულებიან კიბეს აუყვნენ.

სართულის მეთვალყურე ექთანმა ჰასანს ხალათი მიაწოდა, ვარიას კი დაუზუსტა, მხოლოდ ერთი საათი გაქვთ დრო და ნატალია იგოროვნა ისევ იმ პალატაშიაო.

ფსიქიატრიული საავადმყოფო კედლებს ერის ფორმის და ფრონიდის სურათები ამშვენებდა.

ვარიამ ხელი მოჰკიდა ჰასანს და ჩასჩურჩულა: – ხომ არ გეშინია, როცა აქ პირველად მოვედი მეც შემეშინდა, მერე მივხვდი, ისინი არაფრით არ განსხვავდებიან ჩვენგან. ტკივილში ცხოვრობენ და არ უნდათ ეს დაიჯერონ. ჩვენ კი გვჯერა – მომავლისა. ისინი წარმოსახულ აწყმოს აფარებენ თავს.

გრძელი კორიდორის ფანჯრები მყარი გისოსებით იყო დაცული. ორი პაციენტი მამაკაცი ბოლთას სცემდა, ერთს თავი დაეხარა თავის დახეულ ფლოსტებს თვალს არ აცილებდა. მეორე უფრო აგრესიული ჩანდა, როცა ვარიამ და ჰასანმა ჩაუარეს, გამოედევნა და ჰასანს ხელი ზურგზე დაარტყა: დაგასწარი, ახლა შენ დამიჭრეო. ჰასანს ისეთი გაკვირვებული სახე ჰქონდა, ვარიას გაეცინა და მამაკაცს უთხრა: – გაიქეცი, საშენკა და გამოგეკიდება!

ისიც გაიქცა.

- შენ რა, იცნობ? – ჰკითხა.
- ბებოს პალატის მეზობელია, არაფერს არ დაგიშავებს. აი, მოვედით, მე-13 პალატაც.
- ვარიამ კარი შეაღო და ჰასანს შეუძლვა.
- ერთიანად ჭალარა ქალი ჩამომჯდარიყო საწოლზე. სპეტაკი, თეთრი სახე და უმეტყველო თვალები ერთ წერტილზე მიექვავებინა.

ვარია მიუახლოვდა და მოხუცს ლოყაზე აკოცა.

- ბებო, მოვედი, ვარია ვარ, შენი შვილიშვილი. ვარიას კოცნამ თითქოს წამით გამოაფხიზლა და თავი მისკენ მიაბრუნა.

მოხუცი უშინაარსოდ უყურებდა.

- ვერ მიიცანი ბებო? შენი ვარენკა ვარ, ეს ჩემი ჰასანია!

მოხუცმა მზერა ჰასანზე გადაიტანა და მერე, ტანჯულის სახით, ხელიც მისკენ გაიწვდინა, თითქოს რაღაცის თქმას ლამობდა, მაგრამ უილაჯოდ მყოფს, სიტყვის წარმოთქმა არ შეეძლო. მწერა-არება უფრო მეტად აღებეჭდა, თვალებიდან დაპალუპით წასცდა ცრემლი, თითქოს ჰაერი არ ჰყოფნიდა, პირი დიდზე გააღო და რაღაც ხავილის მსგავსი აღმოხდა. ერთიანად ცახცახმა მოიცვა.

შეშინებულმა ვარიამ ჰასანს სთხოვა, ექთანი ეხმო.

დაბნეული ჰასანი გაიჭრა კარისაკენ, მიხვდა, რაღაც უსიამოვნო მოგონებამ რომ შეიძყრო ავადმყოფი.

ექთანი სწრაფად შემოვიდა და როცა მან მაგიდზე დადებული ბოქსიდან წამლის ამჟულა და შპრიცი აიღო, ელვისებურად მოაქცია წამალი შპრიცში, თანაც ჰასანს სთხოვა, ხელი დაეკავა პაციენტისათვის.

– რომ იცოდეთ, როგორი ძალა აქვთ ამათ, ზოგჯერ მგონია, მე თვითონა ვარ ავადმყოფი – თქვა ექთანმა.

წამალმა მალევე იმოქმედა და მოხუციც მოეშვა, აღარ ხაოდა. ჰასანს გამალებით უცემდა გული, მსგავს ვითარებას არასდროს შეწრებია. ექთანმა რომ შეხედა, გაეღიმა მისი სიფერმკრთალის გამო და ჯიბიდან ვალიდოლი ამოიღო.

– აიღეთ და დაიდეთ ენის ქვეშ. პირველად, პრაქტიკაზე როცა ვიყავი, მეც ასე დამემართა.

ჰასანმა მაღლობა გადაუხადა, თუმცა წამალი არ გამოართვა. იმ წუთებში მისმა გულგრილმა ღიმილმა გააღიზიანა.

– ვარია ექთანს დაეკითხა, რატომ უნდა აღმფოთებულიყო ასე, ჩვენს დანახვაზეო?

– რაღაც მოეჩვენა ან გაახსენდა ტკივილიანი, საფრთხე იგრძნო და შიშმა მოიცვა, იმიტომ აღმოხდა საშინელი ხმა. ცოტა სანში დაიძინებს, კარგს იზამთ თუ დატოვებთ პალატას.

ჰასანი მწარედ ჩააფიქრა რეალობამ, თუ რა საბრალოა ადამინი გონების გარეშე და როგორი დაუცველია ზღვარი სიგი-ჟემდე. ირწმუნა ვარიასი, რომ ამ ადამიანებს ეშინოდათ სიახლის და მხოლოდ წარმოსახულ აწყმოში გრძნობდნენ დაცულად თავს.

ჰასანი ისე გამოვიდა, ვარიასთან ერთად, საავადმყოფოდან, არც გაუგია, როგორ წამოენია ახალგაზრდა მედდა და მხრე-ბიდან ხალათი უსიტყვილ ჩამოხსნა... ვარია ტიროდა.

– არ უნდა წამომეყვანე! ახლა ალბათ, ფიქრობ, როგორი გე-ნეტიკისა ვარ! იცი, შვილის სიკვდილმა და ჩვენი ოჯახის გულ-გრილობამ მიიყვანა სიგიჟემდე. და რაც უფრო ღრმად შეგიცანი და შეგიყვარე ჰასან, მით უფრო დავინახე მამაჩემის რეალური სახე და შემზარა ჩემმა არტისტულმა ოჯახმა.

– ჰასანი გამოაფხიზლა ვარიას სიტყვებმა, ხელი მოჰვია და უთხრა:

– ნუ სულელობ, ვარენკა, შენ რა შუაში ხარ! ყველას ხომ არა გვაქვს ძლიერი ნერვები. რას ჩაწვდები ადამინის სულს, მოკვ-დავისთვის ამოუცნობსა და მარადუამს მობორიალეს. მთელი ამ ყველაფრის მიღმა ხომ ადამიანია. ასე რომ სიგიჟემდე, მხოლოდ ერთი ნაბიჯილაა გასავლელი.

ვარია ვერ ჩაწვდა, რას გულისხმობდა ჰასანი და ცნობისმოყ-ვარედ მიაპყრო თვალები..

ჰასანს ღიმილი მოჰვარა დამფრთხალი ვარიას ხილვამ და უთხრა: – შენი გენეტიკისა არ მეშინია! ვარენკა, სანამ ცოცხალი ვარ, არ გაგიჟდები, ნუ ნაღვლობ მაგაზე, ზრუნვას არ მოგაკლებ და წუთს არ დაგიტოვებ უნუგეშმ ფიქრისათვის. ის გაიტრუნა სატრფოს მკლავებში და მაინც სინანულით აღმოხდა: – არა, არ უნდა წამომეყვანე, დავინახე როგორ დაკარგე ფერი.

– რასაკვირველია, აუცილებლად უნდა წამოგეყვანე. ხომ უნდა მენახა, ეს ლამაზი ცისფერი თვალები, ვისგან გამოგყვა და დღეს დავრწმუნდი, რომ ნატალია იაგორვნას თვალები გქონია, ჩემო ვარუშა. – მიუგო ჰასანმა.

ჰასანი კი ექთნის საქციელმა დაარწმუნა, რომ ფსიქიატრი-ულის კედლები, თავისი სამურნალო აბებით, გონებანართმეულ პაციენტებს დროებით უწყნარებს ნერვებს, მაგრამ არ აჩენს რწმენას, სულით ავადმყოფი ოდესმე თუ განიკურნება და არც არაფერზე იწუხებს ვინმე თავს საამისოდ. იქ შეუძლიათ, მხ-ოლოდ მარიონეტად აქციონ ადამიანები, ექიმები რომელ ნერვ-

ის ძაფსაც გამოსწევენ, იმ მოძრაობას ემორჩილება პაციენტის სხეული. ამგვარად, ექიმისთვის კი მიზანი მიღწეულია, რაც მას პროფესიულ კმაყოფილებას ანიჭებს.

თავი 14

ახალი წლის სამზადისი იყო პასანის საერთო საცხოვრებელში. მხოლოდ ლიდია არ ფაციფუცობდა სამზარეულოში. იქაურობას მარგო დაჰპატრონებოდა. მაგიდასათან იდგა, თმაში „ბიგუტებჩანყობილი“ და კვერცხს თქვეფდა. განცალკევებით პეტრე თევზს ასუფთავებდა, დროდადრო ცხვირაბზუბული მარგო გადახედავდა ხოლმე და თავისთვის ბურდლუნებდა: – ნუ-თუ მაგის გაკეთება ასე აუცილებელია ახლა, როცა რძის პრო-დუქტებით ვმუშაობ სამზარეულოში!?

– ქალბატონო მარგო, სამწუხაროდ, თევზი ვერ შეინახება, ამიტომ აუცილებლად ახლავე უნდა გავასაუფთავო, არა მგონია, თქვენს საქმიანობას ზიანს ვაყენებდე! – განუცხადა პეტრემ უკა-მაყოფილოდ მზირალ მეზობელს.

მათ დიალოგს პაჯი შემოესწრო და იქ მყოფებს ხალისიანად ჰკითხა: – რაშია საქმე ამხანაგებო, ქალბატონი მარგო არ გა-მიბრაზოთ, ხო, ხო რა ტრიალია სამზარეულოში?! მერე ტაში შემოკრა: – ამხანაგი პელიმიში, სადა გვყავს? იმან იცის თევზის გემრიელად მომზადება!

პეტრემ ცხვირი მოიფხანა და გასისხლიანებული ნათითური დააჩნდა, თანაც შეაგება:–პასანი ცირკში წავიდა, შეყვარებულ-თან ერთად.

პაჯიმ ხელსახოცით პეტრეს ცხვირი მოსწმინდა და ჰკითხა: – მერე შენ რატომ არა ხარ შეყვარებული? – და გადაიხარხარა თავის ნათქვამზე.

– ყველა რომ შეყვარებული იყოს, თევზს ვინ გამოწელავდა?
– უკამაყოფილოდ უპასუხა პეტრემ.

– ჰო, ეგეც მართალია. – მრავალმნიშვნელოვნად ჩაიღაპარა-
კა ჰაჯიმ.

კარებში ლიდია ჩადგა, ცისფერბეწვიან ქუდსა და მოკლე
გაცრეცილ კურდღლის ქურქში გამოწყობილი. მერე პეტრესკენ
გამოემართა და დაუბარა: – მე სტუმრად მივდივარ, დღეს თუ
დაგჭირდეთ ჭურჭელი, გამოიტანეთ ჩემგან, გასაღებს დაგი-
ტოვებ პეტრიუშა. ბედნიერ ახალ წელს დაესწარით მეგობრებო!
– დასძინა ბოლოს.

მარგომ ცივად გადახედა მოხუცს.

გაკვირვებულმა პეტრემ კი ჰკითხა: – კარგ ამინდში არ გა-
დიხართ გარეთ, დეიდა ლიდია, და დღეს რატომ მოინდომეთ?

– არამიშავს რა, შვილო, წავალ, მელოდებიან. – ყრუდ ჩაი-
პარაკა ქალმა.

პეტრე ვერ დააკმაყოფილა მოხუცის პასუხმა და ვერც მიუხ-
ვდა ჩანაფიქრს.

ლიდია წავიდა!

თავი 15

ჰავშვური მიამიტობით ათვალიერებდა ცირკის შე-
ნობას, რომლის გუმბათის გარშემოწერილობა დაახლოებით,
50 მეტრი იქნებოდა, თანაც დასაყრდენი სვეტები არ გააჩნდა,
რაც ქმნიდა სივრცის ეფექტს, გუმბათის კოსტრუქცია, გადმო-
ბრუნებული ჩაშა, ფარავდა შენობას. მსგავსი პროექტით დაიწ-
ყეს შემდეგ სხვა სხვა ნაგებობების აშენება, რაც ადასტურებდა
მსოფლიოში უნიკალური ტექნოლოგიის დანერგვას, იმდროინდელ
საინჟინრო საქმიანობაში. ამ სიახლის ავტორი გაეტანო ჩინიზელი
გახლდათ. იტალიელს რომაული პომპეზურობით ჰქონდა ცირკის
შიდა დიზაინი გადაწყვეტილი. ჰავანი აღტაცებას ვერ მალავ-
და, თითქოს ოქრომჭედელს ამოვლო ცირკის შენობა ოქროში,
ხოლო ჭერზე დაკიდულ ჭაღებს კიდევ უფრო მეტი ბრწყინვალე-

ბა შეეძინა იქაურობისთვის. დარბაზში ცხელოდა, შეყვარებულთა გათოშილმა თითებმა და ანითლებულმა ღანვებმა დაიამეს თბილ თავშესაფარში. მათ თვალებს მხიარულება ნამდვილად არ მოაკლდებოდათ. ვარია ჰასანის აღფრთოვანებულ სახეს რომ უყურებდა, სიცილს ვერ მალავდა.

— ჰასან, ასე როგორ დაგახვია თავბრუ ამ შენობამ, რომ ჩემი სილამაზეც დაგავიწყა...

გალიმებულმა ჰასანმა ჩასჩურჩულა: — შენ უფრო ღვთაებრივი ხარ, ვარია.

— მერე რატომ ჩამჩურჩულებ, ხმამალლა მითხარი, ხომ გე-სმის როგორი ხმაურია, ჩვენთვის ვის სცალია?!

მართლაც, ცირკის შენობაში პატარებისა და მათი მშობლების ხმა გუგუნებდა და უნდა გეყვირა გვერდით მდგომისთვისაც, რომ გაგეგონებინა. ფოიეში ოქროსფერჩარჩოებიან დიდ სარკებს დაეფარა კედლები. ვარიამ ჩანთიდან საცხი ამოილო და განაფულად გადაისვა ტუჩებზე. უეცრად სარკეში ზურგს უკან მდგარ ცირკის დირექტორს ჰკიდა თვალი და ჰასანს უთხრა:

— ხედავ, იმ მაღალ კაცს, ქალები რომ ახვევია, ამ ცირკის დირექტორია, მამაჩემის ნაცნობი, ბატონი უილიამს ტრუცი, ჰასანმა უკან მიიხედა და გრძელობინი, ბაკენბარდებიანი ქერა მამაკაცი დაინახა, რომელსაც ერთნაირად ჩანიკნიკებული კბილები ისე უელავდა, დაეჭვდებოდით, ბუნებრივი იყო თუ ჩასმული.

მერე თავისი და ვარიას ნივთები გარდერობში მიაპარა და უეტონები აიღო.

ადგილები დაიკავეს და შუქიც ჩაქრა. წარმოდგენა დაიწყო. სმოკინგსა და ცილინდრში გამოწკეპილმა წამყვანმა მიკროფონი მოიმარჯვა და მიესალმა მაყურებლებს.

პროფესიონალი ჩაირთო და ბრონეულისფრად აელვარდა ხავერდოვანი მანეჟი. მერე ჯამბაზიც შემოვიდა სცენაზე, მისი ხალისიან ნიღაბი მხიარულების მაუწყებელი იყო, თუ დააკვირდებოდით, წამნამები მწუხარებას, ხოლო თვალები სიბრალულს გამოხატავდნენ. ნითელი გაბუშტული ცხვირი სასაცილო იერს ანიჭებდა. ჯამბაზი მოულოდნელად დაეცა, ჰასანმა სიცილი ვერ

შეიკავა. ვარიაც გახალისდა, მასაც მოსწონდა ჯამბაზი, თანაც ჰასანის ხალისიანობა ორმაგად ამხიარულებდა. შემდეგმა ნომრებმა უფრო მეტად გაიტაცა ჰასანი. ხანაც იძაბებოდა სარისკო ილეთის ცქერის დროს, გულშემატკივრობდა მსახიობებს, ეცინებოდა მაიმუნის ეშმაკობაზე, ახლა ფოტოაპარატი რომ ჰქონოდა, მეტად საჭირო ნივთი იქნებოდა, რათა შეყვარებულები ალბეჭდილიყვნენ. 90 წუთის განმავლობაში მათი გამომეტყველება ისე სწრაფად გარდაისახებოდა, პროფესიონალ ფოტოგრაფს ნამდვილად გამოადგებოდა საგამოფენო სურათების შესარჩევად, რადგანაც უაღრესად საინტერესო სახეებს უთუოდ აქ, ცირკში აღმოაჩენდა.

სანახაობით მოვრილი სასიამოვნო შთაბეჭდილება შეყვარებულებს ბელიოზერვების ბინის ზღურბლამდე მიჰყვათ. გოგონას მამა შინ არ ეგულებოდა. იცოდა, რომ ფეოდორ სერგევიჩი მივლინებაში იყო. ვარიამ დაიბნა, რახან შინ მამა იხილა.

ბელიოზერვებს მისაღებში სუფრა გაეშალათ. მაგიდას შემოსხდომოდნენ მათი მეზობელი ბალერინა რაშჩევა და ფოტოგრაფი კანკოვი. ბალერინა ნატალია ივანოვნა რაშჩევა, გენერლის ქვრივი იყო, სამოცს მიღწეული ქალბატონი, ხოლო 32 წლის მიშა კანკოვი – კრემლის ფოტოგრაფი. რამდენიმეჯერ ბერიას აგარკზეც დაუძახებიათ სურათების გადასაღებად. ამ და მსგავსი ეპიზოდებით ხშირად იწონებდა იგი თავს. მათი სტუმრობა ვარიას არ გაჰკვირვებია, რადგან ყოველ დღესასწაულზე ერთად იკრიბებოდნენ ხოლმე კარის მეზობლები, თუმცა ტაიგიდან მამის სამი დღით ადრე დაბრუნებამ, დიდად გააკვირვა.

ფეოდორმა დაბნეულ ქალიშვილს გადახედა და უთხრა: – არ მელოდით ხომ, ქალბატონო ბელიოზერვა, მობრძანდით სუფრასთან და მოიპატიუეთ თქვენი ლაზიც. ერთი ვნახოთ, შეუძლია თუ არა თანამეინახეობა გაგვინიოს, შესვას ჩვენთან ერთად და არ დააჩდეს სიმთვრალე, თქვა ჯიბრიანად გენერალმა და ლიმონათისთვის განკუთვნილი სასმისი პირთამდე შეუცვის ჰასანს.

ვარია მიხვდა, რომ არ ესიამოვნა ჰასანის სტუმრობა მამამისს და გამომწვევად მიახალა: – ფეოდორ სერგევიჩ, ნუთუ დღემდე

ვერ ვისწავლეთ, რომ ეს სასმისი ლიმონათისაა? თუ კი იცით და ჰასანის დათრობა გადაგინვეტიათ, ბარემ ვაზაში დაგესხათ.

გენერალს არ ესიამოვნა, ქალიშვილმა გამომწვევად რომ მიმართა მამის სახელით. ის ხომ მისთვის ყოველთვის „მამიკო“ იყო, იგრძნო, რომ ვარია ყოველდღიურად უუცხოვდებოდა.

კრემლის ფოტოგრაფს გაელიმა: – ვარია ფედოროვნა, ორი კვირის ნინათ, ბერიამ ქალის ფეხსაცმლით დალია სილამაზის სადღეგრძელო.

ჰასანს გაელიმა, ვარიას მამას გადახედა და თქვა: – სავსე-ბით ვეთანხმები თქვენს სტუმარს, გააჩნია ვისი სადღეგრძელო შეისმევა. სხვათაშორის, ამას ჩვენში, ასეთ დროს, განსხვავებულ სასმის უწოდებენ და აუცილებლად ბოლომდე დაცლიან კიდც.

ბალერინა რაშჩევამ ჰასანს ამაყად და მოწონებით გადახედა, ნატიფი გრძელი თითები ჰაერში შეათამაშა და რიტორიკული კითხვა დასვა: – მაინც რომელი სადღეგრძელოები იმსახურებს ამგვარ პატივს, ყმანვილო?

ჰასანმა იატაკს დახედა, თითქოს იქ კითხულობს პასუხსო და თავაუნევლად წარმოთქვა: – განგება, სამშობლო, დედა, მეგობრობა და სიყვარული!

ბალერინამ ტაში შემოკრა, – ყოჩალ, ყმანვილო!

ფეოდორ სერგევიჩმა იხტიბარი არ გაიტეხა და იკითხა: – განგება აქ რა შუაშია, თქვენ რა, ლაზები, ცრუმორწმუნენი ხართ?!

კრემლის ფოტოგრაფმა კეფა მოიფხანა და მაამებლად თქვა: – სერგევიჩ, ჯერ ყველგან ხომ არ შესულა განათლება, არა უშავს, მაგათაც მაღლე გავანათლებთ.

ჰასანს ბრაზი მოჰვარა ფოტოგრაფის უტიფრობამ, სახე აუფორაჯდა, უნდოდა კანკოვისთვის საკადრისი პასუხი მიეზღო, მაგრამ სიტყვა ყელში გაეჩხირა, მერე მაგიდასთან მივიდა, გენერლის შეთავაზებულ სასმისს ხელი დაავლო და სულმოუთქმებლად დაცალა. სკამიც გამოსწია და მაგიდასთან დაჯდა. ვარია გაოცებული უყურებდა, თითქოს პირველად აღმოაჩინა იგი. ვერც ვითარებაში გარკვეულიყო.

გენერალმა უხერხულობის გასაფანტავად სამზარეულოსკენ გასძახა: – ხიზილალა დაგვიწყებია, სონია!

ზინაიდა ივანოვნას რეპეტიცია ჰქონდა თეატრში, ორ დღეში პრემიერა იყო ჩანიშნული და როგორც წესი, მთავრობის წარმომადგენლებს ელოდნენ... ისედაც, ყოველი პრემიერის წინ, დიასახლისი თავს ითავისუფლებდა ზედმეტი ფუსფუსისაგან და საოჯახო საქმეებს მთლიანად სონიას მიანდობდა ხოლმე.

სონიამ ხიზილალას მომცრო თეატრით შემოიტანა და ჰასანს თბილად მიესალმა. მერე სუფრას გადახედა და იქაურობა დატოვა..

იგნატი თავის ოთახში იყო, მისაღებში გასვლა მანამ არ უფიქრია, ვიდრე არ მოშივდა, თანაც მიხვდა, სონია სამზარეულოში ვახშმს არ მიართმევდა და სტუმრებთან გავიდა. გულგრილად მიესალმა მათ, ყოველგვარი ეტიკეტის გარეშე, კარტოფილის ღვეზელს დასწვდა, მადიანად ჩაკბიჩა და მხოლოდ ამის შემდეგ მიუჯდა მაგიდას.

გენერალმა შვილს შენიშნა: – ჯერ საღებავები მოგეცილებინა ხელებიდან და ისე დამჯდარიყავი. იგნატმა ხელებზე დაიხედა, და მერე ჰასანს მზერა ესროლა, თვალიც ჩაუკრა და თქვა: – მხოლოდ ეს კაცი გაიგებს ამ ხელების ფასს. მე ნუ მომაქცევთ ყურადღებას, გაგრძელეთ თქვენი ტრადიციული ბაასი, დიადი საბჭოების სიძლიერეზე.

– ჰასანს გული მიეცა, მისი თანამოაზრე რომ შემოემატა სუფრას.

გენერალი მიჩვეული იყო ვაჟიშვილის ირონიულ ლაპარაკს და სტუმრებთან მოიბოლიშა და თავი იმართლა, დედის ბრალია, მან გაანებივრაო, თანაც

შეწყვეტილი საუბარი განაგრძო, ეს გარკვეულნილად თურქების ბრალიც არისო, ისინი რელიგიური ფანატიკოსები არიან და სჯერათ მუჰამედების, მონათვლებისა და სასწაულებისაო.

ნატალია ივანოვნამ შეაწყვეტინა: – სარწმუნოებაში ცუდს ვერაფერს ვხედავ, ჩვენ ესენი როგორ უნდა გავანათლოთ, როცა ამათ სახელმწიფო ჰქონდათ, არცკი ვარსებობდით.

ჰასანმა მადლიერად გადახედა ბალერინას.

იგნატიმა მუკავე კიტრი მადიანად ჩაკიჩა, მერე კანკოვს მიუბრუნდა და უთხრა: – შენ რომ გკითხოს კაცმა, იტყვი მაიმუნები ჩვენი წინაპრები არიანო, რაღაც ნაწილში დაგეთანხმები, ზოგიერთი კაცი ისე იქცევა, სრულიად ამართლებს დარვინის თეორიას. ახლა დავითს ვხატავ და მუშაობისას უფრო მიმორჩილებს სურათი, მისი ტყვე ვხვდები. ალბათ ეს არის შემოქმედება, რომელიც გითრევს და ეს ღვთიურია თუ სატანური, არავინ უწყის. იგნატი ფეხზე წამოდგა, მამამის გადახედა და თქვა: – დღეს მაინც დაინდეთ ჰასანი... – სუფრიდან ვაშლი აიღო, ბალერინას თავი დაუკრა და მოახსენა: მივდივარ, ჩემს დავითთან, გიტოვებთ ბელიოზერვების სრულ შემადგენლობას!

ბალერინას ესპანური მკაცრი გამოხედვა ჰქონდა. მისი შავი სრიალა თმა, ბრიოლინით რომ იყო გადაგლესილი, ბელიოზერვის ჩახახახა ჭალის ქვეშ განსაკუთრებულად ბზინავდა.

ჰასანს კიდევ დაუსხა გენერალმა და უთხრა: – გისმენთ ახალგაზრავ, სადღეგრძელოს ველოდებით.

ჰასანი ფეხზე წამოდგა სასმისი აიღო და თქვა: – შემოგთავაზებთ სამშობლოს სადღეგრძელოს, რომელსაც გულით დავატარებ. მიუხედავად იმისა ძალიან მენატრება, საშუალება არ მეძლევა, ვიხილო იგი. რადგანაც ძალაუფლების მქონენი წყვეტენ დღეს ჩვენს ბედს და გვინესებენ ვერდიქტებს, რისი უფლება გვაქვს და რისი – არა. ან რა შეიძლება და რა არა. დღეს მედა ვარია ცირკში ვიყავით. ახლა თქვენთან საუბრის შემდეგ, გავავლე პარალელები იქ და აქ ნახულს შორის. როგორც სპექტაკლის მაყურებელმა, დროა ავირჩიო ცხოვრებისეულ ცირკში ჩემი პასუხისმგებლობა... ან ჯამბაზი ვიყო ტრაგიკომიკური როლით და ვიქცე მასხარად, ან ისეთი სელა ვარჩიო, თავი საფრთხეში ჩავიგდო, როგორც ცირკში თოკზე მოსიარულე სპორტსმენებია ან კიდევ მთელი ცხოვრება ვითვალთმაქცო. ჩემი ცხოვრების სცენარი ალბათ უკვე დიდი ხანია დაწერილია და მე იგი უნდა განვლო... მაგრამ უმჯობესია, ახლა ჩემს როლს შევეშვა... და ისეთ თავისუფლებას გაუმარჯოს, როცა კაცს არჩევნის საშუალება



ექნება! თუ ეს არ მოხდა, არც სამშობლო გვექნება და არც გულანთებული ხალხი გვეყოლება. ადამიანს არ უნდა ეშინოდეს საკუთარ თავთან დარჩენისა... ღმერთი ყოველთვის იარსებებს ჩვენში, სანამ არ დაგვიკარგავს სიყვარულის უნარი! ჰასანმა არაყი გადაკრა და თვალებზე ცრემლი მოადგა. ვარიას ხელი მოჰკიდა სუფრის წევრებს ბოდიში მოუხადა და გასვლა დააპირა.

გენერალმა გალიზიანებით წარმოთქვა: – ვარიას შინ სტუმრები ჰყავს და უნდა დარჩეს. თქვენ შეგიძლიათ წახვიდეთ და დატოვოთ ჩემი სახლი. თქვენი თავისუფლება არ ნიშნავს, რომ თავს ყველაფრის უფლება მისცეთ. ჯერ მე ვარ აქ უფროსი! – და ბოლოს ხმას ისე აუნია, სონია სამზარეულოდან გამოვარდა, ფეოდორს მიეჭრა და მზრუნველად დაეკითხა: – რამ გაგაცხარა, ფეოდორ? მაგრამ გენერლის გაცეცხლებული სახე რომ იხილა, ვარიას გადახედა, შენ მაინც გამაგებინე, რა ხდებაო.

– არაფერია სონიჩეა, ჰასანს გავაცილებ და ახლავე დავბრუნდები. – მიუუგო მან.

ვარია კარებამდე მიჰყვა სატრფოს და სთხოვა: – არ გაბრაზდე ძვირფასო, ახლა რომ წამოვიდე, მამა ყველას ამიმხედრებს. სანამ ჩვენს სიყვარულს ჩემს ოჯახში ჰყავს მოკავშირენი, უნდა გავუფრთხილდეთ ამ მონაპოვარს, თანაც კანკოვი ისეთი ჭორიკანაა, ხვალ მთელ ტოლსტოვების სახლს ეცოდინება, აქ რაც მოხდა და როგორ დაასრულა ვახშამი ბელიოზერევების ქალიშვილმა.

ჰასანმა უმალ მოიცვა შალის მანტო და ვარიას სიტყვებით გულნატკენმა, ფიცხლად ჩაირბინა ტოლსტოვების სახლის სადარბაზო. ცივი ნიავი, სასმელისგან გახურებულსა და ანერვიულებულს, ესიამოვნა. მიდიოდა, ირგლივ არც იხედებოდა, არ გაუგონია საათი რომ ჰკითხეს ტრამვაის გაჩერებაზე, ფიქრობდა გენერლის ქედმაღლობაზე და ყველაფერი აღიზიანებდა იმ წუთებში, საკუთარი ვალდებულებანი პარტიის წინაშე, ვარიას გულგრილობა, რომ არ გამოჰყავა და ოჯახის ღირსების დაცვა ამჯობინა მას. ნერვებს უშლიდა კანკოვისნაირი ჯამბაზები... ჰასანს უსაშველოდ მოენატრა ხოფა, მთელი ამ ხნის განმავლობაში, რაც

წამოვიდა, ასე მტკიცნეულად არ განუცდია სხვის ქვეყანაში ობლობა. ტრამვაიში რომ ავიდა, შეყვარებულებს მოჰკრა თვალი, ცივად გახედა მათ. ეჭ., სიყვარული... ნიღაბია, აბა სხვა რა არის, როცა თვალთმაქცურ ლირსებას ამოფარებული პატივმოყვარეობა აიძულებს შენს სატრფოს, საზოგადოების დასანახავად არარსებულ ლირსებას ამოეფაროს. სადა ხარ, სად, გულწრფელობავ, ზოგი სიგიფეს რომ გარქმევს. ჰასანი უმისამართოდ ეძებდა ნუგეშს! ტრამვაის ერთ-ერთ გაჩერებაზე უამრავი მგზავრი მოაწყდა. სუნთქვა გაუჭირდა, მითუმეტეს, უკან მიიხედა და ვიღაცა მდარე არყის სუნით იყო აქოთებული. უფრო ადრე ჩასვლა მოინდომა, ვიდრე მისი სახლის სიახლოეს გაჩერდებოდა ტრამვაი. ამასობაში ზონზორხა ქალი მუცლით მიაწვა, ჰასანმა თავი ვეღარ შეიმაგრა და სკელ საფეხურზე ფეხი დაუცურდა, მოულოდნელად კარი დაიხურა... გაუსაძლისი ტკივილისგან გულშეწუხებულს, ქალის კივილი ჩაესმა... უაზროდ დაჰყურებდა თავის სისხლიან შარვალს და ვერ მიმხვდრიყო რა მოხდა. ჰასანმა გონება დაკარგა!

თავი 16

თვალი რომ გაახილა, ჰაჯის დამწუხრებული სახე დაინახა. ასეთი ჰაჯი მას არასოდეს უხილავს: – რა იყო ძმაო, ძალიან ცუდადაა ჩემი საქმე?

ჰასანის ხმა გაიგონა რა, ნაძალადევი ღიმილით გაამხნევა: – რას ამბობ ძმაო, ცოცხალი გადარჩი, ფეხს ნაღვლობ?!

ჰასანს მოაგონდა ყველაფერი, გაუსაძლისი ტკივილი, ინსტიქტურად ფეხს დახედა და სიცარიელე რომ იგრძო, სასონარკვეთილმა თქვა: – მსუქანი ქალი მახსოვს ტრამვაიში, მერე დაცემა და მეტი აღარაფერი. – და სვენებ-სვენებით დაამატა: – ფეხიც მოუკვეთიათ, ბრძოლაში მაინც დამკარგვოდა...

– საამაყო ადგილას დაკარგე, ტრიუმფალურ კარიბჭესთან, რუსეთ-თურქეთის ომში გამარჯვების აღსანიშნავად რომ აღმართეს – ნაძალადევად იხუმრა ჰაჯიმ.

– შენ ისევ ხუმრობ, ნაღვლიანად გადახედა მეგობარს!

ჰაჯი კვლავ მის გამხნევებას შეეცადა: – ნუ გეშენია, შენს სრულ გამოჯანმრთელებამდე აქ ვიქნები, არაფერს არ მოგაკლებ!

– პეტრე სად არის? – მოისაკლისა მეგობარი ჰასანმა.

პასუხი რომ ვერ მიიღო, ისევ გაუმეორა შეკითხვა:

– რამე მოხდა, რამეს ხომ არ მიმალავ?!

– პეტრე პროზექტურაშია... ლიდია ივანოვნა ნევაში გადამხტარა, როცა ამოიყვანეს წყლიდან, უკვე მკვდარი იყო. ჰასან არ-სადროს არ დამავიწყდება ეს დაწყევლილი ახალი წელი, ჯერ შენ, მერე ეს საწყალი ქალი...

– საბრალო, მოხუცი, დიდხანს აწვალეს უაზრო და უსამართლო დაკითხვებით, იმასაც მიხვდა, შვილს ვეღარასდროს ნახავდა, ამიტომაც სიკვდილი ამჯობინა გამწარებულ სიცოცხლეს! – თქვა ჰასანმა და სახე დაემანჭა ტკივილისგან.

ჰაჯიმ გააფრთხილა: ჰასან, ექთანმა დამიბარა არ იწრიალოს ლოგინშიო, იქნებ გაუძლო!

– როგორ უნდა გავინდრე, სადღა მაქვს სამაგისო ძალა. თითქოს არტახებში ვარ, კიდევ კარგი, ჩემები არ მხედავენ! – წარმოთქვა დამწუხრებით.

ჰალატის კარი გაიღო და პეტრე შემოვიდა, სახეზე ფერი არ ედო.

ჰასანმა იკითხა: – რამდენი დღეა, აქა ვარ?

– ორი დღე და ერთი ღამეა. როგორ ხარ, ძმაო, ტკივილებს კიდევ გრძნობ? – ჰერითხა პეტრემ.

– შენ ის მითხარი, ლიდიას გვამი გადმოასვენეთ? – დაეკითხა ჰასანი.

– ჰო, საცოდავი... – მერე ჰაჯის მიმართა: – წადი, გამოიძინე, მე დავრჩები ჰასანთან.

– კარგი, მთავარ ექიმს ვნახავ და ვთხოვ, საწოლი შენთვისაც დაადგმევინოს აქ, პეტრე.

– არ არის საჭირო, სკამი ხომ გვაქვს.-იუარა მან.

– ჰასანს ჩვენ მხნედ მყოფნი ვესაჭიროებით, მოსვენებულები, რათა ისე ვუპატრონოთ როგორც აუცილებელია.

ჰაჯის პრეტიკულმა ჭკუამ და ექიმთან დაუინებულმა და-ლაპარაკებამ კიდევ ერთი საწოლი გააჩინა ჰასანის პალატაში.

ჩაფიქრებული პეტრე მზრუნველად დაჰყურებდა მძინარე მეგობარს, სულ ახლახანს ექთანმა დამამშვიდებელი ნემსი რომ გაუკეთა. პეტრე ფიქრობდა ჰასანის უეცარ უბედურებაზე, სა-ბრალო ლიდიაზე. ჯავრობდა საკუთარ თავზე, სოხუმი რომ მი-ატოვა, სკოლა, ბავშვები, ახლობლები და გამოედევნა უტრპიას, რომელიც რაც დრო გადიოდა, მით უფრო შორდებოდა იმ იდი-ალებს, ლენინგრადში რომ ჩამოიყვანა. მთელი დღის ნარბენსა და მისავათებულს ჩაეძინა.

ანტიბიოტიკის გაკეთების დრო მოსულიყო, სადღაც დილით 6 საათზე მედდა შემოვიდა და ჰასანი შეაფხიზლა, ჰელიმიშ, ნემსი უნდა გაგიკეთოთ. – ხმამაღლა დაამატა. ჰასანმა ჩაძინებულ მეგობარს გადახედა, საჩვენებელი თითო ტუჩებთან მიიღო და ექთანს შეევედრა: – ჩუმად, არ გაიღვიძოს, ხედავთ როგორ სძინ-ავს, ჩვილივით. წითურსახიანმა ქალმა დაამთქნარა და უპასუხა: – ჰო, ვხედავ, ნემს გაგიკეთებ და გავალ. თავისი საქმე დაას-რულა რა, მაშინვე გავიდა.

ჰასანი კარგა ხანს უყურებდა მეგობარს, პეტრემ თითქოს იგრძნო მისი დაუინებული მზერა, თვალები მოიფშვნიტა, კვლავ დახუჭა, ისევ გაახილა და დამნაშავესავით ჩაილაპარაკა: უჟ, როგორ ჩაძინებიაო. მერე ტუმბოზე შემოდებულ მაჯის საათს დახედა და აჩქარებით თქვა: – ოი, ნემსი დაგვიანდა ჰასან! გა-ვალ, ექთანს შევახსენებ.

– იყო უკვე ექთანი... მითხარი ერთი, ასე რა განუხებს, მთე-ლი ლამე ბოდავდი ძილში, გამთენის ხანს ჩაწყნარდი მხოლოდ.

ჰასანი კარგა ხანია გრძნობდა, პეტრეს რაღაც ლოდივით რომ აწვა გულზე. სულ უნდოდა დალაპარაკებოდა, მეგობარს, ამის შესახებ, მაგრამ სასურველი დრო ვერასოდეს შეურჩია. საამისო მოცალეობა ახლა ხომ ნამდვილად ჰქონდა.

პეტრემ მაინც სხვა მხრივ მოინდომა საუბარი წარემართა.
ხომ იცი, ზოგჯერ ცუდი სიზმრის ბრალია ყველაფერით.

ჰასანს თავისი სიზმარი გაახსენდა, ხოფაში დასიზმრებული:
დამშრალი ზღვა და თხა ეზოში, სისხლიანი მამლის თავი რომ
ჰქონდა პირში გაჩრილი.

— არ მგონია, მხოლოდ სიზმრის ბრალი იყოს შენი შეშფოთე-
ბა, მეგობარო!

— რა გითხრა, ძმაო, ვდგავართ კი იმ გზაზე, რომელიც ჩვენ
სამშობლოს სიკეთეს მოუტანს?!

— დამონებული კაცის მოტანილი სიკეთე არ უნახავს არავის.
ვინ არის ჩვენ შორის თავისუფალი, ეგ რომ შეძლოს?! ნელ-ნე-
ლა ვიფერფლებით ამ დიდ იმპერიაში და არავის არაფრად მი-
ვაჩინივართ. ეს ყოველივე 3 დღის წინ, ბელიოზერევების ოჯახში,
უფრო მწვავედ შევიგრძენი...

— ჰოდა, ეს მაწუხებს მეც. იქნებ, აფხაზეთის ავტონომიური
რესპუბლიკის საქართველოსთან შეერთება 1931 წელს, ფორ-
მალური მხარე იყო, უფრო ადვილად რომ გავეკონტროლებინეთ
რუსეთის დიდ იმპერიას. არ მგონია, ესენი ან შენზე ფიქრობდ-
ნენ, ან ჩემზე. ჰაჯის ასეთი საკითხები არ აწუხებს, რადგან ად-
ვილად ეგუება ყველა ქვეყანას და არ არის ჩვენსავით ფესვე-
ბით დამაგრებული სამშობლოზე. რაც ლენინგრადის კვლევით
ინსტიტუტში სტალინის ნაშრომები მიკითხეს, შენ კიდევ კარგი
აცდენდი ლექციებს და ვარიას სიყვარულით იყავი გართული,
აბა მე მკითხე, რამდენი ტვინის ჭყლეტა დამჭირდა იმის გაანა-
ლიზებაში, რომ კულტურის შერწყმაზე დაფუძნებული სტალინის
შრომების ეროვნული პოლიტიკა – მცირერიცხოვან ეთნოსებს
ვერ შთანთქავს მრავალრიცხოვანიო, არა მგონია სწორი იყოს.
უბრალოდ, რთულია მთელი საბჭოთა კავშირის ასე მართვა,
ხოლო ავტონომიებად დაყოფა და მათვის მთავრობების შექმნა
უფრო აადვილებს კონტროლს. ასე რომ, ჩემი აფხაზეთი ასეთ-
ნაირად ვერასდროს იქნება თავისუფალი.

ჰასანს მწვავე ტკივილმა ისევ გაპკრა. პეტრეს არ დააცა-
ლა რამე ღონე ეხმარა, იქით დაამშვიდა: – არაფერია, უბრალ-

ოდ, ჭრილობა ხორცდება და ტკივილი გამივლის. იცი რა, ძმაო, რუსეთი ყოველთვის ცდილობდა საქართველოს დაქუცმაცებას, თურქეთი თავის აღმის აღმართვას ჩვენს მიწაზე, მაგრამ მათ ერთი კარგი მაინც გააკეთეს, არ აყარეს ლაზები მშობლიური მიწა-წყლიდან. არაფერი სხვაობა არ არის, ლაზი თურქის მოქალაქეობასა და საბჭოთა კავშირის მოქალაქეობას შორის. მატრონას ნათქვამი ახლა იძენს ჩემთვის განსაკუთრებულ აზრს. რომ ჩვენ არ ვემსახურებით ჩვენს ხალხს, უფრო მეტიც, ვემსახურებით ვიღაც იდიოტის მიერ შეთხულ იდეას, როთაც მთელ კაცობრიობაზე ბატონობა განუზრახავს, თავისი წითელი დროშით. ასეთი ქმედება ძალმომრეობაა და ცხადია, ბოროტების ტოლფასია. რაც არ უნდა მოგვხიბლონ ვითომდა სიკეთით შეფუთული ტომებით, მაინც ვერ ვირწმუნებ, რომ მათი მიერ ბოძებული – ძმობა, ერთობა, თავისუფლება – უფრო საამური, ხატოვანი და საყვარელი იქნება, ვიდრე ჩემი ლაზეთია!..

- რატომ არ მიმხელდი აქამდე ასე თუ ფიქრობდი?!
- მე ეჭვი მღრნიდა სულ... ვფიქრობდი, ცხადია, მაგრამ საპოლოო არგუმენტი ამ ყოველივეზე, მომეცა ბელიოზერვების ოჯახში. სწორედ იქიდან წამოსული მივხვდი საბოლოოდ, რომ არავითარი ძმობა და თანასწორობა არ არსებობს. ისინი გვიყურებენ, როგორც მოსათვინიერებელ ველურებს...მათ მიერ წარმოსახული თუ დაგეგმილი ჩვენი ხსნა, ჩვენსავე განადგურებას მოასწავებს.
- ვარიას არ ეცოდინება შენი ამბავი, გინდა გავაგებინო?
- არ არის საჭირო!..

ჰეტრემ თანაგრძნობითა და სიბრალულით გადახედა მეგობარს...

ჰასანი მისკენ არც მიბრუნებულა ისე უთხრა: – ნუ მიბრალებ, ჯერ არ მომკვდარვარ, იქნებ ის მკვდარიც მჯობდეს, რადგანაც უკვე თავისუფალია!

მოულოდნელად ექთანი შემოვიდა პალატაში და ჰასანს მიმართა: – ჰელიმიშ, თქვენთან მნახველია!

ღია კარში ვარია იდგა, აცრემლებული. მერე მიიჭრა საწოლ-თან და ჰასანის მკერდზე დაემხო. პეტრემ პალატა დატოვა.

– ვარია, ცრემლი გიხდება ძალიან, მაგრამ ჩემს სასთუმალ-თან არა, – მწარედ ჩაილაპარაკა ჰასანმა.

ქალმა ტირილი შენყვიტა და გაკვირვებული მზერა შეაგება ჰასანს. მოეჩვენა, რომ მას ხმა გასცივებოდა.

– ყველაფერი ჩემი ბრალია, მარტო არ უნდა გამეშვი! – აღ-მოხდა სინანულით.

– მერე რატომ დამთმე?!

– მიწყრები არა?! – იკითხა სასოწარკვეთილი ხმით.

– აბა, რას ამბობ, ეგ არც იფიქრო, შენზე განაწყენება როგორ შემიძლია? – დაამშვიდა ჰასანმა.

– ჰასან მიყვარხარ და შენი მდგომარეობა არაფერს არ ცვ-ლის.

– ჩემთვის ცვლის პატარავ... არ მინდა სიყვარულის თავისუ-ფლება ჩემი უსუსურობით შემეზღუდოს.

– გინდა თქვა, რომ ჩვენს სიყვარულზე უარს ამბობ?!

ჰასანმა არ უპასუხა.

– რატომ დამუნჯდი. არ გიყვარვარ თუ არც არასდროს გყვა-რებივარ, მიპასუხე, ნუთუ ყველაფერი სიცრუე იყო? –

ჰასანი ემოციების დაფარვას ცდილობდა, არ უნდოდა ვარიას მისი ცრემლი დაენახა, უზომოდ გაუძნელდა, თუმცა მაინც მოახ-ერხა გაუბზარავად წარმოეთქვა სიტყვები, სრულიად დაშორებუ-ლი სიმართლეს: – უნდა მაპატიო ვარია, მე საცოლე მელოდება სამშობლოში, სულ მალე ჩემები ჩამოვლენ და მათთან ერთად გავემგზავრები.

– ვერ დავიჯერებ, მიგიხვდი, ეგ ჰასუხი რომ ახლახან შეთხ-ზე. გგონია, ცხოვრებას დამიმდიმებ და ამიტომ გამოსავალს მია-გნი, არა?! – წარმოთქვა მგრძნობიარედ.

– ხომ ხედავ, გიფიქრია უკვე იმაზეც, რომ შეიძლება ტვირ-თად დაგაწვე... ვარია, ბედნიერი ვარ, რომ არსებობ და ამას აღ-არა აქვს უკვე მნიშვნელობა, ერთად ვიქნებით თუ დავშორდებ-

ით. განა მანძილს შეუძლია იმ მშვენიერი წუთების წაშლა, რაც ჩვენ განვიცადეთ?

- წუთუ ონეგინის როლში მგულისხმობ?
- რას ამბობ, ვარია, ბელიოზერევის ქალიშვილი ხარ, ონეგინის როლს როგორ გაკადრებ?
- დამცინი კიდეც?

- პირიქით, მე დავცინი საკუთარ თავს. შენი აქ ყოფნა კი უფრო მიმძაფრებს უსუსურ მდგომარეობას და თუ გინდა ჩემთვის კარგი, დამტოვე... მე უნდა დავპრუნდე ჩემიანებთან, აქ არ არის უკვე ჩემი ადგილი... შეიძლება მართლაც დამიღვეს დრო, რომ მეც ვინანო ონეგინივით, მაგრამ ახლა, ამ წუთებში, არ მინდა გიყურებდე მწუხარეს, მხოლოდ ის მინდა, გავიყოლო შენიხატება - ლალი, თავისუფალი და ოცნებებით ფრთაშესხმული... წადი, ძალიან გთხოვ, დამტოვე ვარია და ნულარ დაბრუნდები...

ჰასანი ტკივილით გადაბრუნდა გვერდზე, ცრემლი წასცდა თვალთაგან, კბილებით ბალიშს ჩააფრინდა, რადგან შეუკავებელ ცრემლთან ერთად, ბლავილი არ აღმოხდენოდა.

ვარია, უნუგეშო და აცრემლებული, კარებში გაიჭრა...

თავი 16

ჰასანს მწუხარებამ სძლია. საძილე წამლებმაც ვერ მოჰვარა სიმშვიდე. ბურანში ჩაიძირა და პალატის თეთრ კედელზე თხის თავი გამოესახა. გაოგნემულმა საბანი თავზე წაიფარა, მერე ნელ-ნელ ჩამოსწია და ელდა ეცა, თხის ლანდის ნაცვლად, უკვე ნამდვილი თხა გამოეცხადა პალატაში.

თხას რა უნდა პალატაშიო, ერთი კი გაიფიქრა და თითქოს ისიც მიუხვდა და დაელაპარაკა:

- გეგონა ვერ მოგაგნებდი?

ჰასანს გაუკვირდა თხის ლაპარაკი და უმალ გაიფიქრა, ალბათ სიზმარია ან გავგიუდიო, – ღმერთო ჩემო, მართლაც რა ცოტაა მანძილი სიგიჟემდე! – გაიფიქრა.

- მოჩვენება სულაც არა ვარ, იმასაც ვხვდები, რასაც ფიქრობ!
- მაინც რას ვფიქრობ და რატომ მომაკითხე, რა გინდა ჩემგან
- დაეკითხა და უსიამოდ შეაქრულა პასანს.

- ვერც პარტიაში ივარგე და ვერც ბელიოზერების ქალი შეირგე. შენ კაცი ხარ, ახლა?! კარიერას აიწყობდი, ტოლსტოვების ელიტარულ სახლში დაბინავდებოდი, ყველა პატივისცემით მოგესალმებოდა. იყავი ახლა ასე და თავი შეგეცოდოს, მეტის ღირსი არა ხარ!

- მე ვარიას სიყვარულის გამო მივიღე ასეთი გადაწყვეტილება!

- მიიღო გადაწყვეტილება, ბიჭმა! - გამოაჯავრა თხამ. - აბა, რატომდა გეცოდება შენი თავი? ახლა გიჯობს შენი სული მე დამითმო და ისეთ ცხოვრებას გამოგინწყობ, თანაც აქ, ლენინგრადში, ხეიბრობა სულაც გადაგავიწყდება. გამორჩეული და სხვებისთვის სანატრელი კეთილდღეობა გექნება.

ჰასანმა ალშფოთებით მიმართა: - კი მაგრამ, სულს როგორ დაგითმობ? ნუთუ ეშმაკი ხარ, თხის ტყავში გახვეული?!

- გამოიცანი, ნამდვილად ეშმაკი ვარ, სულ თან გსდევ, ყოველთვის ჩაგიჭერ, როცა რწმენას დაკარგავ, ანდა რაში გჭირდება ასე მომქანცველი რწმენა, რომელიც უსასრულოა და მისი მოთქმენა ყელში ამოუვა კაცს. სანამ ცოცხალი ხარ, დატკბი ცხოვრებით.

- თავიდან მომწყდი, წადი აქედან, - უყვირა ჰასანმა და ზურგი შეაქცია.

ახლა უკვე წინიდან გადაუდგა თხა, ფეხები დაუბაკუნა: - რა გეგონა, ზურგს შემაქცევდი და ეგრევე გავქრებოდი?

ჰასანმა ისევ საბანი წაიხურა თავზე, თან ფიქრობდა ან გავგიუდი, ან მართლა ეშმაკია, პირველად სიზმარში რომ გამომეცხადა, ახლა კი ცხადში მომაგნოო. მერე ხელზე ხელი მოიჭირა, ეტკინა, მიხვდა რომ სიზმარში არ იყო. თავი ფრთხილად ამოჰყო საბნიდან, თხა ისევ მის წინ იდგა. ჰასანი გაურკვევლობამ მოიცვა, რაღაც ამაზრზენი ხდებოდა მის თავს.

- გეშინოდეს ჩემი! კიდევ გაქვს დრო, თუ დამიჯერებ, იცხოვრებ ამ ქალაქში სრული განცხრომით, თუ არა და ამჯობინე

ეკლიანი გზა. ასეა, ჩემო კარგო, ყველაფერი თავის საფასურს მოითხოვს და უნდა გადაიხადო... ასე რომ, მოიფიქრე, დაგაცდი და მოგაკითხავ, კიდევ.

ჰასანმა უილაჯოდ ჰკითხა: – განა როდის უნდა დაბრუნდე?

– ჩემი დაბრუნება შენზეა დამოკიდებული, – თქვა და კბილები საზარლად დაკრიჭა. მერე ფანჯრისკენ წაბაკუნდა და გაუჩინარდა.

იმ ღამეს თვალი ვეღარ მოხუჭა ჰასანმა, ლენინგრადის თე-თრი ღამეებივით დაათენდა!..

თავი 17

პეტრემ გააცნობიერა რა ჰასანის სასოწარკვეთილი მდგომარეობა, გადაწყვიტა სოხუმში წაეყვანა მეგობარი, იქნებ აფხაზეთის ზღვისპირეთს ნოსტალგია გაენელებინა მისთვის... სასწავლებელი რომ უნდა მიეტოვებინა, ეს გადაწყვეტილება სასტიკად დაუწუნაპაჯიმ და უსაყვედურა კიდეც:

– პეტრე, რაღაც სამი თვე დაგრჩენია, ჰასანს ერთად მივხედოთ, აქვე. ნუთუ ამდენი წვალება წყალში გინდა გადაყარო... ის კი ყურს უგდებდა ჰაჯის პრაქტიკულ რჩევას და ფიქრობდა, საიდან ჰქონდა მას ასეთი ენერგია, გამძლეობა თუ მოხერხება, ნებისმიერ პრობლემას მარტივად აგვარებდა, კარიერისთვის ბევრ რამეზე ამბობდა უარს და თანაც, ხალისი არ უქრებოდა სახეზე. -ვიცი ძმაო, ჩემთვის სიკარგე გალაპარაკებს. თანაც გულწრფელად ამბობ, რომ ჰასანსაც ზრუნვას არ მოაკლებ, მაგრამ შენი მცდელობა მა ს ამჯერად ვერ წაადგება. ჰასანი სხვანაირია, ასე იოლად არ უყურებს ცხოვრებას. და თანაც, მართალი გითხრა, ჩვენ ერთნაირად ვფიქრობთ, ამ საკითხზე... ჩემს ადგილს აქ, ვერც მე ვხედავ.

– კი მაგრამ რით იწუნებ აქაურ პირობებს, საუკეთესო უბანში ვცხოვრობთ და განთლებასაც ვიღებთ... ბოლოს და ბოლოს ჭერი გვაქვს და სასმელ-საჭმელი.

პეტრემ სევდიანად გადახედა და მიუგო:-კარგი პირობები, რომ ცვლიდეს რაიმეს, ჩემთვისაც ისე ადვილი იქნებოდა ცხოვრება, როგორც შენთვის.

– მერე რად ირთულებ ცხოვრებას, მიიღე ის რასაც დღეს გთავაზობენ. – უპასუხა ჰაჯიმ.

– გულზე დამადგება ასეთი შემოთავაზებული, შენ კი ლმერთ-მა შეგარგოს. – გაუღიმა პეტრემ.

– კარგი, ნება შენია.მაგრამ მე ვერ დავტოვებ ამ ქალაქს, რადგანაც ჩემს გუნდს აქ ვჭირდები. შენი სიამაყით ვიცი, შორს ვერ წახვალ, ეგებ კიდეც წახვიდე, ჯანდაბას შენი თავი. ჰაჯიმ კომოდის უჯრა გამოსწია და შინნაქსოვი წინდა მოიხელთა, იქიდან რუსული კუპიურების დასტა ამოაძვრინა და პეტრეს გაუწოდა: – ეს ფული ჩემთვის მქონდა გადანახული, მაგრამ ახლა ჩემზე უფრო მეტად ჰასანს სჭირდება...

პეტრემ იუარა, მან კი დაბეჯითებით გაუმეორა: – ჰასანს სჭირდება-მეთქი! მას უნდა მოხმარდეს, შენ კი არ გაძლევ.

პეტრე ჩაფიქრდა, ჰაჯის ფული გამოართვა. ჰაჯიმ ქალალდი და კალამი მოიმარჯვა და წერას შეუდგა.

– რას წერ, კაცო, ასე გულმოდგინედ?

– წერა რომ დაასრულა, მხოლოდ მაშინ უპასუხა: წერილს გაგატანთ ჩემებთან, ბათუმში. ეგებ ჰასანმა იქ ცხოვრება გადაწყვიტოს, ჩემს ბინაში იცხოვრებს და სამსახურსაც გამოუნახავენ შესაფერისს, თქვა და თვალზე ცრემლი მოადგა. ხომ ხედავ, რა დღეში გვყავს. არსებობა სჭირდება, ცხოვრება უნდა გააგრძელოს...

კარგია ახლა, გვეყოფა დარდი. მთავარია გადარჩა და ცოცხალია. ჩვენც დავიძინოთ. ხვალ უამრავი საქმე გვაქვს მოსაგვარებელი. – თქვა ჰაჯიმ და შუქი გამორთო.

თუმცა მთელი დამე ვერ მოისვენა. ლოგინში ბორგავდა და პეტრეს ნათქვამზე ფიქრობდა, ჰასანის უმწეო მდგომარება გულს უკლავდა და თავისი მომავალიც აფიქრებდა, ერთგული მეგობრების გარეშე რომ დარჩებოდა. მერე მძინარე პეტრეს გადახედა. მშვიდ და ლრმა ძილს მისცემოდა მისი მეგობარი.

თავი 18

ჰასანი შვილივით მიიღეს პეტრეს მშობლებმა. ოჯახის უფრო-სი სასწრაფო დახმარების მანქანის მძღოლად მუშაობდა. იშვი-ათად იყო შინ ეს სიტყვაძუნწი კაცი. დედა – გულეინა, ოჯახს დასტრიალებდა, დილიდან – დაღამებამდე მისი მოსვენება არ იყო. თავს ევლებოდა ჰასანს, რომელიც ეზოშიც არ ჩერდებოდა, ოთახში გამოკეტილს გარესამყაროსთან აღარაფერი აკავშირებდა, მძიმე დეპრესიას მოეცვა. თუმცა ძალიან განიცდიდა, მეგობრის დედას საზრუნავი რომ მიუმატა.

ერთ დილით, როცა მან საუზმე საძინებელში შეუტანა, ჰასანს კედელზე მიჭედებულ ლურსმანზე მიებჯინა თვალი. ეტყობოდა, რომ იქ სურათი ეკიდა, კედელს ოთკუთხა ფორმის ანაბეჭდი შერჩენოდა.

ჰასანმა მორიდებულად ჰკითხა: – დედა გულეინა, აქ ვისი სურათი გქონდათ?

- ჩემი ქმრის პირველი ცოლის, მშობიარობას გადაყვა.
- მერე რატომ ჩამოსხენით?
- პეტრემ გადაიტანა თავის ოთახში.
- რა ბრძანეთ?! ვერ გავიგე?
- რა არის შვილო, გაუგებარი, დედის სურათი თავისთან მოისურვა, დაეკიდა.
- აბა თქვენ ვინა ხართ?
- პეტრე ჩემი შვილია, მხოლოდ მუცლით არ მიტარებია.
- ...ასე რომ მარტო შენ არა გაქვს სადარდებელი, მაგრამ შენსავით ყურები კი არავის ჩამოუყრია. ეგება გარეთ გასული-ყავი, გაზაფხულის დღეა, მზიანი.

თქვენ როგორ გათხოვდით?

- უბრალოდ შვილო, მეც მარტოსული ვიყავი და ორმა ერთ-ნაირმა გამოვნახეთ საერთო. ასე რომ ჩვენ ღმერთმა არ გაგვწირა. ახლა ჩემი ადრინდელი მარტოსულობის ამბავს ნუ მომაყოლებ, ვრცელი ამბავია და ეს დღე არ მეყოფა მოსაყოლად. ჯობია საქმე გამონახო და გული გადააყოლო. ამ ოჯახში, რომ შემოვდ-



გი ფეხი, პეტრე წლისა დამხვდა. მისი გაზრდა და აღზრდა იყო ჩემთვის შვება და დარღიც გადამავინყა.

ჰასანს გულში მოხვდა გულეინას სიტყვები, შერცხვა სასონარკვეთის გამო, რომელსაც ერთიანად მოეცვა, ერთბაშად ძალაც იგრძნო, ცხოვრების წესი რომ შეეცვალა და მოუთმენლად იკითხა: – სად არის პეტრე?

– წვერს იპარსავს, დავუძახებ. – მიუგო ჰასანის მოულოდნელი გარდასახვით გახარებულმა გულეინამ.

– არა, მე თვითონ, და ხმამალა გასძახა: – პეტრე, პეტრე!

პეტრემ წამში მიირბინა, ქაფიც არ მოეშორებინა სახიდან და ცნობისმოყვარედ შეხედა მეგობარს.

– ზღვა, ზღვა მინდა ვნახო, სოხუმის ზღვა!-სთხოვა ჰასანმა.

პეტრემ მადლიერი თვალებით გადახედა დედას, მიხვდა მისი შესვლით რაღაც სასიკეთო ცვლილება მომხდარიყო.

– ახლავე ძმაო, ქაფს მოვიცილებ და სადაც მეტყვი, წავიდეთ.

ჰასანს სოხუმის სანაპირომ ბათუმი მოაგონა. სეირნობასაც უფრო მოუხშირა, თითქმის ყოველ დღე გადიოდა სახლიდან და რასაკვირველია, პეტრეც თან დაჰყვებოდა.

ერთხელ უსაყვედურა კიდეც: – რა იყო მეგობარო, არ მენდობი? ნუ გეშინია ცოდვაში არ ჩავდგამ ფეხს და თავს არ მოვიკლავ. დამტოვე მარტო, ჩემს ზღვასთან, თავისუფლად შევისუნთქო მისი ჰაერი.

ჰასანი ხარბად აყურადებდა ზღვის ხმაურს და თავისი ხოფა ახსენდებოდა. მზის სხივები ლივლივებდნენ შავ ზღვაზე, ფრინველები ირაოს კრავდნენ ცის კამარაზე, სადაც თეთრი ფაფუკი ღრუბლები დაცურავდნენ.

ზღვის შეჭრილ ყურეში იდგა ჰასანი და გაზაფხულის მზეს ეფიცებოდა. ტალღებიდან მონეული შხეფები სწვდებოდა და უფრო ახალისებდა.

– ხომ ხედავ, სველდები, ცოტა უკან დაინიე. – ურჩია პეტრემ.

ჰასანმა მარჯვენა ფეხის პროტეზზე დაიხედა და ღიმილით თქვა: – თუ დასველდა და დალპა, ახალს მივიმაგრებ, შენ

იდარდე, რომ ვერ გამოიცვლი და ასე უნდა იარო მთელი ცხოვრება.

პეტრეს უხაროდა მეგობრის გუნება-გაწყობის გაუმჯობესება. განსაკუთრებით ზღვისპირა პარკისკენ მიუწევდა ხოლმე გული ჰასანს.

ერთხელაც, სანაპიროზე სეირნობისას, ჰასანი აღმოჩნდა ულამაზეს ბამბუკის ფანჩატურთან. თეთრი მაგიდები, ორნამენტებით დამშვენებული სკამები მოხერხებულად ჩაელაგებინათ. რამდენიმეგანმამაკაცები ჩამომსხდარიყვნენ, ყავას შეექცეოდნენ და აფხაზურად საუბრობდნენ.

ჰასანი მათ სიახლოეს შეჩერდა და პეტრეს გადაულაპრაკა, როგორი ყავის სურნელია, ქვიშაში მოდულებული მაინც სულ სხვაა, მართალია დეიდა გულინა გემრიელად ხარშავს, მაგრამ ეგებ აქაც ჩამოვსხდეთო.

– შეარჩიე ადგილი, ყავას მე შევუკვეთავ, – და თხოვნის შესარულებლად გაემართა.

ჰასანი შეუმჩნეველი ცნობისმოყვარეობით გაჰყურებდა გვერდით მაგიდასთან მიმსხდარ აფხაზ მამაკაცებს. ასაკოვანმა თავაზიანად შენიშნა სრულიად ახალგაზრდას: – შვილო, ყურთასმენა ჯერ არ დაგვიკარგავს, არც ისეა ჩვენი საქმე, რომ ვერ გავიგონოთ რასაც ამბობ, ცოტათი ხმას დაუწიე... თუმცა ის, ეტყობა მიჩვეული იყო რიხით ლაპარაკს და ჩვევას ვერ ლალატობდა.

პეტრე რომ მიუახლოვდა და წინ ჩამოუჯდა სკამზე, ჰასანმა ვერც კი შეიტყო:- – რაო ძმაო, რა გულმოდგინეთ უსმენ! – ღიმილით ჰკითხა და გამოახედა.

– ხედავ პეტრე, იმ ახალგაზრდა რევოლუციონერს, როგორ იმედიანად იყურება. ასეთ თვალებს გაჭირვება არ უნახავს და ალალი ბავშვივით სჯერა მომავლის. ჩვენც მისნაირები ვიყავით ერთ დროს და ახლა იმ რწმენისგან ფერფლიდა შემოგვრჩა. ტყუილი კი არ უთქვამთ, თვალები ადამიანის სულის სარკეო. თვალები ამ ზღვას ჰგავს, უძიროსა და უეცარს, რომ არ იცი, რა დროს როგორ შემოგხედავს. ზღვა ხომ მზის სარკეა. უმზეობა და უამინდობა აბობოქრებს ზღვას, ასეა ადამიანის თვალებიც, სულის

სარკეა, რომელიც გაამხელს საიდუმლოს, როგორადაც არ უნდა შეინიღბო, რაც არ უნდა ღრმად დამალო. მაგრამ იმ ახალგაზრდას არაფერი არა აქვს დასამალი, რასაც ამბობს, იმისი სჯერა, მაგრამ რამდენად მართალია, ეგ არ იცის.

— ყველას თავისი სიმართლე აქვს, იმიტომ არ მოსწონთ მხოლოდ იმ ერთი სიმართლის გაგონება, მათი ბაგეებიდან რომ არ წარმოთქმულა, აბა სხვის სიმართლეს რატომ აღიარებენ ან იკადრებენ, საკუთარი ქედმაღლობა არ დაანებებთ ამას.

ამასობაში ქაფქაფა და სურნელოვანი ყავაც მიიტანა მათ მაგიდასთან მიმტანმა. პეტრემ მაღლობა გადაუხადა აფხაზურად, თანაც ჰკითხა, თუ ვინ იყო ის ახალგაზრდა. ჩვენებური სტუდენტია, ხშირად აგიტატორობს აქ. ალბათ ვიღაცის დავალებასაც ასრულებს. რაც არ ვიცი, არ ვიციო, თქვა და მათ გასცილდა.

— ეს აგიტატორობა კარგი მოგონილია, ზოგჯერ ამართლებს, რაღაც პროგრესს აჩენს კიდეც, მაგრამ მათ ნალაპარაკებსაც გადამონმება სჭირდება, — დასძინა ჰასანმა.

— აფხაზ ხალხზე უკეთ არავინ არ იცის თავისი წარსული, სწორედ ასეთნაირმა აგიტატორებმა დაგვაკარგვინა თვითმყოფადობა. აი, თუნდაც მუჰაჯირობა ვთქვათ. რუსეთ — თურქეთის ომის დროს და შემდეგაც, ასი ათასი აფხაზი გადაასახლეს, გაუკაცრიელდა აფხაზეთი. პოლიტიკური სტრატეგია რუსეთს ეკუთვნოდა, სურდა ჩრდილო-კავკასიელ მთიელთა ოსმალეთში გადასახლებით, სტაბილურობისთვის მიეღწია. მართლაც, ამ ქმედებით მეამბოხეები მოიცილა და მათ მიწებსაც დაეპატრონა როგორც კოლონიზატორი, თანაც ისარგებლა მხარის ხელსაყრელი სამხედრო-სტრატეგიული მდგომარეობით. აფხაზების ნაწილი დღეს, თურქეთის გარდა, გაფანტულია სირიაში, იორდანიაში და ჩრდილოეთ საბერძნეთშიც ნახავ მათ, მაგრამ ერთი კარგი მაინც შეგვრჩენია, მსგავსად ლაზებისა, ჩვენი ენა არ დაგვიკარგავს და ზნე-ჩვეულებანი არ დაგვიწყებია.

— თუ ასეთ დამპყრობლად მიიჩნევდი რუსეთს, რატომ მიიღეთ მათი შეთავაზება, საბჭოთა კავშირის მოქალაქენი გამხდარი-ყავით?

— ეჭ, ძმაო, პატარა ერებს ვინ ჰკითხავს არჩევანს, თუმცა,
სიმართლე გითხრა, მეგონა, რომ ეს არჩევანი გაამართლებდა,
მაგრამ შევცდით. ისტორია მეორდება...

— მე ვფიქრობ, აფხაზური ანბანის ამდენჯერ შექმნაც მც-
დარი ძიება უნდა იყოს, თქვენი მხრივ. ცდილობთ დაამტკიცოთ
თვითმყოფადობა და ამით ისარგებლა რუსეთმა, ავტონომია კი
მოგანიჭათ, მაგრამ საქართველო დაანაწევრა. შესაბამისად, ვერც
თქვენ ნახეთ ხეირი და ვერც – ჩვენ. რუსეთს თავისი ინტერესი
ამოძრავებს, როგორც ამ აქაქანებულ ყმანვილს, შეგირდებივით
რომ დაუჯენია მხცოვანი აფხაზები და ორატორობს მათთან.

— შენ რა გგონია, აქ თავმოყრილ აფხაზებს, ბოლომდე სჯერ-
ათ ამ ახალგაზდის?

— თუ არ სჯერათ, რატომდა უსმენენ? – გაუკვირდა ჰასანს.
— ზრდილობა არ აძლევთ უფლებას, სხვანაირად მოიქცნენ,
თანაც აინტერესებთ კიდეც რა ცვლილებებს უნდა ელოდონ.
— არ ვიცი, რა ვიფიქრო ძმაო, ძალიან დავიღალე. ჩემი იდა
და დედაჩემი მენატრება უსაშველოდ... შენთან კარგია, გულითა-
დი მშობლები გყავს... დედაჩემს მაგონებს, დეიდა გულეინა, ამან
უფრო გამიმძაფრა მისი ნახვის ნდომა...

— ჩემთვის უცნობი დედაშენიც იგივე ჩემი დედაა. განა ის არ
მომივლიდა, პირიქით რომ ყოფილიყო?! ჩემო ჰასან, შენ უკვე
ყველაფერი იცი, ჩვენი ოჯახის შესახებ, ნამდვილ დედაზე უფრო
მეტად იმსახურებს გულეინა ჩემს პატივისცემას. ყველა დედას
ინსტიქტით უყვარს თავისი შვილი, არც ინსტიქტი აკავებს მას
და არც ვალდებულება, ღვიძლი შვილი არა ვარ მისი, მაგრამ
ყოველდღე ვკითხულობ მის თვალებში, რაოდენ ძვირფასად მი-
ვაჩნივარ.

ჰასანს თვალებზე ცრემლი მოადგა და პეტრეს გული გა-
დაუშალა: – როგორ მენატრება დედაჩემი და მისი ნაჯაფი ხე-
ლები, ჩემი სათნოება, ჩემი ნავთსაყუდელი, ჩემი ნანე, ცუდად
ვარ პეტრე, ძალიან ცუდად, ჰასანი ტიროდა... გულაჩვილებულ-
მა პეტრემ მეგობარი შემდეგი სიტყვებით ანუგეშა: – მართალია,
ტარიელიც ტიროდა ნესტანის გამო, მაგრამ მის ვაჟკაცობას

არაფერი დაჰკლებია. მაგრამ აქ მსხდომი ჩემი მოძმეები ვერ გაგვიგებენ, რადგანაც ცოცხალ ადამიანზე, მითუმეტეს დედაზე, არავინ არ ტირის. გლოვა იცოცხლე, კარგი ვიცით, აფხაზმა კაცებმა, მიცვალებულს როცა დავტირით ხოლმე...

— არა, უნდა წავიდე, პეტრე, ბათუმში და რაც უფრო მალე იქნება ეს, მით უკეთესი, მხნედა ვარ უკვე, აღარ ვსაჭიროებ შენგან ესოდენ ზრუნვას.

პეტრემ იცოდა, გადაწყვეტილებას რომ ველარ გადაათქმევინებდა მეგობარს, თუმცა მაინც შესთავაზა: — არ იქნებოდა ურიგო, ბარემ ზაფხულიც აქ გაგეტარებინა, ზლვაზე ერთად ვივლიდით.

— არა, უნდა წავიდე და იქნებ ჩემებთანაც მოვახერხო, გადავიპარო.

— მაინც ფრთხილად იყავი ძმაო, რამე შარი არ აიკიდო, — ჩაილაპარაკა პეტრემ, თუმცა ფიქრებში ჩაძირულ ჰასანს, მისი რჩევა არც გაუგონია, წარმოსახვით ხოფაში იყო, დედის გვერდით, მისი დაკოურილი ხელების სითბოს გრძნობდა, მისი ტკბილი ნანგ სულს უამებდა...

ცოტა ხანში პეტრე წამოდგა, ჰასანს მხარზე ხელი შეახო და უთხრა: — იქნებ წავიდეთ, ჰასან, საღამოვდება და მალე აცივდება კიდეც.

— ჟო, წავიდეთ, — ფიქრებიდან გამოერკვა ისიც და სცადა წამომძგარიყო. პეტრემ ხელი შეაშველა. ჰასანს გაელიმა და უთხრა: — სულ ახლახანს, ჩემი ცრემლისა შეგრცხვა, ძმაო, ახლა თვითონ მარცხვენ, შენი წაშველებით. წუ გეშინია, შევძლებ და ხელჯოხზე დაბრჯენით, დაუხმარებლად წამოდგა.

ჰასანმა გვერდით მსხდომებს, გამომშვიდობების ნიშნად, თავი მდაბლად დაუკრა, აფხაზებმაც კეთილად გადმოხედეს და მშვიდობა უსურვეს. იმ ახალგაზრდას კი არც შეუმჩნევია, ისევ აგრძელებდა აგიტაციას...

თავი 18

ჰასანი ფანჯარასთან იჯდა, ჰაჯის ოთახში და გაპულებდა წინ აღმართულ ნაცრისფერ შენობას, რომელიც ზღვის ხედს ფარავდა. აგონდებოდა იმ რუს შენობაში, წლების წინათ, როგორ ისხდნენ ის და პეტრე და უკეთესი მომავლის რწმენით მღელვარედ ელოდებოდნენ უფროსის ზარს. ახლა ის იმედიც ამ უსახური შენობასავით გამოხუნებულიყო. ჰასანი თანდათანობით თითქოს ეგუებოდა ახალ ყოფას. ჰაჯის სარეკომენდაციო წერილით სამსახურიც ნახა – ტყავ-ფეხსაცმლის ქარხანაში. გამოადგა მამისგან ნასწავლი ხელობა, მენაღეობა. მაგრამ მისი ყოველი დღე უფერულად მიედინებოდა. ენატრებოდა მშობლები და გულს უკლავდა გარემოება, რომ არ შეეძლო მათი ნახვა. სართვი დადიოდა ხშირად და დგებოდა ზღვის სანაპიროსთან, რომ ხოფისთვის შორიდან ეცქირა. ყველაზე მეტად ქვაომხას ცქერა მოსწონდა. ლოდი, რომელიც კლდეს მოჰვევლებოდა და ზღვაში ჩავარდნილი ტალღებს ეურჩიებოდა. თავის გულისნადებს ჰასანი მას უზიარებდა და შენატროდა მის სიმტკიცესა და ქედუხრელობას... მაგრამ განა ადამიანს ცხოვრება დააცლის წარსულით ტკბობის ნატარ წამებს? ზურგს უკან ჩასაფრებული ყოველდღიურობა არც კი იცი, რას გიქადის. სიტკბოს თუ გთავაზობს, სამსალაც ხომ იქვე აქვს გამზადებული.

მაინც ეჭვის თვალით უყურებდნენ სამსახურში, ვერ გაეგო კოლექტივს მისი ვინაობა, ვერ მიმხვდარიყვნენ, უბრალო მუშა როგორ გამოირჩეოდა თავისი საქმის ასეთი ცოდნით, როგორ ქმნიდა იგი ფეხსაცმლის უცხო და მშვენიერ ნიმუშებს, თანაც ჩინებულად ერკვევოდა ტყავის ხარისხში. ხატავდა და გულშიჩამნვდომ ლექსებს თხზავდა. ... ჰასანი მათთვის თურქეთიდან გამოძევებული პირი იყო, ბათუმში დროებითი ბინადრობის უფლებით. ყოველ ქარხანას უშიშროების აგენტი ჰყავდა მიმაგრებული და რა თქმა უნდა, უყურადღებოდ არ დარჩებოდათ უცნაური მუშა. ფრთხილობდა დირქეციაც, რამე პრობლემა არ შექმნიდათ. მხოლოდ ჰაჯის რეკომენდაციით ვერ კმაყოფილდებოდნენ, უშიშროების წინაშე გადაჭარბებულ შიშს ავლენდნენ.

ჰასანი გრძნობდა, უფროსი უნდობლად რომ ეკიდებოდა. მნარედ ჩაფიქრდებოდა როცა მას, სათვალის ზემოდან, ეჭვით მომზირალს წააწყდებოდა ხოლმე. თურქებისთვის საფრთხეს წარმოვადგენდი და გამომაძევეს, ამათვისაც არა ვარ სანდო. ნეტა ღმერთს რა დავუშავე, ასეთი ყოფა რომ მარგუნა. არც არავინ არ გააჩნდა ახლობელი, გული რომ გადაეშალა, ტკივილი გაენდო. მატრონუშვაც იქ აღარ დაუხვდა, ბათუმში დაბრუნებულს. მეზობლებისთვისაც არ დაებარებინა, სად წასულიყო საცხოვრებლად.

მის ოთახში ახალმოსახლე დაბინავებულიყო. შუახნის ქალი, სლავური წარმომავლობის ნასტია, მარტო ცხოვრობდა. ისეთი დაშინებული მიჩერება იცოდა, ჰასანი უხერხულობისაგან თვალებს დახრიდა ხოლმე. ისიც დროს იხელთებდა და გამომწვევად ჩაუკისკისებდა: – ნუთუ ისეთ ცეცხლს ხედავ ჩემს თვალებში, გეშინია არ დაგწვა?! ქალის ასეთი გამომწვევი საქციელი მხოლოდ სონიას მეუღლეს, ივან სიმიონოვიჩს მოსწონდა, როგორც კი ნასტიას შეეფეთებოდა ვინრო კორიდორში, მტაცებელივით გადახედავდა, მერე ცალ თვალს თავისი ოთახისკენ გააპარებდა, ცოლი ხომ არ მიყურებსო და გადაუჩურჩულებდა, რომ იცოდე, როგორ მინდიხარ, ჩვენ შორის გამყოფ კედელს შემოანგრევდი. ქალი ამ დროს მაცდურად გადაიკისკისებდა, ხოლო ეჭვისაგან გაცეცხლებული ცოლი გამოიჭრებოდა კარში, რათა გაერკვია, რა ხდებოდა მის თავს. ნასტიას კი კიბორჩხალასავით წითური ჩამრგვალებული ივანი სრულიად არ აღელვებდა, მისი ინტერესის საგანი ჰასანი იყო. ერთხელ როცა გლუხოვების ოჯახი შინ არ იყო, ჰასანთან შევიდა, ფანჯარასთან მჯდომს თავზე წამოადგა და ფამილარულად მიმართა: – რას მიშტერებიხარ მაგ შენობას? მთელი ღამე კიდევ, ფეხსაცმელებს უკაკუნებ. იქნებ მეც წამაშველო ხელი და კარები შემიკეთო, მეშინია, ღამით, გლუხოვი არ შემომვარდეს.

ჰასანმა ცივად შეხედა ნასტიას, აკრიფა საჭირო იარაღები, მერე ნელა წამოიმართა ჯერ ხის ფეხი მოიმარჯვა, მერე თავისი. ნასტიას ჩაეცინა და უთხრა: – შენ ისე კარგად ხმარობ მაგ ხის ფეხს, მგონი წამდვილს სჯობს.

– რას მირჩევთ გრიგორევნა, ესეც მოვიჭრა? – და ალმაც-ერად გადახედა.

ქალმა თავსაფარი მხრებზე შეისწორა და ურცხვად უპასუხა:

– მთავარია კაცობა, აბა ფეხი ღორსაც აქვს.

– თქვენ ღორს ნუ დაინუნებთ, მისი ფეხები დელევატე-სია, მაგალითად მუშუუში. ჩემს ფეხს მხოლოდ ის უპირატესო-ბა აქვს, ცეცხლისა და წყლის გარდა, ყველაფრს გაუძლებს.

ეგ კი არა, თუ გაჭირდა, თავდასაცავადაც გამოიყენებ. – მაოცებ, ჰასან, შენი იუმორით, – ნაძალადევი სინაზე გამოირ-ია ხმაში ნასტიამ.

– სხვა რაღა დამრჩენია, ჩემი ფეხის გამო უნდა წავიხალისო – უთხრა ჰასანმა.

ნასტია ოთახში შეუძლვა და დაზიანებული საკეტი უჩვენა. ჰასანი შეკეთებას შეუდგა. ქალი წინ ჩამოუჯდა, სკამზე. უეც-რად თეთრი, ქათქათა თავსაფარი გადაიძრო და ამოლიავებულ კაბაში მკერდი გამომწვევად წამოსწია. ჰასანი შეეცადა, მისთვის არ შეეხედა, ხოლო როცა ხველა აიტეხა ნასტიამ, მიუხვდა ეშმა-კობას და ყოველგვარი სიმორცხვის გარეშე მიუგო: – თუ სურვი-ლისთვის დამიძახე, პირდაპირ გეთქვა, საკეტს რაღას ერჩოდი... მერე მიუახლოვდა და ისე მოექცა, როგორც ქალს უნდოდა. იმ დღის შემდგომ, ჰასანი ხშირად სტუმრობდა ნასტიას. ეს გლუხო-ვის ხარბ თვალებს არ გამოჰპარვია, გაბოროტებულმა საჩივრის წერილი შეთითხნა და იმ მისამართზე გაგზავნა, სადაც სწრაფი რეაგირება ეხერხებოდათ ხოლმე. ქალურმა ინტუციამ უკარნახა ნასტიას, რათა სასწრაფოდ დაეტოვებინა ჰასანს იქაურობა.

მართლაც ასე მოიქცა. დატოვა ჰაჯის კუთვნილი ოთახი და თანამშრომლის დახმარებით, ჯიჯავაძების ოჯახში დაბინავდა.

თვეც არ იყო გასული, რაც ჯიჯავაძების სიძე გახდა ჰასანი. ოჯახის უფროსს დიდხანს არც უფიქრია, ზრდილობიანი, ჭკვიანი ახალგაზრდა კაცი დგმურად კი არა, ზედსიძეთაც აერჩია. ჰასანის ცოლი მძიმე ხასიათის, ქედმაღალი ქალი გამოდგა. ქმარი მისებურად უყვარდა, მესაკუთრის უფლებით, ხშირადაც ამცირებდა და თავსაც ამადლიდა, თავისი გვარიშვილობით. წამოაძახებდა ხოლმე, რომ ჩემი მშობლები არა, ვინ იცის სად იქნებოდიო. აიძულებდა, უსიტყვოდ შეესრულებინა მისი ნებისმიერი კაპრიზი.

ასეთი ვითარების მიუხედავად, ორი ვაჟი გაუჩნდათ, ლაზო და შოთა. ჰასანს ოჯახი რომ შეენახა, არანაირ შრომას არ თაკილობდა. გადაყრილ ტყავის ნარჩენებს ეზიდებოდა ქარხნის სანაგვიდან, რათა შვილებისთვის ფეხსაცმელები შეეკერა. შეკვეთებსაც იღებდა, მადლიერიც ბევრი ჰყავდა. თუმცა ყოველივეს, დიდი რისკის ფასად აკეთებდა, რადგან თუ შეამჩნევდნენ, აუცილებლად დაითხოვდნენ სამუშაოდან. მერე რა, ქარხნისთვის გამოუსადეგარი და უსარგებლო მასალა რომ მიჰქონდა.

ჰასანი ამშვიდებდა ხოლმე გაკაპასებულ ცოლს და ხშირად უმეორებდა: – ბავშვებთან ნუ გაჰყვირი ლეილა, შენ რა იცი, ხვალ სად იქნები, ქალი?!

მართალაც უბედური ეთქმის ჰასანისნაირ ადამიანს, იდიალებს რომ ებაღაუჭება, ხოლო ეშმაკი ამ დროს მიწაზე გართხმული დახოხავს, რათა ასეთი მეოცნებე ვარსკვლავებიდან მიწაზე დაანარაცხოს, წუთისოფლისთვის მოუმზადებლად მყოფი ერთიანად გათელოს და მერე ნელ-ნელა სულიც გამოაცალოს.

ლეილას არაერთი მცდელობა, ჰასანს სული მიეყიდა ეშმაკისთვის, უშედეგოდ სრულდებოდა, მეზობელმა თუ პობედა შეიძინა, ქალსაც უნდოდა ისეთივე მანქანა, ფუფუნებაში უნდოდა ცხოვრება. სულს ხდიდა ქმარს, მოსკოვში თანამდებობაზე მყოფი ჰასანის შეეწუხებინა და რამე სამსახური გამოეჩინა ჰასანისათვის. ის კი ვერ ეგუებოდა ცოლის სიხარბეს. აფიქრებდა ის, რომ ასეთ მისტერიებში რეალობას აღიქვამდა და ლეილა ემსგავსებოდა იმ

თხის ლანდს, ჰასანის სულთან რომ ჰქონდა ჭიდოლი. ცოლთან გაუგებრობა-კამათის მერე მას განმარტოება სწყუროდა. ენადა სტრიქონებისთვის გაენდო თავისი ხვაშიადი...

საოცნებო ხოფას თავისი ლექსების სტრიქონებს აქსოვდა და ამ ნაქსოვში თავის მწუხარე გულს ანუგეშებდა.

როგორც ნებისმიერმა მოკვდავმა, ჰასანმაც არ იცოდა, რას უმზადებდა მუხთალი წუთისოფელი.

თავი 20

კაცი ბჭობდა და ეშმაკი იცინოდაო, ეს ნათქვამი საბჭოურ ყოფას ზედმინევნით მიესადაგებოდა. თუ კოლექტიურ აზ-როვნებს გაემიჯნებოდი, განნირული იყავი ისევ იმ კოლექტივის მიერ. სწორედ ამგვარ აზრთა ერთობით გადაწყდა, ჰასან ჰელიმიშის ტაიგაში გადასახლება. ასეთი განაჩენი სადამსჯელო ღონისძიება იყო მრავალი საბჭოთა ოჯახისათვის, თუკი მათი წარსული რაიმე კითხვებს აჩენდა. ...ჰასანი იმდენად გადაღალა შუაღამის გახანგრძლივებულმა დაკითხვებმა, რომ თუ ვინ იყო და ვისი დავალებით ვისზე მუშაობდა და სხვა ათასნაირმა სისულეელმ, რაც ავადმყოფთა გონებას მოაფიქრდებოდა გლუხოვისნაირთა კაბინეტებში. ისიც იმეორებდა უამრავჯერ ნათქვამ – ახსნილს, რომ ემსახურებოდა მხოლოდ საბჭოთა კავშირს, რომ სხვა არაფერი იცოდა და არც არავის სამსახურში არ იყო. მის ჩვენებებს მაინც საეჭვოდ მიიჩნევდნენ. სულიერად განადგურებული ჰასანისთვის უკვე სულერთი გამხდარიყო, სად გადასახლებდნენ, ოღონდ დაუსრულებელ დაკითხვებს ბოლო მოღებოდა. და აი დასრულდა კიდეც ყველაფერი. კოლექტიური განაჩენით, როგორც ხალხის მტერი, იგი გადასახლეს შორეულ ტაიგაში. ნატვრა, სამშობლო და თავისიანები ეხილა, კვლავ აუხდენელ ოცნებად რჩებოდა. ასე რომ ტაიგა იქნებოდა თუ ჯუნგლები, მისთვის არსებითს ალარ წარმოადგენდა.

წერილში, რომელიც მისწერა პეტრეს, თავისი გულისთქმა გაანდო:

სულ ვტირი, რომ გატეხილი ჭიქა ვარ.
 სამშობლოსთან, ხალხთან ერთად არა ვარ,
 რა ხანია, ხოფადან რომ შორსა ვარ!
 თუ არ მიცნობთ, მოდით, მნახეთ, მიცანით,-
 ცალფეხა ვარ –ჰელიმიში ჰასანი,
 და ლაზი ვარ, ლაზი-ქართველი ჭანი.

თავი 20

წითელი კაცის იდეოლოგიას ერთი სამშობლო ჰქონდა, საბჭოთა კავშირი და მხოლოდ ერთის, ბელადის მსახურება. გამომძიებლმა სასწრაფოდ დარტყა ყველა გადასახლებულის მოწმობას ბეჭედი და ჰასანიც გააყოლეს სატვირთო მატარებლის ვაგონს. დღე და ღამეც აერია მგზავრობისას. კუთხეში მიგდებულს, რამდენიმე დღის უძინარს, ღრმად ჩასძინებოდა.

ჯიჯავაძის ქალში ქმრისადმი თანაგრძნობამ გაიღვიძა, ასევე იმ ჰასუხისმგებლობამაც თავი შეახსენა, რაც ევალდებულებოდა ოჯახის შექმნის შემდეგ, როგორც მეუღლეს, როგორც მისი შვილების დედას. ლეილა მიხვდა, რომ ომი წააგო ჰასანთან. მასში, მოულოდნელად, სულ სხვა ქალმა გაიღვიძა და ქმარს, გადასახლებული დეკაბრისტის ცოლივით, რამდენიმე დღეში მიჰყვა უკან. ეს შეიძლება იმანაც გამოიწვია, რომ მესამე შვილს ელოდებოდა და მარტო დარჩენას, ჰასანის გვერდით ყოფნა არჩია. თანაც სიამაყე არ აძლევდა ნებას, ქმარი გაჭირვებში მარტო არ დაეტოვებინა. უფროსი შვილი, ლაზო თავის დას ჩააბარა, თუმცა არ იცოდა, რამდენი ხნით მოუწევდა მასთან განშორება... ჰასანმა რომ ჯიჯავაძის ქალი ტაიგის მიწაზე იხილა შვილ შოთასთან ერთად, ლამის ენა ჩაუვარდა, ვერ აეხსნა, რატომ მიეღო ასეთი გადაწყვეტილება ან უმცროსი შვილის ლაზოს მიტოვება რატომ გარისკა.

ჰასანი წუთითაც არ ჩერდებოდა უსაქმოდ. დასახლებაში უბადლო მენაღის სახელი გაითქვა, ფოტოგრაფობდა კიდეც და ეს ხელობაც ოსტატურად გამოუდიოდა. მისი თვალი წამში უზუსტესად აფიქსირებდა კადრს, მაჩვენებელს იმისას, რომ დროის წინაშე ადამინი უძლურია... თითქმის ყველა გადასახლებული ცდილობდა, მხნედ გამოჩენილიყო, მათ თვალებში კი სულ სხვა რამ იკითხებოდა – დარჩენა უპერსპექტივო აწყმოში. და მაინც იბრძოდნენ განნირულები სიცოცხლისათვის... ჰასანმა სახლის ასაშენებელი მორები მოაზიდინა. ლეილას სიხარული უსაზღვრო იყო. ფიქრობდა დაბინავების შემდეგ, უფროსი შვილიც ჩამოეყვანა. ჰასანს ლეილას ოპტიმისტურ გეგმებზე მნარედ ეღიმებოდა, რადგან სჯეროდა, ოდესლაც მოუწევდა იქაურობის დატოვება, გაუსაძლისში ამდენი წვალება უქმად ჩაუვლიდა. ლაზური საცეხველის უამაგო შრომას აგონებდა თავისი თავგამოდება. მორებიანი სახლი უნდოდა, მშობლიური კოლხური ოდისთვის მიემსგავსებინა. ლაზურ ონჩამურებზე დაწერილი ლექსი თავის უსიხარულო ყოფას მიუძღვნა...

თავი 21

ქალოშვილის დაბადებამ ჰასანს სიცოცხლე გაუხალისა. ვარიას დარქმევა უნდოდა ბავშვისთვის, მაგრამ ცოლმა არა ქნა. ისღა მაკლია შენი საყვარლის სახელი დავუძახო ამ ჩემს ანგელოზსო. ჰასანს გული ატკინა უბირი ქალის სიტყვებმა, მაგრამ იცოდა, მასთან ვერაფერს გააწყობდა. თუმცა ვარიას სიყვარულს მის გულში ვერავინ და ვერაფერი ვერ წაშლიდა.

კეთილი მეზობლების, გოდუბენკოვების ძროხის რძით გამოზარდა ლეილამ ნარიმანი. მძიმე წლები ჩამოდგა. მთელ საბჭოთა კავშირს უჭირდა, რადგანაც მეორე მსოფლიო ომი მძვინვარებდა, ფაშისტებს მსოფლიოს დაპყრობა განეზრახათ. გერმანელები მიიწევდნენ რუსეთის იმპერიის გულისაკენ. ბლოკადირებული ლენინგრადი შიმშილს მოეცვა. ჰასანი მნარედ ფიქრობდა და გან-

იცდიდა ვარიას ბედს. სად იყო ქალი, რომლის სიყვარული აბედ-ნიერებდა ერთ დროს?!.

დროის კალენდარული აღქმაა სწორედ, წამები წუთებად რომ გარდაისახება, წუთები – წლებად და შემდეგ ეს წლები უბრალო ადამიანების საფლავების ქვებზე ამოკანრულ ეპიტაფიებად დარჩება მხოლოდ... დიადი ადამიანების ცხოვრება კი მთელი მატე-ანეა, მთავარია მაქებრად ნიჭიერი კალმოსანი გამოუჩნდეთ, ობი-ექტური, მიუკერძოებელი მწერალი. ავტორი თუ ტენდენციურად ასახავს თავის პერსონაჟებს, ხელოვნური იქნება მისი მონათხრობი და შესაბამისად, არასანდო, უინტერესო. და მაინც, როგორც არ უნდა იყოს, იმ ფაქტს ხომ ვერაფრისდიდებით გავექცევით, რომ უდანაშაულოდ დახვრეტილ მრავალათასებს, საკონცენტრაციო ბანაკებში გამომწყვდეულებს თუ ცეცხლის ალში გახვეულებს, არა ჰყოლიათ სამართლიანი მმართველები, მითუმეტეს, რამდენ წესი-ერსა და თავისი ქვეყნისთვის დამაშვრალს მოუსპეს მომავალი. რადგანაც ერთის ავადმყოფურმა დაუინებამ თუ აკვიატებამ და გაუაზრებელმა ქმედებამ უკან დასწია ცივილიზებული მსოფლიო. ორი ბოროტი ძალიდან ომი ერთმა მოიგო, მაგრამ ვერ გაიმარჯვა...

თავი 22

ჰასანს როცა აცნობეს, 24 საათში დაეტოვებინა ნარიმის ოლქი და როგორც ამინისტრირებულს, სამშობლოში დაბრუნების ნებართვა მიეცა, ერთბაშად ყველას აპატია, ვინც შვიდწლიანი გა-დასახლებისთვის გაიმეტა. იქაური შვიდი წელიწადი ერთი დიდი დაუსრულებელი ზამთარი იყო მისთვის, თუნდაც მორებით აშენ-ებულ მყუდრო სახლში, რუსული ღუმლით გამთბარ კედლებში. ჰასანს მხოლოდ სამშობლოსადმი მიძღვნილი ლექსის სტრიქონე-ბი ათბობდა და ავიწყებდა იმ რეალობას, რომლშიც იმყოფებოდა.

შვიდი წელიწადი ხომ უფროსი შვილო ღაზოც არ ენახა და ახლა მასთან შეხვედრა აფორიაქებდა და აშინებდა. მაინც

სიხარულიანმა განცდამ დაჯაბნა გაუცხოების შიში. დაჯაბნა აგრეთვე თავისუფლების იმედმა. ასეთ წუთებში თითქოს ავი-წყდებოდა კიდეც ის დაკარგული დრო, გადასახლებაში რომ დაჰყო. მონატრებული შეილის და სამშობლოს ხილვა – აი რა ასულდგმულებდა უკვე ჰასანს.

... მთელი ძალით იქნევდა ნიჩბებს წყალში ჰასანი და ცდი-ლობდა ნავი სწრაფად მიეახლოვებინა იქ, სადაც გემი იდგა, მდინარეში, შვიდი წლის შავტუხა ნარიმანს, დათბილული ცომბ-ირული ქუდი ეხურა, ზემოდანაც ღუნდულა თავსაფარი ჰქონდა მტკიდროდ შემოხვეული, მხრებსაც რომ უფარავდა და მხოლოდ ჰანია ცხვირი მოუჩანდა. მარტის სუსხიანი დილა იყო. ყინა-ვდა ისე მწარედ, რომ ლეილას სიცივისაგან ხელები გაშეშე-ბოდა. ვერ ახერხებდა, გახვრეტილი ნავიდან ამოეხაპა წყალი. ჰასანის წინ მჯდომი შოთა ცდილობდა მამას დახმარებოდა. გათოშილი ხელებით ლვრიდა წყალს ნავიდან და სიცივეს არ იმჩნევდა, პირიქით დედას ამხნევებდა, რომ ცოტა მოეთმინა და მალე შეძლებდნენ გასვლას სამშვიდობოს. გემმა საყვირი გამოსცა. სამი საყვირი მის გასვლას იუწყებოდა, ეს იცოდა ჰასანმა და როგორც კი პირველი საყვირის ხმა მისწვდათ, ნიჩბებს ხელი დასტაცა და ცოლს შეშფოთებული ხმით უთხრა: – ორ წუთში მეორე საყვირი იქნება და მომდევნო ორ წუთში კიდევ, მესამე... მხოლოდ ოთხი წუთილა გვრჩება!

ლეილამ უკანასკნელი ძალა მოიკრიბა. პატარა თითქოს მიხვ-და რაღაც საშინელი რომ ხდებოდა, ნორჩი გული ჰკარნახობდა, რამე ეღლონა. მერე დასწვდა მეორე წყლის ამოსახაპავს და დედას მიბაძა, ბავშვური მიამიტობით, გახალისდა კიდეც უფროსებს რომ მიეშველა. ერთიანად გალუმპული ლეილა უკანასკნელი ხმით გაჰყვიროდა და შველას ითხოვდა... ამასობაში მეორე საყ-ვირის ხმა მოედო მდინარეს.

ჰასანი სასონარკვეთამ მოიცვა, მესამე საყვირამდე წამები-ლა რჩებოდა, როცა მან ეს საბედისწერო ხმა გაიგონა, ნიჩბები დაყარა, წამოდგომას შეეცადა, მაგრამ ველარ შეძლო. ლეილამ ხელიც შეაშველა, თუმცა გათოშილ ხელებში ძალა აღარ ჰქონ-

და. ჰასანს ნიჩბების ტრიალით გადაყვლეფილი ხელისგულებიდან სისხლი სდიოდა, საშინელ ტკივილსაც გრძნობდა, მაგრამ უძლებდა, რადგან ნამდვილი განსაცდელის გარდუვალობა უფრო შეუქცევადი გახდებოდა და თუკი გემს ხმას ვერ მიაწვდენდა ამ ცივი მდინარის მდორე დინებაში ჩაიკარგებოდა, ცოლს და შვილებთან ერთად. სადღაც უსასრულობაში ჩაპნეულმა ძალამ ბოლო ბიძგი მისცა ჰასანს და უჩვეულო, ზებუნებრივი ხმა აღმოხდა. ჰასანის თავდაუზოგავი მეტოქეობა გემის საყვირის დასაჯაბნად, გემბანზე მდგომ მგზავრს შეუმჩნეველი არ დარჩენია, შორიახლოს რომ ირწეოდა განწირულთა ნავი და იქიდან შველას ითხოვდნენ... როცა ჰასანმა თვალი გაახილა ექიმი თავს დატრიალებდა. თვალებით მოიძია ცოლი და შვილები, გოგონას ღუნღულა ხელები ეალერსებოდა მამის სახეს...შოთა ბეჭნიერი სახით შეჰქონილ გადარჩენილ მამას.

თავი 24

ჰასანი სულ მალე მიხვდა, რომ ამინისტიით ნაბოძები თავი-სუფლება ბევრს არაფერს ნიშნავდა.

გადასახლებიდან დაბრუნებულს ახარებდა შვილი – ლაზო, შვიდწლიანი განშორების მიუხედავად, საოცარ სითბოს რომ გამოხატავდნენ ნატანჯი მამისადმი. ჰასანი ემადლიერებოდა ცოლისდას, სწორედ მისი დამსახურება იყო ლაზოს კეთილზეობა.

შინ დაბრუნებულმა ლეილამ ისევ იგრძნო ძალაუფლება, ახლა უკვე იმას აყვედრიდა ჰასანს შვიდი წელიწადი გადასახლებაში მასთან ერთად რომ დაკარგა.. ასე რომ ნანატრი თავისუფლება ისევ სატანჯველად გადაექცა ჰასანს. ხოფაში კვლავ ეკრძალებოდა წასვლა. მხოლოდ ისლა დარჩენიდა, ზღვის ნაპირთან მდგარიყო და ხვაშიადი ისევ ლექსის სტრიქონებიდან გადმოეფრქვია:

რაც დრო გადიოდა ჰასანი გრძნობდა ცოლთან ესოდენ გაუცხოებას. ლეილა არ იყო მისი სულის საპირნონე, მას აბ-

სოლიტურად სხვანაირი მამაკაცი მიანიჭებდა ბედნიერებას და არა ჰასანი, რომელიც სულ სხვა ფასეულობებით აღიქვამდა ცხოვრებას. განა ყორანს და ბულბულს შეეძლო ერთად არსებობა? ჰასანი დაღალა ბრბოდ ქცეულმა საზოგადოებამ, რომლიც არ აღიარებდა პიროვნებას, რადგანაც არაფრად ულირდა იგი. ყოველდღიურობა კი მსხვერპლს მოითხოვდა პიროვნებისაგან და ფეხქვეშ თელავდა მის ღირსებას... სულიერი თავშესაფრის ძიებაში იყო ჰასანი. სტრიქონებში დატეულ მწუხარებას ფუნჯი მიახმარა და ზღვის ხატვა წამოიწყო – ზოგჯერ ტკივილისაგან აბობიქრებულის და ზოგჯერაც სიმშვიდისაგან გასარკულის. ტალღები ტილოდან თითქოს ალისფერად იღვრებოდა და ადგილად შეამჩნევდა მნახველი, რომ ზღვაც იწვოდა ჯოჯოხეთის ცეცხლში, როგორც მარტოსული ხელოვანი ყოველდღიურობაში.

თავი 25

პირველი საჯარო სკოლის სამასწავლებლოში სათვალიანი ქალი ფანჯრის რაფაზე შემოწყობილ ქოთნის ყვავილებს წყალს უსხამდა, ისე ფაქიზად და სიფრთხილით აწანწკარებდა წყალს ბოთლიდან, ფოთლებსაც კი არ ასველებდა, მხოლოდ მიწას რწყავდა.

ფანჯრის გასწვრივ, მაგიდასთან იჯდა მკაცრი გარეგნობის ტანსრული მასწავლებელი მოსწავლეთა რვეულებს ამონებდა. პეტრეც ფანჯარასთან იდგა და თვალმოჭუტული მზის სხივებს გასცეკროდა.

პირხმელი მამაკაცი მაგიდის ბოლოში მიმჯდარიყო და გაზეთს ფურცლავდა. მოულოდნელად ჩამოვარდნილი პედაგოგთა ეს იდილია წაშალა მსუქანმა მამაკაცმა, უცბად კარები რომ შემოაღო და მბრძანებლურად დაუგდო სიტყვა თანამშრომლებს, გაკვეთილების შემდეგ დარჩებით, ორშაბათის პედსაბჭო დღესვე ჩატარდება. პეტრე ჭანბას ყოფნა-არყოფნის საკითხია სასწაროდ გადასწყვეტიო.. პეტრემ თვალები ოდნავ გაახილა, ჩაეღიმა

და ისე დახუჭა. ელოდა კიდეც იგი ასეთ შედეგს. გაკვეთილები, ერთი კვირის განმავლობაში, გეგმის გაუთვალისწინებლად რომ ჩაატარა, შეუმნინეველი არ დარჩენილა პიონერთა ხელმძღვანელს, რომელსაც კლასში რამდენიმე მაბეზღარა ჰყავდა, მათ თანაკლასელები ზოიას სმენის აპარატს რომ ეძახდნენ. პედაგოგიზმის საჩივრი სწორედ პიონერთა ხელმძღვანელმა წარადგინა.

პეტრემ კოლეგების შეშფოთებული მზერა თითქოს ვერც შეამჩნია. სათვალიანმა ქალბატონმა უხერხულობისაგან ჩაახველა და მიმართა, პეტრე პავლოვიჩ, იქნებ გაგვარკვიოთ რა ხდება. პეტრეს არც კი შეუხედავს, ისე მიუგო: – ძვირფასო კოლეგავ, ამას შევიტყობთ სულ მალე, პედაგოგიზმე. ზარი დაირეკა, პეტრე სამასწავლებლოდან გავიდა.

თავი 26

ლენინგრადიდან დაბრუნების შემდეგ, პეტრემ მშობლიურ სკოლას დაუბრუნდა ისტორიის მასწავლებლად. დედ-მამის თხოვნას ყური არ უგდო და და არ შეირთო ცოლად მათ მიერ აკვანში დანიშნული ქალი. რადგანაც უსიყვარულო ქორწინება ვერ წარმოედგინა. მის გადაწყვეტილებას ამართლებდა ისიც, რომ დანიშნულიც გამოუტყდა სხვა მიყვარსო. ყოველივე ამის შემდგომ პეტრემ აუკრძალა მშობლებს ოჯახის შექმნაზე წამოეწყოთ მასთან საუბარი.

პედაგოგიზმი დირექტორის კაბინეტში ჩატარდა. გრძელი მაგიდის თავში ისხდნენ პიონერთა ხელმძღვანელი და დირექტორი. მასწავლებლებთან ერთად, კრებას ესწრებოდა პეტრეც.

დირექტორმა სიტყვა მისცა პიონერთა ხემძღვანელს: ზოია იგორევნა, გთხოვთ მოახსენოთ კოლეგებს თქვენი საჩივრის შესახებ.

პიონერთა ხელმძღვანელმა, დაბალმა და შავტუხა ქალმა მჭახე, ომახიანი ხმით დასცხო საყვედურ-საჩივრი. უცხო ადამიანს ნამდვილად გაუკვირდებოდა, საიდან ეძლეოდა მას ასეთი

მამაკაცური და მჭექარე ხმა, მეხის გავარდნას რომ უფრო ჰეგა-
ვდა, ვიდრე ქალის ბაგეთაგან წარმოთქმულს.

– ამხანაგი ჭანბა სცდება ყოველგვარ საზღვრებს, უარყოფს
საბჭოთა სკოლის განათლების მეთოდოლოგიას, ბავშვებს ტვინს
ურევს ისეთი ინფორმაციით, რაც არ შეესაბამება სიმართლეს.
ის აყალბებს ისტორიას, ასევე მშობლები უკმაყოფილებას გა-
მოთქვამენ მასწავლებლის მიმართ. დასტურ წარმოგიდგენთ ორი
მშობლის განცხადებას. მათი სურვილია, სათანადო რეაგირება
მოახდინოს სკოლამ და გატარდეს ჭანბას მიმართ შესაბამისი
ლონისძიება. თუ დირექცია ამას არ გაითვალისწინებს, ბავშვებს
გადაიყვანებენ სხვა სკოლაში და თანაც, იჩივლებენ სამინისტრო-
ში. დირექტორმა, უპრალო ფანქარი ხელში რომ ათამაშებდა,
მოულოდნელად გადატეხა და ნამტვრევები მაგიდაზე დაყარა.
მერე მკაცრად მიაპყრო თვალები პეტრეს და დაელოდა თავს
რითი იმართლებდა..

პეტრე დინჯად წამოდგა, კოლეგებს გადახედა და თქვა: – მე
ისტორიას არ ვაყალბებ, ისტორიის სახელმძღვანელოს მიხედ-
ვით ახსნილი გაკვეთილები კი, სავსებით არ მისცემს მოსწავლეს
სრულყოფილ წარმოდგენას იმ რეალობაზე, რაც მართლა გადაი-
ტანა ჩვენმა ქვეყნამ.

სათვალიანი ქალბატონი, რუსული ლიტერატურის პედაგოგი
ვარვარა ნიკალაევნა დაინტერსდა: – რა გულისხმობთ პეტრე?
რას ასწავლით ბავშვებს ისეთს, რაც სახელმძღვანელოში მც-
დარია?!

– თუნდაც ის რომ, პეტრე დიდის 25 წლიანი მოღვაწეობა
და პეტერბურგის დაარსება გამოიწვია იმ ფაქტორმა, რომ იმ-
პერატორს უნდოდა შექმნა ისეთი ქვეყანა, რომელიც მსგავსი
იქნებოდა ჰოლანდიის. მოსწავლეებს რატომ უნდა დავუმალოთ,
რომ პეტრეს რეფორმები კორუფციასთან ისეთივე მნიშვნელო-
ვანი იყო, როგორც მისი ჯალათური ხასიათი, ხომ უნდა ითქვას
მისი ხასიათის თვისებებზე სიმართლე? ადამიანი იყო, ბოლოს და
ბოლოს, ლირსებასთან ერთად ნაკლიც ხომ ჰქონდა. ის ვერ ეგ-
უებოდა რუსების ცხოვრებას, ველურ, გაუნათლებელ ხალხად მი-

აჩნდა ისინი. პეტრე მიიღტვოდა ევროპული აზროვნებისკენ. მისი ფლოტისადმი სიყვარული გამოხატავდა ესოდენ დიდ სურვილს, შეექმნა რომის მსგავსი მესამე იმპერია და დაედასტურებინა მთელი მსოფლიოსთვის, რომ რუსეთი, სამხედრო სტრატეგიით, უძლეველი სახელმწიფო იყო.

პიონერთა ხელმძღვანელმა აღშფოთება ვერ დამალა: – ხე-დავთ, ამხანაგებო? ასეთი რამ არსად არ წერია ისტორიის წიგნში, ამხანაგ პეტრეს უნდა პეტრე დიდი წარმოგვიდგინოს ჯალა-თად და რაც მთავარია, მისი ნათქვამი ხაზს უსვამს რუსეთის იმპერიის უკულტურობას და უცხოური რეფორმებისკენ ლტოლ-ვას, რომელიც სამშობლოს ღალატის ტოლფასია.

ფიზკულტურის მასწავლებელმა, რომელსაც ცხვირი წითელი ბუშტივით ჰქონდა დაკოსებული გაბიუვინებულ სახეზე, პიო-ნერთა ხელმძღვანელის ნათქვამზე ტაში შემოკრა, დირექტორმა გაავებით გადასხედა და მკაცრად შენიშნა: – თქვენ რა, ვასკა, ოპერაში ხართ თუ სად იმყოფებით?!

მხრებანურული წამოდგა ფიზკულტურის მასწავლებელი და დირექტორს მოუბოდიშა: – მართალი გითხრათ, ვასილიჩ, ზოიას ხმა ბარიტონივით ჩამესმის. წუხანდელი უძინარი ვარ, მოსაწავ-ლები მყავდა შეჯიბრზე, თუ ნებას დამრთავთ წავალ.

– შენი აზრიც გვაინტერესებს? – დაიუინა დირექტორმა.

ფიზკულტურის მასწავლებელმა კეფა მოიფხანა და თქვა: – მართალი გითხრათ, პეტრეს ვერ გავკიცხავ. ჯერ ერთი რომ ის-ტორია მე არ ვიცი, თუმცა იმას კი ვხვდები, ყველაფერზე სიმარ-თლე არ იწერება და თუ ეს კაცი სიმართლეს ასწავლის ბავშვებს, ჩევნ რატომ უნდა დავსაჯოთ?

– იცი, რას გეტყვი, ვერსადაც ვერ წახვალ, რადგანაც კენ-ჭისყრაც უნდა იყოს, – გალიზიანება შეეტყო დირექტორს.

უკმაყოფილო ვასკა დაჯდა.

– ვეთანხმები ვასკას, სიმართლე უნდა ვუთხრათ მოსწავ-ლეებს, რათა თვითონვე შეაფასონ მოვლენები! – თქვა რუსულის პედაგოგმა.

– თქვენ რომ ლენინგრადის შენობებს დააკვირდეთ, ადვილად მიხვდებით, როგორ ფუფუნებაში ცხოვრობდა უნინ ეს ქალაქი. მართალია ომშა ბევრი რამ აღგავა მიწის პირისაგან, მაგრამ რაც დარჩა, მეტყველებს ქალაქის დიდებულებაზე, – დაამატა პეტრემ.

– მერე თქვენც ენაზე ვინ გექაჩიებათ, მოსწავლეებს უთხრათ, რომ ეს ყველაფერი პეტრე პირველმა ევროპის მაგალითიზე შექმნა? – მწყრალად ჩაიძლაპარაკა დირექტორმა.

– მშობლებს რა ვუყოთ, როგორ გავაჩიროთ? – ენას არ აჩერებდა პიონერთა ხელმძღვანელი.

მათემატიკის მასწავლებელმა ისე ჩაურთო სიტყვა პეტრეს სასარგებლოდ, განსახილველ საკითხს კიდეც გასცდა: – მშობლებს რომ ჭკუა პქონდეთ, პეტრეს უნდა ემადლიერებოდნენ. მე სხვა საკითხი უნდა წამოვწიო, რჩევა უნდა მეკითხა მისთვის, როგორ დავამაგრო 45 წუთი ბავშვი მათემატიკის გაკვეთილზე, ისე რომ დააინტერესოს ამ საგანმა?

– ჩვენ აქ სახუმაროდ არ შევკრებილვართ. დღეს უნდა ვუყაროთ კენჭი პეტრეს სკოლაში დატოვების საკითხს. – დასძინა დირექტორმა.

ქიმიის მასწავლებელმაც თავის გასაჭირზე ილაპარაკა, მითუმეტეს, რომ მათემატიკოსმა გატეხა ყამირი: – იცით, მეც მაგ დღეში ვარ, მოსწავლეები ვერ დავაინტერესე ქიმიით. ვფიქრობ, პეტრეს გაუმართლა, პროფესის არჩევის დროს. სიმართლისთვის რატომ უნდა დავსაჯოთ. ოლონდ, სოკრატობა თუ გადაუწყვეტია, აჯობებს საკუთარ სახლში სცადოს, თორემ ყველა მისი გაკვეთილი აქ თუ განვიხილეთ ხოლმე, ვინ დამიმატებს ხელფას იმ საათებზე, რასაც აქ დავკარგავ?

გახანგრძლივებული პედსაბჭო ბოლოს დირექტორმა დაასრულა პეტრესადმი გამაფრთხილებული სიტყვებით, მსგავსი რამ თუ კიდევ განმეორდება, იძულებულს გამხდით, სკოლიდან გაგიშვათო.

– მე, კოლეგებო, უარს ვერ ვიტყვი მასწავლებლობაზე, რადგანაც ამაშია ჩემი ცხოვრების აზრი და აქედან გამომდინარე, როგორ ვასწავლო მოსწავლეს ის, რაც არ მიმაჩნია მართებულად

და რისიც თვითონ არა მწამს. – მოახსენა პეტრემ თანამშრომლებს.

რუსულის მასწავლებელმა აღფრთოვანება ვეღარ დამალა: – დღეს პეტრე ჩემთვის მისაბაძია. მან სტიმული მომცა, პუშკინი მოსწავლეებს ავუხსნა ზუსტად ისე, როგორც სინამდვილე მოითხოვს. პუშკინისთვისაც პეტრე იყო რუსეთის განმანათლებელი და ძლიერი მმართველი, ხოლო ეს სიძლიერე და განათლება პეტრე დიდმა სადაც მიიღო, რატომ არ უნდა ითქვას?! როცა ჩვენი კლასიკოსები განათლებას ევროპაში ღებულობდნენ და შემდგომ ქვეყანას ახმარდნენ ამ ცოდნას, ეს ხომ საყოველთაოდაა ცნობილი. ამხანავო, დირექტორო, თქვენ იმ ორი მშობლის ანონიმური საჩივარი ნუ შეგაშინებთ. უფრო მეტიც, ეგ წერილები მათი დაწერილი არა მგონია. ვიღაც სარგებლობს და შუღლს აღვივებს. არა მგონია, რომელიმე მშობელმა უარი თქვას მისმა შეილმა საფუძვლიანი განათლება რომ მიიღოს. სჯობს ჩვენ-ჩვენი საქმე ვაკეთოთ ხარისხიანად და შედეგიც სასურველი იქნება.

პიონერთა ხელმძღვანელმა დირექტორს გადახედა და ცოტა არ იყოს, მუქარის ტონი გაურია ხმაში: – თქვენ აქ, სკოლაში გყოლიათ პედაგოგები, რომლებიც ენინაალმდეგებიან საბჭოთა განათლების სისტემას!

დირექტორმა ამრეზით გადახედა მას, ხოლო მასწავლებლებს მიმართა, ვუყაროთ კენჭი პეტრეს გათავისუფლებას, რადგანაც არ აპირებს სტრატეგია შეიცვალოსო. ვინ არის მომხრე მისი გათავისუფლებისა, სამწუხაროდ სხვა გზა არ მრჩება, საჩივარზე რეაგირება უნდა მოვახდინომ!

– რომელ საჩივარზე, რომლის ავტორიც უცნობია და გვემალება? რომელსაც გადაუწყვეტია ადამიანს დაუმახინჯოს ცხოვრება და გარიყოს? ნუთუ პეტრე იმსახურებს ჩვენგან, ასეთ მოპყრობას? – აღშფოთება აღარ დამალა რუსულის მასწავლებელმა.

პიონერთა ხელმძღვანელი მაინც არ ცხრებოდა, დირექტორს სახალხოდ აშანტაჯებდა.

ქართულის მასწავლებელი, რომელიც ამდენსანს ჩუმად უგადებდა ყურს კოლეგების დიალოგს, წამოდგა და თქვა: – ყოველ ფეხის ნაბიჯზე გვხვდება დღეს იუდა. და თუ პეტრეს დაითხოვთ სკოლიდან, ბარემ მეც დავწერ განცხადებას და წავალ. აბა რავიცი, კიდევ რა საფრთხეს უნდო ველოდე სიმართლის გამო.

- მეც მოგბაძავ!-თქვა მათემატიკის პედაგოგმა.
- არც მე დავრჩები! – კატეგორიულად განაცხადა რუსულის მასწავლებელმა..

– მე ისედაც ცოტალა მიიკლია პენსიამდე, ჩემს წაუსვლელად ეგებ გადაწყვიტოთ ეს საქმე. – მერე პეტრეს მიუბრუნდა.

– ლირს კი პეტრე, ასეთი აურზაური შენს ნერვებად?! შენ თუ წახვალ, სხვა მოვა და ასწავლის ამ ბავშვებს, ზუსტად ისე, როგორც სახელმძღვანელოშია. ამით არაფერი არ შეიცვლება. ერთი მერცხალი, გაზაფხულს ვერ მოიყვანსო, ხომ გაგიგონია?

დირექტორმა შვებით გადახედა ქიმიის მასწავლებელს, თითქოს გამოსავალს მიაგნო. ასეთი ნათქვამი, მისი აზრით, ნემისმიერი ადამიანის რწმენაში ბზარს გააჩინდა.

ხმათა უმრავლესობით, პეტრე სკოლაში დარჩა.

შინისაკენ მიმავალი გულში ემადლიერებოდა კოლეგებს, რადგან სწორედ მათგან უმრავლესობამ აგრძნობინა, ნებისმიერ გაპრძოლებას სიმართლისათვის, სიკეთე რომ მოაქვს და ერთი მერცხლის ჭიკჭიკიც ნამდვილადაა გაზაფხულის მაუწყებელი.

სახლს რომ მიუახლოვდა, მხოლოდ მაშინდა იგრძნო, როგორ მოშიებოდა. კარი შეაღო თუ არა, გულეინას შეეხმიანა.

ისიც სამზარეულოში ელოდებოდა, კონვერტით ხელში.

პეტრემ სასწრაფოდ ამოილო წერილი და სტრიქონებს თვალი მიადევნა.

„აფხაზო ძმაო, ჩემო ერთგულო მეგობარო, პეტრე!

იმედია კარგად ხარ, შენს ოჯახთან ერთად. დიდი ხანია ვაპირებდი შეგხმიანებოდი, უამრავი წერილი დავწერე იქ, შორეულში, მაგრამ ვერ გამოგიგზავნე მხოლოდ იმიტომ, გადასხლებულ კაცს, უფლება არ მქონდა ჩემი სულის ზრახვანი ვინმეთვის გამეზიარებინა. იქ ყველაფერი კონტროლდებოდა. სივრცეში, სადაც

იძულებით აღმოვჩნდი, ერთი დიდი ილუზია იყო მხოლოდ. ნარი-მაში ლამის დავსახლდი, სახლიც ავიშენე და როდესაც საკუთარ ნაჯაფარში შევხვდი ერთ-ერთ ახალ წელინადს, ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. მამლაყინნაც, რომ შემოსძახებდა გამ-თენისას, ენერგიას მანიჭებდა. მამალს პეტრე დავარქვი, ის იყო ჩემი ალიონის მაცნე... ამასობაში ჩემს დროებით სიმშვიდეს ბედ-ნიერებაც შეემატა, შავტუხა გოგონა შეგვეძინა, ნარიმანი. ლეი-ლამ შეურჩია ეს სახელი, ჩვენი ადგილსამყოფელის ნიშნად. ჩემს ლაზოსთან შვიდ წლიან მონატრებას რაღაცნაირად მიიოლებდა პატარა, ის მოგვევლინა ბოძებული ნუგეშად...

ურიგო ხალხი არ იყო ჩვენს დასახლებაში. ყველას ერთი სუ-ლისკეთება და საოცნებო გვქონდა, მშობლიურ მინაზე ფეხი დაგვებიჯებინა, მონატრებული ახლობლები გვენახა. ომის ქარ-ცე-ცხლი და გაჭირვება გამოიარა ქვეყანამ და ჩვენი იქაური ამბები იმასთან რაღა მოსატანია... მაგრამ ადვილი არ იყო, ხალხის მტრის სახელით სიარული. ნეტა ღვთის მადლი ზეციდან გადმოსულიყო ჩემზე და დავეცავი, რათა განუხორციელებელი იდეოლოგით არ მომწამვლოდა სიცოცხლე და ასე არ დავსჯილიყავი! მაგრამ რაც არის, არის. ყოვლისშემძლე არა ვარ, დრო უკან დავაბრუნო, ჩემო პეტრე. დროში დაკარგული კაცი ვარ და ჩემსავით დაკარგული იყვნენ ის ადამინები, რომლებსაც საზოგადოება სასტიკად მოექ-ცა. გადასახლებულთაგან თითქმის არავინ არ იცოდა, რა დანა-შაული მიუძღვდათ და რატომ აღმოჩნდნენ ნარიმის მინაზე...

ცხოვრება საუკეთესო გაკვეთილი აღმოჩნდა. უთემელად გვესმოდა ერთმანეთის, ერთნაირად ვიყავით დამუხტულნი. და აი დავბრუნდით, ჩვენი ოჯახი, წესით, უნდა გამოლიანებული-ყო, მაგრამ საყვედურებით ამიკლო ცოლმა... რომელიც, ყველა-ფერთან ერთად, უმადურიც აღმოჩნდა, ვერ დაცხრა, თუნდაც ის ბედნიერებაც ვერ შეიშნო, რომ ამდენი ხნის განშორების შემდეგ საღსალამათი შვილი ჩაგვაბარეს. იმდენად დამაუძღურა მარტო-სულობამ აღარაფერი აღარ მახარებს., აი კარგად დაკვირდი ამ სურათს, რომელსაც გიგზავნი, ჩემი თვალები გიკარნახებს, ძმაო, გულით რა გაუსაძლის ტკივილს დავატარებ.

...როცა განთავისუფლება შემატყობინეს და გამოსამგზავრებელ გემთან მიახლოებას თურმე ძირგახვრეტილი ნავით ვაპირებდი, ერთი სიკვდილი მაშინ გავათავე, ვიღუპებოდი, ამდენი წვალების შემდეგ, გაუთვალისწინებელი მიზეზით, თანაც ცოლსა და შვილებთან ერთად მდინარეში ჩავიძირებოდი, უსათუოდ. ძნელია მიუსაფარობის განცდა, როცა უყურებ შენი პატარას ანგელოზებრივ სახეს, მის დამფრთხალ მზერას და იცი, წამებზეა მისი სიცოცხე დამოკიდებული და შენ უსათუოდ რაღაც უნდა მოიმოქმედო... ისევ თავიდან დავიბადე, როცა გემბანზე თვალი გავახილე და ჩემი გოგონა თავისი ღუნდულა ხელებით სახეზე მეალერსებოდა... ასე, რომ ისევ ბათუმში დავბინავდი, ოლონდ სიმშვიდე და მოსვენებ არ მეღირსა, ჩემი პეტრე!

დავიღალე ძმაო, უნდა დავცილდე ლეილას. ჩვენი ერთად ყოფნა აღარ იქნება. მას არასდროს არ ესმოდა ჩემი. ან იქნება ყველაფერი ჩემი ბრალია, თვითონ ვარ უბედურ დღეზე გაჩენილი და არ შემიძლია სხვისი გაბედნიერება?! ზოგჯერ ჩემს თავს ვეკითხები, იქნებ არც გავზრდილვარ, ისევ იმ ყმაწვილ ლაზ ბიჭად დავრჩი, რომელმაც გული ხოფაში დატოვა და თუ ასეცაა, უგულოდ დარჩენილმა ოჯახს სიმშვიდე როგორ მოვუტანო. იკითხავ ალბათ, შვილებს როგორ დათმობო. მათ უპატრონოდ არ მივატოვებ და მამობას გავუწევ, მაგრამ როგორ მინდა, იცოდე, დარჩენილი სიცოცხლე ჩემს სამშობლოში რომ განვვლო... უნდა გითხრა, თუ წერილის მოწერას დააპირებ, თბილისში გამომიგზავნე. აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტში ერთმა კარგმა ადამიანმა, ჯიქიამ შემომთავაზა სამუშაო. ერთ კვირაში გადავბარგდები. ინსტიტუტის მისამართზე მომწერე. დიდი სიყვარულით მოვიკითხავ შენს მშობლებს.

წერილსაც აქ დავასრულებ! ალბათ ღმერთმა ღვიძლი ძმა იმიტომ არ მარგუნა, შენ უნდა შეგხვედროდი, უცილობლად, ამისთვის მამზადებდა ცხოვრება. სულმოუთქმელად დაველოდები შენს პასუხს“.

პეტრე რომ წერილს კითხულობდა, გულეინა ცნობისმოყვარედ ადევნებდა თვალს და დროდადრო სულმოუთქმელნად ეკითხებოდა, რა, ჰავანი? რომ კარგად ვარო... ახლალა გაახსენდა პეტრეს დედა მასთან ერთად რომ იყო ოთახში.

— რა იცი, რომ ჰავანი მწერს? წაიკითხე უკვე?!

— კონვერტზე ეწერა ჰავან ჰელიმიში, სხვა ლაზს არავის ვიცნობ. შენი წერილი კი რატომ უნდა წამეკითხა?!

— ა ჰო... კონვერტზე წერია, არაფერი კარგად ვარო, თბილისში გადადის.

— კარგად თუ არის, ფერი რატომ გეცვალა?

— დავიღალე, უბრალოდ — იცრუა პეტრემ. თუმცა მეგობრის წერილმა მეტად დაამძიმა.

გულინამ ხელი ჩაიქნია: — კარგი არ ჩაგეძიები, რაც არ გინდა იმას მაინც არ მეტყვი. — ჩაილაპარაკა გულდაწყვეტილად.

პეტრეს გაეღიმა დედის ნათქვამზე და უთხრა: — ცოლს სცილდება.

გულინა შემობრუნდა და პეტრეს შემოსწყრა: — მერედა შენ რაღა გაცინებს?

— ალბათ ასეთი იყო მისი ბედი. მაგრამ სამწუხაროა, რომ სამ შვილს მამა მოაკლდებათ.

— გულინა სინანულით დაეთანხმა.

— ჰავანის გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, ალბათ ასეა საჭირო, უსიყვარულო ოჯახში ბავშვებიც იტანჯებიან ხოლმე... გაგიმართლოს უნდა არჩევანში, და როცა კაცის ნათქვამს ვერ გაიგებს ქალი, მის დუმილსაც ვერ ჩაწვდება. ჰავანი ეტყობა ცოლის სიყრუეს ველარ გაუძლო და ამიტომაც უნდა რომ ოჯახი დატოვოს.

— რას ამბობ, აქამდე რომ არ გითქვამს. როგორ ყრუ არის ჰავანის ცოლი? — გაკვირვებულმა შეხედა შვილოს.

პეტრეს მნარედ გაეღიმა დედის ნათქვამზე. — ჰო, თანაც მეტისმეტად ყრუ, დედა!

— ეჲ შვილო კაცს 10 უმაღლესი, რომ ჰქონდეს დამთავრებული ცოლ-ქმრის ამბავს მაინც ვერ გაიგებს, აბა მე ვინ მომცა შნო,

მაგას ჩავწედე.. ერთი კი ვიცი, ჰასანი კარგი ახალგაზრდა და შესაფერისს ქალსაც იმსახურებდა. – მერე კი უცბად გაახსენდა და უთხრა: – პეტრე, შვილო, იქნებ წერილი დადო და ისადილო.

მოშიების მიუხედავად, ჭამის თავი აღარც ჰქონდა და გულინას მოატყუა, რომ ნასადილევი იყო.

– გულინა თავის გაზრდილს მიუხვდა, მეგობრის გამო, უგუნებომამ რომ მოიცვა. აღარ დაუძალებია რომ ეჭამა და უხმოდ გავიდა სამზარეულოდან.

თავი 27

აღმოსავლური ენების კათედრაზე თურქულს კითხულობდა ჰასანი, ჰყავდა ლაზი სტუდენტებიც, სიამოვნებას ჰგვრიდა, მათ ლაზურად რომ ესაუბრებოდა ხოლმე და ობლად დარჩენილი სამშობლოს ისტორიას უყვებოდა. ერთხელაც ერთმა ჰკითხა, თუ რატომ არ მიიჩნევდა საქართველოს თავის სამშობლოდ. ჰასანმა გულწრფელად უპასუხა: – საქართველოს ნაწილია ჭანეთი, მაგრამ ქართველებს დავიწყებიათ ეს და ყოველდღე სჭირდებათ შეხსენება. მესმის მათი, ძალიან კარგად. ისინი ხომ იქ არ დაბადებულან და არ იციან იმ სამოთხის ფასი...მე ვერასდროს ვერ დავივიწყებ, რადგანაც იქ დავიბადე და იქ გავიზარდე, იქაა ჩემი სამშობლო...

ჰასანს დარდის გასაქარვებლად ლექსები აერჩია. მშვიდი და შესაფერისი გარემო ხელს უწყობდა ეხატა კიდეც, სწორედ ასეთ დროს ეძლეოდა სრულყოფილებას. როცა ფერებს დაწრეტდა ტილოზე დიდხანს უყურებდა შეუმშრალ ნახატს და უფრო და უფრო ხვდებოდა, როგორ იმორჩილებდა თავისი ნამუშევარი. ჩამოკიდა კიდეც კედელზე, თავის საწოლთან ახლოს, ნარიმას სახლის სურათი. ცოცხლად იყო გამოსახული მორებიანი კოხტა შენობა, სახურავს საკვამურიც აჩნდა და ამოდენილი ბოლი ნება-ნება მიირწეოდა... კვირაობით ლაზი სტუდენტები აკითხა-ვდნენ ხოლმე, რადგანაც ლაზურ ფოკლორს ასწავლიდა მათ. ყველაზე გაბედულმა მეჰმედმა ერთხელ ჰკითხა: – რატომ აირჩი-

ეთ საწოლთან ახლოს მაინცდამაინც ეს სურათი ჩამოგეკიდათო. მან მშვიდად უპასუხა, მათბობს მისი კვამლიო...

ჰასანს წლებთან ერთად, მოკვეთილი ფეხის ნაიარევი ახსენ-ებდა თავს. ოჯახს სისტემატურად უგზავნიდა ფულს ბათუმში. უნივერსიტატიდან თავისუფალ დროს ხარაზის პატარა სარდაფ-ში ფეხსაცმელებს კიდეც კერავდა და კიდეც გააახლებდა ხოლმე, რათა დამატებითი შემოსავალი გასჩენოდა, სამ შვილს ცოტა რამ ხომ არ ჰყოფნიდა.

თავი 28

მონატრებულო ძმაო, ჰასან!

რომ იცოდე როგორ გამახარე შენი წერილით. მთელი ღამე არ დამძინებია, ფიქრებმა გამიტყუეს. თურმე მეც რამდენი სათქმელი დამგროვებია. შენმა წასვლამ, ჩვენი სახლიდან დარდი დამიტოვა, ამას ისიც დაემატა, რომ ექვს თვეში მამა გარდამეცვალა.

გული აწუხებდა და გვიმალავდა. ბოლოს საავადმყოფოში რომ აღმოჩნდა და ხშირად მასთან ვიყავი, თურმე რამდენი რამე ჰქონია სათქმელი სიტყვაძუნწ მამაჩემს . ყველაფერს, რომ გულში იკლავდა, იმიტომაც დავადდა... თურმე როგორ მყვარებია. მისი საწუხარი ჩემი დაუქორწინებლობა იყო, შვილიშვილი ვერ ვაღირსე. იცი, რას ვფიქრობ ახლა? შვილმა ანგარიში უნდა გაუწიო მშობლების რჩევასა თუ სურვილებს. ნამდვილად ნუგეშია შვილისთვის მათი გახარება დაოჯახებით, რათა სიბერე გაუადვილდეთ. აბა სიყვარული ეს რჩეულთა ხვედრია, შენ შეგიძლია იამაყო, რომ გამოსცადე ეს გრძნობა. მარტო კაცი საბრალოა ამ წუთისოფელში. ახლა მხოლოდ ისლა დამრჩნია – ჩემს მოსწავლეებში გავაღვივო თანად-გომის, მოყვასის ერთგულებისა და სიყვარულის უნარი.



გულინა მამის დანატოვარი სიკეთეა, რომელსაც ვერას-დროს გადავუხდი ამაგს. პატივისცემას იმსახურებს ჩემგან და ყველანაირად ვცდილობ გული არ ვატკინო.

ჰასან ძალიან განვიცადე შენი გადასახლება, ჰაჯიმ რომ ეს მითხრა, დავადანაშაულე, რომ ვერ დაგეხმარა, მაგრამ ახლა ვხვდები თუ როგორი გავლენიანი იყო ის მაბეზლარი არაკაცი, ვინც შენ ხალხის მტერი გინოდა. როგორ აგვიხდა ორივეს შენი ადრინდელი ნათქვამი, დროში დაკარგულები ვართ. მახსოვს, როგორი იმედით გავემგზავრეთ პეტრე დიდის ქალაქში, მაგრამ თავისუფალი ქვეყნის მაგივრად, იმპერიამ მალევე გვაგრძნობინა, სიმუხთლე და და სისასტიკე... თუმცა სამშობლოშიც განდეგილები აღმოვჩნდით. დიახ, ძნელია, ძმაო, მარტოსულობა.

ალბათ დაგაინტერესებს ვარიას ამბავი, ჰაჯიმ მითხრა, სამხედრო პირს გაჲყვა ცოლად და პოლონეთში ცხოვრობს, მისი მშობლები ლენინგრადის ბლოკადაში მოყოლილან, ვარია იმ დროს მამამისს როგორლაც მოსკოვში გაუმგზავრებია მამიდასთან. ჰაჯი ისევ ისეთი პირწავარდნილი კომუნისტია, მოსკოვში ცხოვრობს და კაკაებეში მუშაობს. რუსი ქალი შეირთო ცოლად და ტყუპი ქალიშვილები შეეძინათ, ორთავენი შავტუხა, ჰაჯივით, როცა მოსკოვში ვიყავი მოვინახულე. ჩემი ომში წაუსვლელობის მიზეზი ჰაჯი ყოფილა. მიკვირდა ჯანმრთელ კაცს რატომ მიწუნებდნენ და თურმე მისი ხელშეწყობით ყოფილა ყველაფერი, როცა ეს გავიგე, სიმართლე გითხრა, ვიწყინე კიდეც. რომ მაგრამ ახლანდელი გადასახედიდან, რომ ვფიქრობ სიცოცხლე უფრო ძვირფასია და უფრო მეტად ძვირფასი თუ კარგ საქმეს მოახმარ. ბელადმა თავისი უგუნურობით მიღიონი ადამიინი შესწირა ომს და გადასახლებას, როცა შეიძლებოდა ადამიანური რესურსი სხვაგან დახარჯულიყო. ჩემი ცხოვრების გამართლება და საზრისი, როგორც მასწავლებლისა, ჩემი მოსწავლები არიან. მათთან ყოველდღიურ ურთიერთობა ძალას მმატებს, ამართლებს ჩემს არჩევანს და უფრო მეტად მიყვარს ჩემი პროფესია...

ჩემო სევდიანო ძმაო, ვერაფრით ვერ გეხმარები, რომ დაბრუნდე შენს სამშობლოში და ამიტომაც მტკივა გული. შენს გამოგზავნილ ლექსებში იკითხება მთელი შენი ცხოვრება, ცხოვრება მართალი და წესიერი კაცისა. ბედნიერი კაცი ხარ მაინც, რომ შვილები გეზრდება. იქნებ დადგეს დრო და მათ გააერთიანონ ორ სამშობლოს შორის ჩატეხილი ხიდი...

რაც შეეხება ლეილას, ყველა გათხოვილი ქალი ერთნაირი ხდება, უპირველესად შვილებზე ფიქრობენ. ამიტომ იგი ვერც გაგიიღებდა და ვერც გაგიგებდა, გარკვეული მოსაზრებების გამო. მაინც სამაგალითოა მისი საქციელი. მან ხომ შენი გულისათვის გაბედა და ტაიგაში გამოგვედევნა... მაგრამ შენს ნებისმიერ გადაწყვეტილებას პატივს ვცემ, ჰასან! ძალიან დამეჩაგრე. ნაცვლად ოჯახური სიმყუდროვისა, სტუდენტები გინევს ცხოვრება. მაგრამ ეტყობა, სწორედ მანდ მიაგენი შენს სამოლვანეო ნავთსაყუდელს.

საგულდაგულოდ ვინახავ და ვუფრთხილდები შენს შეგროვილ კენჭებს. როცა სოხუმში მესტუმრები, თვითონვე დაუბრუნე ზღვას...

გელოდები ჰასან!

შენი ერთგული პეტრე!

თავი 29

დილით კარზე კაკუნმა გამოალვიძა. კომენდანტი იყო.

- რომელი ხარ? – იკითხა ჰასანმა.
- ზოია ვარ, დედაშენი ჩამოვიდა!

ჰასანი მოულოდნელობისგან გაშეშდა, ხმა ვერ ამოიღო. მერე ძნელად გადმოჰყო ფეხი საწოლიდან, იმის წარმოდგენაც მოასწორო, როგორ ატკენდა გულს, ასე შეუმზადებელი, დახეიბრებულ შვილს რომ დაინახავდა... მაგრამ კარი გააღო თუ არა თავსაფრიანი მოხუცებულის მზერა შემოეფეთა, გაკვირვებული უყურებდა ორმოცი წლის უნახავ შვილს და გაფაციცებული თვალით ზომავ-

და, რომ ეს ჭალარათმიანი კაცი მისი საყვარელი და უსაშველოდ მონატრებული ჰასანი იყო. აცრემლებულმა დედა ჩაიხუტა...

ზოია უყურებდა მათ და თვალს არ უჯერებდა. მერე უკან, დერფანში გაიქრა, რამდენიმე კარზე დააკაუნა და ხმამალა გამოაცხადა – ჰასანს დედამ ჩამოაკითხაო... მომცრო ოთახი გულ-შემატეკივრებს ვეღარ იტევდა, ყველა ულოცავდა დედა-შვილს ამ ბედნიერ შეხვედრას და ცრემლებს არც მალავდნენ...

ჰავაც აქვითინდა, ჰასანი მიუხვდა, მისი ხეიბრობა რომ ატირებდა. მეზობლები რომ გაიკრიფნენ ლაზურად მიმართა შვილს, ცოლ-შვილი სადა გყავსო?

– ბათუმში ცხოვრობენ დედა და საოჯახო ალბომი გამოუტანა. სამხედრო ფორმაში გამოწყობილი ლაზო, სკამზე მსხდომ ნარიმანსა და შოთას ზემოდან გადმოჰყურებდა.

– მამა როგორ არის? – იკითხა ჰასანმა.

ჰავა კვლავ ატირდა: – ჰელიმი აღარ არის!

გულში თითქოს, რაღაც ჩაუწყდა ჰასანს და დამუნჯდა.

ჰავამ რაღაც უთხრა, მაგრამ ვერ გაიგო, ყელში მოწოლილი ცრემლი ახრჩობდა.

დედამ ხელებით შეანჯლრია დარდისგან გაქვავებული ჰასანი და უთხრა: – რას დამსგავსებიხარ შვილ! ნუთუ ამისთვის გაგზარდე?! ჩემი სიბერე ერთი დიდი გლოვა, ნეტა საერთოდ არ შევწრებოდი შენს ასეთ ყოფას, რატომ მომცილდი და აქ რა გინდოდა?! რატომ წამოხვედი თურქეთიდან?

მას არ შეეძლო დედის კითხვებისთვის პასუხი გაეცა, უცბად საშინელი სიცარიელე და გაუცხოება იგრძნო. ჰასანს უმძიმდა დედასთან ასეთი შეხვედრა...

თავს იმუნათებდა,. რომ ასეთი უმადური შვილი გამოდგა, რომ ცხოვრების ასეთი გზა არჩია. ისევ საკუთარი უსუსურობა მოეძალა. უეცრად თავში ხელები წაიშინა და ხელები არაადამინურად აბლავლდა, თითქოს მასში მხეცმა გაიღვიძა. საბრალო ქალს მხრებში ხელები ჩასჭიდა და საყვედურით ჩასძახა: – დედა რამდენიმე დღით ჩამოხვედი მომკალი! საერთოდ რატომ არ გამომიტირე, აქ რატომლა ჩამოხვედი, რო ჩემი არარაობა უფრო

მეტად მეგრძნო?! ვიცი რომ საძაგელი შვილი ვარ! სიბერე გაგიმნარეთ შენ და მამაჩემს. მისი საფლავის ნახვის ღირსიც არ გამხადა ღმერთმა. ახლა წადი, გაბრუნდი, დამტოვე ჩემს ტკივილთან, სულ რომ მსდევს, რაც ამ მიწაზე დავდგი ფეხი. შენც წადი და დააჯერე შენი თავი, ჰასანი მაშინ მოგიკვდა, როცა დაგტოვათ. შენი ჩამოსვლით მხოლოდ იარები გამიღვიძე და მაგრძნობინე რომ უსახური და არარაობა ვარ. ამოიგმინა მწარედ და საწოლზე დაემხო.

გაქვავებულმა ჰავამ იყო სიტყვა ვერ დაძრა. სად გამქრალიყო ის ლალი, ბავშვივით თბილი და მოსიყვარულე ჰასანი, დროს სულ სხვა ადამიანად ექცია იგი. მერე ფრთხილად მიუახლოვდა მწოლიარეს, თავზე ხელი გადაუსვა და დაუყვავა: – ნუ იზამ შვილო, ნუ გამიმეტებ და ნურც თავს იდანაშაულებ. ალბათ ეს გზა უნდა გაგევლო... მე მაპატიე, ვხედავ, ჩემზე და მამაშენზე უარესი ცხოვრება გამოგიცდია, აბა რა მაქვს დასაჩივლი. იმისთვისაც მადლობელი ვარ უფლისა, რომ შენი თავი მანახა ცოცხალი, ანი თუ წავალ წუთისოფლიდან, ალარ შემეშინდება.

ჰასანს მალამოსავით დაუამა ტკივილები დედის სიტყვებმა. მერე სთხოვა მისთვის ნანე ემლერა.-ისიც ამღერდა მთელი გრძნობით, ამ გრძნობაში დატეულიყო თრმოცნილიანი გაბმული ტკივილი... დედის ნამლერმა გააღო ის მჭიდროდ დახურული კარები, რომელიც ჰასანს გულში გამოეკეტა და არავის არ უხსნიდა. სასოწარკვეთილების. დედის სიმლერამ გაატანა იმ ჭუჭრუტანაში, სადაც ჰასანის სული დავანებულიყო და შეეხო მის სიმებს. ჰასანმა იგრძნო, მარტო რომ ალარ იყო და ისიც ირწმუნა, მის გვერდით ყოველთვის იქნებოდა დედა.

მერე დედისკენ პირი იბრუნა გულში ჩაეკრო... ტირილით შესთხოვა: – კიდევ მიმღერე, დამაძინე დედა, არ დამტოვო, სულ ჩემთან იყავი. მაპატიე, ჩემი უსუსურობა!...

ჰავას მწარედ გაეღიმა და მიუგო: – შენ მაპატიე შვილო, თავიდან რომ ვერ მიგიხვდი, ასე რა გტანჯავდა შენს სამშობლოში.

ეალერსებოდა ჰავა და როგორც ყველა დედას, მასაც დავიწყებოდა ბედკრული შვილის საყვედური!

თავი 30

კარდა ხანი გავიდა, რაც უკანასკნელად ნახა ჰასანმა დედა...
 მისი გამგზავრების შემდეგ უფრო სიტყვაძუნნი გახდა.

შვებას მხოლოდ თავის სტუდენტებთან ჰპოვებდა.

ერთხელ ახმედმა შებედა: – რატომ ხართ ასე დაღვრემილი,
 რამე გაწუხებთ?

ჰასანი გაეხუმრა: – აბა რა გითხრა, ჩემო ახალგაზრდა მეგო-
 ბარო, ეგებ ვკვდები კიდეც და ვაითუ ჩემი ნარიმანი გასათხო-
 ვარი დავტოვო!

– მაგისტრის რატომ სწუხართ, შანსი მომეცით და მე შევირ-
 თავ თქვენს ნარიმანს ცოლად.

ჰასანს გაელიმა და უპასუხა: – ხათრით ცოლის მოყვანა,
 თუ სიყვარული არ იქნება, აბა, სად გაგონილა, შენც რა ჩემს
 მეგობარ პეტრესავით ლაპარაკობ, რომელიც სიბერეში ნანობს,
 მშობლების ხათრით რომ არ დაოჯახდა.

– პეტრე ვინ არის, მე არ ვიცნობ? – ისევ ჩაეძია ახმედი.

– ჩემი აფხაზი ძმა არის, ჩემი გულის მესაიდუმლე და გამა-
 მხნევებელი, რომელსაც ისეთი ვუყვარვარ, როგორიცა ვარ და
 ასევე მიყვარს მეც – უანგაროდ.

– აფხაზი ძმა?! – გაიკირვა ახმედმა.

– რა გაგიკვირდა შვილო, თუ ინდოელ ტარიელს არაბი
 ავთანდილი ჰყავდა მეგობრად, ლაზისა და აფხაზის ძმობა ასე
 რად გეუცხოვა?!

– ხედავთ ამ ოთახში არაფერი არ მაბადია, გარდა ჩემი
 ნახატებისა. აქამდე მოვედი პატიოსნებით და სამშობლოს სიყ-
 ვარულით, რაც არ უნდა ბევრი ქონება შეიძინოთ, გახსოვდეთ,
 რომ იქ ვერაფერს ვერ წაიღებთ, გარდა სიყვარულით გამთბარი
 გულებისა, ამ ზღვას ხომ ხედავთ ჩემს ნახატში, როგორი მწველი
 ფერებით მიხმობს, ეს თილისმა დამაქვს გულით და შიგ შესვლა
 მწადია. ახლა რომ ვკვდებოდე, ზღვის ფსკერს მივეცემოდი, მა-
 გრამ რადგანაც დედაქალაქს ზღვა არ გააჩნია, ამიტომაც, ჩემი
 ანდერძი იქნება, დავიმარხო სარფის საზღვართან, რათა დავი-

ნახო ჩემი ხოფა... ჩემი საფლავი იმ ხიდის სიმბოლო უნდა გახდეს, ორ საქართველოს რომ გააერთიანებს. ...ლაზეთი ჩემი, ჭანი ჩემი, ნანო ჩემი!

სამი სტუდენტი, მომცრო ოთახში, სულგანაბული უსმენდა საყვარელ მასაწავლებელს და იმახსოვრებდნენ მის ანდერძს, რამდენიმე დღეში მართლაც რომ აღსასრულებელი დაურჩათ...

თავი 31

დაკრძალვაზე პეტრე აკვირდებოდა ჰასანის ვაჟებს და რწმუნდებოდა, მართლაც დიდი ადამიანი რომ იყო მისი მეგობარი... როგორ ღირსეულად ეჭირათ თავი შოთასა და ლაზოს, რომლებმაც მამის სიდიადე უფრო მეტად შეიმეცნეს, რადგანაც შეკრებილი ქართველობა გულწრფელი სიყვარულითა და პატივისცემით აცილებდა მათ მამას უკანასკნელ გზაზე. ახალგაზრდა შავგრემანი ქალი ცრემლად იღვრებოდა. ეს იყო ნარიმანი, ვისი დარდიც საფლავში ჩაჰუყა ჰასანს. გულამოსკვნით დასტირდა იგი მამას, გაუთხოვარი ნარიმანისთვის ჰასანის სიკვდილი უფრო მძიმე გადასატანი იყო. რადგანაც ნარიმანს საკუთარი ოჯახი არ ჰქონდა, სადაც თავს შეაფარებდა და კარგი მამის სიკვდილს ქმარ-შვილის სიყვარულს გადაყოლებდა.

ჰასანი მშობლიურმა ხოფამ ვერ დაიტირა...

პეტრე იდგა ზუსტად იმ ადგილს, საიდანაც ჰასანის საფლავი გადმოჰყურებდა ზღვას. მან მოულოდნელად გაიფიქრა, რაც არ უნდა საზღვრები დაუწესონ, ზღვა მაინც უსაზღვროა და ნებისმიერი ადამიანის ნავთსაყუდელი იქნებაო...

მერე გულმი იმეორებდა ქვაომხაზე დაწერილ ჰასანის ლექსებს, გაჰყურებდა კლდიდან მომსკდარ უზარმაზარ ლოდებს, უდრტვინველად რომ განვითარებული უნდა გახდეს ზღვაში. დაუდგა დროც, შეესრულებინა თავისი ლაზი ძმის სურვლი. ჯიბიდან ამოილო და მუჭში მოიქცია ის ფერადი კენჭები, ჰასანმა რომ შეაგროვა და სოხუმში დატოვა; ხელმეორედ ჩამოსვლისას, ისევ

ზღვას დავუბრუნებო...პეტრემ ხელი ღონივრად მოიქნია და კენჭები მოისროლა, თითქოს ტალღაც ამას ელოდაო, ჯერ უკან დაიწია, ძლვენი მიითვალა და მერე კიდეც მზრუნველად გადაეფარა, გულში ჩაიკრა...შავმა ზღვამ ასე განიცადა ჰასანის დაბრუნება.





மற்றுமொரு பாகு





ძურეი

დამნაშავე სული ჩაქოლა ხალხმა, გაასამართლა სასამართლომ, იპროდიუსერა უურნალისტმა. სელფი არ დაჰკლებია, წყველა არ დაჰკლებია, ბოლოს კი გაამართლეს. როგორც წელიწადის დრო, ისე იცვლება ადამინისტრის ბუნება, მხოლოდ მოკლე მეხსიერებას შეუძლია გაიხსენოს აწმყო, რადგანაც წარსული მიიცვალა ახალი სელფით. დროს მივყავართ ახალ ობიექტებთან და არა იდეალებთან. იდეალი პიარმა ჩაანაცვლა, სიყვარული – ბოროტებამ, უდანაშაულო – დამნაშავემ ამ აურზაურში ერთი ლეგნდა მაგონდება დამნაშავე სულზე, როგორ გაასამართლა ერთმა სოფელმა უდანაშაულო.

ერთ მივიწყებულ სოფელ მიკლუხაში, სადაც ყრუ ადამიანები ცხოვრობენ, განუწყვეტლივ ღიღინებულ ფრაზას, რომელიც დედამ შეასწავლა სხეულის მოძრაობით: ხელი შუბლთან, შემდეგ გულთან, შემდეგ ჯვარედინი ხელების ფრენით, რაც ნიშნავდა „შვილი საფიქრალი, დარდით ამოსული, თავისუფლებისკენ იწევს გალურსმული“. მოხუცი მიკლუხელების ეს ჰიტი ჰიმნად აქცია სოფლის მოსახლეობამ.

ამ სოფელს თავისი სასამართლო აქვს ყოველ ორშაბათს სალოცავში. ეკლესიის შენობას მხოლოდ ორშაბათობით სასულიერო მსახურები აქირავებენ საერო მართლმსაჯულებისთვის.

მაღალი მიკლუხო კაცები კოჭებამდე გრძელი რუხი კაბებით დადიან ორშაბათობით სალოცავში, სადაც ასამართლებენ დამნაშავე სულს. მიკლუხოებს მხოლოდ აქ რთავენ ყურის აპარატის გაკეთების ნებას, რათა სასმენი აპარატით გაუადვილდეთ მართმსაჯულებასთან დაახლოება. სალოცავში მოსვლის მიზანია, მოისმინონ დამნაშავე სულის საქმის სასამართლო განხილვა. სასამართლოს ჰყავს მოსამართლე, რომელიც შიშველი ხის ქოშით შემომჯდარა მაღალ იარუსზე და რომელსაც უკეთია სასმენი

აპარატი, მიუხედავად მისი სიშიშვლისა, მაინც ვერ გაიგებ მოსამართლის სქესს.

სხდომის მდივანი დგება ფეხზე და ამბობს:

– დამნაშავე შემოდის. გთხოვთ, ფეხზე ადგეთ!

რატომ უნდა ადგნენ ფეხზე, როცა განსასჯელი შემოჰყავთ და რატომ ეძახიან განსასჯელს დამნაშავეს?! ყოლისფერი უკუღმააო, ფიქრობს სასამართლო პროცესზე მჯდარი მოწვეული საერთაშორისო სტუმარი. საერთაშორისო სტუმრის წარმომავლობა კონფიდენციალურია. სტუმარს ყურზე მიმაგრებული აქვს სათარგმნი აპარატი. სასამართლოს ჰყავს მანდატური – წესრიგის დამცველი მამაკაცები ანაფორაში.

სალოცავში შემოჰყავთ მამაკაცი გრძელი თმით და ქურქით.

მდივანი ეკითხება განსასჯელს:

– თქვენი ვინაობა?

რადგანაც აქ გვარი არავის აქვს, განსასჯელი ამბობს სახელს:

– კვეთი 13.

მდივანი: რატომ კვეთი ?

განსასჯელი: მამასიტამ დამარქვა. როცა ყველი ამოჰყავდა კვეთით, მაშინ მოვევლინე ქვეყანას.

მდივანი: მე-13 ვაგონის საკანში ხართ?

განსასჯელი: კი.

მდივანი: კვეთი, რამდენჯერ იჯექი ამ ვაგონში?

განსასჯელი: 5-ჯერ.

მდივანი: და რატომ იჯექი?

განსასჯელი: ქურდობის გამო.

მდივანი: და რა მოიპარე? სხვას – ფული, საკუთარ თავს – დრო?

მანდატური: არღვევთ უდანაშაულობის პრეზუმფციას.

მდივანი: კვეთი, სულიერი მოძღვარი გყავს?

განსასჯელი: კი, მყავდა.

მდივანი: რა არის შენი ნათლობის სახელი?

განსასჯელი: იდეა.

მდივანი: რატომ იდეა?

განსასჯელი: მოძღვარმა ამიხსნა, რომ ყველა საგანი იდეით იქმნება, შენ კვეთი ხარ და ყველი გააკეთო.

საერთაშორისო სტუმრის ტაში... დარბაზის ცივი გამოხედვა...

მანდატურის შენიშვნა: ხელები გააჩერეთ! ხელებს რატომ ურტყამთ?!

სტუმრის პასუხი: მოძღვრის მიერ იდეის ახსნა მომენტი.

მანდატური: ასეთ შემთხვევაში თავში უნდა წამოარტყათ გვერდით მჯდომს, რომ იგრძნოს როგორ მოგეწონათ.

საერთაშორისო სტუმარმა ჩაიბურდუნა: ახლა ამას ვა-თეთქვინო თავი?! რა ძალა მედგა, ვერ გავჩერდი?!

სტუმარი კიდისკენ მიიწია; შიშობს სტუმარი, გვერდით ჯდომს რომ რაღაც არ მოეწონოს, დარტყმის მსხვერპლი არ გახდეს.

- შემოიყვანეთ დაზარალებული! - გასძახებს მდივანი მან-დატურს.

შემოჰყავთ ფუმფულა კაცი პატარა საცვლით.

- დედა, ეს რა ნახა ჩემმა თვალმა?! - ფიქრობს და ადგილ-ზე ცქმუტავს საერთაშორისო სტუმარი - რავა გადმოუყრია ამ მიწადასაყრელს ყოლისფერი...

მდივანი ეკითხება ვინაობას.

დაზარალებული: ქურქი 5.

მდივანი: რატომ ქურქი?

დაზარალებული: დედამ გამაჩინა და დამტოვა. სად გამაჩინა, არ ვიცი. სანამ ქურქის ბაზარს გავხსნიდი, 8 ვიყავი.

მდივანი: რატომ რვა?

დაზარალებული: ბავშვთა სახლში ვიზრდებოდი და მერვე იყო ჩემი ლოგინი, კარადასაც და ჭურჭელსაც 8 ეწერა. ქურქის გაყ-იდვა რომ დავიწყე, გავხდი ქურქი.

ისმის ხის ქოშის იატაკზე ბაკუნი... მოსამართლის ეს შენიშვნა აუწყებს მდივანს, გადავიდეს მთავარ საკითხზე. მდივანიც ით-ვალისწინებს შენიშვნას და ეკიხება:

- იცნობთ დამნაშავე სულს?

დაზარალებული: (პაუზა) ... არა, მე ჩემს ქურქს ვიცნობ; მას აცვია.

მდივანი: გინდათ, დაიბრუნოთ ქურქი?

დაზარალებული: კი.

მდივანი განმარტავს: თითო – თითო კითხვის დასმის უფლება ეძლევათ დაზარებულს, მოსამართლესა და საზოგადოებიდან წარმოდგენილ ადამიანს.

მდივანი დაზარალებულს მიმართავს: შეგიძლიათ კითხვა დაუსვათ დამნაშავე სულს. დაზარალებული: გაიხსენე, კვეთი, შენი ცხოვრების ბედნიერი დღე და მომახსენე, რატომ იყო ბედნიერი.

კვეთი დუმს 3... 6... 8 წუთი. მოსამართლე ფეხებს აბაკუნებს იატაკზე შენიშვნის მიზნით.

– აცალე ელანძე! – წარმოიძახებს საერთაშორისო სტუმარი. მისი წარმოძახილი მოსამართლეს არ ესმის.

მანდატური: თუ ასე გააგრძელებთ, აქედან გაგაძევებთ! – მიმართავს მკაცრი გამომეტყველებით საერთაშორისო სტუმარს.

კვეთი თითქოს გამოფხიზლდა, იწყებს პასუხის გაცემას:

– ეს ამბავი 14 წლის წინ მოხდა პატარა ოლქ უკრიკაში, სადაც სასჯელს ვიხდიდი; პეკინთან ომი ახალი დასრულებული იყო ზავით. სამედიცინო შემოწმებას გავდიოდი, კლინიკის დირექტორი შემოვიდა ოთახში. ექიმი მოიკითხა, რომელმაც უპასუხა, ძიძა არ მოსულა სახლში, მილიციაში განვაცხადე და რა ვენა, არ ვიცი, ძიძას ვეძებო. მეც წამოვდექი საწოლიდან და როგორც კი დამინახა, მოვეწონე. ჩემი ჯანმრთელობის ისტორიაც შეათვალიერა და შემომთავაზა მისი შვილისთვის მომევლო. ცოტათი გამიკვირდა, რადგანაც დირექტორმა იცოდა, იმ დღის გამოსული ვიყავი ციხიდან. მეც გამიხარდა სამსახურის შოვნა; ჩემებთან მისვლამდე ღამის გასათევი მექნებოდა, სიტუაციას შევისწავლიდი ოლქში, თბილ სამოსსაც შევიძენდი, რადგანაც ზამთრის სუსხი ძვალ-რბილში საშინლად ატანდა. მაშინ ჩემთვის მთავარი იყო, გასათევი მქონოდა და სამართალდამცავებს სცოდნოდათ, რომ დავსაქმდი.

ორ ოთახში ცხოვრობდა 2 წლის ბიჭუნა დედასთან ერთად. დედა ხელმოკლედ ცხოვრობდა შვილთან ერთად, ჰოსპიტალში

დაღამებამდე მუშაობდა. ძალიან ალალი ქალი იყო ჩემი სამსახურის უფროსი, მაგრამ მისი მოტყუება არც მიფიქრია. ბავშვს საკუთარი შეიძლივით შევერწიე. გასამრჯელოს რასაც მაძლევდა, ბაზრობაზე გავრბოდი და ბავშვისთვის სათამაშოს და კანფეტებს ვყიდულობდი, ხოლო დარჩენილი ფულით – პროდუქტს, რადგანაც დიასახლისს ძალიან უჭირდა. ისეთი ძიძა აღმოვჩნდი, ოთახს პრიალი გაჰქონდა.

ბავშვი შემიყვარდა და შემიყვარდა ოჯახური გარემო. ოჯახი მე არ მქონია, რაც თავი მახსოვს, მამა რკინიგზაზე მუშაობდა და ყოველ ღამე მეგობრები მოჰყავდა ერთოთახიან ბინაში, სადაც თამბაქოს კვამლში ადამიანების გამოსახულება ჩანდა მხოლოდ. დედა თუ ეტყოდა, აქ ბავშვმა უნდა დაიძინოს, მაგარ მუჯლუგანს უთავაზებდა. ქალი სიმწრისგან ხმას ვერ იღებდა.

დედა ჭლექით გარდაიცვალა, 10 წლის რომ ვიყავი. მამამ ქვრივი ქალი შეირთო ცოლად დედის გარდაცვალებიდან ექვს თვეში და მასთან გადავიდა საცხოვრებლად. მეც წამიყვანეს მოჯამაგირედ და ჩვენი ერთოთახიანი ბინა გააქირავეს. ქვრივ დედინაცვალს სამი შვილი ჰყავდა. რაც მათ მორჩებოდათ, იმითი გამქონდა თავი. დედინაცვლის შვილები ისე მიყურებდნენ, როგორც მოსამსახურეს. მე მათვის თანასწორი არ ვიყავი. ახლაც მახსოვს მათი წუნუნი. დედინაცვლის წრიპინა უმაღლერი ხმა და მამის ლოთი წითელი დასივებული სახე. მამა მხოლოდ სიმთვრალეში იმუქრებოდა, სიფხიზლეში კი დამნაშავე ბავშვივით მაგიდის კუთხეში ჩამოჯდებოდა. დედინაცვალი დროს იხელთებდა მამის სიფხიზლითა და უსუსურობით და ყვავივით დასჩავლებდა. დედინაცვალი მწარე ცხოვრების გზავნილს, ყოველი გაჭირვების მიზეზს მამაში ხედავდა. მამა გაყინული თვალებით უსასრულობაში იძირებოდა. ყოველთვის მაინტერესებდა, თუ რა იყო იმ დროს მისი ფიქრის საგანი. დედინაცვალიც რაღაც დოზით მეცოდებოდა.

ექიმის სახლში ვიგრძენი, რომ ვიყავი ოჯახის წევრი, რომელსაც ანგარიშს უწევდნენ და ხმის უფლება ჰქონდა. ბავშვი ხშირად ავადმყოფობდა და ეს ძალიან მანერვიულებდა. მიყვარდა საკუ-

თარი შვილივით, დედამისი კი – დასავით. დიასახლისი უბრალო და უკეთილშობილესი ადამიანი იყო. ჩემშიც გადნა ყინული ადა-მიანთა მიმართ უნდობლობისა. დიასახლისი ხშირად მეტყოდა, თქვენ რომ არ შემხვედროდით, ალბათ, ვერც ვიმუშავებდიო. არასდროს მიკითხავს მისთვის ბავშვის მამის ამბავი. ვფიქრობ-დი, თუ საჭიროდ ჩათვლიდა, თვითონ მიამბობდა.

ყველაფერს თავისი დასასრული აქვს, დასრულდა ჩემი ბედ-ნიერი დღეებიც: ბოლოს 32 წლის დიასახლისი გათხოვდა სამხე-დორ პირზე. დავინახე ოჯახი სრული შემადგენლობით. ჩავთვალე, რომ მათ აღარ ვჭირდებოდი; ბიჭუნას მამაც ჰყავდა, ბაღშიც შეი-ყვანდნენ. ლამით დიასახლისს წერილით გამოვეთხოვე და გათხ-ებამდე დავტოვე ოლქი. წერილში მადლობას ვუხდიდი, რომ ჩემში გააღვიძა ადამიანი. მენდო. მიუხედავად ჩემი კრიმინალური წარ-სულისა, მაინც მიმიღო. მის ნდობასა და გაჭირვებას ერთგულე-ბა დავუხვედრე. როცა დავინახე, დიასახლისი ბედნიერი იყო, წამოვედი. ის ორი წელი საკუთარ თავზე არც მიფიქრია, სულ ბავშვსა და დედაზე ვფიქრობდი, რადგანაც პირველად ის მენდო, ეს ჩემში ჩემთვის აქამდე უცნობ გრძნობას ამჟღავნებდა, მისი თვალით დანახულს. მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს, მით უმეტეს, როცა წარსული თავს უხეშად გახსენებს. დავუბრუნდი კრიმინალურ ცხოვრებას. (დარბაზი განაბული უსმენს, საერ-თაშორისო სტუმრის თვალზე რაღაც ელავს)

მანდატური მოსამართლეს თავის დაკვრით ანიშნებს კითხვის დასმის რიგითობას.

მოსამართლე დარბაზს გადახედავს და განსასჯელს ეკითხე-ბა: ავასრულებ შენს ნებისმიერ სურვილს, გარდა განაჩენისა. რას ინატრებდი?

განსასჯელი: ბიჭუნას ნახვას, ვიცი ახლა 18 წლისაა. მინ-და, ვიცოდე, როგორ არიან, სად არიან და რას შვრებიან. ვიცი, უკრიკას ოლქში უკვე 10 წელია, აღარ ცხოვრობენ. შემთხვევითი მგზავრისგან შევიტყვე, რომელიც იმ ოლქის მკვიდრია.

– შემდეგი შეკითხვა! – დარბაზს მიმართავს მანდატური.

დარბაზიდან დგება ერთი კაბიანი კაცი და ასახელებს კითხვის დამსმელ წარმომადგენელს: საერთაშორისო სტუმარი დაუსვამს კითხვას.

სტუმარი დგება, წითლდება, ყელში რაღაც ეჩეირება და ცრემლით დამბალი ხმის იოგებიდან წარმოთქვამს სველ სიტყვებს:

– ნენა!.. ნენა!..

მანდატური აძლევს შენიშვნას:

– ნენა არა, კვეთი ჰქვია.

სტუმარი: ნენა!..

კვეთის ხმა შეაჩერებს:

– ხმის ინტონაციით მიგიხვდით ქალბატონო... ნენა, ალბათ, დედა... დედამშობელი...

თითქოს სითბომ დაისადგურა კვეთის თვალებში.

– მიგიხვდით, ჩემს ენაზე მამასიტა, თქვენს ენაზე – ნენა, ნენა. ტკბილი ხმით არის ეს ბგერები წარმოთქმული, რაც ამ სიტყვას სჩვევია.

სტუმარი: ნენა, ახლა რომ დაგაბრუნოთ იმ ოჯახში, შეძლებ ადამიანობას და არ გამეიხდავ შენი საქმისკენ?

განსასჯელი: ის წლები იმითი იყო ბედნიერი, ისინი მენდობოდნენ. იმ ურთიერთობის კოპირებას ახლა ვერ შევძლებ, რადგანაც ცხოვრებისგან ისე გავიღახე, ისე დავიღალე... და რომც შევძლო, ვინ დამიჯერებს?!

მე ბევრი მითიქრია, თუ შევძლებდი ადამიანურ ცხოვრებას და თუ ვიცხოვრებდი ჩემთვის პატიოსნად. მე შევძლებდი, არ მომეპარა, მაგრამ თქვენ არ მაპატიებდით წარსულს, ყოველთვის შემახსენებდით. ადამიანებს მოკლე მახსოვრობა გაქვთ საკუთარი პირობისთვის, მაგრამ ხანგძლივი – სხვისი ცოდვის შესახსენებლად. მე ვარ ბედნიერი მათთან გატარებული წლეებით, რომელიც გამყვება სიკვდილამდე და რომელიც შემახსენებს ჩემი არსებობის აზრს – სიკეთეს. მადლობელი ვარ უფლის ამ წუთების მოცემისთვის. არც ერთი დამნაშავე სული არ ეყოლებოდა მიკლუხას, რომ ყველა ბავშვს ჰქონოდა ოჯახში სიყვარული. ყველა დამანაშავე სულს მე-13 ვაგონში სვამენ, მაგრამ მე არ ვარ

იუდა. მე კვეთი ვარ, რაღაცის იდეა, რომელიც სახელში დარჩა მხოლოდ და არ დასცალდა განხორციელება. მხოლოდ ერთი მჯერა: იმ ხატისა, ამ კედლებში რომ არის დაპრძანებული. იქ არის სამართალი და არა აქ, ამ ეკლესის კედლებში. ჩვენ არა თუ სხვადასხვა ენაზე მოსაუბრე ადამიანები ვართ, ჩვენი სულებიც განსხვავებულ პასუხს აძლევენ სიტყვას, რომელიც ამქვეყნიური ყველაზე დიდი ძალა არის. ყველა თავის სიმართლეს ატარებს, როცა ჭეშმარიტება მხოლოდ ერთია.

დამნაშავე სული ასრულებს და ჯდება განსასჯელის სკამზე .

სხდომის მდივანი დგება და ამბობს:

– განაჩენის დროა!

მოსამართლე აცხადებს:

– კვეთის დამაჯერებლობამ ვერ გადაფარა მისი ხუთგზისი ნასამართლობა და დამნაშავე სული უნდა დაისაჯოს დანაშაულის გამო! დაუყოვნებლივ დაზარალებულს გადაეცეს ქურქი და განსასჯელის თხოვნა შესრულდეს! მოიძებნოს 18 წლის უცნობი და მიეცეს განსასჯელთან შეხვედრის საშუალება!

მოსამართლემ ხის ქოში ძლიერად დარტყა იატაკზე სამჯერ; სასამართლო სხდომის დასრულებულია.

მანდატური განსასჯელს ქურქს ხდის და გადასცემს დაზარალებულს.

განსასჯელი დგება, ირგვლივ მიმოიხედავს და დალონებული ჩურჩულით ამბობს:

– მე არ მომიპარავს, დაზარალებულს მართებს ჩემი.

განსასჯელის ხმა არავის ესმის. კვეთი ექებს თვალებით ხატს და შველას სთხოვს. კვეთმა დიდი ხნის ძებნის შემდეგ თვალებით მიაგნო ჭერთან ახლოს მოხატულ მარიამს, რომელსაც ეკლესიაში შემომავალი მზის შუქი ეცემოდა ბაგებზე, იესოს ნაცვლად კვეთი ეკავა მარიამს.

მარიამი ღიმილით გადმოჰყურებს კვეთს და ტუჩებს ამოძრავებს, მხოლოდ კვეთს ესმის მისი ბგერების: “ნუ გეშინია... ეს არ არის სასამართლო!”. დანაშავე სული გაოცებული აკვირდება ხატს; აინტერესებს, მართლა დაინახა თუ არა, სრულიად დარ-

წმუნებული არ არის. გვერდით მოხედავს, აინტერესებს, სხვამ თუ დაინახა, მაგრამ ამაოდ, მის გვერდით არავინ ზის.

განსასჯელი მანდატურის შენიშვნაზე ჯდება მიკუთვნებულ სკამზე და ერთი სული აქვს, ვინმეს აუნყოს მოლაპარაკე ხატის შესახებ.

მანდატური კედლიდან ალამს ხსნის და ძირს უშვებს. წინ სხ-დომის მდივანი გადის, უკან -მოსამართლე, ბოლოს გაჰყავთ დამ-ნაშავე სული. მიკლუხოლებიც გადიან. საერთაშორისო სტუმარი დაზარალებულთან მიდის და ეკითხება:

- დედაშვილობას, გულწრფელად მითხარი, მართლა მოგპა-რა?

დაზარალებული: მე ბინის დერეფანში დავიბადე. არ ვიცი, ვინ იყვნენ ჩემი მშობლები. ცუდი მშობლების ჰყოლას, სულ არ იცნობდე მათ, სჯობია. კვეთი მე მჯობია, რადგანაც მას ჰქონ-და ბედნიერი წუთები ცხოვრებაში, მე კი არ მქონია. მე მთელი ცხოვრება დერეფანში დავრჩი ჩემი ქურქებით და არ მქონდა სურვილი სხვა ოთახში გასვლისა. ჩემი სული მოკლა სიხარბემ. მე შემეძლო, არ ამომეცნო კვეთი. ის მე მოპარული ქურქებით მამარაგებდა, ბოლოს თანხა მქონდა მისთვის მისაცემი და ამ გზით მოვიცილე.

სტუმარს სახის გამომეტყველება წამიერად შეეცვალა. ყურ-სასმენი სათარგმნი აპარატი შეასწორა, ფიქრობდა, ალბათ, არას-წორად ითარგმნაო.

დაზარალებული: რას მომჩერებიხარ! რა, ქურდი არ არის?! მე ვიცავ კანონს, მე ვიხდი გადასახადს. ცნობისმოყვარეობამ არ მომასვენა, ის შეკითხვაც იმიტომ დაუსვი და მისმა პასუხ-მა შური აღმიძრა, რადგანაც სამი დღით ადრე ის უკრიკელი 18 წლის ბიჭუნა და დედამისი მოვიდნენ ჩემთან და მთხოვეს, კვე-თი არ ამომეცნო, მაგრამ მაინც ამოვიცანი. მე შემშურდა იმისი, რომ კვეთი მე მჯობდა, რადგანაც ვიღაცამ შეძლო მისი სიყვარ-ული. მე ვარ დამნაშავე სული, რადგანაც კვეთს დრო მოვპარე, მას სიბერეში ოჯახთან ყოფნის შესაძლებლობა არ მივეცი. კან-ონს ტრუსით გამოჰყავს დაზარალებული, რომ მძაფრად ჩანდეს

დაზარალებულის უმწეობა. თორემ მე ქურქის და ქონების მეტი რა მაქვს! მთელი ცხოვრება ქონებას ვიხვეჭდი, რომ ჩემს მშობლებს გაეგოთ, თუ როგორ ადამიანზე თქვეს უარი, მაგრამ ამაოდ; ვერც მშობლები ვიპოვე და ვერც საკუთარი თავი. მოვკვდები იქ, სადაც დავიბადე, დერეფანში, უპატრონოდ.

საერთაშორისო სტუმარი: ვაიმე, ნენა, რამხელა ცოდვაში ჩავარდნილხარ! ერთი ის მითხარი, შენს გაზრდას, წელი რატომ არ თქვა მოსამართლემ?

დაზარალებული: აზრი არ ჰქონდა; ჯერ ბოლომდე არავის მოუხდია სასჯელი, შეწყალება შეეხება, ან, კიდევ 2 წელი თუ გავიდა, უდო.

საერთაშორისო სტუმარი: აქ მყოფი დამსწრები სამლოცველოში რატომ იკეთებენ ყურსასმენს და გარეთ რატომ არიან ყრუები? გარეთაც გამოიყენონ ეს აპარატი.

დაზარალებული: მაგათ რომ ესმოდეთ გარეთ, ერთმანეთს დახოცავდნენ კამათში. ასე მხოლოდ მოძრავ კადრებს ხედავენ და ენით აფასებენ, სხვისი აზრი არ აინტერესებთ, რადგანაც სმენის გარეშე მშვენიერი ორატორები არიან.

საერთაშორისო სტუმარი: აბ, ა აქ რომ ესმოდათ, რატომ არ დახოცეს ერთმანეთი?

დაზარალებული: აქ მანდატურები არიან და თავი მორწმუნებაად მოაქვთ.

სტუმარი: არც ადვოკატი და არც პროკურორი არ ჰყოლია სასამართლოს. რატომ? დაზარალებული: წერილობითი მტკიცებულებები წარდგენილი აქვს ადვოკატსაც და პროკურორსაც 6 თვით ადრე. ისინი მხოლოდ ერთმანეთს ეჯიბრებიან და მათი კეკლუცობისთვის არ სცალია სასამართლოს..

საერთაშორისო სტუმარი: მანდატურებად რატომ იყვნენ მღვდლები?

დაზარალებული: საჭიროა, ალბათ, და იმიტომ!

საერთაშორისო სტუმარი: აბა, ეს სასამრთლო წარმოდგენა იყო ნენა?!

დაზარალებული: ... უბრალოდ საზოგადოების ჩართულობა, სოფელში მართლმსაჯულება და საზოგადოების გაფრთხილება, რომ სახელმწიფო დაუნდობელი იქნება ყველა კრიმინალის მიმართ.

სტუმარი: ალმის დაშვება რას ნიშნავდა?

დაზარალებული: ალამი სახელმწიფოს სიმბოლოა, დაშვებული ალამი – ადამიანის ბედი. ამ დროს დამნაშავე სულთან ერთად სახელმწიფოც ზარალდება.

სტუმარი: ფიცი? ფიცი რატომ არ ჰქონდა სასამართლოს?

დაზარალებული: ფიცი? (ეცინება) სანახაობაა მხოლოდ, რომელიც ამოიღეს კანონიდან. ამდენ კითხვას რომ მისვამთ, ერთი მეც გვითხავთ: თქვენ როგორ გააშუქებთ ამ ამბავს, აქედან რომ გახვალთ? ჩემს აღიარებას მაინც არავინ დაგიჯერებთ და ტყუილად თავი არ შეინუხოთ, რადგანაც სასამართლო განაჩენი ჭეშმარიტებაა ამ კედლებში გამოცხადებული და არ საჩივრდება.

საერთაშორისო სტუმარი: მე, ნენა, არ იდარდო მაგაზე, ჯერ სოფელს ჩოუტან კვეთის ამბავს, ქურქი რომ გახადეთ ამ ზამთარში საცოდავს, იქნებ ჩემებმა მატყლის პერანგი და ნინდა მოუქსოვონ, საკალანდეთ ლორს და ჯანჯუხებსაც გამოუგზავნი. დანარჩენს, აბა, აი ჩემი გურული პირი რომ მოაღებს დუნიაზე, მაგასაც დაგაჯერებ უსიკვდილოდ! საერთაშორისო ასპარეზე გამოგაჭენებთ, რა აბდლური სამართალიც გაქვთ. ერთი ალამის დაშვება მომენტისა მარტო და ჩემი გაუბედურებული კვეთი. წევედი ახლა, გავასწარი ამ კაბიან კაცებს და შენ მიხედე შენ დაწენილ ქურქებს, შენ საცოდავო კორიდორა, რა ცოდვაში ჩაგიდგინა ფეხი.

დაზრალებული გაოცებული გამომეტყველებით უსმენდა საერთაშორისო სტუმრის ვერდიქტს.

საერთაშორისო სტუმარი სწრაფი ნაბიჯებით უკან მიდიოდა და წინ მიაცილებდა კაბიანი ყრუ კაცების ღილინი „შვილი, საფიქრალი, დარდით ამოსული, თავისუფლებისკენ იწევს გალურსმული.“



ტიტანები

ასი წლის ხესთან, ქალბატონ აგნესა ტიტანენასთან, შეკრებილიყვნენ არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, პოლიციელები, უურნალისტები – ყველა ის ადამიანი, რომელიც სეირისთვის, სენასაციისთვის, პოლიტიკური ქულებისთვის იყო მოსული. კამათობდნენ, ყვიროდნენ, ცდილობდნენ მომუშავე ტრაქტორის შეჩერებას. უურნალისტები მიკროფონებით მიმორბოდნენ.

მხოლოდ ხის ტოტებზე გამწრივებული უჩინარი ბავშვთა სულები შეშინებული უსმენდნენ ხის გარშემო მორბენალთა ურიამულს. აგნესა ვერ მიმხვდარიყო, მის თავს რა ხდებოდა, ვინ შეავინწროვა მისმა ფესვებმა და რა დანაშაულისთვის უნდა დასჯილიყო. რა საჯელი ელოდა ან ვისი ხელით, არ იცოდა.

სალამო ჟამს ყველამ დატოვა ენით საპრძოლი პიარის ტერიტორია. კიდევ დიდხანს იქნებოდნენ, რომ არ ეწვიმა.

თომამ სულმოუთქმელად აირბინა აგნესას თავზე და გასძახა მეგობრებს:

– ანუსია, ბანუსია, აბდია, დავარ, ბაბო და ამო, დროზე ამოდით!

თომას ტყუბისცალი წითელთმიანი ინდიგო ბაბალე ტიტანენას წვერზე ჩამოჯდა; შავგვრემანი მწვანეთვალება ანუსია ჰაეროვანი მოძრაობით მოკალათდა ტოტზე; სადღაც აგნესას ფესვებიდან ამო ამოძვრა. მას ხის ფესვებთან, მინასთან ახლოს, უყვარდა ძილი. აბდიას გარდა ყველა მოვიდა.

თომამ დაიძახა: აბდია, გამოდი, სადა ხარ?

წუთიც არ გასულიყო, მაყვალივით შავი აბდია მესრიდან გამოძვრა, ჰერანგის უბეში ტყემალი ეყარა. თომამ უსაყვედურა: არ უნდა მორჩე ქურდობას!

აბდიამ სახე დამანჭა, რადგანაც მუავე ტყემლით ჰქონდა პირი სავსე. თომას გულგრილად ახედა, ტოტზე შემოჯდა და

წაილუღლულა: წაქურდალი ხილი გემრიელია, შენ ის თქვი, რატომ მიბარებდი.

თომამ ხელი ჩაიქნია აბდიაზე, კრების წევრებს გახედა და თქვა:

– ტიტაევნა ვიღაც მდიდარს მოენონა და მასთან მიჰყავს.

ბავშვები ინფორმაციამ გააქვავა. ასე დიდხანს იქნებოდნენ, ანუსიას რომ არ გადაეკირკიცა: – რა დროს აგნესას თაყვანისმცემელია!

ბაბალე : ანუსია, გაჩერდი, ხელს მიშლი!

აგნესას ტანს ხელი დაადო ბაბალემ და დაიწყო კითხვა ტანზე:

– ტიტა, იშვიათი ხე სამხრეთ ამერიკიდან, რომლის ქერქი და ტანი უნიკალური სამკურნალო თვისებებით გამოირჩევა.

აბდიამ ტყემლის კურკა გულგრილად მოიქნია და თქვა: ტიტაევნას გადასახლება რად უნდათ?! აქ მოაძრონ ქერქი და იმკურნალონ!

დავარი: უსამართლობაა! აგნესა რომ წაიყვანონ, გზაში მოკვდება და ჩვენც რა გვეშველება?! აგნესა ჩვენი თავშესაფარია, შევეჩვიეთ, ჩვენი ოჯახის წევრია.

თომა: ხვალ მოვლენ და წაიყვანენ ურეკში, მდიდრის სახლში...

ბაბალე: ურეკში კარგია, ზღვაა. მე დედას ხშირად დავყავდი ურეკში ზღვაზე. – თქვა და ფეხები ჰაერში აათამაშა, თითქოს ზღვის ტალღებს იცილებსო.

– რაღაც უნდა მოვიფიქროთ! – თქვა დავარმა და აგნესას ტოტები შეარხია.

– რას იტყვი, ტიტაევნა, შეძლებ მგზავრობას?

– მეეეე... არა.. რა მგზავრობა, ბავშვებო, 100 წლისა ვარ და ჩემი ფეხები გამჯდარია იმ მესრის მიღმა. თალგამი ხომ არ გგონივართ, ამომძირკვოთ?! უცხო ადგილას როგორ შევძლებ ცხოვრებას? ვინ არის ის ახირებული კაცი, დამაყენოს მიწაში! – სიტყვები დასრულებული არ ჰქონდა, რომ წებოვანი ცრემლები გადმოეღვარა გულიდან და ტანს მოედო.

ბავშვებს შეეცოდათ აგნესა. მოეხვივნენ ტანზე.

- ნუ გეშინია, ტიტაევნა, არ მიგატოვებთ, შენთან წამოვალთ.
- აგნესას დამშვიდება სცადა ანუსიამ.

ბაბალე: არსად ყოფილხარ. იქნებ ახალმა მინამ გამოგაცოცხლოს!

აგნესამ ამოიკვნესა და თქვა: ბედს ჩემთვის ბედნიერი სიცოცხლე რომ გაემეტებინა, ვიღაც ფრანგის გადასაწყვეტი არ იქნებოდა ჩემი სანტიაგოდან ჩამოყვანა. დამაშორა ჩემიანებს, მაგრამ შევეჩვიე ამ მინას და სამშობლად მექცა. თქვენმა ნაადრევ-მა სიკვდილმა დამამწუხრა და იმავდროულად დამაიმედა კიდეც, რადგან თქვენი ხმის გაგება და გულის ამოცნობა შევძელი, ჩემს ოჯახად იქეცით.

აგნესას ტოტებზე მწუხარება ჩამოწვა და გაურკვეველმა ხვალინდელმა დღემ გულგრილი აპდიაც კი დააფიქრა.

ტიტაევნა: ბავშვებო, ნუ შეშინდებით! იქნებ შევძლო სხვა მინაზე გაცოცხლება! თუ გადავრჩი, იმ კაცს თქვენი სურვილების შესრულებას ვთხოვ. მარტო მან ხომ არ უნდა აისრულოს სურვილები?!

ბაბალე: ამას როგორ შეძლებ, აგნესა?

აგნესა: მე ხომ შუამავალი ვარ მინასა და ცას შორის! როგორც შუამავალს, მომისმენს.

ბაბალეს ელიმებოდა მოხუცის სიტყვებზე; არ სჯეროდა საოცრების.

დავარი: ჩვენ ანი ალარაფერი გვაცოცხლებს, მაგრამ სამართლიანი თხოვნა მაქვს: იქნებ ისეთი წამალი გამოიგონოს, კიბორომ მოსპონს.

აგნესა ხვდებოდა, თუ რატომ იყო ეს დავარის თხოვნა; დავარი 14 წლის გარდაიცვალა ნაწლავის სიმსივნით.

ანუსია: მე რა ვთქვა, მკვდარს რა სურვილი უნდა მქონდეს!

დავარი: ნუ ხარ უიმედოდ, ანუსია, რაც სიცოცხლეში გინდოდა, ის ინატრე. ეს ენდომებათ ცოცხალ ბავშვებსაც.

ანუსია: ვინატრებდი ათწლიან სიცოცხლეს – მშვიდს, სადაც მამა დედაზე არ იძალადებდა.

თვალცრემლიანმა ანუსიამ აბდიას გადახედა, უხმოდ მიანიშნა და დაელოდა აბდიას ნატვრას.

აბდია: მე ვინ მკითხავს ნატვრას, როცა თავგაცემლებული დიდები წყვეტენ, ბავშვმა მინაზე იარსებოს თუ არა. ტერორიზმის მსხვერპლი ვარ, რომელსაც სიცოცხლე წაართვეს. ოჯახი ისე დამეკარგა, დღესაც არ ვიცი, სად არიან.

ამომ თირკმლის ადგილზე ხელი მოისვა და ცივი ხმით წარმოთქვა: დედის აღსარება მინდა მოვისმინო!

აგნესა: რატომ ასე სასტიკად, ამო?

ამო: დედა არ მისმენდა, არ მკითხულობდა... ვინც მეგონა, მისმენდა, ის იქცა ჩემთვის ავტორიტეტად. ეშმაკს მივენდე; მშობლის ჯიბრით სექტანტი გავხდი. დედის გულგრილობა მაგიუბდა. თირკმელიც დავკარგე და სიცოცხლეც, ცხოვრებას ვეთამაშებოდი და ნავაგე. ახლა დედის სინანული მინდა მოვისმინო (ამომ თავი კალთაში ჩარგო).

თომა სათქმელად მოემზადა; უნდოდა, მშობლების ქება დაეწყო, მაგრამ ბაბალემ შეაჩერა: აბა, ჩვენ რა უნდა ვთქვათ?! მამის ავტომობილს სწრაფად მომავალი მთვრალი მძღოლი დაეჯახა და იქვე დასრულდა ჩვენი სიცოცხლე. ჩემი და თომას ნატვრაა, ჩვენმა მშობლებმა დაასრულონ ძვირადღირებული წლისთავების გადახდა და ბანკებში შენახული დანაზოგი გაუნაილონ უპოვარ ბავშვთა ოჯახებს

აგნესას ცრემლებით დაუსველდა ტანი.

აგნესა: ასი წლის განმავლობაში ასე არ დავმძიმებულვარ! თქვენმა სიტყვებმა დამამძიმა. როგორ ვზიდო ამდენი ნატვრა ისე, რომ მიწას არ მოვცილდე.

დავარმა შიშველ თავზე ხელი მოისვა და თქვა: კარგი, დავიძინოთ, დასვენება გვჭირდება, ხვალ საღი გონებით მოვიფიქრებთ რამეს.

ბავშვები უხმოდ დამორჩილდნენ დავარის რჩევას.

მწვანე კაბაში გამოწყობილ ანუსიას უკან გაჰყევა ამო. ბავშვები დაიშალნენ შეკრების ადგილიდან და ტიტაევნას ფეხებისკენ გაემართნენ დასაძინებლად.

შუალამე იქნებოდა, პროფესიონალის ნათებამ და ბულდოზ-ერების ხმამ გამოაღვიძა ბაბალე. პატარამ ფოთლები გადაიძრო და ელვის სისწრაფით მოექცა ხის ტოტზე, რომ უკეთ დაენახა, რა ხდებოდა.

ტიტაევნა კვნესოდა.

ბაბალემ დაიყვირა: ბავშვებო, გაიღვიძეთ, მგონი ტიტაევნა მიჰყავთ!

ბაბალეს ხმაზე ყველა წამოცვივდა. ამო არსად ჩანდა; ტე-ქნიკა ტიტაევნას ეჭიდებოდა ამოსაგლეჯად; აგნესა ტიროდა; ბავშვები ყვიროდნენ, მათი კი არავის ესმოდა. აბდია შეეცადა ტექნიკასთან მისვლას და გამორთვას, მაგრამ თომამ შეაჩერა: ახლა თუ ხიდან ჩახვალ, აგნესას დავშორდებით და ვეღარას-დროს ვიპოვით მას. არ უნდა დავტოვოთ.

დიდი ბრძოლის შემდეგ აგნესა ამოგლიჯეს. ამოს კივილმა ბავშვები შეაშინა. ამო დასისხლიანებული ფეხით ძლივს აფოთხ-და ტოტზე. ფესვებთან ეძინა ამოს და ბულდოზერის ბასრ კბილს მისი ფეხის თითო შეეწირა. ანუსიამ ფოთლები დააფინა ამოს მარ-ჯვენა ფეხის ნეკა თითზე, სულს უბერავდა. ბავშვები ტიროდნენ.

აბდია, როგორც ვაჟეაცი, თავს იკავებდა, რომ არ ეტირა. ხის წვეროდან აგინებდა მუშებს, ძილის წინ მომარაგებულ ქვებს უშენდა და ბრაზდებოდა, რომ მიზანს არ ხვდებოდა ნასროლი.

ტიტაევნა ორი კატერის თანხლებით შავ ზღვაში შეაცურეს. ხე ზღვის თავზე ამოვიდა. ბავშვები გაოცდნენ. არცერთმა ცურ-ვა არ იცოდა. მოსწონდათ ზღვა და თან ეშინოდათ. ბავშვები ტიტაევნას სუნქვას გაფაციცებით უსმენდნენ და პერიოდულად ზღვის წყალს ასხამდნენ, რომ გულს არ ემტყუნა მოხუცისთვის. აგნესა თავს ცუდად გრძნობდა. ამოს ტკივილი ანუხებდა და ცდილობდა, ბაბალეს რჩევა გაეთვალისწინებინა და ფეხი ჩაეყო მარილიან წყალში, რომ ჭრილობა მოშუშებოდა.

როგორც იქნა, მიაღწიეს ურეკის მინას. ტიტაევნა მდიდრის სახლში დააბინავეს, წამალივით მინა მიაყარეს. იგი კომაში იყო, რეანიმაციულ წუთებს განიცდიდა, ხუთი დღე ეძინა. ბავშვები მორიგეობით ღამეს უთევდნენ და ტიტაევნას მზის სიმღერას

უმღეროდნენ. ბავშვების ჭირისუფლობამ და მათმა სიყვარულმა აგნესა გამოაფხიზლა. ტოტები აშრიალდა გამთენისას, პირველმა აბდიამ დაინახა აგნესას გამოლვიძება და დაიყვირა: აგნესა ჩვენთანაა!

დღები გადიოდა. აგნესა ჯანმრთელდებოდა. მრავლისშემძლე ყოველ სამშაბათს ტიტავენასთან მოდიოდა და ხეს ხელებით იხ-უტებდა, თითქმის ერთი საათი იდგა გაშეშებული. ბავშვებს უკვირდათ. ბაბის ეცინებოდა. ბავშვები ინდიგოსგან პასუხს ელოდნენ. დენდრო.... დენდრო...დენდროთერაპია, დენდროთერაპია.

ანუსია : რა?

ბაბალემ ხუჭუჭ ქერა თმებზე ხელი მოიკიდა და სრულიად უდარდელად წარმოთქვა: დენდროთერაპია, ხით მკურნალობა, ხისგან იღებენ ენერგიას.

თომა: უკვდავი იქნება?

ბაბალე: ნუ სულელობ, ძმაო. დედას იმდენ კურორტზე დავყავდით და ეკოლოგიურად სუფთა საკვებით გვკვებავდა, უკვდავნი დავრჩით?

აბდია: იქნებ ხე გაქცევს უკვდავად?

აგნესამ თავზე ტოტი გადაუსვა აბდიას, ჩაიკრა და უთხრა: კი, როგორც შენ ხარ უკვდავი, რადგანაც სული ხარ. ლეშის უკვდავებაზე ვინც ფიქრობს, ის ან სულელია, ან დიდად მონდომებული.

ტიტავენას ქერქს აცლიდნენ ყოველ ხუთშაბათს და ახმობდნენ ნაყენისთვის. თომას უკვირდა, რატომ არ ბრაზდებოდა მოხუცი, რომ ძარცავდნენ.

აგნესა ამ კითხვას გაპრანჭული პასუხობდა: რატომ უნდა გავბრაზდე? ეს კაცი მეკვრება და დადებითი მუხტით მათბობს.

აგნესას გეგმა ჰქონდა, ჩანაფიქრი, რომელიც დღითი დღე ხალისს მატებდა. იგი ბრძენი ქალი იყო, მაგრამ ეს უცნაური გეგმა მოხუცის ახირებას უფრო ჰგავდა.

აგნესას სჯეროდა, მის მიერ გამონალოცი ქერქი სასწავლს მოახდენდა უცნაურ კაცზე და ბავშვების ნატვრას

შეასრულებინებდა, და თუ როგორ, ცოტათი გაუგებარი რჩებოდა.

ბავშვებს ბრაზი გადაუვიდათ, შეურიგნენ უცნაური კაცის დენდროთერაპიას. მას შემდეგ, რაც აბდიამ მიაგნო ურეკში ციცინათელას, საღამობით ბავშვები საქანელებზე ნებივრობდნენ ცოცხალ მეგობრებთან ერთად, მათთან სიცილი უხაროდათ, თავს ცოცხლებად გრძნობდნენ. ციცინათელამ გააერთიანა ბავშვების სიხარული.

ერთი ახალგაცნობილი ბავშვის სული ხედავდა ტიტავენას მობინადრეებს, ჩუმადაც გამოდევნებია სახლამდე. აგნესას ეს შეუმჩნებელი არ დარჩენია და ბავშვებს გასძახა, ეს პატარა ვინ არის, უკან რომ მოგდევთო. მოიხედეს და ექვსი წლის ქერა ბიჭუნა შენიშნეს. გაკვირვებულმა დავარმა დაუპატიჟებელ სტუ-მარს ჰკითხა:

– შენ რა, სახლი არ გაქვს, ჩვენ რომ გამოგვედევნე?!

ბიჭუნა: ლა მაგალი სახლი გაქვს!

ბავშვებს გაეცინათ ბიჭუნას ნათქვამზე.

სტუმარმა სველი ცხვირი ამაყად მოიფხანა და ბავშვებს მიმართა:

– მეც დავეტევი თქვენთან, ლა!

ბაბალე: ეს აგნესას ვკითხოთ, თუ მიგიღებს.

ბიჭუნა: აგნესა ვინაა, ბებიასენი?

ტიტავენა: როგორი პატარა! ბაბი, ვინ არის ეს ბავშვი?

ბაბალე: ჩვენ არ ვითვლით ქრომოსომებს!

ბიჭუნა: ჰო, ცვენ არ ვითვლით ქლომოსომებს, ნულც თქვენ დაითვლით და მიმიღეთ! ექვსი იქნებით თუ სვიდი, ლა მნისვნე-ლობა აქვს... მიმიღეთ ლაა...

ტიტავენას გაელიმა და თქვა: ესე იგი დღეიდან ახალი ქრო-მოსომა გვყავს, დაუთვლელი.

ასე შეიმატა ურეკში ოჯახის კიდევ ერთი წევტი ტიტავენას სტუმართმოყვარე გულმა.



რეიტინგი

ქალბატონი კილე იჯდა დეველოპერული კომპანიის ფოიეში და ელოდა მდივნის დაძახებას. ერთი დიდი კოლბის ფორმის შენობის მინებიან აბსტრაქტიაში გეომეტრიული ფიგურები გამოსახულიყო. სართულები გაურკვეველი ლაბირინთებით იყო აშენებული. კილე იჯდა და ფიქრობდა ინტერვიუზე, რომელიც რესპონდენტთან ჰქონდა დაგეგმილი. „მან რომ იცოდეს, რა საშინელებას ვუპირებ, ალბათ, აქვე გამომიტანდა განაჩენს... საერთოდ არ ვნაღვლობ. მთავარია, გადაცემის რეიტინგი. არც დირექტორს უკითხავს, რა გზით მოვახერხე მასთან შეხვედრის დაგეგმვა.“ ამ ფიქრებში იყო კილე, როცა მოკლე კაბაში გამოწევილმა დიდტუჩებიანი მდივანი გაჩერდა კილესთან და სახის დაჭიმული ფასადით, რომელზეც მხოლოდ ტუჩები ცმაცუნობდა თავისთვის. კილე გამოაფხიზლა ხმოვნებმა, რადგანაც თანხმოვნებს აჩერებდა სილიკონები.

კილე: რა თქვით?

მდივნმა უმიმიკოდ წამოიხავლა: ბლიცი გელოდებათ... გთხოვთ, წამომყევით.

კილე წამოდგა და პიჯაკი შეისწორა. მდივანი წინ მიუძღვოდა და ტოვებდა გამაპრუებელ სურნელს. როგორც იქნა, გაიარეს შესასვლის ლაბირინთები და შევიდნენ ბლიცის კაბინეტში. ბლიცი ზურგით იჯდა ფაქტორივად დარბაზისოდენა ოთახში. იმდენად გრძელი მაგიდა იდგა, კილესთვის ხმა რომ მიეწვდინა, ბლიცს რუპორი დასჭირდებოდა. მდივანმა სკამზე მიუთითა უურნალისტს და ოთახიდან გავიდა.

კილემ დრო იხელთა, სანამ ბლიცი საუბრობდა; მაგიდის ქვეშ მოსასმენი შეაცურა მიაკრა. ბლიცი ტელეფონით შეუთანხმდა ვიღაცას შეხვედრაზე, კილეს არ გამოპარვია და გულში იმეორებდა.: „მემვიდე ბოჰემის ქუჩა №8, შაბათი, 3 საათი...“

ბლიცი შემობრუნდა და გაკვირვებულმა სტუმარს გახედა: – თქვენ უკვე აქ ხართ? სავარძლიდან წამოდგა და მიუახლოვდა კილეს, დაჯდა მის სიახლოვეს. ბლიცს მუდმივად დასთამაშებდა ეშმაკური ცივი მზერა, თითქოს ამბობდა, მე ყველაფერი ვიცი თქვენს შესახებო. იგი გახლდათ გავლენიანი პიროვნება. მართავდა დეველოპერულ კომპანიას და მეგობრობდა ქალაქის მერთან, რომლის დახმარებითაც ახერხებდა საუკეთესო მინების ათვისებას. ბლიცი მერის არჩევნებისთვის ემზადებოდა.

– 20 წუთი გაქვთ ინტერვიუსთვის. – შეახსენა რესპონდენტმა უურნალისტს.

კილემ მადლობა გადაუხადა შეხვედრისთვის, დიქტოფონი ჩართო და დაიწყო არჩევნების თემაზე კითხვების დასმა. კილე რესპონდენტს ყალბი აღტაცებით უსმენდა.

ინტერვიუ დაასრულა მდივნის შემოსვლამ და შეახსენა ბლიცს, რომ შეხვედრა ჰქონდა სხვებთანაც.. კილემ მადლობა გადაუხადა რესპონდენტს და ნელი ნაბიჯებით გაემართა კარისკენ. ჭიქაში წყლის დასხმის ხმა მოესმა, უკან მიიხედა და დაინახა ქალაქის მერი, რომელიც ოთახის მინებიანი ტიხრის მიღმა იმყოფებოდა მთელი ინტერვიუს განმავლობაში. კილეს გაუკვირდა, ქალაქის მერი კი გააღიმა უურნალისტის დაბნეულმა მიმიკამ. გასასვლელში ინტერვიუერს ბლიცის პარტიის ლიდერი მაკარიჩი შეეფეთა. მაკარიჩმა კილეს ვაჭრის თვალით შეხედა. ულვაშის ქვეშ ტუჩებს აცმაცუნებდა. უურნალისტი მიესალმა თავის დაკვრით ლიდერსა და მერს და ოთახიდან გავიდა. მაკარიჩი და ქალაქის თავი ბლიცთან მიჩოჩდნენ და დაიწყეს კილეს შესახებ საუბარი.

მაკარიჩმა გაკვირვებით ჰქითხა ბლიცს, როდის იყო ინტერვიუებს აძლევდი, თან ასეთ ურეიტიმგო ტელევიზიას, მედიასთან ჩანერებზე ჩვენი პარტიის სხვა წარმომადგენელი გამოდისო .

ბლიცმა მერს გადახედა და თქვა, როლიმ მთხოვაო . ამჯერად მაკარიჩი ქალაქის მერისგან დაელოდა ახსნას.

მერი: სამი დღის წინ ტელევიზიის იუბილე იყო, ბანკეტი ჰქონდათ, მაგრად დავლიე. ტელევიზიების დირექტორები და ეს უურნალისტი იყვნენ. დავნაძლევდი პარლამენტართან პრეზიდენ-

ტის მედიასთან ურთიერთობის სპიკერის თანდასწრებით, რომელიც უაზროდ მიმტკიცებდა, რომ უურნალისტი დამოუკიდებელი ბუნებისაა, მე კი პირიქით, ხაზს ვუსვამ დამოკიდებულებას რეიტინგზე.

მაკარიჩი: რაზე დანაძლევდით?

მერი: კილებზე.

ბლიცი: რაო?

მერი: რომ ნებისმიერი უურნალისტი შენთან ინტერვიუსთვის სამი ადამიანის თვალნინ ჩაიხდიდა და მოფსამდა.

მაკარიჩიმა გადაიხარხარა, მეც რომ უურნალისტი ვყოფილიყავი, მოვფსამდი.

მერი: ეგ მეც ვიცი. იდეა ჩემი იყო და ისიც ვიცოდი, რომ მოვიგებდი და დიდ თანხას ჩამოვედი. ხალხი რომ გაიფანტა და ოთახში დავრჩით მე, პარლამენტარი და მედიასთან ურთიერთობის სამსახურის უფოსი, შევთანხმდით, აგვერჩია ნაკლებად რეიტინგული ტელეუურნალისტი და ის კილე აღმოჩნდა.

ყურები დაცქვიტა მაკარიჩიმა.

მაკარიჩი: მერე?

მერი: რა მერე?! ვერ ხედავ, ამ კარიდან გავიდა და ინტერვიუ აიღო ბლიცთან.

ბლიცი: არ მჯერა, რომ მოფსა. ხუმრობ, როლ. (შემფასებლის თვალით გახედა)

მერი: კი მოფსა, მაგრამ პარლამენტარს დააფსა ფეხზე.

ბლიცი გაოგნდა და ნელ-ნელა სახე დაეფარა ღიმილის ნაოჭებით..

მაკარიჩი გაწითლებული სახით სიცილისგან იგუდებოდა.

მაკარიჩი: ბლიც, წყალი!

ბლიცმა წყალი დაუსხა და მიაწოდა.

მაკარიჩი წყალს სვამდა და ახველებდა.

ბლიცი: წესები დაარღვია?

მერი: არა, ჩვენ შევთავაზეთ, ჩვენ თვალწინ მოეფსა და ადგილი არ გაგვისაზღვრავს მთვრალებს.

ბლიცი: ნეტავ ცალი თვალით დამენახა პარლამენტარის სახე!

მერი: მობილურში მაქვს, რომ დაიტენება, გაჩვენება.

ბლიცი ერთ წერტილს მიაჩერდა და წარმოთქვა: მაგარი გოგო ყოფილა. გამიგე მის შესახებ ყველაფერი.

მაკარიჩის ეშმაკურად ელიმებოდა.

ოთახში მდივანი შემოვიდა და ყავა შემოიტანა.

მაკარიჩი: ყველაფერზე წამსვლელები არიან ეს უურნალისტები, ოლონდ რეიტინგი მოიპოვონ.

ბლიცმა ცივად გახედა მაკარიჩის: მეც უნდა ჩავვარდე ამ წუმ-პეში!?

მერი: დროულად დაასრულეთ ყავის სმა, ეკონომიკის სამინისტროში წავიდეთ, შეხვედრაა 40 წუთში. ბლიც, თუ რამე არ მოგწონოს, შეხვედრისას არ გაამჟღავნო. მე ძირიანად შევისწავლი მათ წინადადებას და მერე შევჯერდეთ.

ბლიცი: ბოლოს რომ უარი თქვან?

მერს გაეცინა: მინსტრს ჩავძირავთ. აბა, რისთვის არიან ქვეშეფსია უურნალისტები!?

მაკარიჩის თვალები კმაყოფილებით აუციმციმდა და თქვა: ყველას ჩაძირვა შეიძლება უწყლოდ; სიტყვა ადამიანის სულს სპობს...

ბლიცი: ... თუ შუბლის ძარღვი არა აქვს გაწყვეტილი.

მერი: ძარღვს თვითონ გაწყვეტს, ცდუნებას ვერ გაუძლებს. მთავარია ძალაუფლება, დანარჩენი მეორეხარისხოვანია.

ბლიცმა ღილაკს დაჭირა.

- გისმენთ, ბატონო ბლიც.

ბლიცი: მანქანა მოვიდეს, ეკონომიკის სამინისტროში მივდივართ. 4-ზე უცხოელები მოვლენ.

მეგობრებმა დატოვეს კაბინეტი და ოთახიდან გავიდნენ.

მეორე დღეს, შაბათს, 15:00 საათზე კილე მივიდა კოლბის შენობაში ითხოვა ბლიცის კაბინეტში შესვლას. შესვლის მიზეზს ასაბუთებდა იმ გარემოებით, რომ ინტერვიუს დროს ჩიპი დაუვარდა და მდივანს სთხოვდა კაბინეტში შეყოლას. (კილემ იცოდა, რომელიდაც ფისოს რომ უნდა შეხვედროდა ბლიცი და კაბინეტში არავინ დახვდებოდა. მდივანს უარი არ უთქვამს კაბინეტში

შეყოლაზე, რადგან მისი ბოსი არჩევნებისთვის ემზადებოდა და უურნალისტის კეთილგანწყობა სურდა. კილე იმ მაგიდასთან და-ჯდა, რომლის ქვეშაც მოსასმენი ჰქონდა შეცურებული. ხელები მოაფათურა, მაგრამ ამაოდ. იქ მოსასმენი აღარ იყო. დაიხარა, ფეხსაცმლის თასმა შეისწორა, მოშორებით ჩანდა მოსასმენი.

კილე: მაპატიეთ, დაგაყოვნეთ . ცხელა ძალიან. წყალს ხომ ვერ დამალევინებთ?

მდივანი: ახლავე, გენაცვალე!

კილემ დრო იხელთა და მოსასმენი კაბის ჩიბეში ჩაიდო.

შემდეგ უშედეგოდ დაიწყეს ჩიპის ძებნა. კილე არტისტულად შეწუხებულიყო ჩიპის დაკარგვით. მდივანი თავს იმართლებდა:

- აქ რომ დაგვარდნოდათ და დამლაგებელს ენახა, აუცილებ-ლად გადმომცემდა. თუ ძალიან პატარა იყო, შეიძლება მტვერ-სასრიტმა შეიწოვა.იქნებ სხვაგან დაგივარდათ?

მდივანმა ტუჩები ააცმაცუნა, კილემ ბოლო კითხვა ვერ გაი-გო და არც უცდია გაეგო; მდივანს მადლობა გადაუხადა ყურ-ადლებისთვის და სწრაფი ნაბიჯებით გავიდა ოთახიდან.

მიკრაფონს ჩაეწერა სამი დღის მასალა: ბლიცის რამდენიმე მნიშვნელოვანი შეხვედრა, რომელიც ბომბი იყო მედიისთვის და ბლიცისთვის ჩაძირვა; მოსმენილი აღაფრთოვანებდა, უურნალის-ტის ქვეშეფისობაზე ეღიმებოდა და ფიქრობდა: „აბა, ვნახოთ, ვინ დარჩება ქვეშეფისა!“

კვირა დილა როლის ოჯახში; მობილურის ზარი, როლის ხმა:

- გისმენთ, რომელი ხართ?

კილე: „ქვეშეფისა უურნალისტი“

როლი: ვინ?

კილე: „ქვეშეფისა უურნალისტი!“ ტელევიზორი ჩართე მე-5 არხზე!

როლიმ, ნახევრად მძინარემ, პულტი მოიმარჯვა, ტელევიზო-რი ჩართო და არხი მოიძია. უურნალისტი კილე დაინახა მხოლოდ და მოესმა მისი და ბლიცის ხმა; ყველაფერი აირია, კადრე-ბი უკან დაეხვია ... ბლიცის კაბინეტი ...ცივი ოფლი ... ყვირი-

ლი ... სილიიიი ... თეთრხალათიანი ქალი და მერის დაბრუნება საღაციდან. როლი გონის მოვიდა .

ექიმი: გადაგიყვანთ!

როლი: არა... არ არის საჭირო, უკეთ ვარ. მადლობა. და-ტოვეთ ჩემი სახლი.

ექიმი: თქვენი დატოვება არ შეიძლება.

როლი: დატოვეთ სახლი! მე მყავს ჩემი ექიმი.

სასწრაფოს ექიმი უხმოდ გავიდა.

- სილი, მომეცი მობილური!

სილი: არ გინდა!

როლი: მე ვიცი, რა მინდა!

სილიმ უხმოდ შეასრულა როლის ბრძანება.

ზუმერი.

კილე: გისმენთ!

როლი: ამოგთხრი, კილე! კილერი ხარ, ოღონდ ქვეშეფსია.

კილე: ქვეშეფსია არ ვარ.

როლი: მე მაქეს შენი მოფსმის შედევრი და გავასაჯაროებ.

კილე: (იცინის)... რას გააშუქებ? როგორ გაფსამთ ფეხებზე?

როლი ღრიალებს...

კილე: ხანმოკლეა თქვენი ძალაუფლება. უნდა გცოდნოდათ, ყველაფერი ბუმერანგივით უკან ბრუნდება.

როლი: მერე არ გეშინია, რომ დაგიბრუნდეს?

კილე: ეს ჩემი სამუშაოა; ხალხმა ყველაფერი უნდა იცოდეს!

როლი: ასეთი გზით?

კილე: მიზანი ამართლებს საშუალებას.

როლი :რამდენი გინდა, რომ ყველაფერი უარყო?

კილე: არ ვიყიდები!

გრძელი ზუმერი ...

პროკურატურა, გამოძიება, დაჭერების სერია, შევსებული ბიუჯეტი, გრძელი ცხვირები, ვიღაცის ქილიკი, ვიღაცის აღზევება, დაცემა ...

ქალაქის მერის ოცნება კადრებმა დამსხვრიეს. დამარცხებული მერი თვალებგახელილი იწვა საავადმყოფოს ლოგინზე და



უიმედოდ უსმენდა ადვოკატის საუბარს. მერის გონიერაში ერთი აზრი ტრიალებდა: „რა გამოვტოვე?“ – პასუხიც იქვე ჰქონდა; ნანობდა იმ ფაქტს, თავიდანვე რომ ვერ შეაფასა უურნალისტი. იხსენებდა სანაძლეოს და მეგობრის სახეს კილეს ნამოქმედარზე. ადვოკატი საქმის დასაბუთებას ცდილობდა, როცა მერის სახე ჯერ ღიმილმა დაფარა, შემდეგ სიცილი აღმოხდა. ადვოკატი გაჩუმდა, ვერაფერს მიხვდა, შიში შეეპარა მერის გონიერებაში. მერი ხარხარებდა და როცა სული მოითქვა, უთხრა, მგონი ლოგ-ინი დავასველეო და გააგრძელა სიცილი.

როლი: სანიტარს დაუძახე.

ადვოკატი ვერაფერს მიხვდა და გავიდა პალატიდან სანიტრის დასაძახებლად. მერი დამშვიდდა, სიცილის ცრემლი მოიწინდა. როლიმ ჩაიხედა საბნის ქვემოთ და თქვა: აი, ვინ არის ქვეშეფისია...

იმ დღის შემდგომ მერი სიმპათით განეწყო კილეს მიმართ.

როგორც ყოველთვის, მეოთხე ხელისუფლებამ გაიმარჯვა. ქალაქის მერი საპროცესო შეთანხმებით გამოძვრა. ორი წლის თავზე ჰქონდა საკუთარი ტელევიზია. არხის პოლიტიკურ გადაცემაში კილე იჯდა არა როგორც რესპონდენტი, არამედ როგორც გადაცემის წამყვანი უურნალისტი. ეთერს ჰყავდა ოპოზიციურად და პოზიციურად აღზევებული პოლიტიკოსები, ბომონდი, პირადი ცხოვრების მსაჯულები, არასამთავრობო ინდაურები, დემოკრატიული კრუხები... არც მაყურებელი იწყენდა და ტელევიზიაც რეიტინგობდა.

ატლანტა

22 ჰამასი (აპრილი), ჰომოს (პარასკევის) ერთი ჩვეულებრივი დღე.

ატლანტას მეცნიერები ამ დღეს იკვლევდნენ ადამიანის ცნობიერებას. მათი კვლევის საგანს წარმოადგენდა საქართველოს კუთხის შვილი რაჭველი – დიდი ლაბორატორიის უცხო სხივებით განათებულ ოთახში მოთავსებული მძინარე ნიმუში, რომელიც მუავე წყლებთან აიყვანეს. საკვლევ ნიმუშს არ უყურებდნენ, გა-ჰყურებდნენ ჭერში განთავსებულ ეკრანს, რომელზეც საკვლევი ნიმუშის ტვინის უჯრედები და უჯრედების ხვრელები მოჩანდა ნითელ, მოხარშულ ლოკოინასავით, შეებად დანაწევრებული და ვაროლის ხიდზე გადებული. რაღაც ისფერი ჭიაყელის ფორმის ნათურა ზოგჯერ გამოსცემდა უცნაურ სიგნალს. ნიმუშს სამი მეცნიერი აკვირდებოდა, ორი მამაკაცი და ერთი ქალი.

ქალმა ტვინის კითხვა დაასრულა და ნელა წარმოთქვა: 18 წერტილი. ტირე (იქსი) წერტილი, ტირე, ტირე. 100 მილიარდი ნეირონიდან არაფერი აქვს ათვისებული.

ორგანოებით განსაზღვრავდნენ რაჭველის ასაკს. ტირე აღნიშნავდა ადამიანის ძილს. ბოლოს ქალმა დაამატა, დიდხანს ანდომებენ ძილს, დროით ბევრად ახალგაზრდაა, დოკუმენტით 36 წლის. 16 ჯერ მეტი ნეირონი აქვთ და თითქმის ყველა აუთვისებელიო. ქალი ეკრანისკენ ზურგით შებრუნდა. შებრუნდნენ მამაკაცებიც. კეფის თვალები გაუფართოვდათ.

– დააკვირდით ქერქს! – ხმადაბლა, რბილად წარმოთქვა ქალმა. ჭერში, ეკრანზე, ჩანდა რაჭველის მიერ განცდილი ყველა კადრი.

მეცნიერთა მესამე თვალის ნანახ, დამუშავებულ და დაწრეტილ ინფორმციას ქალი ნიაგონის, სტაჟიორ აკვასა და დირექტორ ჰოროსის თვალები განსხვავებულად ეთანხმებოდნენ.

რაჭველის ისტორია რამდენიმე წამში დამუშავდა. ელექტრო-სტიმულატორის ჩიპი ამოაძვრეს ისე, რომ არც გაუგია. საცო-დავი ობიექტი შეძრნუნებული გულივერივით თვალებგაფაც-იცებული გაჰყურებდა ორი მეტრი სიმაღლის მწვანეთვალიან გოლიათებს, რომლებსაც ორი თვალის გარდა უკან, კეფასთან, მესამეც ჰქონდათ. ქალს უცნაური, წითელი, ნავის ფორმის ფეხ-საცმელი ეცვა, რომელიც გაუგებარ ხმებს გამოსცემდა; იატაკს რომ ფეხს დაჰკრავდა, ფეხსაცმელიც ჩუმდებოდა. მამაკაცები ხშირად ყურებზე იკიდებდნენ ხელს, თითქოს იისფერი შუქის წრიპინის გამოდევნა უნდათო.

ატლანტას პლანეტის მეცნიერებმა გაარკვიეს ნიმუშის წამო-მავლობა, გაიგეს, რომ ის იბერიელი იყო. უძველესი ცივილიზაცი-ის მკვიდრი. მისი უჯრედების ქსოვილით დაადგინეს რაჭველის საცხოვრებელი კუთხის გეოგრაფიული მდებარეობა. ქსოვილის უჯრედები გაუდენთილი იყო ვეძას მჟავე წყლებით. ისტორი-ულად რაჭა ატლანტას მკვიდრთათვის წაცნობი და ახლობელი მიწა იყო.

ატლანტელებმა საქართველოს ანბანითა და ვაზით იცნობდ-ნენ, კოლხური ანბანის კოდი მათთვის ფორმულა იყო იბერი-ის ისტორიის ამოსახსნელად. ვაზის ამოცნობა და დაგემოვნე-ბა წინა საუკუნეში ერთმა ატლანტელმა შეძლო – ხვანჭკარა დაუგემოვნებია რაჭველის მარანში. ისე მოსწონებია, ნავისებურ ფეხსაცმელში ჩაუსხამს და თავის პლანეტაზე წაულია. დამთ-ვრალ – დაბინდულ ტურისტს სირცხვილის გრძნობა წართმევია, ვაზის ტოტი მოუპარავს და საკუთარ პლანეტაზე გაუშენებია. ხვანჭკარასავით ღვინო არ გამოსვლიათ, მაგრამ არა უშავდა. რძე დაარქვეს მათ ენაზე და ელექსირიან სასმელს ორგანიზმის სიჯანსაღისთვის სვამდნენ. ერთ სოლ ღვინოს მიირთმევდნენ. სოლი ჭურჭელი იყო, რომელშიც დაახლოებით 120 გრ. ეტეოდა.

ატლანტა უძველესი პლანეტა იყო საოცარი ჩვეულებებით, მეცნიერული გამოგონებებით და უცნაური ჩაცმულობით. ამ პლანეტაზე არ ბერდებოდნენ და არ იყო განუკურნებელი სნეულება. აქ საუბრობდნენ უბზარო ხმით, ყველას სურვილი

იცოდნენ, რადგანაც წინასწარ კითხულობდნენ სხვების აზრებს და წინასწარვე ჰქონდათ პასუხები მზად. მათი ტვინის 80 % მუშაობდა. ტვინის ყველა უჯრედი პასუხისმგებელი იყო ადამიანის ქმედებაზე, თან არა მხოლოდ საკუთარზე. საგნებს, სხვა ოთახში განთავსებულსაც, დაუნახავად ამოიცნობდნენ და მათ ვარდნასაც რამდენიმე წამით ადრე განსაზღვრავდნენ. ამიტომ აქ არაფერი ტყედებოდა და ფუჭდებოდა. პლანეტაზე არ არსებობდა უსაქმური და თუ მაინც გამოვლინდებოდა ასეთი, სურვილს უღვივებდნენ საკუთარი იდეით. არ არსებობდა პრობლემა, გარდა დედამინისა, რომ არ გადაეწყვიტათ. არ იყო დანაშაული, არ ჰქონდათ სასამართლო, არაფერს იყოფდნენ და ერთმანეთის მიღწევებისა არ შურდათ. ატლანტაზე ვიზუალურად ადამიანის მსგავსი, მაგრამ მესამე, ზურგის ტვინთან განთავსებული წყლის-ფერი თვალის მქონე არსებები ბინადრობდნენ.

სტაჟიორი აკვა მინის თხელ მონიტორზე თავის ანალიზს წერდა კალმის გარეშე; აღნერდა ნანას – განცდილ კადრებს და გადაჰქონდა ეკრანზე. ზოგჯერ აკვა მოიღუშებოდა, ზოგჯერ კი გაეცინებოდა. კადრების მიხედვით, რაჭველს სამი შვილი ჰყავდა და მათი სიცელქე აცინებდა აკვას. სტაჟიორმა დაასრულა წერა და გაკვირვებით ჰოროს მიმართა:

– იბერიელებს რა ლამაზი და საყვარელი შვილები ჰყავთ, რატომ არ ზრუნავენ მათზე?! რატომ არ ცდილობენ ტვინის დანარჩენი უჯრედების ამუშავებას, რატომ არის ასეთი დეგრადაცია მათ თავებსა და სოციუმში. ასეთი აურზაური და უმისამართო სიჩქარე, რომელმაც დედამინა ღერძიდან გადასწია?! რატომ არ ფიქრობენ პლანეტის გადარჩენას?! ლამაზი მელოდები აქვთ, წყალი, ბუნება, მაგრამ მაინც ბერდებიან...

ჰოროსმა აუდელვებლად, დინჯად, უპასუხა:

– ისინი იმონებენ ბუნებას თავიანთი ცხოვრების წესით, მაგრამ საბოლოოდ ბუნება დაიმონებს მათ კატაკლიზმებით. ჩვენ არ ვბერდებით, რადგან ბუნებას ვემონებით. საუკუნის წინ მონაპარ ვაზს ველოლიავებით, რადგანაც მცირესგან ბევრი კარგის შექმნა გადავწყიტეთ. ღმერთმა დააჯილდოვა ისინი ბუნებითა

და ნიჭით, ჩვენ კი დაგვაჯილდოვა გონიერითა და საქმით. ისინი წუთიერ გრძნობებს ემონებიან და იმედგაცრუებულობა აბერებთ, ბოლმა ახრჩობთ და იგონებენ ომებს, კაცობრიობის საშინელ მონდომებას; ტერიტორიებს იტაცებენ, სისხლში ბანაობენ... ამ რაჭველს შეხედე, როგორი შიში აქვს თვალებში (რაჭველს თვალები გაფართოებოდა, არც სხეულის ამოძრავება შეეძლო და არც მეტყველება). შიში ანადგურებთ უფრო ადრე, რადგანაც შიში დანაშაულისკენ უბიძგებთ. მათ პლანეტაზე სამართალი არ იმარჯვებს, რადგანაც ნერგშივე სპობენ მას. ჩვენი სული ფსალმუნშია ეგოსთან. მათ ეგოიზმი იმონებს, შემდეგ სივრცეში აგორებენ. თუ წინაღობა დახვდათ, ეთაყვანებიან მას შიშით, საკუთარი მნიშვნელობის დაკარგვის შიშით. საკუთარი მნიშვნელობისთვის სიყვარულსაც იგონებენ და შიგ დროებით სახლდებიან; როცა ერთმანეთს ამონურავენ, სხვა ობიექტს ებლაუჭებიან. სხვაგან ექცენტრი ნავსაყუდელს და საკუთარ თავს გაურბიან. არ იციან, რომ ილუზია ვერ შეძლებს დროსთან თანაარსებობას, რადგანაც აცდენილია სივრცესა და დროში. მიუხედვევად პლანეტის ასეთი ქაოსისა, არიან ნიჭიერები, მაგრამ ჭკუას რომ ცოდნით წვრთნა სჭირდება, ეს გამორჩინიათ.

დირექტორის ვრცელი სიტყვის შემდეგ რაჭველთან მდგარმა მეცნიერმა ნიაგონმა გააგრძელა საუბარი:

– ბევრი კარგი რამ აქვთ; „იავნანა“ – მელოდია თითქოს ნაცნობი და მივიწყებული, ფესტოსის დისკოზე ამოტვიფრულ ანბანში ვედრება იმალება. ძველი ცივილიზაციის ხალხია, მაგრამ, სამწუხაროდ, მცირე ერია.

თეატრი ჩვენთან სულიერი ამაღლებისთვის არის, რომ განიტვირთო, სულმა ისიამოვნოს და თეატრში დატოვო სანახაობა. ესენი კი რეალურადაც ნიღბებით ცხოვრობენ და თუ ნიღბების მოხსნა გადაწყვიტეს, საკუთარ თავს დასტირიან. ჩვენ ცირკის ჯამბაზს ვპატიობთ საგნების მსხვრევას, მასხარაობას, საკუთარ თავზე სუმრობას, რადგანაც ამას ოსტატურად აკეთებენ და იქვე, ცირკში, ამთავრებენ. ადამიანები კი სხვის ცხოვრებას ამასხარავებენ და ამსხვრევენ. თუ ნიღბის მოხსნას გადაწყვეტენ, საკუ-

თარი თავი ეცოდებათ. ტრაგიულია მათი ცხოვრება. განა იმიტომ, რომ კომედის ცუდი შემსრულებლები არიან?! არა, მათი გაუაზრებელი ცხოვრებაა ტრაგედია. მათი კომედია ჩვენ სიცილს არ მოგვგვრის. მათი სივრცე უსაქმურობას დაუკავებია. რომლის გასახლებაც ერთ გონიერს გაუჭირდება, რადგანაც დიდი ტერიტორია დაუპყრია. სიზარმაცე აჩენს სხვებისადმი ბოლმას. მათ არ ესმით გვერდით მყოფების. სიცოცხლეში არ უსმენენ და სიკვდილის შემდეგ გლოვით აწუხებენ გარდაცვლილის სულს.

ჰოროსი: ჩვენ ვიცით დღე აღსასრულისა და, ალბათ, ესეც განაპირობებს ჩვენ მიერ დროის სწორად გამოყენებას, ერთმანეთისადმი თანადგომასა და ზრუნვას.

აკვა: ეს რას ცვლის, ჰოროს?

ჰოროსი: ყველაფერს. ნუ განვსჯით მკაცრად ადამიანს, რადგანაც მან არ იცის, როდის ეწვევა სიკვდილი. როცა არ იცი აღსასრულის დრო, ამაռა გეგმის დასახვა. გეგმის გარეშე არ არსებობს საქმე. ისინი უფალმა დააჯილდოვა ბუნების სილამაზით, ნიჭითა და სიყვარულით, მათი მოვალეობა სიყვარულით ცხოვრებაა. ამ დავალებას ამპარტავნებას უხვედრებენ საპასუხოდ და იმიტომაც მარცხდებიან. დაე, უფალმა, რომელიც მათშია, გაიღვიძოს და გადაარჩინოს დალუპვის მატრიცა!

ჰოროსი გაჩუმდა და მისი თვალები მიეცა ფიქრს.

ნიაგონმა თქვა: მათი ჭეშმარიტება სიკვდილია, რომელიც ერთია და გარდაუვალი. ისინი არ უფრთხისან და არ უფრთხილდებიან მასთან მიმახლოებელ გზას – დროს. მათი აღსარება წუხილს გვგვრის, ჩვენი – ლიმილს. ღამლამობით ვფიქრობთ განვლილ დღეებზე, რა გავაკეთეთ. ისინი აღსარების სიტყვებს მარადიული ცხოვრებისთვის ამზადებენ, ჩვენ კი მარადიულს აქ ვტოვებთ.

აკვა: მათი ღმერთი ითხოვს აღსარებას?

ნიაგონი: ღმერთი გულწრფელ სინანულს ითხოვს. მათ შიში და ზოგჯერ სინდისი ათქმევინებთ აღსარებას. ამ აღსარების შემფასებელიც ჰყავთ.

აკვა: ვინ აფასებს მათ აღსარებას?

ნიაგონი: სასულიერო პირი ფორმალურად, ხოლო შინარსო-ბრივად – უფალი.

აკვა: ყველაფერი გცოდნიათ დედამიწის შესახებ და ამ რაჭველს რას ერჩოდით, აქ რომ მოიყვანეთ და აკვირდებით?

ნიაგონს გაეღიმა და თქვა: ჩვენი გადარჩენისთვის მოვიყვანე, რადგანაც მათი პლანეტის ეკოლოგიური კატასტროფა საფრთხეს უქმნის ჩვენს პლანეტებს. მნიშვნელოვანია უფლისთვის, იბერია არ აღმოჩნდეს ავისა და ბოროტის ხელში.

სტაჟიორი: რატომ განსაკუთრებით იბერია?

ნიაგონი: იბერია საწყისია ნიჭიერებისა. ის თუ დასრულდა, საფრთხე ემუქრება დანარჩენ სამყაროსაც.

სტაჟიორმა მშვიდად ჰკითხა პოროსს: თუკი არ შეუძლიათ საკუთარი პლანეტის გადარჩენა, ჩვენ დავეხმაროთ?

პოროსმა პასუხი იცოდა, მაგრამ რატომძაც მიმართა ნიაგონს: შეგვიძლია?

ნიაგონი: სამწუხაროდ, არ შეგვიძლია. ღმერთს შევეცილოთ?! ეს მათი არჩევანია.

პოროსმა ზურგი შეაქცია ნიაგონს, კეფასთან მდებარე თვალი ფართოდ გაახილა და თქვა: ის ვისი არჩევანი იყო, როცა ჩვენმა წინაპრებმა მოიტაცეს რუსთაველის შემოქმედება, ნერგი ხვანჭ-კარა, კოლხური ანბანი? ყველა ეს სიკეთე მათგან მივიღეთ.

ნიაგონი: მართებული მსჯელობაა, მაგრამ ვარსკვლავებმაც გარკვეული მისია შეასრულეს რუსთაველის მოვლინებაში, მარტო იბერიელთა დამსახურება არ არის ეს. და არ მგონია, მათ ღმერთს რუსთაველი მხოლოდ დედამიწისთვის გაეჩინა.

აკვა (საბრალო სახით): არ დავეხმაროთ?!

პოროსი: სამწუხაროდ, ჩვენ არ შეგვიძლია მათი დახმარება. მათ შეუძლიათ მხოლოდ.

დირექტორი გაჩერდა, სტაჟიორს გახედა და თქვა:

– ინფორმაცია მივიღეთ. დროა, რაჭველი დავაბრუნოთ თავის მიწაზე. ფულიც გაატანეთ, რომ ცოლმა არ დაღალოს კითხვებით.

რაჭველი ჩასვეს მრგვალ ობიექტში საფრენის სახურავიდან, რადგან აპარატს კარი არ ჰქონდა. ფულიც გაატანეს და სტა-

ჟიორიც გააყოლეს. მიწის წიაღით მოუხდათ მგზავრობა, რადგანაც ატლანტა მიწის წიაღში მოთავსებული პლანეტა იყო. საფრენ აპარატს ფანჯარა არ ჰქონდა და რომც ჰქონოდა, ისეთი სის-წრაფით მიქროდა, მანც ყველაფერი შეუმჩნეველი დარჩებოდა.

აკვა რამდენიმე წუთში დაუბრუნდა ატლანტას პლანეტას.

ნიაგონი: ჰოროსის დავალება შეასრულე?

აკვა: ონში ჩამოვსვი დაძინებული, გამოფხიზლებას ცდილობ-და. ჩიპი ამოვიღე მოგრძო ტვინიდან და ვაროლის ხიდში დარჩა მხოლოდ ერთი კადრი – გაგელიმება, შენი წითელი ფეხსაცმელი.

ნიაგონს მართლაც გაელიმა და სტაჟიორს მისცა დავალება:

– მომავალი თვის 22-ში რუსეთში წახვალ ტურისტად, რუსს ჩამოიყვან! ვნახოთ, მის გონიერაში რა სიახლეა.

სტაჟიორი აკვა: დირექტორმა თქვა, რუსებს აღლუმი აქვთო.

ნიაგონი: კარგი, მაშინ რიგს შეცვლი და ტერორისტს ჩამო-მიყვან სირიიდან.

ასე დასრულდა დღე 22, ჰამასი (პარასკევი).

ჰოროსი ბნელ ოთახში იჯდა და ფიქრს მისცემოდა. მას სჩ-ვეოდა ბნელ ოთახში ფიქრი. ოთახს კუთხე არ ჰქონდა, მაგრამ თაროდან ისმოდა კნუტუნის ხმა. კარი გაიღო და ოთახში სტა-ჟიორი შემოვიდა საქმიანი სახით.

აკვა: შემიძლია გავანათო ოთახი? ელექტოსტიმულატორი გადაწვა ტერორისტმა და მინდა ელემენტი მოვძებნო.

– ეს როგორ მოხდა? – გაიკვირვა დირექტორმა.

– ვირუსებით გაჭედილია ტვინის უჯრედები და სტიმულატო-რი ჩავსვი თუ არა, დამიბლოკა. დროზე თუ არ ჩავსვამ, წამალი გამოვა ორგანიზმიდან და ვერ შევძლებ მუშაობას.

ჰოროსმა ოთახი გაანათა და თაროზე შემომჯდარი სხეულიც ამოძრავდა. სტაჟიორს გაელიმა, ოთახის თაროზე დირექტორის მეგობარი კატა კუპი იჯდა. აკვას შემოსვლამ კუპი გამოაცოცხ-ლა – თაროდან ჩამოხტა, სკამს ეცა, რომელზეც სტაჟიორი და-ჯდომას აპირებდა ელემენტის გამოსაცვლელედ, მაგრამ არ და-ჯდა, რადგანაც ზურგის თვალმა დაინახა კატის ოინბაზობა.

დირექტორი: კუპი, გადადი სკამიდან.

კუპი ატლანტაზე მოლაპარაკე ფისო იყო. თეთრი ფუმფულა ბეწვით და დიდი მწვანე თვალებით.

დირექტორი: აკვა, მეც წამოვალ ლაბორატორიაში. კუპი, შენ დაიძინე, მალე დავბრუნდები.

კუპიმ ტანი აითრია და ზღაზვნით გაემართა თავისი კუთხი-საკენ, რომელიც ჰოროსს მოეწყო მისთვის.

დირექტორმა კუპის ფიქრი ამოიკითხა, კუპისაც ჰქონდა გად-აწყვეტილი ლაბორატორიაში გასვლა.

დირექტორი: ჯერ არ წამოხვიდე, აგრესიულია ტერორისტი და სანამ ელექტროსტიმულატორს არ ჩაესვამთ, არ ღირს შეს-ვლა.

– მე როგორ გავიგო, როდის შემოვიდე? თქვენსავით ტვინის ყველა უჯრედი კი არ მიმუშავებს! – წვრილი, ბავშური ხმით უთხრა კუპიმ მეგობარ ჰოროსს.

ჰოროსმა უპასუხოდ დატოვა კატის კითხვა და ოთახიდან გავიდა.

ტერორისტს სტიმულატორი ჩაუსვეს და, როგორც იქნა, მიიღი უცხო სხეული ორგანიზმა.

აკვა: მზად არის ნიმუში ფ-113.

ჩაირთო ეკრანი და სინქრონულად წამოიმართა ტვინში და-ლექილი კადრებიც. დირექტორი გააშეშა კადრის გამოსახულებამ: ტერორისტი ფ-ს ტვინი იყო იმდენად ნეგატიური, რომ წინააღმდეგობაში მოდიოდა ცივილიზაციასთან. მძიმე ბავშვობის კადრებმა, მისმა დაკარგულმა ხმამ და ყვრუ საზოგადოებამ, ქუჩის დანაშაულმა, იარაღმა, ქაოსმა ჩაკლა ინდივიდი. მისი ადგილი არ იყო არსად – დედამიწაზე ის იყო ყველგან და არსად. ცდილობდა დამკვიდრებას, მაგრამ ვერსად მკვიდრდებოდა. მუდმივ მოძრაობაში იყო სიკვდილის გასაჩენად. ყველა კადრის ამოკითხვა რთულ ამოცანად გადაექცა ატლანტას მეცნიერებს და დიდი პრობლემიდან გამოსავალს ეძებდნენ. რამდენიმე წუთის სამუშაო ბრძოლის შემდგომ მოიხსნეს საათვალეები, რომელიც იცავდა მათ თვალებს კადრებიდან წამოსული წითელი სინათლისაგან. გამორთეს აპარატი. ტერორისტს ეძინა.

ჰოროსი: რას ამბობს ნიაგონი ამ კადრებზე და, საერთოდ, სად წავიდა ნიაგონი?

სტაჟიორი აკვა: გუშინ თქვენსავით ნახა კადრები და თქვენსავით დააფიქრა.

სტაჟიორმა მაგიდის ღილაკს თითო დააჭირა და მინის გადახსნილი კედლიდან ნიაგონი შემოვიდა.

ნიაგონი: შევისწავლე მარკოლი ტერორისტი. აგრესიულია ფრანგების მიმართ. გადავხედე მათ ისტორიას კრუზისში (ინტერნეტ სივრცეში) და აღმოჩნდა, მარკოლებს ებრძოდნენ ფრანგები. დასკვნა: შურისძიების გარემოში აღზრდა.

აკვა: რა გავაკეთოთ?

ჰოროსი: მძიმე სურათია... ჩვენ შეგვიძლია დავბლოკოთ უჯრედის გარკვეული ნაწილი, რომელიც პასუხისმგებელია შურისძიებაზე, მაგრამ ეს მცირედია იმ მასშტაბისათვის, როგორიცაა დედამიწა. გარკვეულ ქვეყნები პლანეტაზე ფლობენ ბირთვულ იარაღს. ასეთი ადამინის ხელში რომ აღმოჩნდეს, ხომ დაიღუპება პლანეტა!

დირექტორი სტაჟიორს: კუპი არის კედელთან, გაუღე, შემოვიდეს.

აკვა ღილაკს თითს აჭერს, კედელი იხსნება და კუპიც შემოდის.

კატა მეგობრის დალვრემილ სახეს აკვირდება, ჰოროსისათვის საყვედურის სათქმელად გამოყოფილი წითელი ენა უშეშდება.

ჰოროსი: მიდი ახლოს, კუპი, ნიმუშ ფ-სთან და გვითხარი შენი აზრი.

კუპი ფრთხილად მიუახლოვდება დაწოლილ ტერორისტს, თათს ადებს სახეზე, თავს ხრის, ცხვირთან ყნოსავს და ცხვირაბზუებული კატა ამბობს:

- ლამაზია ძალიან, მაგრამ სუნი აქვს.
- რისი, კუპი, ჭუჭყის?- ეკითხება სტაჟიორი აკვა.

კატა: სიკვდილის სუნი.

ორი ნაბიჯით უკან ხტება კუპი და ლაბორატორიის მაღალ სკამზე თავსდება.



სტაჟიორი აკვა: ეს როგორ მიხვდი? .

კატა კუპი: ყველას გვაქვს ინდივიდუალური სუნი. ამასაც აქვს სხვადასხვა ჯგუფის სისხლის სუნი, ლაყე სუნი. ამ სუნის შეყვარება არ შეიძლება, რადგანაც მას არა აქვს ამის სურვილი. სურვილი რომ ჰქონდეს, სუნსაც არ დაიგროვებდა.

— ყოჩალ, კუპი! — თვალები გაუნათდა დირექტორს — შენ ერთ სუნში მიხვდი იმ ამაობას, რომელსაც ჩვენ ვერ მივხვდით, სწორედ ადამიანთა ტემპერამენტი, ჰორმონები, გენეტიკა და გარემო აყალიბებს იმ ფსიქოზს, რომლის წინაშეც უძლურნი ვართ. ტერორისტის მაგალითით შედეგიც სახეზეა.

კუპი სიამოვნებისგან გაიზმორა, თავი ასწია ამაყად და თქვა:

— რა ყოჩალი ვარ! მე აღმოვაჩინე, მგონი, დღეს დამასაჩუქრებს ნიაგონი კოცნით. — კატამ თვალები დახუჭა, წინ სახე გამოსწია და გაიტრუნა ნიაგონის კოცნის მოლოდინში.

ნიაგონს გაელიმა, კატას მიუახლოვდა და თავზე ხელი გადაუსვა.

ჰოროსი: უნდა გამოვიგონოთ ისეთი ოზონი, რომელიც კატასროფის დროსაც დაიცავს დედამინას. სხვა გზა არ არის.

ნიაგონი: ტერორისტებს რა მოვუხერხოთ?

ჰოროსი: მათ ქვეცნობიერში ზევსის ცეცხლი ტრიალებს არა სამყაროს გასათბობად, არამედ დასაწვავად. სხვა ადამიანების გულგრილობამ და ძალადობამ აქციეს ისინი ტერორისტებად.

აკვა: იქნებ ამ ტერორისტის გაუნათლებლობაშია მიზეზი?

დირექტორი ჰოროსი: არა მხოლოდ გაუნათლებლობის. განათლებულსაც შეუძლია ჩაიდინოს ბოროტება, როის საფუძველიც ეგოიზმია. მათთვის ერთი პილის (ფულის ერთეული, ერთი თეთრის ეკვივალენტი) ფასია სიცოცხლე. სიცოცხლეს სიკედილით პასუხობენ. დღეიდან ვიმუშავებთ პრევენციის პროგრამაზე, რომ დედამინა ნაკლებად დაზიანდეს, ხოლო ტერიტორიებზე პოლიტიკოსებმა იფიქრონ. ჩვენ არ გვაქვს უფლება, ადამიანს წავართვათ სიცოცხლე, ტერორისტსაც კი. ნიაგონ, ტერორისტი გაუშვით თავის სამშობლოში, მაროკოში და გაუთიშეთ ტვინის ის ნაწილი, რომელიც სულიერი ტკივილის მახსოვრობაზეა პა-



სუხისმგებელი, მას უნდა დაავიწყდეს ტკივილი, რომ შეძლოს ცხოვრების გაგრძელება.

ლაპორატორიაში შუქი გამოირთო. მხოლოდ ჰოროსმა იგ-რძნო წინასწარ შუქის გამორთვის საფრთხე და ხელის ფანარი მოიმარჯვა.

ტერორისტმა გაიღვიძა, რაღაც დაიმსხვრა, კატა აჩხავლდა.

ჰოროსმა ფანარი აანთო და იატაკზე დავარდნილი ტერორისტი იხილა, რომელსაც ლაპორატორიის გატეხილი კოლბით ვენ-ები გადაეჭრა.

კუპი, მაგიდაზე შემომჯდარი, დამფრთხალი თვალებით ჰოროსს სთხოვდა შველას.

ჰოროსს მნარედ გაეღიმა იმ ამოუცნობ შემთხვევითობაზე, რომელის წინაშეც მეცნიერებიც უძლურნი აღმოჩნდნენ.

ასე დასრულდა კიდევ ერთი დღე ატლანტაზე.

ლოლა

კარგ წინგთან განშორებას არცერთი მოგონება შეეძრება. იგი მთელი ცხოვრების განმავლობაში გაგყვება თავისი ამბიციური პერსონაჟებით და ადამიანებზე ისეთ წარმოდგენას შეგიქმნის, მეტოქე რომ არა ჰყავს, რადგან წინასწარ განსაზღვრულ სტერეოტიპს ანადგურებს და, როგორც არ უნდა მოინდომოს მკითხველმა, ყველთვის დარჩება წაკითხულის გავლენის ქვეშ. წიგნთან ურთიერთობის დაწყებას გამართლებაც უნდა, რადგანაც არ იცი, ჯერ რომლით დაიწყო, რამ შეიძლება გაამართლოს შენი მსოფლხედველობის არეალი. როცა შენთვის უინტერესო ნაწარმოებს შემოგაჩერებენ ან რიგში თავ-პირის მტვრევის ფასად ისეთ იუნტერესო წიგნს შეიძენ, მასობრივად ყველა რომ კითხულობს და შენც უცილობლად უნდა წაიკითხო – ეს ხომ უმეტესი საშინელება!

ყველაზე დიდი გამართლება მაინც ბუკინისტის მიერ შერჩეული წიგნია, მრჩევლისგან არაერთგზის გაანალიზებული; მას ხომ ყველა პერსონაჟთან მოუნია გაბრძოლება, რაც ზოგჯერ გამარჯვებით, ზოგჯერაც ზავით დასრულდა, რომელსაც დაუნგრიეს სტერეოტიპი, ჩარჩოებში რომ აქცევდა. რაღა ბევრი გავაგრძელო, მინდა მოგითხროთ ლიტერატურის დიდად დამფასებელ, გურიაში მცხოვრებ ერთ ბიბლიოთეკარ ქალზე. გაუთხოვარი ქალი იყო ლოლა. მას პატარა, კოხტა ტანი და ძალივით ერთგული თვალები ჰქონდა. ყოველთვის მზად იყო, შინ თუ გარეთ, თანაბარი დახმარება გაეწია ოჯახის წევრისა თუ მის ბიბლიოთეკაში შესული მკითხველისათვის. მკითხველსაც თითქოს ინტუიციით არჩევდა – თუ კი ვინმე უდიერად მოექცეოდა წიგნს, ლოლას რისხვას ვერ გადაურჩებოდა. შორეულ წარსულში ალბათ ასეთ მრისხანებასაც ჰქონდა თავისი გამართლება, როცა პლატონმა ნერვების აშლის თავიდან ასაცილებლად მის მიერ გახსნილი ფი-

ლოსოფიური სკოლის კარზე მიაწერა: „ვინც გეომეტრია არ იცის, აქ ნუ შემოვა“, ე.ი. ვინც მოუმზადებელია ობიექტურობის მისაღებად, აქ მისი ადგილი არ არის! ლოლას ბიბლიოთეკის კარზე ეწერა: „გაუფრთხილდით წიგნებს, როგორც მეგობრებს და თუ ვერ შეძლებთ მათ გაფრთხილებას, გთხოვთ, ბიბლოთეკაში ნუ შემოხვალთ!“. ამავე აზრის იყო დიდი რუსი პოეტი ალექსანდრე პუშკინიც, რომელიც თავის ერთგულ მეგობრებს სიკვდილის წინ ემშვიდობებოდა, რადგან მხოლოდ წიგნებმა გაუწიეს მას ერთგული მეგრობა.

ლოლას ჩუმად ჰქონდა გადანახული ის ლიტერატურა, რომელი დიადი კომუნიზმის ხანაში იკრძალებოდა. როცა პირველად ლოლას უკითხავად აკრძალული წიგნი გამოვაძვრინე დაფარული თაროდან, მისმა თვალებმა მიმანიშნა, რომ რაღაც ცუდი გავაკეთე. პატარა ვიყავი და ვერ ვანალიზებდი ჩემს ქმედებას. ჰეკლბერი ფინივით დამემერთა, როცა მან ჯიმი გააპარა და ღმერთს სთხოვდა დახმარებას დადგენილი წესის გადახვევისთვის... აბა რა მოსატანია რასიზმი კომუნიზმის მშენებლობასთან მიმართებით, როცა თითქოს ყველა თანასწორნი ვიყავით!.. დღეს უფრო მეტად გვინდა თავისუფალი დავრჩეთ ჩვენს აზრებსა და სიტყვებში! ფაქტი ერთია: მაშინ ისჯებოდი ეროვნული თვითმყოფადობისთვის, დღეს კი ჰარი-ჰარალე თავისუფლება გვაქვს, რომელსაც უპასუხისმგებლოდ ვექცევით.

დავუბრუნდეთ ისევ ჩვენს მთავარ პერსონაჟს. მამა არ ახსოვდა ლოლას, დედის მოგონებიდან იცოდა მხოლოდ, რომ მღვდელი იყო და მორწმუნებს ემსახურებოდა. იგი, როგორც სოციალისტური ქვეყნის მოქალაქე და და სკოლის დირექტორის მული, თავს იკავებდა ეკლესიაში ღვთისმსახურებაზე დასასწრებად. ეს იმ რეჟიმის დამსახურება იყო. შესაძლოა მისი დიალექტური აზროვნება ძველსა და ახალ აღქმაზე კითხვის ნიშნებს ბადებდა, მაგრამ ეს არ იყო ათებიში, უბრალოდ შემოთავაზებული აღქმის გადამოწმებას წარმოადგენდა, რადგანაც მისთვის რწმენა იყო არა ზელოგიკური, რაც წმინდა წერილს მოაქვს, არამედ ძიების პროცესი, როცა ყველაფერ შემოთავაზებულს

ადეკვატურად მიღებომა სჭირდება. მისი ცხოვრება და სამსახური იყო ძიების პროცესი, მიუხედავად ძალიან ასკეტური აღნაგობისა.

იუმორის საოცარი გრძნობა ჰქონდა – დროული და დამაფიქრებელი, რასაც ორი ფაქტორი განაპირობებდა: წიგნების სიყვარული, საიდანაც სწავლობ ტრაგიზმის იუმორით გადმოცემას და გურული დიალექტი, აზრთა სისხარტე. ვინ იცის, რამდენ ხანს მიგყვება მსენელს გურული ხუმრობა და როგორ ცდილობ, თავი მოინონო მოსმენილის სხვა გარემოში გამეორებით, მაგრამ ამაოა შენი მცდელობა, რადგან არასდროს გამოდის ისეთი, როგორიც პირველადი იუმორი იყო.

ლოლას კლასიკური, მკაცრი ჩაცმულობა და თითქოს უინტერესო დამოკიდებულება სამოსისადმი, სრულიად არ მეტყველებდა იმასზე, რომ იგი უგემოვნო ქალი იყო. ლოლა ჩაცმულობითაც ამართლებდა თავის ესპანურ სახელს, რაც ძლიერ ქალს ნიშნავს. უკან გადაწეული ჭალარა თმა „ნევედიმკებით“ ჰქონდა დაგამრებული, რაც სრულ შეუსაბამობაში მოდიოდა მის რუსულ მნიშვნელობასთან იმ მიზეზის გამო, რომ მის თეთრ თმაში მკვეთრად ჩანდა შავი სამაგრები და ე.ნ. გრებეშოკი.

მახსოვს, როგორ ემსხვერპლა მისი საყვარელები უაკეტი ცხელ უთოს. ამის შემდეგ დამწვარი ადგილის დასაფარავად კიდევ უფრო მეტი გულმოდგინებით აუთოვებდა ლოლა ჩასაცმელს ჩაის ფერში დასველებული ჩვრით. მისი შემყურე უცილობლად ითიქრებდი: როგორი ერთგულება შეუძლია ადამიანისთვის ნივთს, ასე რომ ცდილობდე მის გადარჩენას. ლოლა ამგვარ ქმედებას ნივთის შეძენისა და მასთან ერთად გატარებული დროის მოგონებით ასაბუთებდა და ჯიუტად იცავდა თავის დამოკიდებულებას ძმასთან დავისას, რომელიც ახალი უაკეტის შეძენას სთავაზობდა... ქალის პასუხი უცვლელი იყო – ეს სამოსი მას კიდევ დიდახნს მოემსახურებოდა. ნივთებთან ვერშელევა, გარკვეულწილად, ომგამოვლილი ხალხის გაჭირვებაზეც მეტყველებდა, გადასაგდებად რომ ვერ იმეტებდა ვერაფერს, მიუხედავად გაქანებული სოციალისტური მშენებლობისა!

ლოლა ერთგულად ემსახურებოდა ძმის ოჯახს. რძალთან ერთად სამზარეულოში მისი ფუსტუსი შეხმატებილებული რიტუალი იყო, რომლის მთავარ რეცეპტს წარმოადგენდა რჩევა: „თუ გინდა, კერძი კარგი გამოგივიდეს, გაჩუმდი და მთელი გული ჩადე მასში“. მისი ნახელავის დაგემოვნება სუფრასთან ასევე უჩუმრად ხდებოდა, რადგან სადილის საოცარი გემო ხმის იოგებს აშკარად იმეტებდა დუმილისთვის.

პატიოსნება ლოლას ოჯახის მთავარი ნიშნული იყო. როცა სამოცი წლის ლოლას ანგელოზივით ლამაზ ძმისშვილებზე ჰქითხავდნენ, რომელია მათ შორის უფროსიო, იგი მოსწრებულად, ღიმილით პასუხობდა: ამ ოჯახის უფროსი ქალიშვილი მე გახლავართო, რითაც უმალ იცილებდა ძმისშვილების სათხოვნელად ჭიშკარს მომდგარ მაჭანკალს. ალპათ თავის დროზე ლოლა-საც არ შეხვედრია მორელის დონ უუანი, რომელიც მას სიყვარულის მეცხე ცამდე აიყვანდა და დედოფლად აგრძნობინებდა თავს. სამწუხაროდ, დონ უუანის გულწრფელი სიყვარული ხალხს კაზანოვაში ერევა. შეიძლება იმიტომაც, რომ ნამდვილი დონ უუანი ჯერ არ დაპატებულა. ლოლასთვის კაცობის ეტალონს მისი ძმები წარმოადგენდნენ: ცოცხალი და ომში დაღუპული. ცოცხალ ძმას, როსტომს შვილივით ანებივრებდა, რძალს კი დასავით უფრთხილდებოდა.

იმდენად მოკრძალებულად და თავმდაბლად ცხოვრობდა ლოლა, იფიქრებდი, საეკლესიო ტიპოკონს ზედმიწევნით იცავსო. განსაკუთრებულად მიყვარდა მის ოთახში ჩუმად შეპარვა და გულდასმით თვალიერება. მოგვიანებით, როცა პირველად შევდგი ტაძარში ფეხი, ზუსტად ისეთი განცდა დამეუფლა, როგორიც ლოლას ოთახში შესვლისას. მართალია, ხატებსა და სიწმინდეებს იქ ვერ ნახავდი, მაგრამ გეუფლებოდა განცდა, რომ უმანკოებას მიეახლე. მისი პატარა ოთახი ისეთი სიმყუდროვის შეგრძნებას ბადებდა, დარწმუნებით შემიძლია ვთქვა, რომ ყველა წმინდანის ოთახი სწორედ ასეთი იქნებოდა თავისი უბრალოებით. სახლის დანარჩენ ოთახებში ფუფუნება იგრძნობოდა, ლოლას „სენაკში“ კი იატაკი ისე ჭრაჭუნობდა, რომ გრძნობდი, ოთახიც თან

მოჰყვებოდა შენს ნაბიჯებს. ასეთ დროს აკვანივით ირწეოდა ლოლას ნიკელის საწოლიც, ოღონდ არტახებს ოთახში ვერსად იხილავდი, რადგანაც ქალს გადაეწყვიტა, თავისუფალი სივრცე არავის დაერღვია არც მის ოთახში და არც ბიბლიოთეკაში.

ბავშვობაში ძალიან მიყვარდა ლოლას ლაკის ფეხსაცმლის ჩაცმა და თმის სამაგრების გაკეთება. ძალიან ვბრაზდებოდი, როცა ზღაპრულად მოჩუქურთმებული სარკის წინ პომადა არ იდო, ხოლო ოთახის მთავარი სამშვენისი – სუნამოს ბროლის ბოთლი დიდი ხნის წინ დაცლილიყო. ბოთლიდან სუნის გამოდევნას წყლის ჩასხმითა და მისი ნჯლრევით ვცდილობდი.

ყველაზე დაუვიწყარი პრაქტიკულობა მაინც კალოშები იყო გურიაში. ოჯახის ყველა წევრს საკუთარ კალოში ჰქონდა, ჩემი კუთვნილი კი როგორც ნებიერა სტუმარსა, განსაკუთრებით ლაპლაპა და, ჩემი ასაკის შესაბამისად პატარა იყო.

ეზოში ჩაის კრეფა ჩემს საყვარელ საქმეს წარმოადგენდა. რადგანაც პატარა ხელებს არვინ ანდობდა ჩაის მაკრატელს, ახლაც მახსოვს, როგორ ვცდილობდი ბებიაჩემის კალათში ჩაძრომას და იქიდან ჩაის ფოთლების ამოღებას. მერე ლოლას კალათს ვსტუმრებოდი და ასე ვცდილობდი ჩემთვის განკუთვნილი პატარა კალათის გავსებას ჩაის ფოთლებით...

განსაკუთრებით მანალველბდა ის, რომ მეზობელ ბავშვთან არ მიშვებდნენ სათამაშოდ, რადგანაც, მათი აზრით, იმ სახლში კარგს ვერაფერს ვისწავლიდი და უმჯობესი იყო „ტომ სოიერის“ თავგადასავალი მეკითხა, ან მე და ჩემს დეიდაშვილ თეას გვეხატა. არადა ჩემი ცნობისმოყვარების საგანს მეზობლის ეზო წარმოადგენდა, მუდამ იქით მეჭირა თვალი და ერთი სული მქონდა გამეგო, რა ხდებოდა აკრძალულ ზონაში ისეთი, რომ სკოლის დირექტორი – ქალბატონი ბებიაჩემი არ მიშვებდა.

ერთხელ, როცა შუადღემ მოატანა და ბაზიერის ქალმა სახლში მკვდარი საათი გამოაცხადა, ოჯახური წესების მორჩილ ჩემს დეიდაშვილთან საპირფარეშოს საჭიროება მოვიმიზეზე და აკრძალულ ღობეს მივუახლოვდი. სწორედ ამ დროს ხეზე მიბმული ბებიაჩემის თხა აშვებულიყო და ფაქტზე წასწებულივით გა-

მომედევნა უკან. დიდხანს მარბენინა, თავს არ მანებებდა, ვიდრე მთელი ეზო არ შევძარი ყვირილით, რადგან საშინლად მეშინოდა მისი რქენის. ამასობაში ჩემი პრიალა კალოშებიც სულ ამოიგანგლა ტალახში... ოჯახის წევრები სახლიდან რომ გამოცვიდნენ, მეც გავჩერდი, რადგანაც მაშველი ძალა დავინახე მათი სახით. ბებიაჩემის სულელი პირუტყვიც გაჩერდა. როგორც გაირკვა, თხა მორბენალს მისდევდა, მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ბებიაჩემს თხაც მოსყიდული ჰყავდა, ხელი რომ შეეშალა ჩემთვის მეზობლის სახლში გადასასვლელად.

მე ლოლასთვის მაინც არ დამიმალავს მეზობლის სახლში გადასვლის დაუძლეველი სურვილი. მან მაშინვე ხელი მომკიდა და აკრძალულ ეზოში გადამიყვანა. მეზობლებმა ძალიან თბილად მიგვიღეს. ახლაც მახსოვს, ცხიმიანი ტაფიდან როგორ ფხეკდა გემრიელად შებრაწულ კარტოფილს ჩემი ტოლი გოგონა. კარტოფილი, რომელიც ყველა ბავშვს უყვარდა და რატომღაც მე ვერაფრით მიზიდავდა, ამ დღეს პირველად მომინდა. ჩუმად გავუმხილე ლოლას ჩემი სურვილი, რაც მასპინძელს არც გაუგონა. მან თავადვე შემომთავაზა: „მოდი, დაჯექი შვილო, მართალია ბევრი არაფერი გვაქვს, მაგრამ რაც გვაქვს, კეთილი გულით გეპატიჟებითო“.

ლოლამ დამტოვა და სახლში წავიდა. სუფრაზე ჩანგალი არ იყო, ხელით შევექცეოდით კატოფილს. მართალია, გემო არ მომენტა, მაგრამ ძალიან ბედნიერი ვიყავი, რადგანაც სხვა სამყაროში აღმოვჩნდი. დიდხანს არ გასტანა ამ სამყაროთი ტკბობამ, რადგან ცოტა ხანში ლოლა დამადგა თავზე დიდი თევშით ხელში, რომელზეც ბლინები ეწყო. გადმოვიღე, ძალიან მომენტა და გამიკვირდა, სახლში რატომ არ ვჭამე. ჩემი ცხიმიანი ხელებით ამისრუტა მაგიდიდან ლოლამ. თანამეინახეები ხმის ამოუღებლად დავტოვე გაკვირვებულმა.

ლოლამ მეგობრული ტონით გამაფრთხილა, უკითხავად არ-სად წავსულიყავი. დამპირდა, რომ მეზობლის გოგონას ჩვენთან მოიყვანდა ხოლმე. არც მე დამიწყია იმის გარკვევა, რატომ არ უნდა გადავსულიყავი მათთან, რადგანაც იმ ბავშვს, რომელმაც

კარტოფილის გემოს გასინჯვის სურვილი გამიჩინა, სახლში მომიყვანდნენ და მე საშუალება მეძლეოდა, შემესწავლა იგი, როგორც ჩემთვის უცხო არსება. მკაცრად გამაფრთხილეს ასევე იმის თაობაზე, რომ სტუმარად მოსული ბავშვებისგან, შესაძლოა, ტილებიც გადამდებოდა, მაგრამ იმდენად ვიყავი გულშეღლონებული ერთი და იმავე სახეების ყურებით, იმ მომენტში მკენარიც კი შემიყვარდა.

ბებიაჩემი ძლიერი, მკაცრი გარეგნობისა და დამრიგებლური ტონის ქალი იყო. მუდამ ისე გელაპარაკებოდა, როგორც საკუთარ მოსწავლეს. ღამით უჩემოდ არასდროს იძინებდა. ბაბუაჩემი ლამაზი, ცისფერთვალება, ევროპული ყაიდის კაცი გახლდათ. გუშინდელი დღესავით მახსოვს, როგორ ნაზად დაჭრა ომის ვეტერანმა ბაბუამ საკალანდედ მამზადებული ტახი, სახელად ამბროსი, რომელსაც ღამის ნაგომრამდე სდია სანადირო თოფით. მოკლედ, შეიძლება ითქვას, იმ დღეს ბაბუაჩემმა როსტომმა გურიის მთელი გეოგრაფიული ლანდშაფტი მოიხილა და ამ შემთხვევას მოგვიანებით ხუმრობით იხსენებდა თავის მოსწავლებთან გეოგრაფიის გააკვეთილზე.

მესიერებაში ღრმად აღმებეჭდა ბებია თებრონე – თოვლივით ქათქათა, თეთრი პირისახის დიდი ბავშვი, ლოგინად ჩავარდნილს რომ უვლიდა ლოლა. თავისი ვაჟის ომში დაკარგვის ამბავი რომ შეიტყო თებრონემ, მას მერე ალარ მოსცილებია ლოგინს. მის ფეხებთან მოკალათება და თმის დავარცნა მე და თეას – ჩემს დეიდაშვილს ვარცხნილობის დახვენის შემოქმედებით უნარს გვიღვივებდა. თებრონე ჩვენი უპრეტენზიო მომხმარებელი იყო. ზოგჯერ ჯიუტად გადაბრუნდებოდა კედლისკენ და ჩუმად ტიროდა. ბავშვებს გვეგონა, უკმაყოფილი იყო ჩვენი შეთავაზებული ვარცხნილობით. სინამდვილეში თებრონე ომში დაღუპულ შვილს დასტიროდა. ამ დროს დაბნეულები ვცილდებოდით მის ლოგინს და ვჩუმდებოდით. თებრონე ბებიას ტირილზე ლოლა შემოვიდოდა ოთახში, გაუბრაზდებოდა და წნევის ანევით ამაოდ აშინებდა. მოხუცი დაგროვილ ცრემლს იწმენდდა და ლოლას დასანახად ჩუმდებოდა. იმ დროს ვერ ვხვდებოდი, რა ტკივილი

იყო ასეთი, თებრონე რომ ვერ ივიწყებდა. ბევრ რამეში გაუცნობიერებელი და გამოუცდელი ბავშვი თავზე ხელს გადავუსვამდი მოხუცს და ჩემებურად ვანუგეშებდი: „ნუ ტირი, თებრონე ბებო“.

რაღა ბევრი გავაგრძელო, მეზობლის ბავშვის ჩვენთან სტუმრობამ დიდი არაფერი ნაყოფი გამოიღო, რადგანაც ისიც მალე მოერგო ბებიაჩემის მიერ ოჯახში დადგენილ წესებს. ზოგჯერ ლოლაც მონაწილეობდა ჩვენს გასართობ თამაშებში, ბებიაჩემი კი ჩვენი მეტყველების მთავარი ზედამხედველი იყო.

ნამდვილი დღესასწაული მაშინ დგებოდა ჩემთვის, როცა ლოლა გადაწყვეტდა ჩემი და ჩემი დეიდაშვილის კლუბში წაყვანას ფილმის სანახავად. იქამდე კი იმდენი უნდა მევლო ფეხით, რომ კინოჟურნალის დასრულებისთანავე მეძინებოდა. მეორე დღეს ყოველთვის გამოვთქვამდი უკმაყოფილებას, რატომ უნდა დალოდებოდა მთელი სოფელი ძროხების დაბინავებას, რადგან მხოლოდ ამის შემდეგ, ღამის 10 საათზე იწყებდნენ „სეანსს“. ჩემი აზრით, ამ დროს საქონელი მეტ პატივში იყო, ვიდრე ადამიანი, ვისი უფლებაც – დროულად ენახა ფილმი – აშკარად ილახებოდა.

ამ ბავშურ მოგონებებში ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა მაინც ლოლა იყო ჩემთვის. საქართველოს რეალური ისტორია სწორედ მისგან გავიგე. ეს იყო ქალი, რომელსაც უბადლოდ შეეძლო აეხსნა წიგნის ავტორის მთავარი სათქმელი და კითხვის პროცესში გამოგყოლოდა. ახლაც თვალწინ მიდგას მისი შავი, დიდი თვალები, ძალლივით ერთგული გამომეტყველებით, რომლის არჩევანიც მოვალეობისადმი თავდადება იყო, რადგან განგებამ მისთვის დონ უუანი ვერ გაიმტა. ლოლა იყო კარგი მკითხველი და მცველი ყველა იმ ნანარმოებისა, სადაც კი კონკრეტულ ავტორს ბინა დაედო, კარის გასაღები კი მისთვის ჩაებარებინა. ლოლა დროს დაგიზოგავდა, კარგ წიგნს აგარჩევინებდა და და გაგათავისუფლებდა სტერეოტიპებისგან.

დღემდე თვალით დავეძებ წიგნის გალერეაში გამყიდველს, რომელიც ლოლას მსგავსად დამეხმარება სწორი არჩევნის გაკეთებაში და ისეთ წიგნს შემირჩევს, თავისუფლებას რომ მომანიჭებს.

ხადიჯას აღსარეპა

დეკემბრის სუსხიანი ღამე იყო. მონასტრის ეზოში ვიღაცის შავი სილუეტი აქეთ-იქით აწყდებოდა, თითქოს გასასვლელს ეძებსო. მონასტერი ანტიოქიის მართლმადიდებლური ეკლესიის საკუთრება გახლდათ, ღვთისმსახურებას ბერძნულ ენაზე აღვლენდნენ. ერთ დროს არაბულადაც ასრულებდნენ. მონასტერი ევროპის მთებში მდებარეობდა.

მონასტრის მკვიდრი ორი მონაზონი, ბუხართან თბილად მოკალათებული, ამბარს დარჩეული სიმინდის მარცვლებით ავსებდა, ხოლო მოშორებით მჯდომი მონასტრის სულიერი დედა, სავარძელზე მჯდომი, წიგნს კითხულობდა. კარზე ფხაკუნის ხმა მოესმა დედას, უმცროს დას გახედა და უთხრა: დუნდარა, წადი, ნახე, გოდიამ ხომ არ აიშვა.

გოდია მონასტრის ძალლი იყო, კავკასიური ნაგაზი, რომელიც უკვე 12 წელია ერთგულად ემსახურეობდა მონასტრის სიმშვიდეს. დუნდარამ ამბარი გვერდზე გადადო და კარისკენ აჩქარებული ნაბიჯებით გაემართა. მძიმე კარი ძალდატანებით მოსწია და დაჟანგული საკეტი ძლიერად გადაატრიალა. კარი გააღო თუ არა, ზღურბლზე ადამიანის დაეცა და თან შემოიტანა დეკემბრის სუსხიანი ქარი. მონაზონმა შეიკივლა და უკან გადაიწია. მონასტრის ორი და გვერდით დაუდგა დუნდარას. უცნობი სტუმარი კარის ზღურბლს ააცალეს და კარი სასწრაფოდ დაკეტეს, რომ ცეცხლი შეენახათ ბუხარში. სამივე მონაზონმა ბუხართან ახლოს, იქვე, ტახტზე მოათავსა ჩადრში შეფუთული. სოსანამ ხიმარი გადაუნია, სუნქვა რომ შესძლებოდა. მონასტრის სტუმარი დაჭრილი მუსლიმი ქალი აღმოჩნდა, რომელიც მონასტრის მიდამოებში ტყეში ჩამოვარდნილი თვითმფრინავის მგზავრი გახლდათ. ხუთი მგზავრიდან ის დარჩა იღბლიანი. ქალი სახეზე ჩამოფარებული ხიმარის მიღმა მონასტრის კედლებში მძიმედ სუნთქვავდა

მართლმადიდებელი დების თანდასწრებით. დედა სოსანამ, რომელიც მონასტრის წინამძღვრი იყო, დასისხლიანებული ჩადრი დახია, რათა ადვილად მოეცილებინა სხეულისაგან და ენახა ჭრილობა. დაჭრილი 28 წლის ქალი იყო, ფერმკრთალი სახით, ხვეული თმებით და უცნაური გამოხედვით, ხშირად ალაპს იხმობდა და თან მონაზონს უბრაზდებოდა ჩადრის გახადის გამო. ქალი სისხლისაგან იცლებოდა, მუცლიდან ნაწლავებს თავი გამოეყოთ. დედა მიხვდა, დიდხანს ვერ იცოცხლებდა.

სოსანამ მონაზვნებს მიმართა: წადით, ჯამით ნაკურთხი წყალი, ზენარი და ოოდი მოიტანეთ.

ბორენა და დუნდარა უხმოდ გავიდნენ დავალების შესასრულებლად.

დედა სოსანა დაჭრილისკენ მიბრუნდა, არაბულად უთხრა: დამშვიდდი, აქ არავინ გავნებს.

დაჭრილმა უპასუხა. თქვენ ვეღარაფერს მავნებთ, ვიცი, რომ ვკვდები, მაგრამ ალაპის გამკვირვებია, რატომ გადაწყვიტა, მონასტრის კედლებში დამელია სული!

სოსანა: ჩვენ, მოკვდავნი, რას გავიგებთ უფლის სურვილს!

დაჭრილი: ის მაღელვებს მხოლოდ, დავალება რომ ვერ შევასრულე და თქვენმა მესაზღვრეებმა ააფაეთქეს ჩვენი თვითმფრინავი.

სოსანა: როგორც კი დაგინახე, მივხვდი, გზააბნეული ტერორისტი რომ იყავი. სჯობს, ცოტა ისაუბრო და მონაზვნები არ დამიფრთხო.

მონაზვნების მოტანილი წყლით დედა სოსანამ ჭრილობა მოჰპანა, იოდით დაუმუშავა და ზენრით მაგრად შეუხვია მუცელი. მონასტერში მომზადებული მცენარის ნაყენი მოასმევინა.

დაჭრილი: ეს რა დამალევინეთ, შხამი?

დუნდარამ და ბორენამ დედა სოსანას გადახედეს, რადგანაც ბერძენ მონაზვნებს არ ესმოდათ დაჭრილის არაბული.

სოსანას მწარედ გაეღიმა და უპასუხა: ტკბილი შხამი. როგორ მოგმართო?

დაჭრილი: ხადიჯა მქოია. მეტს არაფერს გეტყვით ჩემს ვინაობაზე და ნურც მკითხავთ! – მუცელზე ხელი მოისვა და სახე შეეჭმუხნა.

სოსანამ მონაზენებს აუხსანა: დაჭრილი ხუმრობის ხასიათზეა. მონაზენებს გაეღიმათ.

სოსანა: კარგი, დამშვიდდი. არაფერს გკითხავ; იმაზე მეტს ვერ მეტყვი, რაც სახეზე გაწერია.

ხადიჯა: რა მანერია?

სოსანა: განუხებს, აქ რომ მოხვდი, მონასტრის კედლები გაბრაზებს. ნუ ბრაზდები!.. მართლმადიდებლური ქრისტიანული მონასტრის კედლებში აღავლენენ მუსლიმი მორწმუნები ლოცვას. რა მნიშვნელობა აქვს, სად ილოცებ, მთავარია, გწამდეს და გულით ილოცო.

ხადიჯა: ეს ცოდვა სად ხდება?

სოსანა: აია სოფიაში. ცოდვა ის არის, სხვისი სალოცავი რომ მიიტაცეს. რა მნიშვნელობა აქვს, მორწმუნე სად ილოცებს. მთავარია, გწამდეს ღმერთი და ილოცო გულით.

ხადიჯა: ის მეჩეთია.

სოსანა: ახლა კი. მიტაცებული მერვე საოცრება.

ხადიჯა: და ფიქრობ, მაგისთვის გვსჯის თქვენი ღმერთი?

სოსანა: ღმერთი არ სჯის ადამიანს. ადამიანის სასჯელი მისივე ქმედების შედეგია.

ხადიჯა: მე არ მჯერა თქვენი ღმერთის და მისი სასჯელის როგორ დავიჯერო?!

სოსანა: შენ არც შენი ღმერთის გჯერა. შენ არც ანგელოზი ხარ და არც დემონი; სხვისი სურვილის შემსრულებელი ჯინი ხარ. წესრიგის დამყარება გადაგიწყვეტია ცინიკოსების, მატყუ-არებისა და ხარბების მოსასპობად და დაუპირისპირდი ავსა და ბოროტს, ერთს მეორე მოჰყვა, მეორეს ყველა და ყველაში კეთილიც გაიწირა. შენც წარგნყმინდა ამ ბრძოლამ.

ხადიჯა: ომს არა აქვს საზომი.



სოსანა: გეთანხმები, დანაშაულს და შურისძიებას არა აქვს საზომი, მაგრამ რისთვის? მიზანი?! ღირს მესამის მოსპობა, რომელიც სიცოცხლისთვის და სიყვარულისთვის გაჩენილა?

ხადიჯა (ირონიულად გაელიმა) : ჩემგან აღსარებას ელი? ვერ ეღირსები!

სოსანა: აღსარების მიღების უფლება არა მაქვს, მღვდელს სალოცავად საკურთხველშიც ვერ შევყვები, რადგანაც მონაზონი ქალი ვარ მხოლოდ. ისეთი ქალი, როგორიც შენ.

ხადიჯა: მე ვანადგურებ ბოროტებას!

სოსანა: მოქმედებ სიკეთისთვის ბოროტი სტრატეგიით. გამიგონია ფაუსტის ხელწერიდან. იქნებ საკუთარი ხმისთვის მოგესმინა.

ხადიჯა: მუჰამედია ჩემი ხმა.

სოსანა: შენი ხმა დიდი ტკივილია, ხოლო მუჰამედი – კანონი, რომელსაც ვერ ჩასწვდი, სამწუხაროდ.

ხადიჯა : ყოველთვის სავმის ინახავდა ჩემი ოჯახი და ზაქათითაც ხშირად ვიწმინდებოდით, მაგრამ უცხო ქვეყნის მეომრებმა ამონცვიტეს ჩემი ოჯახი. გავმნარდი და დავითიცე, რომ შურს ვიძიებდი მათზე და ვიძიე კიდეც.

სოსანა: ბრძანების მორჩილი მეომრისგან ითხოვ პატივისცე-მას?! იმ სახელმწიფო მმართველებს ებრძოლე მათივე იარაღით, რომელსაც გონება ჰქვია. შენ თუ მარხულობდი, ამას აკეთებდი სულისთვის, რომ ადამიანური სახე არ დაგეკარგა; ზაქათით იწ-მინდებოდი, ეს შენ მიერ გაღებული სიკეთე იყო. უფალმა ბევრი იმიტომ მოგცა, სხვასაც გაუნანილო. შენი რწმენის სიყვარულ-ში სხვას ნუ დაადანაშაულებ. არ მგონია, მათმა დახოცვამ შენს სულს შევბა მოჰვაროს.

ხადიჯა: სიმშვიდე ვერ მოვიპოვე, მაგარამ ოჯახის სული მოისვენებს.

სოსანა: ეგ შენ რა იცი, მიცვალებულის სულს რა ამშვიდებს. სირიაში დახოცილი ქრისტიანი ბავშვების სულებს რა მოასვენებთ, ვისი გამარჯვება მოასვენებს? შენ ესეც გეცოდინება. შენ ხომ ღმერთი ხარ! შენ იძლევი სიგნალს, როგორ დააცილო ლეში

სულს თავის აფეთქებით. ერთი რამ უნდა იცოდე, სხეულის განაჩენი არაფერია სულის განაჩენთან შედარებით! საბოლოო ვერდიქტს უფალი იძლევა. ადამიანები მხოლოდ ომობანას ვთა-მაშობთ, რომელიც ფიტავს სამყაროს და საზოგადოებას ანევრო-ზებს.

ხადიჯას ხველა აუტყდა. იქვე სასთუმალთან მდგარი ბორენა, რომელიც ოფლს უწმენდდა დაჭრილს, ვერ ხვდებოდა დაჭრილისა და სოსანას საუბარს, არ აწუხებდა შეკითხვებით მონაზონს. ხადიჯას ხველამ უკარნახა სამკურნალო ნაყენის მიწოდების საჭიროება. ხადიჯამ მოსვა და მადლიერი თვალებით გადახედა მონაზონს.

ხადიჯა: დამიამა შიგნიდან. რა ნაყენია? სურნელებას ტოვებს... სურნელება, რომელიც იკრძალება მეჩეთში.

სოსანა: მთის სამკურნალო ყვავილებია. მეჩეთში იმიტომ იკრძალება, რომ ყურადღება არ გაუფანტოს, ალბათ, მლოცველებს. სისხლის სურნელს კი ნამდვილად სჯობს!

ხადიჯა: რისი თქმა გინდა, რომ დამნაშავე ვარ?

სოსანა: ჩემი მრნამსით, განსჯის უფლება არა მაქვს. დღეს ჩემი დაჭრილი სტუმარი ხარ, რომელსაც შველა სჭირდება. ალბათ, შენც მიმიღებდი და მიპატრონებდი, დაჭრილი რომ გენახე.

ხადიჯა: არ ვიცი, რას გავაკეთებდი, შეიძლებოდა მომეკალი კიდევაც.

სოსანა: შეიძლებოდა მეც მომეკალი, ღირსიც იყავი, მაგრამ მანამ საკუთარი სული უნდა მომეკლა. თუმცა შენთვის სიკვდილი არაფერია; ტერორის დასრულებისთანავე მოიკლავ თავს. მე ვერ გამოვდგები შენს გამამხნევებლად, რომ უფლება მოგცე ბოროტებას ბოროტებით უპასუხო. მეც ერთი ცოდვილი ადამიანი ვარ, მეც მატკინეს, მაგრამ არ მიცდია დანაშაული შურისძიებით დამესაჯა. აზრი არ ჰქონდა, საბოლოოდ მაინც ვერ დავსჯიდი. ამ ომში ეშმაკი იქნებოდა გამარჯვებული.

ხადიჯა: აბა, ლოცულობ მათვის?

სოსენა: თუ შევძელი, ვილოცებ. ახლა გავალ და დაგტოვებ შენი ალაპის წინაშე. მე გავალ და ჩემს ღმერთს მადლობას გა-

დავუხდი, რომ გამძლეობა მომცა, ღირსეულად დაგხვედროდი ადამიანს, რომელმაც სირიაში ჩემი მოსწავლეები სკოლის კე-დლებში ააფეთქა.

ხადიჯა: რა?.. კითხვა უპასუხოდ დარჩა, რადგანაც სოსანა უკვე გასულიყო.

დუნდარა დაჭრილის სასთუმალს არ მოსცილებია. ხელზე ეფ-ერებოდა და გვერდით მჯდომ ბორენას ეუბნებოდა, რა ლამაზი ხელები და სახე აქვს, ჩემს ქვეყანაში ის კინოვარსკვლავი იქნებოდა. დასანანია, რომ კვდებაო.

ბორენა: ნეტავი რაზე ესაუბრებოდა დედა სოსანა, ნეტავი თუ უთხრა მას ხადიჯამ მშობლების ადგილსამყოფელი, რომ გავაგებინოთ, იქნებ მეუღლე ჰყავს, შვილები...

ხადიჯას ბალიშზე თავი გადაეგდო. მისი გიშერივით შავი და ხვეული გრძელი თმები გადაჰვენოდა ძირამდე მონასტრის ტახტს. სქელი გაპობილი მშრალი ტუჩებით რაღაც სახელებს ბო-დავდა და ჭერისკენ ხელებს იშვერდა. თავის აწევას ცდილობდა.

ბორენა: წავალ, დედა სოსანას ვეტყვი, რაღაცას ამბობს და ვერ ვხვდებით.

დუნდარა უხმოდ დაეთანხმა.

მონაზონი შემოვიდა, მომაკვდავ ხადიჯას მიუახლოვდა.

ხადიჯა: განგების ნებაა, ალბათ ...

ბაგეები გამშრალი ჰქონდა. სოსანამ ნაკურთხი წყალი მოას-მევინა.

ხადიჯას მნარედ გაელიმა და თქვა: შხამია, ხომ, ტკბილი შხა-მი? ვიცი, ეს ვერ მომკლავს. შენი პატიება მკლავს და მახსენებს ჩემს ცოდვას – ამპარტავნობას. ერთი თხოვნა მაქვს: მომკლა და გამათავისუფლო მძიმე ფიქრებისგან.

სოსანა: მხოლოდ ფიქრებისგან? მე არ ვმონაწილეობ განმათ-ავისუფლებელ ომებში. უფალმა შეგინდოს, თუკი საკუთარ თავს შეუნდობ!

ხადიჯა: მა...პა...ტიეეეე...

სოსანამ ყურანიდან სიტყვები წარმოთქვა. ხადიჯას სახეს შვება დაეფინა. მონაზვნები გაკვირებული უყურებდნენ სული-



ერ დედას. ხადიჯამ ძალა გამონახა, დუნდარასაგან ხელი გაითავისუფლა, დედა სოსანასკენ იწეოდა. დედამ ხელი გაუწოდა. ხადიჯამ მადლობის ნიშნად სოსანას ხელს საკუთარი ხელისგული დააფარა.

ხადიჯას დიდი მწვანე თვალები უსასრულობაში იცქირებოდნენ

ხადიჯა დაკრძალეს მონასტრის პატარა ბაღში ისე, რომ სოსანას არ გაუმხელია მონაზონებისთვის ხადიჯას ვინაობა. ბავშვების ნაწილების დამარხვა მათ ომმა არ აცალა... ახლა კი სოსანამ სურვილი აისრულა და მოსწავლების წერილები ჩააყოლა ხადიჯას საფლავში. სოსანას თითქოს მძიმე ტვირთი მოეხსნა, როცა წერილების ყუთი დამარხა ხადიჯასთან ერთად, თითქოს წერილის ადრესატი იპოვა და გულზე მოეშვა...

დედა სოსანამ ხადიჯას სული დაუტოვა მკითხველად ბავშვების გადარჩენაზე ოცნებას.

დუნდარასა და ბორენას მოგონებაში ხადიჯა მშვენიერ ქალად დარჩა.

„ვალიო – ვალიო“

სამგლოვიარო ოროცესია სასაფლაოსკენ მიემართებოდა. კატ-აფალკაზე დასვენებული ქალის ცხედარი გადმოიღეს და თოკებით დაამაგრეს სასახლეზე, რომ არ გადმოვარდნილიყო. გზა სწორი იყო, მაგრამ სამშენებლო სამუშაოებით დატვირთული. მშენებარე მრავალსართულიან სახლს სასაფლაოსკენ მიმავალი გზის სავალი ნაწილი დაეკავებინა. მშენებლებს სახლი შემოლობილი ჰქონდათ ხის ასაწყობი კედლით. სასახლე განიერი დარჩა გზისთვის, ამიტომ თოკებით დამაგრებული მიცვალებული გვერდზე გადააპრუნეს. ამ სურათის შემსწრე სოფლიდან ჩამოსულმა გარდაცვლილის ნათესავმა ქალბატონმა აგრძაფინამ შეიკივლა.

აგრაფინა: რასაა, რომ შობით, ნენა, ვის გოუგონია მკტრის გამასხარავება, ცირკში ხომ არ ხართ?!

სამგლოვიარო ოროცესიის თავკაცმა, რომელიც მიმაგრებული იყო ასეთი შემთხვევებისთვის, დაიწყო აგრაფინას დამშვიდება:

– რას იზამთ, ქალბატონო, მშენებლობა მიმდინარეობს და უნდა დავემორჩილოთ წესებს!

აგრაფინას წითურ სახეზე ოფლი წვეთებად დაჰუდონდა. პაპანაქება სიცხეში მის დასივებულ ფეხებსაც გასჭირვებოდა; აგრაფინას მორგვივით ფეხები სიმწრით იყო შემოდგმული მაღალქუსლიან ლაკის პლატფორმებზე. ფეხები უსიტყვოდ იხვენებოდა, გავსივდი და ჩამომხსენითო, რადგანაც ფეხსაცმელი ვერ უძლებდა აგრაფინას სიმძიმეს, მაგრამ ვის ეცალა მათვის!

აგრაფინა ენას არ აჩერებდა და გვერდით მდგომ ქვრივს პერიოდულად ანჯღლრევდა ფუმფულა ხელებით.

აგრაფინა: კარლოია, გამაგრდი, ბიჭო, მარტო არ ხარ! შენ კი არ მოგკტომია მარტო ქალი, მეც მომიკტა გერონტია, ასეა ეს ცხოვრება მოწყობილი. (პერიოდულად შეკივლებდა) – ვაი, ვაი. საცოდაო ოლია, რავა უცბათ ნაი!

მხრებში მოხრილი შავგვრემანი 65 წლის ქვრივი უხმოდ გახე-
დავდა და თავს უკრავდა თანხმობის ნიშნად.

როგორც იქნა, მიაღწია პროცესიამ საფლავის კარიბჭესთან.
ჭიშკრის გაღებას რომ აპირებდა პროცესის თავი, ფორმაში ჩაც-
მულმა მაღალმა შავგვრემანმა მამაკაცმა შეაჩერა:

– გთხოვთ, არ შეხვიდეთ!

პროცესის თავკაცმა გაკვირვებით გადახედა ბანკის ფორმა-
ში გამოწყობილ მაღალ პრისტავს და ჰკითხა:

– რაშია საქმე, თუ იცით?

პრისტავის გვერდით მდგომა დაბალმა მამაკაცმა საქაღალ-
დიდან ფურცელი ამოილო და სულმოუთქმელად წაიკითხა:

– ოლიმპიადა მაკარიჩის ასულ კოკიდელიას ეკრძალება
ამ სასაფლაოზე დაკრძალვა, რადგანაც ან გარდაცვლილი იყო
მოვალე კრედიტორ მიკროსაფინანსო ბანკ „ვალიო ვალიოსი“
და მისი სასესხო დავალიანება 567000 არასტაბილური ლარია.
რადგანაც მოვალის სახელზე რეგისტრირდება უძრავი ქონება,
რომელიც მდებარეობს კუკუის სასაფლაოზე, და მას არ გააჩნია
სხვა საკუთრება, სესხის ხელშეკრულებით ის ვალდებულია თა-
ვისი საკუთრებიდან დაფაროს ნაწილი ვალისა. წარმოგიდგენთ
სასამართლოს გადაწყვეტილებას და აუდიტის დასკვნას.

ქვრივმა ვერ გააანალიზა სიტუაცია; პირს აღებდა და ხურა-
ვდა, ხურავდა და აღებდა. ხმის იოგები დაჰკარგოდა.

თავკაცი: მერე დავმარხავთ მკვდარს მის მამასთან, მა-
კარიჩთან, ვალზე შემდეგ ვილაპარაკოთ.

ქვრივი: ხუთას სამოცდაშვიდი... ათასითა.. რა ათასი?! 567
ლარი ჰქონდა აღებული, რამე ხომ არ გეშლებათ?!

ბანკის პრისტავები ერთ ხმაში: აქ გახლავთ სესხის დაფარვის
გრაფიკი და დოკუმენტაცია, რომლებიც შეეხება დავალიანებას.
შეგიძლიათ, გაეცნოთ.

ქვრივი დადუმდა და მექანიკურად გამოართვა ქაღალდები.

შავგვრემანმა ბანკის პრისტავმა გახედა სამგლოვიარო პრო-
ცესიის თავკაცს და უთხრა: – თქვენ გეკრძალებათ ოლიმპიადას
დამარხვა მაკარიჩის გვერდით, რადგანაც მიწა დაყადაღებულია

და მაკარიჩიც წარმოადგენს მიწის განუყოფელ ნაწილს, ვერც მაკარიჩის გვამს გადაიტანთ და ვერც ოლიმპიადას დაკრძალავთ!

სამგლოვიარო პროცესის მონაწილებში ჩინჩქოლი ატყდა.

აგრაფინა: რაიონობო? ბიძია მაკარიჩი დააყადალეთ?! რასაა, რომ ამბობთ?! (გახედა თავკაცს და გააგრძელა) აბდალია აი კაცი, თუ ჩვენ გვააბდლებს? მკვტარი წევიდოდა სადმე, თუ რავა დააყადალეთ? რა უქნათ, აბა, ოლიას, არ მოვასვენოთ მამამისთან? თქვით რამე, თქვე ამოსაწყვეტლებო, ქაღალდებს რომ აფრიალებთ კაი მოვაჭრებივით. არ მინდა მე დღეს ამ ქაღალდების ყიდვა! დღეს მკვდარი უნდა დეიმარხოს აქანე! რაი უთხრა ნინა ბიცოლას, ოლიას დედას, ასი წლის მოხუცებულს , ვინცას აბდლებმა ქმარი დაგიყადალეს და ახლა შვილს უკრძალავენ სავალდებულო გადაადგილებას-თქვა?!

ქვრივმა ხელი ბეჭი დაადო აგრაფინას დამშვიდების მცდელობით, მაგრამ ამაოდ; აგრაფინა არ მშვიდებოდა.

აგრაფინამ უკან მდგომი ნათესავებიდან ერთ ულვაშებიან მამაკაცს, რომლის მუცელს დასტყობოდა თამადობის სტაჟი, გახედა და უთხრა:

- ეჱ, შენ თქვი რამე, ვაჟია, რა გზას დავადგეთ; მივპერტყოთ აი შტერ-შტერი კაცები თუ წევიყვანოთ ჩვენი მიცვალებული უკან?

ვაჟა: ასეთი შემთხვევის გამოცდილება ჯერ არ მქონია. ეს შტერები რომ გავლახოთ, დაგვიჭერენ, მაგ ფურცლებში ეწერება ჩვენი განაჩენი და უარეს შტერებად გამოვჩნდებით კამერაში და მიცვალებულიც დარჩება უპატრონოდ. მეორე გზაც რომ არ არის, რადგანაც სხვა სასაფლაო არ გაგვაჩნია ოლიას დასამარხი, იქნებ ამ აბდლებმა გვირჩიონ მათ ქაღალდებში რა გზა წერია პრობლემის გადაჭრის. თუ მკვდარი მეტების კლდეზე ჩამოვკიდოთ, ინდონეზიაში ზოგ ტომს რომ აქვს, თუ კარლოც შემოვსვათ კატაფალკაზე და ოლიასთან ერთად ცეცხლი წავუკიდოთ ინდური წესით? აბა, ახლა გვირჩიეთ, ბიძიებო, რა გზას დავადგეთ?

დაბალმა პრისტავმა ტუჩები ენით დაისველა და მოემზადა სარაკურაკოთ, ისე რაკრაკებდა, როგორც მთებში გაჩენილი ხევისწყალი.

– ჩვენ არ ვიცით, სად უნდა წაიყვანოთ მიცვალებული. ეს ჩვენს უფლებამოსილებაში არ შედის. თქვენ სასამართლო გადაწყვეტილებით გეკრძალებათ სასაფლაოს ტეროტორიაზე შემოსვლა. თუ დაარღვევთ წესს, სასამართლო გადაწყვეტილების აღუსრულებლობისათვის თქვენ მიმართ დაიწყება სისხლის სამართლებრივი დევნა.

ქვრივმა გაიწია პრისტავისკენ ხელის დასარტყმელად. თავკაცი ჩაუდგა და უცებ მობილიზება გაუკეთა სიტუაციას.

თავი კაცი: უნდა დავემორჩილოთ წესებს, ბატონო კარლო!

ქვრივი: მიცვალებულის პატივისცემის წესს არ დავემორჩილოთ?! რა ცოდვა აქვს ჩემს ცოლს ასეთი, რომ მინაში დამარხვას არ ეღირსოს?

დიდი ხნის ყოფილობის შემდგომ კატაფალკაზე შემოდვეს ქალბატონი ოლიმპიადა და გაუყვენენ უკვე ნაცნობ ლაბირინთებს.

თავკაცის სიმარჯვით ოლიმპიადა სასახლის გაქირავების სააგენტოში მოათავსეს სამი დღით, რადგანაც ქალბატონი აგრაფინას დაუინებული მოთხოვნით მიცვალებულის სახლში დაბრუნება შეუძლებელი გახდა. შეუძლებლობის მიზეზს აგრაფინა ასე ასაბუთებდა:

– ოლიამ შეიძლება კარლოიე წეიყვანოს მასთან.

მიუხედავად ფორსმაჟორისა, ქელეხი არ გამოტოვეს და ტრადიციული ღვინის ბოკალებით დაგვირგვინეს. მიცვალებულიც მოიხსენიეს.

შემთვრალმა და ბოთლებით აღჭურვილმა ჭირისუფალმა სააგენტოს შუალამისას მიაკითხა, მიცვალებულს ღვინო უნდა გადავასხათ და დავასველოთო, მოინდომეს მიცვალებულთან დარჩენაც, მარტოა აქ და გაუჭირდებაო. ასეც მოიქცნენ: ორი დარჩა, სამი წავიდა. ის ორი დილით ახალგაკეთებული სასახლეებიდან გადმოვიდა. რომ გააცნობიერეს, სად ეძინათ, წოლის-გან დაჭმუჭნილი პიჯაკები გაიხადეს და გაიქცნენ. ხელებს ტანს ურტყამდნენ, თითქოს რაღაცას იცილებდნენ.

მეორე დღეს ატყდა კარლოს ორწევრიან სახლში ნათესავების ჩოჩქოლი: ვინ ქალაქის მერიაში დარბოდა ფურცლებით, ვინ გარეუბანში ახალ სამარხს ეძებდა.

აგრაფინა მსხვილი ხელებით ღომს ზელდა კარლოს სამზარეულოში და ახალგაცნობილ ოლიმპიადას მეზობლებს თავს აცნობდა. პირად ლეგალიებს რომ მორჩა და ბანკის პრისტავების ამბის მოყოლით გული იჯერა, ცნობისმოყვარე მეზობლების უთქმელ კითხვასაც გასცა პასუხი:

– ვერ მივატოვებ კარლოიას, სანამ ჩემი ოლია არ დაიმარხება. ახლა ღომს ამოვარიგებ და წოულებ ჩემს ოლიჩეას, ესიამოვნება.

არც ქვრივი იყო უქმად. იგი დაღონებული გამოვიდა მერიის სოციალური სააგენტოდან, რადგანაც ქალბატონი ოლიმპიადას დამარხვის საკითხის მოგვარებას კომისის შექმნა და გადაწყეტილების მიღება ესაჭიროებოდა, რომელიც, სავარაუდოდ, ერთი თვით გაინელებოდა. ქვრივი ჯავრობდა მიცვალებული მეუღლის დროებით დასაბინავებელ ადგილზე. ამ ფიქრებში იყო კარლო, შენობიდან რომ გამოვიდა და მერიის გასასვლელი კარეის წინ შეჩერდა სიგარეტის მოსაწევად. სიგარეტისთვის მოკიდებულიც არ ჰქონდა, როცა სახეგაბრწყინებული ბუკლეტიანი გოგონა მიუახლოვდა და თავი წარუდგინა:

– ვარ ბანკ „ვალიო – ვალიოს“ წარმომადგენელი. ჩვენთან არის აქცია: სესხი პროცენტის გარეშე პირველლ...

ვერ დაასრულა, რადგანაც გოგონას ლამაზ გრძელ კისერს ქვრივის ხელები ამშვენებდა. ბანკის აგიტატორი დასახრჩობად იყო განწირული.

გურუ

ყოველი ახალი დღე ახალი კალენდარია, რომელიც გითრევს თავის მისტერიაში. ყოველი დაღამება მოწყენილობაა, რადგანაც შენთვის იყინება დღის მისტერია. დღის შუქზე გატანილი ჭეშმარიტი კაცის ცხოვრება უფრო საინტერესოა თავისი მისწრაფებებით, ვიდრე ვინმე ამ მისტერიაში. ცხოვრებაში ლურსმანზე მეტი მაინც უნდა იყო, ვიდრე ხარ. ერთი ნოველის გმირი შეიძლება გურუ აღმოჩნდეს მკითხველისთვის. ამ ნოველის გმირი არ ცდილობს, სხვას დაემსგავსოს და არც ბევრს მოელის ცხოვრებისგან. შევეცდები, მოკლედ მოგითხროთ ადამიანზე, რომელმაც შეცვალა ჩემი ეგო, რომლის სიკვდილმა მაზიარა ჭეშმარიტებას.

გურუს მისტერია დილის ვარჯიშით იწყებოდა. ისე მონდომებით ვარჯიშობდა, თითქოს ოლიმპიადისთვის ემზადებაო. იოგას როცა ასრულებდა, ყოველი თვლა მისი სუნთქვისა ემსგავსებოდა დალლილი ზღვის სუნთქვას, როცა დალლილი ტალღა მონდომებით ცდილობს ნაპირზე ჩამოჯდომას.

გურუს საყვარელი დილის სასმელი ჩაი იყო და შემდეგ კიდევ დღის განმავლობაში 11 ჭიქა ჩაი. ჩაის ისე ამზადებდა, გეგონებოდა ღმერთებს უმზადებსო. ეს იყო მისთვის ერთგვარი რიტუალი. ჩაის ფოთოლს ჩაიდანში დაწურავდა და ჩაის ნაყენით გაავსებდა პირამდე ჭიქას ისე, რომ წყალს არ გაურევდა. მისი საყვარელი მუსიკა ჯაზი იყო. გურუ იყო უნილო პიროვნება და ჯაზივით ტკივილიანი, მისი მდიდარი ხასიათი ჯაზის იმპროვიზაციას უბადლოდ პასუხობდა. გარკვეული ცხოვრებისეული სირთულეების მოთელვას ყოფაში ვერ ახერხებდა და ჯაზს აფარებდა თავს... მშობელი დედა ყოველთვის უხერხემლოს ეძახდა, რადგანაც არ ჰყავდა საჟუთარი ოჯახი და არ ჰქონდა ფული. ამპარტავანი დედა სულელს რომ დაუძახებდა, ბავშვივით უდარდელად ეცინებოდა და პასუხობდა, სულელი ვარ, სულელი. ამ მოკლე

პასუხში და მის გონიერ თვალებში ჩანდა, როგორ კომიკურად აღიქვამდა ადამიანთა დაცინვას.

გურუს ყოველდღიურ ნააზრევს მისი დიდი, ღრმა, ცის-ფერი თვალები ატარებდა. მისი თვალები ნებისმიერ მოძღვარს ათქმევინებდა აღსარებას. დაკემისილი მაისური და წინდები მის გარეგნობას ვერაფერს აკლებდა, რადგანაც შინაგანად ასხივებდა, ძონძებშიც კი მიაგნებდა გონიერი თვალი. არც მას აწუხებდა ჩაუცმელობა. ის წვრილმანებზე მაღლა იდგა.

არ არსებობდა დღე, გარეთ რომ არ გასულიყო და არ მოეკითხა ახლობელი, გაჭირვებულთან უკანასკნელი გროშები არ ამოეფხიკა და არ დაეპურებინა, თვითონ კი დარჩენილიყო უშაქრო ჩაითი. მისი მისალმება და მოკითხვა იმდენად გულწრფელი იყო, გეუხერხულებოდა, შენც რომ გული არ გადაგეხალა და გასაჭირი არ გაგენდო.

გურუს ღიმილში იგრძნობოდა უდიდესი ტკივილი... სტკიოდა ქვეყნის მმართველთა უგუნურება, რაც გამოიხატებოდა მათ აღვირახსნილ ფუფუნებაში, გულგრილობაში; სტკიოდა გაუნათლებელი და უზრდელი ადამიანების სურვილი ქვეყნიდან წასვლისა და საკუთარი შესაძლებლობების სხვაგან რეალიზებისა.

საქაფონზე უკრავდა – ჯაზს უბადლოდ ასრულებდა გურუ. თავს არასდროს იწონებდა. მასთან ფილოსოფიაზე საუბარი ერთი სიამოვნება იყო. და უფრო მეტი სიამოვნება – მისი პატიოსნება. მხოლოდ მას შეეძლო, გულში ეტარებინა უსამართლობა და არ დაბოლმილიყო. ოღონდ სხვას გული არ სტკენოდა, ის არ ეტყოდა სათქმელს. ახლა ვხვდები, რომ ძლიერება მარტო გამოხატვის თავისუფლებაში არ არის, ის დუმილშიცაა. ზოგჯერ დუმილი უფრო დამაფიქრებელია. ადამიანები იშვიათად ვფიქრობთ ნათქვამის ინტონაციასა და წამოსროლილ სიტყვებზე, სეტყვად რომ გვცვივა...

გურუ ყველასა და ყველაფერზე ფიქრობდა. მას არასოდეს დაუკარგავს რწმენა. ის იყო დონ კიხოტი, მისი ულაყი კი მისივე დიდი ნაბიჯები; როგორც გულივერი დაადიოდა ლილიპუტთა ქვეყანაში შიშით, არავისთვის დაებიჯებინა, ასე იყო გურუც: მის ნაბიჯებს თითქოს ვერ იტევდა სამყარო. ის სამყაროზე დიდი

იყო, ისეთივე დიდი, როგორიც მისი სიკვდილი. ყოველთვის ძიებაში იყო: უფლის, რწმენის, საგალობლების... მაგრამ არ დასცალდა, კიბომ მოულოდნელად, სულ რამდენიმე თვეში დაასუსტა. ისე წავიდა, არ მითქვამს მისი დიაგნოზის შესახებ. ვნანობ. უნდა მეტქვა და ისიც, ალბათ, გამოიყენებდა დარჩენილ დღეებს სიკვდილზე ფიქრით.

სიკვდილზე ფიქრთან მარტო არ დავტოვე, ვერ გავიმეტე მუხთალი აზრებისთვის, რომელშიც ვერასდროს იმარჯვებს ადამიანი. მას სხეული ტკიოდა, მე – გული, რადგანაც ვიცოდი, რომ ვერ დავიხსნიდი.

სიკვდილამდე სამი დღით ადრე გადაწყვიტა ქრისტიანულად მონათვლა. უფალს სიკვდილამდე სამი დღით ადრე ეზიარა, თუმცა ეს უფრო ადრე მოხდა, მისი განვლილი ცხოვრება იყო ზიარება უფალთან. ნათლობა იყო უბრალოდ საიდუმლო რიტუალი და არა მისი ქრისტიანულად დაბადება. ოდესმე კაცის სიკვდილს თუ დასწრებიხართ, იხილავდით, თუ როგორ ეფინება შვება, თითქოს შვებამ აბრეშუმი დაუშვა და ნანამები სახე დაუფარაო, აუწყებს მაყურებელს ნარმოდებენის დასასრულს. მეც მქონდა როლი ამ სცენარში: ვიყავი ბებიაქალი, რომელიც დაესწრო ჭეშმარიტების დაბადებას. იმ ბებიაქალზე მეტი ვიყავი, რომელსაც ბავშვის დაბადების მაყურებლობა წილად ხვდა. ადამიანის წუთისოფელში დაბადებაზე უფრო ჭეშმარიტი სანახავია სიკვდილია, რადგანაც გააზრებულად ტოვებს სხეულს სული და გაუწყებს წუთისოფლის ამაოებას.

მხოლოდ ჩემი ფსალმუნით შევძელი დიალოგი მომაკვდავთან, რადგანაც ტკივილებს სხეული დაელია და ტვინიც გაეთიშა. ვიხილე ცრემლი მის უკანასკვნელ ამოსუნთქვასთან ერთად. ალბათ, ეს ცრემლი იმ ტკივილს მოჰყვება, როცა სიკვდილი ჭრის ჭიპლარს წუთისოფელთან. ადამიანი იბადება ორჯერ, როცა ჩვილი ცრემლით მოევლინება წუთისოფელს და როცა მომაკვდავი ცრემლით გადის წუთისოფლიდან და იბადება მარადისობაში.

გურუს სხეული რომ შიგნიდან გადაგებრუნებია, სიცოცხლეში გალახულ სულს დაინახავდი; ეს ის სულის პერანგია, ადამს რომ

უფალმა შიგნიდან ჩააცვა. ადამიანს პერანგი არ უნდა დაელაქავოს. რაც არ უნდა შეეცადოს მრევლი, სულის პერანგის ცოდვებისგან ჩამორეცხვას ვერ შეძლებს, რადგანაც დაუსრულებელია ადამიანთა ცოდვები. და ყოველი ცოდვისგან განწმენდა ახუნებს პერანგს და ფერს უკარგავს, პირვანდელ ფერს.

სახელმწიფოს და მოყვასს გურუს სული არ უნდა გაელახა. სულს ვერ გარეცხავ! უბრალოდ უნდა დაიბადო გურუდ.



პროლის პარატი

მეგაპოლის ჰაილეშში დილიდანვე იდგა საგაზეთო ჯიხურებთან სრულწლოვანი მოსახლეობა, რათა შეეძინათ ლატარი-ის ბილეთები და მოეგოთ ბროლის ბარათი, რომელიც მოგებულს სიმღიდოებს ჰპირდებოდა საიქიოდ. გათამაშებაში იყო მხოლოდ სამი მოგებიანი ბილეთი.

მსურველი ბევრი აღმოჩნდა. რამდენიმე მილიონერს ქალაქის სხვადასხვა უბნის სალაროებთან ბილეთების შესაძენად გაეგზავნათ თავიანთი ხალხი, რომ მოესწროთ ყველა ბილეთის შეძენა. სამი გამარჯვებულიდან მხოლოდ ერთი იყო ნამდვილად იღბლიანი, რომელსაც გათენებამდე არ დაეზარა რიგის დაკავება. ეს გახლდათ დიასახლისი ავენი ჰაილეშიდან, დანარჩენი ორნი იყვნენ მისტერ ოლი, ნავთობის მაგნატი, და მისტერ კომიდიტი, მსხვილი კომპანიის სავაჭრო გადაზიდვების პრეზიდენტი.

ლატარიის მკაცრი შინაგანწესის თანახმად, მფლობელები სიცოცხლეში ვერ გაყიდდნენ მოგებულ ბარათებს. ვალდებულება ჰქონდათ, შეენახათ სახელმწიფო ბანკის საცავში.

ლატარიის კომპანიის უფროსმა დაიბარა სამივე გამარჯვებული და გააცნო შინაგანწესი. ქალბატონი დიასახლისი გაუძალიანდა ბანკის წარმომადგენელს, როცა ამ უკანასკნელმა დააპირა ბილეთის ჩამორთმევა.

— ქალბატონო ავენ, თქვენი ბროლის ბარათი იქნება უსაფრთხო ადგილას. გთხოვთ, გადმომცეთ! — ახლოს მიიწია ბანკირი სახემრგვალი, წითური ქალბატონისკენ ბარათის გამოსართმევად. მინასავით გამჭვირვალე იყო ბარათი, რომელზეც ოქროს ასოებით ენერა: „ბროლის ბარათი მარადიული სიმღიდორისთვის“.

დიასახლისი: ბარათი ჩემი საკუთრებაა, მე გადავიხადე მას-ში თანხა, როცა ლატარიის ბილეთი შევიძინე, ამ წესის შესახებ არაფერი გითქვამთ. არასოდეს არაფერი დამიკარგავს. მეუღლის

შემოსავლებს მე ვანაწილებ და ოჯახის ბიუჯეტს მე ვმართავ. ამიტომ არანაირი საფრთხე არ არის ჩემთან ბარათის დაკარგვისა.

ბანკირი: ქალბატონო, თქვენ ამ ბარათს სიცოცხლეში ვერ გამოიყენებთ.

დიასახლისმა გადაიკისკისა.

– თქვენ ეს ბარათი სიკვდილის შემდეგ უნდა გადმომცეთ?!

ბანკირი: ბარათს აქვს სპეციალური ჩიპი და ბანკის არქივში დაფიქსირებულია თქვენი პირადი მონაცემები. როცა გარდაიცვლებით, სასუფეველში შესვლის დროს მესაზღვრე დეკლარაციაში გაატარებს, რომ ხართ ბროლის ბარათის მფლობელი და სპეციალურ საშვას გამოგინერთ.

ქალი გაკვირვებული უსმენდა, მაგრამ როგორც კი დაინახა ბანკის წარმომადგენლის სერიოზული გამომეტყველება, დარწმუნდა მოწოდებული ინფორმაციის სისწორეში.

დიასახლისი: მე კი ვიფიქრე, გავყიდდი ბარათს და შვილებს მოვახმარდი აღებულ თანხას. იქნებ თქვენ იყიდოთ, ა? – და მუდარით გახედა წარმომადგენელს.

ბანკის წარმომადგენელი: ლატარიის საბჭოს გადაწყვეტილებით, არა გვაქვს ბარათის შეძენის უფლება. არც თქვენ გაქვთ მისი გასხვისების უფლება.

დიასახლისი დაფიქრდა და თქვა: იმედია, ბარათის შენახვის პროცენტს არ გადამახდევინებთ.

ბანკის წარმომადგენელი: სიცოცხლეში არა, მაგრამ სიკვდილის შემდგომ ჩამოგეჭრებათ ბარათზე დარიცხული თანხის 25%.

დიასახლისი: იქ წასულს მომთხოვთ პროცენტებს იმ თანხისა, რომელიც თვალით არ მინახავს?!

ბანკის წარმომადგენელი: ნუ ნერვულობთ, თქვენ არ დაზარალდებით. დარჩენილი 75% სრულიად საკმარისია თქვენი სიმდიდრისთვის.

მისტერ ოილმა და კომოდიტიმ ბანკს არ დაუტოვეს ბროლის ბარათი და საკუთრების უფლებაში გათვითცნობიერებულებმა ბანკს თავიანთი ადვოკატები დაუპირისპირეს. უარი განაცხადეს 25%-ის გადახდაზე და თვითონვე გამოთქვეს ბარათის შენახვის

სურვილი. ბანკი იძულებული გახდა, დათანხმებოდა, რადგან ამ ორგანიზაციას დარღვეული ჰქონდა ლატარიის შემძენის წინასწარი ინფორმირებულობის პირობა.

კალმების ტკაცუნი, უამრავ დოკუმენტზე ხელმოწერა და დასტური იმისა, რომ ბანკი ბარათის დაკარგვის პასუხისმგებლობას თავიდან იცილებდა, რადგან მფლობელი არ ტოვებდა. მხოლოდ დიასახლისის ბარათი ინახებოდა ბანკის საცავში.

გავიდა დრო. უცნაური ლატარიის შემდგომ გაზეთებსაც და ტელევიზიებსაც მიავიწყდათ გამარჯვებულები, ერთ შემთხვევას რომ არ მოეგონებინა ბროლის ბარათის მფლობელი დიასახლისი, რომელიც შვილის ავადმყოფობას ბანკში მიეყვანა, თანხა სჭირდებოდა და გადაეწყვიტა ბროლის ბარათის გაყიდვა. შეხვდა ბანკის მმართველს და სთხოვა ბავშვის ოპერაციისთვის 10 000 ევრო. თანახმა იყო, ამ ფასად გაეყიდა ბარათი.

მმართველი: ქალბატონო, 10 000 ევროზე ასჯერ მეტი ღირებულების არის ეს ბარათი, მაგრამ ჩვენ არა გვაქვს უფლება, რომ შევიძინოთ.

დიასახლისი: თქვენ ჩემი სიკვდილის შემდგომ უნდა ჩამოგეჭრათ 25%. 50 % ჩამოჭერით და ახლა შვილის ოპერაციის თანხა მომეცით.

მმართველი: არ შეგვიძლია, ქალბატონო.

დიასახლისი: 100 % ჩამოჭერით ჩემი სიკვდილის შემდგომ. ხომ ამბობთ რომ ასჯერ უფრო ბევრია? რა თანხაც მჭირდება, მხოლოდ ის დამიტოვეთ.

მმართველი: ეს რომ შემეძლოს, ინფორმაციასაც არ მოგაწვდიდით. მაპატიეთ, მაგრამ უნდა დაგტოვოთ. ბროლის ბარათის საქმეში უძლურები ვართ.

დიასახლისი ბანკის მმართველის წინაშე დაემხო და აქვითინდა, რა ჯანდაბად მინდა სასუფეველში სიმდიდრე, თუ შვილი აქუნდა მომიკვდესო.

დიასახლისის უპასუხო ამოძახილი დასრულდა სახელმწიფო ბანკის გასასვლელ კართან. ის მმართველის კაბინეტიდან ძალით გაიყვანეს დაცვის თანამშრომლებმა.

დიასახლისი ტელევიზიისკენ გაემართა... ახმაურდა მეგაპოლისის საინფორმაციო წყაროები. იყო უამრავი გამოხმაურება, გამოსვლა, აქცია... ეკლესია ბანეს ბრალს სდებდა სატანის მსახურებაში.

გაზეთები აჭრელდა, უურნალისტებმა მიაკითხეს ოილსაც და კომოდიტისაც. ოილს სიმდიდრესთან ერთად სახელიც გაუთქვა ლატარის მოგებამ. უურნალისტების წინ პოზირებდა და თავს იწონებდა კაბინეტში ჩარჩოში ჩასმული ბროლის ბარათით. სამი შეილის მამა ოილი, რომელიც სიცოცხლეშიც ვერასდროს ელეოდა ერთ კრონსაც კი, ბროლის ბარათის იმედით შემოსავლის მესამედს ქველმოქმედებაში ხარჯავდა. მხოლოდ კომიდიტი ბოლომდე არ იყო დარწმუნებული სასუფეველში ბარათის გამოყენების შესაძლებლობაში, თუმც კი ბროლის ბარათის მოგების მიზნით ლატარის ბილეთების მესამედი შეიძინა თავის დროზე. კომოდიტი მშვიდად აგრძელებდა ცხოვრებას და შემოსავლების მეათედით ეკლესიებს აშენებდა. ბევრი მდიდარი ესტუმრა კომიდიტის ბარათის შეძენის სურვილით, მაგრამ ის ყველას უარით ისტუმრებდა, ხოლო მოძღვართან თავის სიხარბეს ბროლის ბარათის გამო ასე ხსნიდა: „მე არ მჯერა, მამაო, ამ ბარათის, ის ჩემზე გავლენას ვერ მოახდენს, თქვენ ხომ ლოცულობთ ჩემთვის! ეს არის მთავარი და არა რაღაც ბროლის ბარათი“. მოძღვარი უწუნებდა მდიდარს ამ ახირებას, მაგრამ ვერც უბრაზდებოდა, რადგან კომოდიტი გულუხვი იყო ეკლესის მიმართ.

სასუფეველში სიმდიდრის პერსპექტივა თითქმის დაიჯერა საზოგადოებამ, რომ არა ერთი შემთხვევა რესპონდენტისა, რომელიც პროფექტორებით განათებულ ტელე-შოუში იჯდა თმაზე ბრიოლინით და ცისფერი პიჯაკით და იძლეოდა ინტერვიუს ბროლის ბარათის გათამებების წესების შესახებ. ეს მისტერ აიდიაა, სახელმწიფო ბანკის კრიზისების მართვის ანალიტიკური სამსახურის უფროსი.

რესპონდენტი: 15 წლის წინ სახელმწიფო ბანეს გაკოტრება ემუქრებოდა და გადავწყვიტე ბროლის ბარათი მეწოდებინა პრიზისთვის. ლატარის ბილეთები გაიყიდა სოლიდურ თანხად

იმ მოლოდინით, რომ მოგებულები მარადიულ სიმდიდრეში იქნებოდნენ. ეს იდეა გამართლდა. დარწმუნებული ვიყავი, ლატარიის ბილეთებს მდიდრები შეიძენდნენ.

ჟურნალისტი: თქვენმა იდეამ ადამიანები გააპრიყვა. არ განუხებ სინდისი?

რესპონდენტი: მხოლოდ დიასახლისი ავენის მიმართ.

ჟურნალისტი: მდიდრებმა – ოილმა და კომიდიტიმ – დაგიშავეს რამე?

რესპონდენტი: მე არაფერი, საკუთარ თავს დააბრალონ.

ჟურნალისტი: ვერ გავიგე პასუხი, იქნებ დამიკონკრეტოთ?

რესპონდენტი: ოილიც, კომოდიტიც და სხვა მდიდრებიც, რომლებიც შეეცადნენ ლატარიის ბილეთის შეძენას, ეშმაკს გაურიგდნენ. ასე რომ, საკუთარ თავებს დააბრალონ.

ჟურნალისტი: კომოდიტის და ოილის მემკვიდრეებს თავისუფლად შეუძლიათ, გიჩივლონ სასამართლოში ზიანის მიყენების გამო.

რესპონდენტი: ეს მათი უფლებაა, მაგრამ არსებულ დავაში მხარე არ არსებობს; ბანკი გაკოტრდა და პირადად ოილთან და კომოდიტისთან მე არანაირი შეთანხმება არ გამიფორმებია.

ჟურნალისტი: რატომ გადაწყვიტეთ ტელევიზიაში მოსვლა და ამ ინფორმაციის გამუღავნება?

რესპონდენტი: ბოდიში მინდა მოვუხადო დიასახლის ავენის. ის ნამდვილად იყო იღბლიანი ქალბატონი. ერთი ბილეთი შეიძინა და მოიგო ბროლის ბარათი. მართალია, ეს იყო სრული სიცრუე, მაგრამ ვერ გავექცეოდით იმ სინამდვილეს, რომ ის იყო იღბლიანი. ავენის შვილის ოპერაცია ბანკის თხოვნით ოილმა დაუფინანსა. რომლის შესახებ ახლა გაიგებენ თქვენი ტელევიზიის საშუალებით ავენიც და ოილის ოჯახიც. არც იოლმა იცოდა, 15 წლის წინ თანხა რომელ ქველმოქმედებას მოხმარდა. საზოგადოებას ბროლის ბარათის შესახებ უნდა სცოდნოდა. ბროლის ბარათი დარჩება საშინელ გამოცდილებად ჩვენი სიხარპისა, რომელსაც საზღვარები არა აქვს. იმედია, ბროლის ბარათის გარეშეც დაიტევს ოილს სასუფეველი... ნამდვილად არ ვიცი, იქ

რა ხდება, მაგრამ ის კი ვიცი, ადამიანი უნდა გათავისუფლდეს მანკიერებებისგან, რომ არც აქ შენუხდეს და არც საიქიოსი ეშ-ინოდეს.

შურნალისტი: თქვენ ადამიანები მარიონეტად აქციეთ. ოილ-იც გამოიყენეთ.

რესპონდენტი: იდეა ყოველთვის ბატონობს კაცობრიობაზე. გააჩინია, რამდენად დამაჯერებელია ის. მე მაშინ სახელმწიფო ბანკი გადავარჩინე გაკოტრებას ისე, რომ არც მოსახლეობა დაზარალებულა; დროულად მიიღეს სახელმწიფოსგან კუთვნილი თანხები.

შურნალისტი: ოილის, კომოდიტის და დიასახლისის მოტყუ-ების ხარჯზე?

რესპონდენტი: ეს მათი არჩევანი იყო და მათმა სიხარბემ გადაწონა რწმენა.

შურნალისტი: იმაზე რას იტყვით, რომ ბანკი 25 %-ს იღებდა ადამიანის სიკვდილის შემდგომ ბროლის ბარათის შენახვისთვის?

რესპონდენტი: ესეც იდეის ნაწილი იყო, რომ ბანკის შეთავა-ზება დამაჯერებელი ყოფილიყო ბარათის მფობელებისთვის.

სტუდიაში მამაკაცის ყვირილის ხმა გაისმა. რესპონდენტს დასრულებული არ ჰქონდა სათქმელი, როცა მამაკაცი ყვირილით მივარდა მისტერ აიდიას:

- ახლა გაილახები დამაჯერებლად შენ ახვ...
- დაცვაააა!

მამაკაცი ოილის შვილი აღმოჩნდა.

შურნალისტი: სარეკლამო ჭრაზე გავდივართ...

მეც გავედი, მკითხველო! თქვენთვის მომინდვია განსჯა, ჰყავს ბროლის ბარათს დაზარალებული?



საარჩევნო პაზარი

ერთ ტრიალ მინდორში ადგილობრივ მუნიციპალიტეტს ოთხთვიანი ბაზრობა გაემართა. ბაზრის მოვაჭრეები პარტიიების კანდიდატები იყვნენ, რომლებიც დახლებზე დაწყობილ ბუტაფორიებს სთავაზობდნენ მოსახლეობას. დახლებზე განლაგებული სამრეწველო, სასოფლო და თავდაცვითი ინვენტარები, სხვადასხვა ქვეყნის დროშები და ვიდეო და აუდიო ჩანაწერები, ხელსახოცის ქაღალდის ფორმის დაკეცილი ხანდაზმული და შეუსრულებელი იურდიული ხელშეკრულებები უხვად ამშვენებდა კანდიდატების ევროპულად შეხამებულ ჰასტუხებს. ენაგანაფული მოვაჭრეები ცდილობდნენ დაპირებით მყიდველები თავიანთ მხარეზე გადაებირებინათ. ერთი მოვაჭრე თუ დაიძახებდა, პენსია იქნება 200 ლარი, მეორე იქვე დაიყვირებდა 300-ს. ამას მოჰყვებოდა მოვაჭრეების დილერობა. იყო ერთსაათიანი უსისხლო დიპლომატიაც ტერიტორიების დაბრუნების, საზღვრების გადაწევის, გადმოწევის, წინ წაწევის და მდინარეებში ჩასვლის, მერე ამოსვლის, მდინარეების მილში შესვლის და სხვა ქვეყანაში გადაგდების. პარტიებს სხვადასხვა ქვეყნის ბაზონის წყალობა და მათ მფარველობაში შესვლა – გამოსვლა დამართოდა. იყო ყვირილი:

– შენ უსინდისო, რატომ მიგდებ ფასს, ჩემს პროგრამას რატომ ეხები?!

ვაჭრებს რომ გაუჭირდებოდათ, აზრთა მყიდველებს ბაზრის შესასვლელში ხვდებოდნენ დიდი აბრებით, რაც აკრძალული იყო კანონით. მყიდველები ბუტაფორიებს არ ყიდულობდნენ და საარჩევნოდ ინახავდნენ დაზოგილ ფულს, რადგანაც არჩევნები ძვირადღირებული სიამოვნება იყო ქვეყნისთვის. იმდენად დიდი იყო მოვაჭრეების სურვილი დეპუტატობის კანდიდატებად

გასვლისა, რომ ზოგ მოვაჭრეს შეეძლო, ღამეც დარჩენილიყო ბაზარში და დაეჭმუჭნა ძვირადლირებული ტანსაცმელი, განოლილიყო დახლზე, რომ სხვა პარტიას ღამით არ მოეპარა მისი ბუტაფორიული საგნები, რომლთა განთავსებაც დიდი თანხა უჯდებოდა.

ღამით რამდენიმე მანანნალას, რომელთაც თავშესაფარი არ ჰქონდათ და ცდილობდნენ ბაზარში ღამე გაეთიათ, ზოგჯერ მოვაჭრეებთან ერთად ეძინათ, რასაც კარგად აშუქებდა მოვაჭრეების ტელევიზიები; ესეც ერთგვარი პიარი იყო ლოზუნგისა „ჩვენ ვფიქრობთ ხალხზე დღედალამ“.

მანანნალები აგრესიულად იყვნენ განწყობილნი მოვაჭრეების მიმართ, რადგან ამ უკანასკნელებს დაეკავებინათ ბაზრის ტერიტორია და მანანნალებს მუშაობის საშუალებას ართმევდნენ. ამ დროს კარგი გასავალი ჰქონილ საქონელს.

მოვაჭრეები: როცა მე დიდ ტერიტორიას მოვიკავებ, აუცილებლად შენც გახდები ამ ბაზარში მოვაჭრე, გექნება ამ ბაზარში დახლი და სახლი.

მანანნალებს მნარედ ეღიმებოდათ მოვაჭრეების დილერობაზე და აცხადებდნენ, ჩვენ დღევანდელი კვერცხი გვირჩევნია ხვალინდელ ქათამს და სჯობს კვერცხი გვაჭამოთო. მოვაჭრეებიც შეძლებისდაგვარად ასრულებდნენ მანანნალების თხოვნას. ოთხი თვე როგორმე ხომ უნდა გაეძლოთ, მანანნალებს ზოგჯერ არაკანონიერ დავალებას აძლევდნენ, მათ უნდა დაეზვერათ ტერიტორია ბაზრის შესასვლელთან, თუ ვინ მოვიდოდა და ან წავიდოდა. კვერცხის ხათრით მანანნალებიც ასრულებდნენ უკანონო დავალებას.

ერთი გიუუა ჰყავდა ბაზარს, რომელიც არც მოვაჭრე იყო და არც მანანნალა – ბაზარში დილიდანვე გამოცხადდებოდა დაბარებულივით და ყვიროდა: სამშობლოს გამყიდველებო, გაიღვიძეთ! ნეტავ, რომელ ბატონს უნდა ემსახუროთ, თქვენი უტვინო თავები ვერ შეეჩვია იმ აზრს, რომ ქართველი ხალხი უნდა გაიხადოთ ბატონად. – მერე ხელს წავლებდა გიუუა მოვაჭრეების მაგიდებს, გადააყირავებდა და ძირს ყრიდა მოვაჭრეების ცარი-

ელ ბუტაფორიებს. მოვაჭრეები გიუჟას დანახვაზე მანეკენებს ამოეფარებოდნენ და მათ ფორმას იღებდნენ.

უცრად ბაზარში საიდანლაც გამოეცხადებოდა პოლიცია, მიკროფონიანი ინდაურები და დემოკრატიულად მოყვირალი მამლები. ყვირილი გიუჟას გაყვანით სრულდებოდა.

ოთხი თვის მიწურულს მოვაჭრეთა ნაწილი ღრმად ჩაისუნთქავდა და სივდებოდა, ნაწილი ღრმად ამოისუნთქავდა და დიდი ტერიტორიას იკავებდა. აბა, ხორუმი რა მოსატანია, როცა მოგებულ დილერს შალახო აქვს აწკეპილი შარვლით, დიდი დრუნჩითა და სადლეგრძელოთი!



სასტუმრო

- არც კი იფიქრო მანდ შესვლა, ეშმაკის მოციქულო!
 - აბა დამიშალე! ხომ ხარ მცველი?! იქნებ ეჭვი გეპარება შენს თავდაცვისუნარიანობაში?! – თქვა და გადაიხარხა.
 - ეჭვი შენი კერძია.
 - შენ რა, უკეთესი კერძების შეკვეთას აძლევ?
 - მე არა ვარ დამკვეთი, მცველი ვარ.
 - შენ ვერ შემაჩირებ, მათ ასე უწერიათ.
 - რატომ ეს სასტუმრო?
 - ვერ ხედავ, როგორ მაცდურად ბრწყინავს, თითქოს გაჯადოებს თავისი ბუმბერაზობით, რომელსაც ღრმად გაუდგამს ფესვები მიწაში და უნდა, რომ ცოდვაში ჩაგითრიოს!
 - შენობას რამხელა ძალა აქვს!
 - ლეო, ლეოს, ლეო..გრანდოს, ისე გუშინ გაძარცვა სტუმრები მისმა ტკბილხმოვანმა კაზინომ.
 - გულს მირევს მისი ხმაური, როგორ შეგიძლია ამ კედლებში მოგწონდეს რამე?
 - ამაშია კაიფი ძმაო, როცა ადამიანს არაფრის გარეშე ტრვებ, სასონარკვეთილი უფრო მეტად უახლოვდება მამას.
 - მარტო ამისთვის არ იქნები აქ მოსული, შენ სხვა გეგმა გაქვს უთუოდ.
 - გეგმა, გეგმა, რა თქმა უნდა, გეგმა, როგორ მიყვარს ეს სიტყვა, – თქვა და გაბრიელს მხარზე ხელი შემოარტყა.
- გაბრიელს აღიზიანებდა მიქაელის უტაქტობა.
- გეგმა, პლანი, პლეიინი და რამდენ ენაზე უნდა ითქვას, რომ ერთი დამგეგმვი დაინახო. რამდენი ოფლი დაიღვარა სხვის კუთვნილ უაზრობაში. მე შემსრულებელი ვარ, გაბრიელ! – თქვა და სასტუმროს ვესტიბიულში შევიდა.
- გაბრიელიც უკან მიჰყვა.

რა კუდში დამყვები, გაბრიელ! შენ ხელს ვერ შემიშლი, – თქვა და გადაიხარხარა, – შენისთნა მცველებს მხოლოდ გეგმის ნაწილი შეუძლიათ გახდნენ.

მიქაელი ლიფტში შევიდა. თავის გაპრიალებულ ფეხსაცმელს დახედა და გაიფიქრა: ეს არ უნდა ჩამეცვა, ცეცხლი გამიფუჭებს. ეს „სპასატელი“ გაბრიელიც რომ ვერ მოვიცილე თავიდან. ცხვირსახოცი ამოიღო და ჩაახველა. სუნი სცემდა, სიკვდილის სუნი. ლიფტში დამონტაჟებულ სარკეში ჩანდა მიქაელის მელოტი თავი, რომლის გვერდით გაბრიელის ხვეული ქერა თმა მოჩანდა.

დაბერებულხარ, მიქაელ! შენს მელოტ თავს ნაოჭები გასჩენია!

შენ კიდევ აქ ხარ?! – გაბრაზებულმა მიმართა გაბრიელს.

ლიფტი ზუსტად სასტუმროს 777-ე ნომრის ნინ გაჩერდა. მიქაელი შევიდა ნომერში, გაბრიელიც უკან მიჰყვა.

– სხვა ნომერში შედი, შენს მონილოგებს ვერ მოვისმენ.

გაბრიელმა ყურადღება არ მიაქცია და ტელევიზორი ჩართო.

ტუჩებდაბერილი ქალი სასტუმრო „ლეოგრანდში“ ხანძრის შედეგად დაღუპულთა სიას აცხადებდა და უსაფრთხოების წესების დარღვევაში ადანაშაულებდა სასტუმროს მეპატრონებს. გაბრიელი საწოლზე წამოწოლილ მიქაელს ყელში სწვდა.

შე უნამუსო, აქ ამისთვის მოხვედი?!...

ხელი გამიშვი, ბრიყვო!

მიქაელმა გაბრიელი ლოგინიდან გადააგდო, ძირს დაანარცხა...ცხვირიდან სისხლის წასკდა, მიქაელმა ცხვირსახოცი ამოიღო და გაუწოდა.

– ცხვირი მოიხოცე, შე უღვინტლიანო ბავშვო! ნუ გეშინია, შენც დაგიტოვე საქმე, შეგიძლია სხვები გადაარჩინო, ეს 11 საჭიროა.

გაბრიელმა ცხვირი მოიხოცა.

რატო 11?

აბა მე რა ვიცი, ალბათ ფეხბურთის გუნდისთვის უნდა, – ეს
თქვა და გადაიხარხარა, – რას გაიგებ მისას, არც ვკითხულობ!
ჩავალ კაზინოს ბარში.

მაგიდასთან გაბრიელი და მიქაელი ისხდნენ.

მიქაელი ვისკის წრუპავდა.

რატო არ სვამ, ჩემო მცველო, „ჩემო კარის მეზობელო?“, –
ნაიღილინა მიქაელამა, – შენ რა, გგონია, მე მინდა ამის გაკეთე-
ბა?

აბა რატომ მოხვედი? – გაკვირვებულმა იკითხა გაბრიელმა.

ჩემი სამსახურია... რამდენია ისეთი, ვინც ხელფასისთვის
მუშაობს! – თვალებმოჭუტულმა მიუგო მიქაელმა.

მე გადაგიხდი და წადი! – წანყენმა მიმართა გაბრიელმა.

მიქაელმა გაღიმებულმა მიუგო:

არა! უკვე მივეჩვიე და ეშხში ვარ შესული! უფრო ჭკვიანი
გავხვდი.

ისინი ხომ სულ ბავშვები არიან.

ეს არ მომწონს მხოლოდ, თორემ დანარჩენი ყველაფერი მის-
ალებია.

რა არის მისაღები?

სიკვდილი...

აბა სიცოცხლე რაა?!

ამას მალე გაიგებ. – საათს დახედა, – 20 წუთი დამრჩა, –
თქვა და გაბრიელის ცარიელ ჭიქას თავისი ვისკიანი ჭიქა მიუ-
ჭახუნა.

ამით ფეხბურთის იმ გუნდს გაუმარჯოს, გაბრიელ, უკვდავ
გოლს რომ გაიტანს 20 წუთში და საჯარიმო არ დასჭირდება.

მე ჩემი საქმე მაქვს, შენ – შენი, აბა, წავედი!

გაბრიელმა წაიპორძიკა და მიქაელს ფეხი დაადგა.

შენ დალიე ვისკი, თუ მე! ამ ფეხსაცმელში ძვირი მაქვს გადახ-
დილი და არ გამიფიქო! – გაბრაზებული ხმით უთხრა მიქაელმა.

28 წლამდე ასაკის ორი მამაკაცი სარბენ ბილიკზე დარბოდა. დარბაზის კუთხეში მსუქანი ქალბატონი წვალობდა, ამაოდ ცდილობდა თეთრი, ფუმფულა მუცლის ვიწრო მასურში დამალვას, რომელიც მოძრაობისას წამდაუწუმ უვარდებოდა. მას თავზე უანდარმივით დადგომოდა კარგად წავარჯიშევი და გვარიანად გარუჯული ინსტრუქტორი ქალი, რომელიც მითითებებს აძლევდა, როგორ ესუნთქა. პომიდორივით წამოწითლებული ქალი დიდი გაჭირვებით ემორჩილებოდა ინსტრუქტორს, ტანის ყოველი გადაწევა კიდევ უფრო მეტ ძალისხმევას მოითხოვდა.

არასწორად სუნქავთ და იმიტომ იღლებით!

ჩემი ბრალია, წამოსვლის დროს კარგად დავნაყრდი...

ვარჯიშის წინ არ უნდა გეჭამათ!

გაოფლიანებული ქალი სიმწრით ებრძოდა სხეულში დაგროვილ ცხიმს.

ინსტრუქტორმა ქალი მიატოვა და მამაკაცთან გადაინაცვლა.

– მარადი, დაგიმატებ გირებს!

თუ არ შეწუხდებით, – ზრდილობიანად მიუგო ახალგაზრდამ.

ინსტრუქტორმა რეინის ლერძი მაღლა აატრიალა, რომ მეტი მასა აერია მარადის.

მარადი ცისფერთვალება, 25 წლამდე ასაკის იქნებოდა.

ინსტრუქტორმა ახლა ბილიკზე მორბენლებთან გადაინაცვლა.

– მიშა, ნუკრი, საკმარისია! გული ვერ გაუძლებს ამდენ სირბილს!

– ჩვენი გული ყველაფერს გაუძლებს, არა ნუკრი?! – ნიშნის-მოგებით გადახედა მეგობარს მიშამ.

რა იცი, რომ გაუძლებს ნუკრის გული, კარდიოლოგი ხარ თუ ჩემზე მეტი იცი?

როგორ გეკადრება, ვიკაჩეა! შენ რომ იცი სხეულის შესახებ, ისე ჩემმა ცოლმაც არ იცის! – თქვა ნუკრიმ და გადაიხარხარა, – ამ ოხერმაც იცის, პირველი კლასიდან სული გამიმნარა.

გაოფლილმა ქალმა ინსტრუქტორს ჩაუარა.

ინსტრუქტორმა კარებთან მისულს მიაძახა:

სად მიდიხარ, გუგული?! მოდი, სარბენ ბილიკზე!

გუგული არა, მაგული! მეტი აღარ შემიძლია, საუნაში შევალ...
ქალი ზანტად დაიძრა დარბაზის კარისკენ. ინსტრუქტორა მი-
აძახა:

არ გაბედო და აქ ნაჭამი აღარ მოხვიდე!

ქალი ისეთი დაღლილი იყო, ლაპარაკის თავიც აღარ ჰქონდა
და თანხმობის ნიშნად თავი დაუკრა ინსტრუქტორს.

* * *

კარი ავტომატურად გაიღო, დარბაზში სათნო გარეგნობის
ორი ვაჟი შემოვიდა და
იქ მყოფებს მიესალმა.

ჩემი სტიქაროსნებიც მოვიდნენ! მარადი ჩაანაცვლეთ, შენ კი
ჩემთან გადმოდი, მარადი!

ბექა და გიორგი უხმოდ დაემორჩილნენ ინსტრუქტორის მი-
თითებას.

ქალმა განტელები სარკის წინ მდგომ მარადის გაუწოდა, თან
აუხსნა, როგორ გაენაწილებინა სიმძიმე თითოეულ კუნთზე.

მიქაელი მარადის მიუახლოვდა და მასთან ერთად დაიწყო
სუნთქვა.

ღრმად სუნთქავდა მარადი და ღრმად სუნთქავდა მიქაელიც.
გაბრიელი მიქაელის წინ აიტუზა.

მერე მიქაელმა ბილიკზე მორბენლებთან გადაინაცვლა და
ზურაბის ზურგს უკან დაიწყო სირბილი.

ჩამოდი, ფეხსაცმელი გაგიფუჭდება, – დამცინავად უთხრა
გაბრიელმა.

ძლივს არ თქვი რაღაც ჭკვიანური ამ ხნის მანძილზე?!

მიქაელი ჩამოვიდა სარბენი ბილიკიდან და ახლა სტიქაროს-
ნებს მიადგა.

ესენი ჯერ მთლად ბავშვები არიან.

ვიცი, ნუ მიშლი ხელს, ვმუშაობ!

გაბრიელმა მუსიკა ხმამაღლა ჩართო, მძიმე როკმა გააყრუა
ოთახი.

ყურებში თითები გაირჩო მიქელმა.

გამორთე, ხომ იცი, რომ ვერ ვიტან!

ინსტრუქტორი მივიდა და უკმაყოფილოდ გამორთო რადიო-მიმღები.

სულ აურია ამ უპატრონომ. ამის წინ ბეთხოვენი ჩაირთო თავისით!

როდის იყავი აქ, შენი ოინები იქნება ეს! – გაბრიელი მიქაელს ხელწერას მიუხვდა.

რა შენი საქმეა! – აგდებულად უპასუხა, – აბა უუჟუნა წვიმას ხომ არ ჩავრთავდი... ისე მაგის დროც მოვა! არ არის ცუდი მელოდია და ტექსტი: „დანამა, დანამა, დანამა“... მერე როგორაა, გაბრიელ? ჰო, გამახსენდა: „ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას, გული გაუპოს დანამა“. ვინც რაც უნდა ისა თქვას... მე კი წავედი! სად?

აბა, თუ მიხვდები! თქვა და თვალი ჩაუკრა გაბრიელს.

* * *

საუნაში შიშველ ტანზე პირსახოცნაკრული ორი ქალი და ერთი ირანელი მამაკაცი ისხდნენ. ქალები ერთმანეთში საუბრობდნენ.

უუჟუ, დღეს იმდენი ვივარჯიშე, ძალა აღარ მაქვს!

მე დუკანის დიეტაზე ვარ, – გალიმებული სახით თქვა ქალმა.

ირანელი მამაკაცი უხმოდ იჯდა, ევკალიპტის ოხშივრის ჩასუნთქვით იყო დაკავებული, რომელიც საუნის გახურებული ქვებიდან ამოდიოდა. მიქაელი ირანელ მამაკაცს მიუჯდა, სახე მიადო და ჩაისუნთქა.

გაბრიელ, იცი რას ფიქრობს ახლა ეს? ძალიან უკვირს, ნახევრად შიშველ ქალებთან ერთად რომ ზის ოთახში – აი, სარწმუნობა! ეს უცხოელი რას ვაერკვევა ამათ დუკანში, ვარჯიშის შემდეგ დუქნით რომ იცვლება. დუკანი-დუქანი, დუკანი-დუქანი, დუკანი დუქანი-ნაილინა მიქაელმა.

მიქაელმა ირონიულად შეავლო თვალი ერთმანეთში მოსაუბრე ქალების შიშველ ბარძაყებსა ნაკეცებიან მუცლებს.

რა ამრეზით გადახედე..

რა გინდა, ბედი აქვთ! თუ არ დაიცავი, შესაძლოა, ბარძაყები შეეტრუსოს უუჟუს, – თქვა დამცინავად მიქაელმა.

რა ბედზე მელაპარაკები?!

სიცოცხლის ბედზე...

სტიქაროსნები შემოვიდნენ საუნაში და მოკრძალებულად დასხდნენ კუთხეში.

ამათ კი არა აქვთ ბედი! – თქვა მიქაელმა. მერე ბიჭებს შორის დაჯდა და ღრმად ჩაისუნთქა მათი ამონასუთქი. სიამოვნების საგან გაიღიმა.

რა კარგი სუნია, საკმევლის. ახალგაზრდობა გამახსენდა...

რაღაც არ მგონია, როდესმე ახალგაზრდა ყოფილიყავი! – გულნატყენმა უთხრა გაბრიელმა.

ახალგაზრდაც ვიყავი და შენსავით უბერებელი.

მერე რამ გადაგავარა?!

რამ და... ჩემნაირმა ეშმაკმა და შენი მსგავსი ანგელოზის დაუცველობამ! აჯობებს შენს საქმეს მიხედო!

მიდი, შვილო, შეასხი წყალი ქვებს, თორემ არა აქვს სიმხურვალე!

გიორგი ადგა, წყალი მოასხა გახურებულ ქვებს, ორთქლმა იმატა და უფრო შეუძლებელი გახდა საუნაში ყოფნა. ოფლისა და ევკალიპტის სუნით გაიჟღინთა იქაურობა.

შუქი ჩაქრა ...

რას მიყურებ, წადი, შენ სხვებს მიხედე, ამ ყმაწვილებს არაფერი ეშველებათ! – გაბრაზებულმა შეუტია მიქაელმა გაბრიელს.

სიბნელეში მობილურების შუქი ანათებდა და დაბნეული ხალხის ყვირილი ისმოდა. ლიფტი გაიჭედა.

აქედან ოთხი წამოვა... რა გინდა გაბრიელ, ბევრი დაიხსენი.

რას ერჩი ამ სტიქაროსანს?!

ედემის ბალს დამშვენებს.

დე, მაპატიე, რამე თუ გაწყენინე... – აღმოხდა გიორგის.
 კვამლმა მოიცვა ლიფტი...ისმოდა ხველა, ყვირილი.
 მის დედას რას ერჩი?
 გაჩუმდი, რას ფიქრობ, ყოვლისშემძლე გგონივარ?!
 ვინ შემოუშვა ხანძრის დროს ესენი ლიფტში?! – დაიღრიალა
 გაბრიელმა, – გააღთ!

სულს უბერავდა გიორგის... მარადის ღრმა და ცისფერი
 თვალები ისეთი უმწეო იყო, რომ გაბრიელმა ველარ გაუძლო და
 მიქაელს წვდა ყელში.

დაგახრჩობ, შე მხეცო! დაძარი ლიფტი!

შენ რა, მექანიკოსი გგონივარ? რას ბავშვობ?! მე, უკვდავს,
 შენი ხელების ფათური მომკლავს?! ეს არის ადამიანების სი-
 ცოცხლე, გაბრიელ.

მიქაელმა გაბრიელს ხელი დაავლო და დახურული ლიფტის
 კარიდან გაიყვანა.

შენ უნდა გადარჩე... ხედავ, რა სისულელე მათქმევინე?.. შენ,
 უკვდავს რად გინდა გადარჩენა?!... – თქვა და გადაიხარხარა...
 არაკაცი ხარ შენ, მიქაელ!

ვიცი და ეს ცოდნა არაფერს ცვლის. შენ ბევრის სიცოცხლე
 გადაარჩინე, კიდევ მეტს გადაარჩენდი, დრო რომ არ დაგეკარ-
 გა ლიფტში შემოსვლით, მაგრამ 777-ე ნომერში მოსმენილმა ინ-
 ფორმაციამ შეგიყვანა ლიფტში. არა უშვას, ძმობილო, სხვა დროს
 სხვანაირად მოიქცევი, სადაც ეშმაკია, იქ ანგელოზია! ვერც და-
 კუნთული სხეული და ვერც ჯანსაღი სული გიხნის სიკდიდილის-
 გან!

მიქაელმა სიგარა ამოილო.

– განტვირთვის დროც მოვიდა, სამუშაო დასრულებულია.

სიგარის კვამლი ღრმად ჩაისუნთქა მიქაელმა, გაპრიალებულ
 ფეხსაცმელს დახედა და თქვა:

– ისე უნდა იარო გაბრიელ ცეცხლში, რომ ფეხსაცმელი არ
 გაგიფუჭდეს.

გული მერევა შენს უგულობაზე.

აბა, აბა, გულის რევა არ გამაგონო! გუჩის „ტუფლები“ არ გამიფუჭო – ბოლო მოდაა! მეთორმეტეც წაგეყვანა, ერთი „ზამენა“ იქნებოდა, ხომ დაგჭირდებოდა, რომ დაღლილიყო ერთი მოთამაშე?! – დაამატა დამცინავად, – ნუ მიპრაზდები ქრისტეს 11 მოციქულივით იცხოვრებენ იქ და არაფერი მოაკლდებათ.

მის დედებს რას ერჩი?

ამაზე პასუხი არა მაქს და არც იესოს ჰქონდა, დედას არ გაუარა და პატივი არ სცა, სანამ მამის განაჩენს ეღირსებოდა. რომც გაეარა, არ მგონია, რამე შეეცვალა მარიამის ცრემლებს.

როგორ გაუვლიდა, როცა პილატეს ტყვე იყო?! – გაკვირვე-ბული სახით ჰკითხა გაბრიელმა.

ისეთ კითხვებს ნუ მისვამ, რაზეც უფალიც ვერ გიპასუხებდა. მე ვარ უბადლო შემსრულებელი, როცა ვაკაკუნებ, კარი უნდა გამიღონ. შენ დარჩი და უყურე კურიერის მორიგ გამოშვებას: უურნალისტებს, კამერებს, მეპატრონის თავის მართლებას და ყოველგვარ სიგიურს, რომელსაც კავშირი არა აქვს აღსარებას-თან – ამ უმწეოთა აღსარებასთან... მე კი წავედი, გუჩის ახალი კოლექცია მიუღიათ და უნდა მივუსწრო!

უფალს 12 მოციქული ჰყავდა! – თქვა გაბრიელმა.

ამდენ ხანს ამას ფიქრობდი?! იუდა ყოველთვის სასტუმროში დარჩება.

რომელში?

ყველგან, სადაც შეიძლება ადამიანმა ითამაშოს და წააგოს თავი.

აქ სანთლები დაინთება მათი სულის მოსახსენებლად... – მწუხარედ აღმოხდა გაბრიელს.

მე უკვე დავლიე მათი სიცოცხლისა და სიკვდილის სასმისიც!

მიქაელის ყოველი სიტყვა გულს ურევდა გაბრიელს.

რას გაბერილხარ ბოლმისგან, სადაცაა გასკდები, ჩაიჩოჩე და გამატარე!

გაბრიელმა მთელი წინა დღის ნაჭამი გადაარწყია მიქაელს გუჩის ფეხსაცმელზე.

ესეც შენი გუჩი! – ნიშნისმოგებით თქვა გაბრიელმა.

შურისძიება და შენ?! – თქვა და გადაიხარხარა. მეც აქედან დავიწყე....ანი რომ წამოვალ, კალოშს ჩავიცვამ, რომ ბოლმამ არ დამსვაროს!

მერე გაბრიელს ხელსახოცი გაუწოდა და უთხრა:

შენ რას ფიქრობ, მე არ შემებრალა ისინი სიკვდილისთვის? სიკვდილს მაღვიძარას ხმა არა აქვს, თორემ ისრებს გაყინავდი! მე შენც მებრალები, რომ ვერ შეძელი მათი გადარჩენა. ჩემი თავიც მეცოდება, ყველას რომ ვძულვარ, არადა არ ვარ ურიგო კაცი, ბოლოსდაბოლოს, ჭეშმარიტება ვარ! ხომ დაინახე, ამ ჭეშმარიტებას უფრო მეტი ფასი აქვს, ვიდრე შენს სიცოცხლეს.

შენ მათ წაართვი სიცოცხლე, ბედნიერება, შვილებს მამა, დე-დას – შვილი.

მერე? მე თუ ცუდი ვარ, ხელი რატომ არ შემიშალე?! მაგრამ შენც უძლური ხარ სიკვდილის წინაშე. კიდევ შეგვხვდებით.

ახლა სად აპირებ უბედურების დატრიალებას?

სადაც მეტყვიან! – თქვა და თვალი ჩაუკრა გაბრიელს.

დამცინი?!

როგორ გეკადრება, მეგობარო! სადაც შენ ხარ, იქ ყოველთვის მეც ვიქნები.... მე თავდამსხმელი ვარ, შენ – თავდამცველი.

გარეთ გაწვიმებულა... – ხელები წვიმას შეუშვირა მიქაელმა, – აი, გაბრიელ, უუჟუნას დროც მოსულა, – თქვა და კმაყოფილ-მა წაილილინა: „უუჟუნა წვიმა მოსულა, დიდი მინდორი დანამა, დანამა, დანამა დიდი მინდორი დანამა, ვინც ჩვენზე ცუდი რამე თქვას, გული გაუპოს დანამა!“.

ამ სიმღერით გაეცალა მიქაელი სასტუმროს. გაბრიელი, რომელსაც წინასანარ გამოეტირებინა ახალგაზრდები, სასტუმროს შესასვლელში იდგა თავისი უმწეობით განადგურებული და წყევლიდა იმ დღეს, როცა პირველად გადაეყარა მიქაელს.

მედიაცია

შოტლანდიელი ფილოსოფოსი ადამ სმითი ადამიანის საქმიანობის ძირითად მოტივად მიიჩნევს ინდივიდის ლტოლვას საკუთარი კეთილდღეობისაკენ. სწორედ ეს მოტივი ამოძრავებდათ დაბა კაზრეთის საბადოს მუშებს, რომლებმაც შრომის უფლების დაცვის მიზნით გაფიცვა მოაწყვეს.

დაუსრულებელი აქციის გამო მთავრობის შეშფოთებამ, გაჩერებული სანარმოს გამო დამსაქმებელთა შიშმა, ინფორმაციის მოსაპოვებლად ჟურნალისტთა თავდასხმამ და არასამთავრობო ორგანიზაციების განცხადებებმა, კამერებთან ბზრიალმა და პროდიუსერობამ ILO-ს კარიც შეაღლ. საჭირო გახდა ჩართვა მედიატორისა, რომელიც ნეიტრალიტეტს დაიცავდა. და დადგა ის ბედნიერი დღე კაზრეთში, როდესაც გაიგზავნა მედიატორი ILO-ს წარმომადგენელთან ერთად, რათა გაეფანტათ მუშა-თა პროტესტის ლრუბელი, რომელიც დაბა კაზრეთის საბადოზე მოთავსებულიყო და გაუჩინარებას არც აპირებდა.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი, ხანშიშესული და სათვალიანი მამაკაცი, მედიატორის გვერდით ათასკაციან გაფიცულ ჯგუფს ქვემოდან ზემოთ ფერდობზე შე-ჰყურებდა დაბნეული, მისი სახე იმ ელჩის სახეს მოგაგონებდა, რომელიც უცხო გარემოში აღმოჩნდა და არ იცის, როგორ მოექცეს მანსპინძლებს, რომელთა პაბიტუსიც ახალზელანდიელ საკას მოცეკვავეს ჰგავდა. საკას შესრულების დროს ყველა იმ ემოციას გამოხატავდა ადამიანი, რომელიც დიალოგში, ალბათ, თავის დროზე არ გაულერებულა.

ლეკურს ხალხის ენის არ ესმოდა, მაგრამ მათი უარყოფითი ემოციებით დამუხტული ენერგია მასში დაბნეულობას ბადებდა და ცნობისმოყვარეობასაც აღვიძებდა.

მედიატორი ეჭვმა შეიპყრო, ფიქრში ორჭოფობდა, შეძლებდა კი ამ ადამიანების დარწმუნებას! ერთი ხმა თითქოს ეუბნებო-

და: „რა ძალა მედგა, აქ რომ ჩამოვედი?!“, მეორე ხმა სხვას ამბობდა: „შენ ეს უნდა შეძლო!..“ ომზე რთული საქმე იყო; ომში გარკვეულია მეომართა პოზიციები, მათი ქმედება გამარჯვებითაა მოტივირებული. აქ კი საომრად განწყობილი უნდა დაამშვიდო და უარი ათქმევინო პროტესტზე და ეს ისე უნდა მოახერხო, რომ არცერთი დაზარალებული არ გყავდეს.

კაზრეთში მომავალ მედიატორს, ირაკლი ყანდიაშვილს, ჰქონდა სტრატეგია დასაქმებულთა და დამსაქმებელთა შორის მოლაპარაკებისა, მაგრამ სადღაც გაქრა... გაფიცულთა რაოდენობამ და მათმა ეჭვიანმა გამომეტყველებამ მედიატორში იმედი ჩაკლა, რომელიც კაზრეთამდე ენთუზიაზმით მოჰყვებოდა.

მედიატორმა Iom-ს წარმომადგენელს გადახედა, ლეკურის დაბნეული სახე შეეფეთა. ლეკურმა გაიღიმა, მედიატორს ინგლისურად უთხრა: ზემოთ ფერდობზე უნდა ავიდეთ გაფიცულებთან და მოვიკითხოთ. ახლოს უნდა ვიყოთ მათთან. დავალება რთულია, მაგრამ შენ ამას შეძლებო.

მედიატორმა ამოიკვესა: იმედია...ერთად შევძლებთ!

მედიატორი გონიერაში ალაგებდა, პირველად რომელ მხარეს შეხვედროდა და მოესმინა, ისე, რომ ორივე მხარის ნდობა მოეპოვებინა.

მედიატორმა გაფიცულებს გააცნო თავი და თანხმლები სტუმარი, ასევე აქცენტი გააკეთა თავის ნეტრალურობაზე. მისი სტრატეგიის ნაწილი იყო, გაფიცულებს დაესახელებინათ თავი-ანთი წარმომადგენელი, რომელიც საინიციატივო ჯგუფს უხემდლვანელებდა და რომელთანაც აწარმოებდნენ მოლაპარაკებას.

გაფიცული მამაკაცი: ვიცი მე თქვენი მოლაპარაკებები; ჯერ დაგვპირდებით და მერე არ ასრულებთ, არსად არ წავალთ, აქ ვიქნებით ოჯახებით. სანამ არ აღგვადგენთ სამსახურში და 100%-ით ხელფასს არ გაგვიზრდით!

მეორე გაფიცული მამაკაციც აყვირდა: არაფრისმკეთებლები... გვავინროებენ და არ გვიქმნიან შრომის უსაფრთხო პირობებს; გაყინულ გარემოში გვიწევს მუშაობა. არ არის ჰიგიენური ნორემები დაცული. როცა ვამბობთ ჩვენი უფლებების

დარღვევის შესახებ, მიზეზად საწარმოს შემცირებულ ბიუჯეტს გვისახელებენ.

გაფიცული ქალი: მე არ მაინტერესებს მათი ფინანსური პრობლემები! ამაზე მაშინ უნდა ეფიქრათ, როცა ბიუჯეტის ხარჯზე გართობის მიზნით ჩამოიყვანეს ჰოლივუდის ვარსკვლავი...

ლეკურმა მედიატორს უთხრა: ხალხს უთხარი ეს ყველაფერი წერილობით ჩამოაყალიბოს ერთმა, რომელსაც ენდობიან, რომ დავინუოთ პრობლემაზე მუშაობა.

მედიატორი ყურადღებით უსმენდა გაფიცულებს. უკარების ყინული ნელ-ნელა დნებოდა, რადგანაც გაფიცულებმა მედიატორის სახით სასურველი მსმენელი იპოვეს; ის მათ უსიტყვოდ უსმენდა და ყველაფერზე თავს უკრავდა. როგორც იქნა, მედიატორმა ლეკურის თანადგომით მიაღწია ორივე მხარის ერთად დასხდომას და ერთ ჭერქვეშ თავმოყრას.

შეიქმნა კომისია. მოუსმინეს მხარეებს.

დამსაქმებელმა წარმოადგინა სრული წერილობითი დოკუმენტაცია საწარმოს არასაკმარისი ბიუჯეტის თაობაზე. 100% ხელფასის გაზრდაზე უარი განაცხადეს და, ასევე, გათავისუფლებულების სამუშაოზე აღდგენაზე, რადგანაც საწარმო სრული დატვირთვით ვერ იმუშავებდა.

მედიატორმა მიმართა დამსაქმებულებს: ბატონებო, ჩემი თანხმლები პირი გახლავთ გაეროს მსოფლიო შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენელი – ექსპერტი როჯერ ლეკური. ასეთმა საერთაშორისო ჩართულობამ უნდა გამოგაფხიზლოთ, საქმე ისე მარტივად არ არის, როგორც თქვენ ფიქრობთ. შევეცდები, ქრონოლოგიურად ჩამოვაყალიბო ჩემი აზრი და ნათლად დაგანახოთ ის პრობლემები, რომელთა წინაშეც შეიძლება აღმოჩნდეთ:

1. მასობრივმა გაფიცვამ თქვენს საწარმოში საფრთხე შეუქმნა არა მარტო დასაქმებულებს, საზოგადოების კეთილდღეობასაც; დასაქმებულთა უკან დგანან ოჯახები და მოსახლეობა, რომლისთვისაც ასეთი რაოდენობის მასობრივი გაფიცვა საფრთხისშემცველია.

2. ეროვნული კანონმდებლობიდან და საქართველოს კონვენციიდან გამომდინარე დამსაქმებულმა უნდა უზრუნველყოს საწარმოში შრომის უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლება, შრომის პირობების გაუმჯობესება. თქვენ აუცილებლად უნდა აღადგინოთ სამსახურში ის ადამიანები, რომლებიც დაუსაბუთებლად არიან გათავისუფლებულნი და მისცეთ კომპენსაცია, თუ გინდათ მიაღწიოთ სამართლიან და რაციონალურ წესრიგს საზოგადოებაში.

მედიატორმა პროფესიონელის წარმომადგენელს გახედა და მიმართა: შეიძლება თქვენი აზრიც მოვისმინოთ?

პროფესიონელის წარმომადგენელი ჩაერთო საუბარში:

- გასაგებია თქვენი ბიუჯეტის კრიზისი, მაგრამ ამ გაფიცულებმა რომ მოითხოვონ საქონლის ღირებულების განსაზღვრა იმ შრომის მიხედვით, რაც პროდუქციის დასამზადებლად დაიხსარჯა, როგორ ფიქრობთ, თქვენ მიერ გაცემული ხელფასები სამართლიანი ოდენობის იქნება? - არ იქნება. თქვენ მიზერული თანხის მიცემაც არ გინდათ და, ამასთანავე, ათავისუფლებთ ადამიანებს სამსახურიდან დაუსაბუთებლად, ამათ უკან ოჯახები დგანან. ვინც დატოვეთ, არც იმათ აქვთ სამართლიანი ანაზღაურება, მსგავს პოზიციებზე განსხვავებულად უხდით ხელფას და ეწევით დასაქმებულთა შრომით დისკრიმინაციას, მუშებს არა აქვთ უსაფრთხო გარემო, არა აქვთ სათანადო სადაზღვევო პაკეტი. ყველა სამართლებრივ რეგულაციას სცილდება თქვენი თვითხებობა.

დამსაქმებელმა ისევ ფინანსების უქონლობა მოიშველია არგუმენტად.

გაფიცულთა სანიციატივო ჯგუფის წევრი ქალი აყვირდა: საკამარისია! მაშინ არ გაღელვებდათ ფინანსები, მსახიობი რომ ჩამოიყვანეთ? თქვენ გართობისთვის გადაიხადეთ ფული და მე ჩემს სამ შვილს დღეს რა ვაჭამო, იმას ვფიქრობ. ყინულზე მინევს საწარმოში მუშაობა, ქალად აღარ ვვარგივარ! ახლა მუშაობაც დამირჩა სანატრელი...

თუ ს წარმომადგენელი როჯერ ლეკური თარგმნის გარეშე მიხვდა, ქალის აღელვებულ ცრემლიან სახეს და დაკოშრილ ხელებს რაც ალაპარაკებდა.

როჯერი საუბარში ჩაერთო: ბატონო დამსაქმებლებო, თქვენ არღვევთ ყველა სამართლებრივ ნორმებს, თქვენს საწარმოს რეპუტაცია საფრთხის ქვეშ დადგა, ასეთი მიდგომით ზიანს აყენებთ სახელმწიფოსაც. თუ გინდათ სამართლიანი და რაციონალური წესრიგის დამყარება საზოგადოებაში, გაფიცულებთან გარკვეულ პირობებზე უნდა შეთანხმდეთ.

ქართველი კაცის ბუნება ისეთია, უცხოელის ნათქვამი ყოველთვის უფრო დამაჯერებლად ეჩვენება, ვიდრე დასაქმებულისა, რომელიც საწარმოსთვის იმაზე მეტს აკეთებს, ვიდრე საწარმო მისთვის.

მედიატორი: ბატონებო, თქვენი პრობლემიდან გამომდინარე, ორივე მხარე რომ დარჩეს კმაყოფილი, უმჯობესია 80 გათავისუფლებული სამუშაოზე აღადგინოთ, ხოლო 57-ს გადაუხადოთ კონპენსაცია და ექვსი თვის ხელფასი. ასევე, სავალდებულოა შრომის უსაფრთხოების სტანდარტების ამაღლება. რადგანაც საწარმოს ფინანსური პრობლემები აქვს, უმჯობესი იქნება ნაცვლად გაფიცულთა ხელფასების 100%-იანი ზრდისა, გაზარდოთ 15%-ით, ხოლო დროთა განმავლობაში, როგორც კი საწარმო გამოვა ფინანსური კრიზისიდან, გაიზარდოს კიდევ 5%-ით.

მედიატორი ხმადაბლა, ისე სასიამოვნოდ და დამაჯერებლად საუბრობდა, არ გიტოვებდა ახალზელანდური საკას შესრულების სურვილსაც კი.

გაფიცულთა საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი მამაკაცი: ის 9 კაცი უნდა დარჩეს საწარმოში, ვინც გვავიწროებდა? არ უნდა დაისაჯონ?

მედიატორი: ამისთვის არსებობს დისციპლინური სახდელი. იმედია, დამსაქმებელი სისრულეში მოიყვანს კანონს, თუკი აქვს სახდელის გამოყენების მტკიცებულება.

საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელი კაცი არ ცხრებოდა, მჭევრმეტყველების გამომზეურების დიდი სურვილი ჰქონდა:

ბატონებო, ვიცი, რაც არის ეს სახდელი. განათლებით იურისტი ვარ, მაგრამ გაჭირვებამ დამაწყებინა საბადოში მუშაობა. სახდელი არ არის საკმარისი უნდა გაუშვან სამსახურიდან და ჯარიმაც დააკისრონ.

პროფესიონალური ნარმომადგენელი: ეს ასე არ ხდება. კარგი იქნება ახალი კოლექტიური ხელშეკრულების შედგენა.

გაფიცული ქალბატონი: მომეცით საბუთი, რომ ექვსი თვის ხელფასს მომცემთ და როგორც კი ჩემი ცეხი დაიწყებს მუშაობას, დავბრუნდები სამსახურში.

მედიატორმა საინიციატივო ჯგუფის ნარმომადგენელ მამაკაცს კოლექტიური ხელშეკრულების ნიმუში გაუწოდა იმ პირობებით, რომელიც გააქცერა სხდომაზე.

საინიციატივო ჯგუფის წევრმა ქალმა ჯგუფის ხელმძღვანელ მამაკაცს მიმართა: მომეცი დროზე, სადაცაა გათენდება, რას კითხულობ ამდენს! შენ რჩები და მე მივდივარ სამსახურიდან. ეს ექვსი თვის ხელფასი კარგია ჩემი შვილებისთვის, მაგრამ აუცილებლად უნდა დამაბრუნოთ!

ქალი თავის ფიქრებში კმაყოფილი იყო, რადგანაც დაბრუნების ხელშეკრულებას დაიჭერდა ხელში და ექვს თვეს შვილებთან გაატარებდა, უსაქმოდ მყოფს ხელფასაც მიცემდნენ.

დიდი ეჭვის და ყოყმანის შემდგომ გამოიტანეს საბოლოო ვერდიქტი და შეთანხმდნენ იმ დროს, როცა კაზრეთელმა მამალმა ომახიანად დაიყივლა და ამცნო კომისის წევრებს განთიადი.

როჯერი გაბრწყინებული სახით ულოცავდა მედიატორს გამარჯვებას: შენ ეს შეძელი, ირაკლი.

ეს იყო მუშათა კლასის გამარჯვება საკუთარი უფლების აღსადგენად.

ILO-ს ექსპერტი მიდიოდა იმ გზის დაღმართზე, რომელზეც წინ დღით ამოვიდა და ლიმილით იხსენებდა პირველ შთაბეჭდილებას გაფიცულებზე და მათ უკანასკვნელ გამომეტყველებას მოლაპარაკების შემდეგ. როგორც დღესა და ღამეს შორის არის სხვაობა, ისეთი სხვაობა იყო პირველსა და უკანასკვნელ შთაბეჭდილებებს შორის.



ეჭვიდან რწმენამდე ერთი გრძელი დღე და ღამე გამოიარეს,
მაგრამ ეს ღირდა დასაქმებულთა დარღვეული უფლებების აღ-
დგენისთვის.



ჩრდილოეთის ექსპრესი

განგაში ატყდა ჩიკტოსტარის სადგურზე, როცა სადგურში შემავალმა ჩრდილოეთ ექსპრესმა ბაქანზე არ გააჩერა. ისე სწორად ჩაიქროლა მხოლოდ ხმა დატოვა სამახსოვროდ.

ჩემოდნებ მომარჯვებული მგზავრების გაკვირვებული სახე-ები, მეისრის გინება, მგზავრთა ყაყანი, რკინიგზის უფრო-სის კაპინეტთა მგზავრთა მიწყდომა, სატელეფონო ზარები და გაურკვევლობა უფრო ანგრევდა ცნობისმოყვარებს. მატარებლის გაუჩერებლობის მიზეზი ვერ დადგინებ.

მკითხველის უყურადღებობა სამწერლო დანაშაულად ჩაითვ-ლებოდა, რომ თქვენი ცნობისმოყვარეობა არ დამეკმაყოფილები-ნა ჩრდილოეთ ექსპრესის მგზავრებით.

ჩრდილოეთ ექსპრესი სრულიად ახალი და თანამედროვე მოდელის ორი ვაგონი იყო, რომელის გარეგანი ფოკუსი რაკეტას უფრო გავდა, ვიდრე მატარებელს. ექსპრეში ვარსკვლავები მგზა-ვრობდა არა ბომენდი-სცენის, არამედ ციური ვარსკვლავების. რა თქმა უნდა სანამ ჩისტოსკარის სადგურზე გაივლიდნენ სრული-ად მშვიდათ იმყოფებოდნენ. შეუძლებელი იყო ლომი მამაკაცი არ შეგენიშნა, რომელიც შუა ვაგონში იჯდა და მისი ენერგიული საუბრით გვერდით მჯდომს ხიბლავდა. გვერდით მორიელი იჯდა და ჩუმედ უსმენდა ლომის მიღწევებს. ლომიც, რადგანაც კარგი მსმენელი ჰყავდა ნებივრობდა ბერებით.

უკანა რიგში ახალგაზრდა მამაკაცი თევზი პლანით გაბრუე-ბული ყურსსასმენით მუსიკას უსმენდა. მხოლოდ მშვილდოსანი მამაკაცი ვერ ეგუებოდა ლომის ხმამაღალ საუბარს, რადგანაც მასაც უნდოდა მგზავრთა შთაბეჭდილებაზე გავლენა მოეხდინა.

კიბორჩხალა ახალგაზრდა გოგონა დედის გვერდით მჯდომი დედის მხარეზე ჩამოსძინებოდა. სადღაც შიგნით მიღმა სავარ-ძელში ხრაშუნის ხმა ისმოდა კუროს ყბები იყო რომელიც ქა-

დით ილუქმებოდა კუროს გვერდით მჯდომი ქალწული მამაკაცი შენუხებული გადაჰყურებდა კუროს, რადგანაც მის გაპრიალებულ ფეხსაცმელს ქადის ნამცეცები ეცემოდა. ამ გაჭირვებებში იყო ქალწული, როცა გამცილებელმა მერწყულმა ქალმა შემოირბინა და მგზავრებს უთხრა: ძვირფასო მგზავრებო მატარებელი ჩიკტოსტარის სადგურზე არ გაჩერებს, არის გარკვეული მიზეზები, რომელსაც ვადგენთ.

ქალწული მამაკაცი აღელდა, რადგანაც მისთვის გაურკვევლობა ყველაზე დიდი წინაღმდეგობა იყო.

ტყუპები ცნობისმოყვარეობამ არ მოასვენა და მემანქანესთან დაპირა შესვლა. გამცილებელმა არ გაუშვა. ტყუპებმა ირონიულად გადახედა გამცილებელს და გზა განაგრძო მემანქანის კაბინისკენ. აბა ტყუპები რის ტყუპები იყო ინფორმაცია, რომ არ მიეღო. სამი წუთიც არ იყო გასული დაბრუნდა და ვარსვლავებს მოახსენა: მემანქანე არ არის, მგონი ვიღუპებით, მოპყვა ისტირიკულ კრიტიკას თუ მატარებელი ახლა არ გაჩერდა ძველ ხიდზე გავალთ ვერ გაუძლებს ხიდი და დავიღუპებით, მოქმედ ხიდზე, რომ გავიდეთ მიმართულების შეცვლა საჭირო. დავიღუპეთ და ის არის ისეთი სისწრაფით მივქრივართ თუ გადავხტით მატარებლიდან ვერ გადავრჩებით. ტყუპების ღელვა ვარსკვლავებს გადაედოთ, მის ხმას ვარსკვლავების ხმა შეუერთდა, ყველა თავის აზრს გაურკვევლად გამოთქვამდა ზოგის მოძრაობაში შიშს დაესადგურებინა.

ქალწული: რამდენი დრო დაგვრჩა ხიდთან მისასვლელი? მიმართა გამცილებელს ქალწულმა.

გამცილებელი: დამშვიდით ნუ ნერვიულობთ ჯერ დრო გვაქვს.

სასწორი ქალი განითლდა ნერვებისგან: როგორ თუ ნუ ვნერვიულობთ ამ მატარებელში თქვენს გარდა მგზავრების უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი არავინ არა.

გულით მართული ლომი ერთ წამში ჩაიფერფლა სადღაც გაქრა მისი ენერგია, მხოლოდ მორიელი იჯდა მშვიდათ და

სრულიად გულგრილად უსმენდა და ფიქრში ეძებდა პრობლემის ამოხსნის გზებს, ვარსკვლავების ქცევას მასში ღიმილს იწვევდა.

ვერძმა ვაგონის თავზე ასვლა მოინდომა, რომ ჩაეხსნა მე-მანქანის ვაგონთან მიმაგრებული მატარებლის შემადგენლობა. მისმა ოპტიმიზმა იმედი მისცა მგზავრებს. კიბორჩხალა დედის კალთას არ სცილდებოდა და უსაშველოდ განიცდიდა მდგო-მარეობას.

კურო ქალმა დიდი მუცლიდან ქადის ნამცეცებით ჩამოი-ფერთხა წამოდგა და განაცხადა: ნუ ჩქარობთ, იქნებ გამცილე-ბელმა გვირჩიოს რამე, ვხედავ მობილური არ იჭერს არც ის ვიცი, რომელ ტერიტორიაზე ვარ.

გამცილებელი მერწყული სიმპატით განეწყო ვერძის მიმართ, მაგრამ გეგმას უწუნებდა. მშვილდოსანი აიძულებდა მერწყულ გამცილებელს მიეცა ახსნა-განმარტება თუ სად იყო მემანქანე. მერწყულის ინფორმაციის ვაკუმში იმყოფებოდა, მაგრამ არ იმჩ-ნევდა და ცდილობდა მგზავრების დამშვიდებას, არ მოსწონდა მშ-ვილდოსნის ხმამაღალი ტონი და მითითება თუ რა უნდა გაეკეთე-ბინა. ყველა აყაყანდა გარდა მორიელისა. ვერძმა შეცადა ყველა დაერწმუნებინა თავისი გეგმის სისწორეში. კიბორჩხალას დედა შვილზე ღელავდა და ვარსკვლავებს გაფაციცებით უსმენდა.

გამცილებელმა ვერძს მიმართა, რადგანაც თქვენსას არ იმლით და ვაგონზე ასვლა გადაგინყვეტიათ, ვინმე დამხმარე წაიყვანეთ. რადგანაც ამ ექსპრეს ვაგონის ჩასახსნელი სახურავზე აქვს.

შემდეგ მგზავრებს მიმართა: ვინ გაყვება ? მარტო ვერ წავა დამხმარე ჭირდება.

მერწყულმა ყველას თვალი შეავლო. სასწორი დუმდა.ტყუპებ-მა თვალი აარიდა, ლომი ძალიან შეწუხდა და ვერძის გასაკეთე-ბელზე ჯავრობდა.

თევზს, რომ გახედა თევზი ბარბაცით წამოდგა და როგორც კაცთმოყვარემ დააპირა ვერძს დახმარებოდა.

გამცილებელი: თქვენ ვერ წახვალთ თქვენ მთვრალი ხართ!. თევზი არ დაემორჩილა გამცილებლის თხოვნას და ვაგონის ფან-ჯრისკენ წაბარბაცდა.

ქალწულმა თევზი შეაჩერა და სრული პასუხისმგებლობით მოითხოვა მგზავრების კონცეტრაცია პრობლემაზე .გვერდით თხის რქა ამოუდგა ქალწულს, როგორც დისიპლინებული ჯარისკაცი, რომელსაც მიეცა შესაძლებლობა გვერდით მჯდომ ორ მამაკაცს გასცლოდა, რომლებიც უცხოელები იყვნენ ერთმანეთზე დაქორწინებულები. ეს ინფორმაცია თხის რქამ იმ დროს გაიგო, როცა სასწორმა მოინდომა დაქორწინებულების გაცნობა. მათი გაჭორვისთვის ამ დროს არავის არ ეცალა. ევროპელები ითხოვდენე მატარებლის გეგმას და გაფაციცებული თვალებით აკვირდებოდნენ უცხო ენაზე მოსაუბრებს. გარეთ შემოდგომა იდგა ტაიგის დაუსრულებელი ტყების პეიზაჟი აწყდებოდა მიმავალი ექსპრესის ფანჯრებს. ერთი უცხოელი მეორეს ეუბნებოდა: რა დაუსრულებელია ეს ქვეყანა, ნუთუ არ არის ადგილი გაჩერების?! სადაც გამოჩნდება ჩვენი სადგური.

რას ამბობ გრილლ ჩვენს ბაქანს ვინ დარდობს იქნებ სადმე გაჩერდეს ექსპრესი. ეს მგზავრები ეხლა გაჭირვებამ გაერთიანა, ეს რომ არა ჩვენ ვიქნებოდით მათი გაჩერების ადგილი, რაღაც-ით ხომ უნდა გაელესეთ გრძელი ენები, რომელიც გრძლად და დამანგრეველად მიყვება ადამინის ცხოვრებას. სასწორს ესმოდა მათი საუბარი და თანაუგრძნობდა მათ.

მორიელმა საათს დახედა, ენაც ამოიდგა მშვიდათ ჰკითხა გამცილებელს: კორნიცას სადგურში რამდენ ხანში შევალთ?

გამცილებელი : მედიდურად გადახედა მორიელს 25 წუთში. გულში გაიფიქრა შევა თორემ ერთბაშად არ გაჩერდეს.

ქალწული და თხის რქა იკვლევდა თუ სად შეიძლება ყოფილიყო მემანქანე.

ვერძმა ვერ გაუძლო მათ დაუსრულებელ ბჭობას ფანჯარას მიაწყდა მშვილდოსანიც თან მიჰყვა ვერძს.

ქალწულმა ხელი ჩაიქნა და დაჯდა სავრცელზე და თქვა: ა-სეთი წინდაუხედაობა, როგორ შეიძლება?! რამდენიმე წუთში ხიდი უნდა გაიაროს მატარებელმა, არც სათადარიგო მემანქანე ჰყავთ, არც კი ვიცით წინ რა გევლის ესენი კიდევ ასეთი სიჩქარის შეჩერებას ფიქრობენ.

მშვილდოსანი არავის არ შეუჩერებია ვერძის და მშვილდოს-ნის ფეხების ხმა რამოდენიმე წამი ისმოდა ვაგონის სახურავზე და შემდგომ შეწყტა. მგზავრები გაისუსნენ და რაღაც საოცრებას ელოდნენ.

ცნობისმოყვარე ტყუპები ვერ ისვენებდა და არეული საუ-ბარი დაიწყო. : მე დღეს ჩისკოსტარში უნდა ვყოფილიყავი 3 საათზე, მე უნდა ვყოფილიყავი მე უნდა ვიყო...

არმინდა სიკვდილი, გააჩერეთ..ხალხი არა ხართ?

თევზები ინტუიცით გრძნობდა, რომ გადარჩებოდა.

კიბორჩხალას დედა ხმამაღლა ლოცულობდა და კისერზე და-კიდებულ ჯვარს კოცნიდა. უცხოელები ერთმანთს ჩაეკრენ და დაიწყეს სიმღერა.

ლომი შეუერთდა მათი სიმღერის მელოდიას „ალილუას“ თითქოს ვაგონში განგაშის ტემპერატურამ იკლო და ვარსკვლავების ერთსულოვნებამ გაერთიანა ვაგონი. თითქმის ყველა მგზავრის თვალინ გაირბინა წარსულმა, მგზავრები განიცდიდა დაკარგულ დროს და დარჩენილ გაუკეთებელს. ექვსმა წუთმა ისრებით გაირბინა, მათვის კი მთელ ცხოვრებად იქცა ექვსი წუთი.ვარსკვლავებს უნდოდათ ხიდთან მიმსვლელი ექვსი წუთი არ დასრულებულიყო. ექვსი წუთის ყოველი წამი გაზრებულ ფიქრს მოანდომეს.ექვსი წუთი მათვის უფრე მეტი იყო, ვიდრე მათ მიერ განვლილი სიცოცხლე. ექვსმა წუთმა დაიტია განვლილი ცხოვრების კადრები.

ალილუას ხმა მთელ ვაგონს მოედო. ლომი სიყვარულით გაჰყურებდა უცხოელებს და თვალებით მადლობას უხდიდა სიმღერისთვის

. ლომი ფიქრობდა „რა მნიშვნელობა აქვს, რომელი ვარსკვლავის ტემპერამენტს ატარებ თუ კი ადამინის თანაგრძნობა შეგიძლია და საჭირო დროს უნარი გაქვს ადამინის ფიქრს ხელი შეუწყო, გაერთიანო ისინი და შიშზე ფიქრი ააცილო.ლომს ფიქრი დასრულებული არ ჰქონდა მატარებელი ძლიერად დამუხრუჭდა. მუხრუჭმა ძლიერი ხმაური გამოსცა. კუროს დარჩენილი ქადები

და ლიმონათი ქალწულს თავზე გადაესხა, გამცილებელი უცხოელების კალთაში აღმოჩნდა.

იატაკზე გართხმული სასწორის და ტყუპების დაბნეული თვალები დიდხანს გაყვებოდათ ალბათ მგზავრებს, რომ არა თხის რქის შეძეხილი: გადავრჩით მეგობრებო!

მორიელი არ იყო ვაგონში ის იყო მატარებლის იმ პატარა კაბინაში, სადაც მავთულები გადიოდა. ელექტროენერგიის მავთულები აეწყვიტა, რამაც ჩრდილოეთის ექსპრესი გააჩერა. განგაშის დაწყებისთანავე ჰქონდა ეს გეგმა მორიელს. გეგმა სარისკო იყო, მაგრამ მორიელი რის მორიელი თუ რისკს უფრთხის, ცოტათი ამპარტავანი მშვილდოსნის შურისძიებაც ჰქონდა ესეც იყო მიზეზი გეგმის გაუმხელობის. მორიელი აპლოდისმენტებს არ დალოდებია ვაგონიდან ჩამოხტა და მგზავრების თვალს მიეფარა.

მშვილდოსანი მატარებლის დამუხრუჭებამდე, თავჩარგული იწვა, გაშოტილი ტანით ვაგონის სახურავზე. მატარებლის სიჩქარე არანაირად არ მისცემდა მშვილდოსანს ვაგონის სახურავზე გადადგილების საშუალებას. ექსპრესის უეცარმა გაჩერებამ, რომელსაც ძირს ჩამოეგდო მშვილდოსანი, მიწიდან უცებ წამოხტა, ვინმემ უხერხულ მდგომარებაში არ შემასწროს და ამაყი მე-დიდურობით ტანი გამართა.

ქარისაგან თმებ აწენილი ვერძი ბავშურ გულწრფელობას ვერ მაღავდა და გულუპყვილოდ ფიქრში იმიორებდა: მშვილდოსანი, რომ გამომყოლოდა მატარებელს გავაჩერებდი. მატარებლიადნ ჩამოსული ქალწული ბუზლუნებდა-ქალწულს მატარებლის გაუთვალისწინებელ გაჩერებაზე და დაუეშილ მუხლზე მეტად ლიმონათით დასვრილი პიჯაკი აჯავრებდა.

მემანქანის გაუჩინარების გამოძიებას არ დალოდებია მგზავრები. ისინი უკვე მყარად გრძნობდნენ თავს მიწაზე კოსმოსის მეთვალყურეობით.

ასე დაასრულა ჩრდილოეთის ექსპრესმა მგზავრობა. მსგავსი მგზავრები ყველა მატარებელშია. თვალს თუ კარგად მიადევნებთ.

ანგანი

ერთ-ერთ ცნობილ ინტერნეტგვერდზე კლავიატურის ანბანები ერთმანეთს ეომებოდნენ, ბრძოლის ველი მონიტორი გახლდათ. თითებს ათამაშებდნენ კლავიატურის ღილაკებზე, მწერლის სათქმელი კლავიატურის დაბეგვილ ასოებს ტვირთად აწვა. ანბანს სტკიოდა თითოეული გამოძახილი, როცა საუბარში უცხო ენის შრიფტს იყენებდნენ. მოთმინების დაძაბვა ესაჭიროებოდა მკითხველს, ნააზრევი რომ წაეკითხა.

ანბანს უფლებად დარჩენოდა თმენის ვალდებულება. ამ უფლებათა დაცვის საუკუნეში ადამიანებს უნდა ესარგებლათ გამოხატვის თავისუფლებით, რომელიც ყოველ ჯერზე ტკივილს აყენებდა კლავიატურას. ბ დარტყმა... რ დარტყმა ... და ასე იყო უსასარულოდ, სანამ მწერალს არ მოგეზრებოდა. ზოგჯერ ცარიელი სიტყვით, ზოგჯერ თავის მოსაწონებლად წარმოთქმული, ზოგჯერ სიმართლე... ნებისმიერ გადაუმოწმებელ ინფორმაციას ავრცელებდა ანბანი. იგი ერთადერთი სიმბოლო იყო თავისუფლებისა, რომელსაც მწერლები ბოროტად იყენებდნენ.

ერთი დღე იყო განსაკუთრებული ანბანის შემოქმედებით ცხოვრებაში. მიმოწერის ავტორების კონფიდენციალურობა არ არის დარღვეული ვებგვერდზე.

უბნის გიუ X-ის ფანჯრებთან პერიოდულად გაჰყვიროდა: შეაჩერეთ...შეაჩერეთ 5 წუთით!

X ყურადღებას არ აქცევდა გიუის ნათქვამს და კომპიუტერით იყო დაკავებული. კითხვითი ნიშანივით მოხრილი და თვალებდანითლებული ეკრანს მიშტერებოდა და რაღაცას გულიანად ბეჭდავდა.

X წერდა: დამღალა ამ ქვეყანაში ცხოვრებამ! მინდა, რომ გავიქცე. აქ ყველა ბრალდებულია, რადგანაც ჩვენ ირგვლივ ყველგან აღმოჩენდებიან პროკურორები. ამისთვის არ არის

სავალდებულო, ჰქონდეთ იურდიული განათლება. ბრალდებული ხარ ყველგან: პრესაში, მარკეტში, ინტერნეტში, ტელევიზიაში, კაფეში, ბანკში, სასწავლებელში... თითქოს დედამიწა ბრუნავს არა ღერძის, არამედ ბრალდებულის გარშემო. ბრალდებული ხარ მამათმავლობის გამო, ბრალდებული ხარ პოლიტიკური ავანტურისთვის, ლალატისთვის, პოზიციისთვის, ოპოზიციისთვის... სადღაც ვერ მოასწარი, სადღაც ბრალი დაგდეს, სადღაც გაგიმეტეს, სადღაც ვერ მოასწრეს გამეტება, სადღაც წამოგაყენეს, სადღაც ჩაგქოლეს, სადღაც ვიღაცის განაჩენი, სასამართლო, სასამართლო... ყველგან სასამართლო...

კლავიატურის ღილაკები მუშაობის დროს ხმაურობდა, ანბანი დაიღალა; არ ასვენებდნენ მზერლები, კლავიატურის განსაცდელს მსმენელი და მანუგეშებელი არ ჰყავდა.

X აგრძელებდა თავის ნაშრომს:

- უფიქრიათ კი ი იდესმე ადამიანის სულის განმკითხავ უდიპლომო პროკურორებს სხვათა ტკივილზე, როცა მათ მიერ გავრცელებული ჭორი ადამიანის სულს დაუნდობლად კლავს, რადგანაც ჭორი იმ მარცვალს ჰგავს, რომელსაც მიმოფანტავ ბალში და რომც მოინდომო გაფანტული მარცვლის აკრეფა და მოგროვება, ვეღარ შეძლებ, რადგანაც მან უკვე ყლორტი ამოყო მიწიდან. ასე მოიცავს სივრცეს ჭორი, სხვის სულში შეიჭრება და დაისადგურებს, იმდენად შორს გაიდგამს ფესვებს და იმდენად გადამდები ბატონები აღმოჩნდება ყველასთვის, სიმართლე რომც გაიგონ, მაინც ჭორს მიანიჭებენ უპირატესობას, რადგანაც უმრავლესობის ხმა ყოველთვის გადამწყვეტია. ერთ დღეში გადაგივლიან, ხოლო თუ რომელიმე ცნობილმა წამოყო თავი შენს დასაცავად, პროკურორებიც ბრალდებაზე უარს ამბობენ. უცნობი კაცის ნათქვამი იკარგება ბრძობი, ცნობილის კი...

ამ ქვეყანაში არ მოიწყენ, რადგანაც ყველამ შენთვის მოიცალა. ამ ქვეყანაში გიუივით მოგექცევიან, გენიოსად მოკვდები, გმირივით დაგკრძალავენ და ემახსოვრები მანამ, სანამ ახალი გიუი არ გამოჩნდება თავასი ახალი პასაჟებით. ვერ აცნობიერე-

ბენ, რომ ყოველდღიურად არღვევენ კანონს და უხეშად იჭრებიან ადამიანთა კუთვნილ სივრცეში.

ამ ქვეყანაში შეიძლება ლიცენზირებულმა იურისტმა პიარის მიზნით მტკიცებულებების გარეშე მოინდომოს ციტადელობა; აյ შეიძლება ნახო ქალი, რომელიც კაცს უფრო ჰგავს ჰაბიტუსით, ვიდრე ქალს, რადგან გადაღლილმა და ნაჯაფმა ცხოვრებამ თავისი კვალი დაატყო; მიუხედავად ამისა, აյ შეიძლება თავი გამოიდონ ქალთა უფლებების დაცვაზე, მაგრამ ღამით, მეზობლებისგან მალულად ქალი მიძეგვონ; აյ მხოლოდ ერთი ომია – საინფორმაციო. ამ ომს უამრავი ავტორი ჰყავს: სილიკონიანი დუნდულები ვიღაცისა, ადრე რომ კაცი იყო და დღეს ქალია და ეს გახდეს ქართველის აზრის მუზა; მოზარდი, რომლის განათლება ფეისბუქის ჭორებს არ სცილდება; მე-10 კლასელი, რომელმაც არ იცის წყლის ფორმულა, მაგრამ კარგად ერკვევა, შეურაცხყოფის ბოლო მსხვერპლი ვინ იყო; მრევლი, რომლის ანთემას გაგარინიც კი ვერ გაექცეოდა კოსმოსში, ცოცხალი რომ დარჩენილიყო... ომის სტრატეგია ერთია მხოლოდ: რაც შეიძლება მეტი ლაიქი მივიღოთ.

ამასობაში ვიღაცამ მიიცალა X-ის ნააზრევის დასაკომენტარებლად.

: გამომიჩნდა წმინდანი! თუ არ მოგწონს, დატოვე ეს ქვეყანა. ადრე სად იყავი, ადამიანებს რომ ანამებდნენ?! თუ სიტყვის თავისუფლებას ელოდებოდი პირდახურული?

X: ახლა რომ ვწერ, ქალბატონო, რას ვაშავებ ამით?! თუ არ მოგწონთ, ნუ კითხულობთ.

კლავიატურის ღილაკს ეშინია ავტორების ჩეუბის, რადგანაც ასეთ ჩეუბს ყოველთვის მოჰყვება ვიღაცის მრავალსართულიანი გინება.

გიუ არ ცხრებოდა, უბნის ხმაურს ფარავდა მისი წამოძახილი: შეაჩერეთ 5 წუთით!

ვიღაცის ფოტოები კი ლაიქის მოლოდინში იყო.

X ზლაზვნით წამოდგა და გაემართა ფანჯრისკენ, გიუს გადახედა და შეებრალა. გაიფიქრა, გიჟისთვის რომ ყური დაგვეგ-

დო, 5 წუთით შევჩერებულიყავით და ყველას სურათი გადაგვე-
 ო ლაიქისთვის, ჩვენ არ ვიქნებოდით ამ სურათზე, რადგანაც
 ფირი ვერ აღბეჭდავდა ჩვენს ნამდვილ სახეს. არ არის სახე, ესე
 იგი, არც გვიცხოვრია ჩვენი ცხოვრებით. რასაც საზოგადოება
 გვიკვეთს, მხოლოდ იმას ვიღებთ!

ვინ დააბრუნებს ადამიანის სახეს, უკვე დაკარგულს? ზოგ-
 ჯერ გიჟის წამოძახილსაც უნდა მოუსმინო, რომ საბოლოოდ მას
 არ დაემსგავსო. შეჩერდით 5 წუთით!.. მოუსმინეთ საკუთარ ხმას,
 რომელშიც მოყვასის ხმას გაიგონებთ. მოყვასის ტკივილის გაზი-
 არება დაგიბრუნებთ დაკარგულ სახეს. დაიბრუნეთ დაკარგული
 სახე და დაგიბრუნდებათ საკუთარი ცხოვრებაც.

: ჩემი პოლიტიკური პარტია „სოფლის შენებას რა უნდა“. ხვალ შეკრება გვაქვს პარტიის ოფისში. დღის ამა და ამ წუთზე.

X ანბანს უხმობს საწერად: პოლიტიკოსებიც ერთმანეთს არ
 ინდობენ. დრო ულმობლად გადის ამათ დაპირებებში. ადამიანები
 ერთმანეთის მოსმენას გადაეჩვინვენ.

: სრულიად გეთანხმებით. ამ წამს დავიწყოთ მუშაობა საკუ-
 თარი ხმის მოსასმენად, ყოველთვის უნდა მოვემზადოთ დღეს,
 მხოლოდ დღეს – ხვალისთვის. ხვალ თუ არ გათენდება ჩვენთ-
 ვის, ნამუშევარი მომავალს გამოადგება.

-მ პარტიული ლოზუნგი „ბრწყინვალედ“ ამოტვიფრა
 ეკრანზე...

: უბანი ჭორით იზრდება, შემდეგ ქალაქს მოედება, ქალაქი
 სახელმწიფოს აზანზარებს და საბრალო სახელმწიფო ორი იმპე-
 რიის დერძზე ბრუნავს. რა გახდა ეს ორი იმპერია, რომელმაც
 საზღვრებიდან გადასწინა მსოფლიო და ვითომ დემოკრატიულო-
 ბის სცენარი დაუწერა დანარჩენ სამყაროს? ან რომელმა ერთმა
 შეასრულა და მოირგო დემოკრატიულობის როლი?

კლავიატურა ფიქრობს: მგონი იპოვეს საერთო აზრი, გადავრ-
 ჩით, ბავშვებო, გინებას...

: არადემოკრატიული სახელმწიფო მმართველები ყოველთვის
 დარჩებიან დროის ქურდებად. სახელმწიფო მმართველი, რომე-
 ლიც არ ზრუნავს საკუთარ ხალხზე, ხალხს ართმევს ყველაზე

ძვირფასს, დროს. დრო, რომელიც ამავე დროს ყველაზე ვერაგი წარსულია, თუ ვერ გამოიყენე სათანადოდ. კაცუნიების გადა-საწყვეტია შენი არსებობა.

: ალბათ, თქვენ არჩევნებზე მიღებულ ხმებს ადარებთ თქვენს არსებობას, რადგანაც კუჭით ნააზრევი ვერასდროს შექმნის ღი-რებულ მომავალს, დაგიტოვებს მხოლოდ უბანში მოსიარულე რამდენიმე კაცუნას, საარჩევნო სტრატეგიით დაკავებულს, და განპილებულ მომავალს.

პოსტსაბჭოთა ქვეყნებმა ეს თავის ზურგზე გადაიტანეს. მხ-ოლოდ შიშმა გადაკიდა ერთმანეთს აშშ და რუსეთი. ვინ არის ორი ქვეყანა, რომლებსაც პირები გაულიათ და პატარა ერების წაგლეჯილი მიწებით ილუკმებიან. სხვისი მიწით დანაყრებულებს ზოგჯერ გულზე ადგებათ მოუნელებელი ლუკმა. მაძლარს დღის რეჟიმად უნდა ჰქონდეს მონელების რეცეპტი, რადგანაც საკვეპ-საც სჭირდება შემოწმება, შეეთვისება კი უცხოური საკვები შენს ორგანიზმს! ავდანეთი, ერაყი, ეგვიპტე და სირია ის მოუნელე-ბელი ქვეყნებია, რომლებიც, კუჭიდან ამოსული, გულზე აწევთ იმპერიებს. თავისუფლება და პატრიოტიზმი, რისთვისაც დირდა ომების წარმართვა, შეიცვალა სხვა საფუძვლით, ნავთობითა და ოპიუმით. უკვე გზააბნეული დამპყრობლები ვერ გარკვეულან, რა გზას მიმართონ, რადგანაც სამართალის ასპექტში ევროპა უძლურია და მისი დალადი არის უდაბნოთა შინა. რადგანაც ევ-როპის ორგანიზმს უცხოელთა ტომები ჰქონიტარულ ემბარგოდ ადევთ. ევროპა მათ განსაცდელში იხარშება.

: არჩევნებიც სამართლიანად უნდა ჩატარდეს! ქვეყანას ავაყ-ვავებ და პრობლემა არ ექნება-მეთქი, ამას არ ვიძახი, ვხედავ ევ-როპაც როგორ გასაჭირშია; ევროპა უფერულდება, მის სიტყვას ძალა არა აქვს, მათი სამართლებრივი დოკუმენტები არ სცილ-დება ფურცლების მინდვრებს.

ზოგჯერ სასაცილოა მინისტრების მონდომება და აქოშინებუ-ლი მორბენალი მსოფლიო, რომელიც ერთ წრეზე ტრიალებს და დაუსრულებლად მიმორბის დოკუმენტებით, სტრასბურგში ან-გარიშებს აბარებს და კოპწიაობს ადამიანთა უფლებების დაცვით.



როცა იმპერიებისთვის გასართობ სანახაობად გამოიყურები, რე-ალობა უნდა დაანახო შენს ხალხს და არ იყო სხვის იმედად.

X: 21-ე საუკუნის ადამიანის სატკივარი გახდა მშვიდობასა და ჯანმრთელობაზე ზრუნვა. დაუსრულებელი ყოველწლიური ავადმყოფობები შეიძლება ერთ მშვენიერ დღეს კოლო ზიპომ დაასრულოს. სასაცილოა ექსპერტების პოლიტიკური პროგნოზი და გადარჩენისთვის რომელიმე იმპერიასთან შეკედლება. იმ-პერიებისთვის მხოლოდ ლუკმა ხარ და უნდა გეშინოდეს მათი პირის დალების. ტერორიზმმა დააშინა მსოფლიო.

: ალბათ, მაშინ გვეშველება, როცა საწყის ცივილიზაციას დაუბრუნდება კავკასია. თორემ ორ დედინაცვალს შორის მორბენალი საქართველო მარტო ვერაფერს გახდება. მხოლოდ ისტორიის დაბრუნებას შეუძლია სამართლიანობის აღდგენა.

ქართული ანბანი სიამოვნებისგან გადაწვა ეკრანზე და უცნობი ავტორების ნააზრევების ცქერით ტკბებოდა.

: იქნებ პატარა ერებმა თვითონ მიხედონ საჟუთარ საქმეებს თავიანთი რესურსებით, რომლის გამოყენება განათლებით შეიძლება. სამართლის შუქნიშანთან მდგარი ევროპაც ვერ უკვლავდება ძალადობას. პატარა ერებს ერთმანეთან მჭიდროდ ყოფნა სჭირდებათ, რადგანაც უკვე დიდი ხანია დედამიწა ბოროტების გარშემო ტრიალებს. მხოლოდ ერთმანეთის სიყვარულსა და თანადგომას შეუძლია გადარჩენა.

: როცა სხვა ადამიანს სამშობლოს ართმევ, უქმნი საფრთხეს საკუთარ მომავალს – ამის გააზრების უნარი არ რჩებათ, სამწუხაროდ. როცა ბავშვის სისხლით მინას მორწყავ, ვის რა შერჩენა, შენ რომ შეგრჩეს?! დაგიბრუნდება უცილოდ, უფრო ძალამოკრებილი და დამაზიანებელი. დროა, ვიზრუნოთ საკუთარ თავზე, რადგანაც ჩვენზე უკეთ ვერავინ გვიექიმებს.

X: ეს იმპერიები დაკარგავენ ნართმეულ ტერიტორიებს და ჩვენ დავიბრუნებთ ჩვენსას, მათ მიმართ მტრობა ახლა მხოლოდ ბოლმას დაგვიბრუნებს ნაცვლად ქართული მიწისა. თუ გადავხედავთ ისტორიას, დიდი ქვეყნების კოლონიები დროთა განმავლობაში იბრუნებდნენ პირველსახეს. ახლა უნდა შევეცადოთ,

მოვძებნოთ მხეცში ადამიანი, რადგანაც ამაზე ძვირფასი ხატება ღმერთს არ დაუტოვებია. ერს მშვიდად უნდა ეძინოს, რომ ადრე ამდგარს შეეძლოს ღირებულის შექმნა.

ავტორებმა დაასრულეს მსჯელობა. ჯარისკაცივით გამწყრივებულმა ანბანის ასოებმა ეკრანის მინდორზე ერთმანეთს მშვიდი მზერით გადახედეს, რადგანაც ასე ბედნიერად დაცლილი არასდროს ყოფილან. მათ დღევანდელ შრომას ტანზე ერთი ნაბეგვიც არ დაუტოვებია, რადგანაც ავტორები უბადლო შემსრულებლები იყვნენ.

სამთხოობრივი მოციქული სულეპი

იისფერი შუქით განათებულ ოთახში ექვსი მამაკაცი უსხდა დიდ მრგვალ მაგიდას. ყოველ ღამით გარდაცვლილებს ქვეყნის პრობლემები გაეხადათ ბჭობის საგნად. სავარძელში ვაჟა იჯდა ფანდურით ხელში, ხოლო ერთი მაღალი, ხმელი, ულვაშიანი მამაკაცი ითახში ბოლთას სცემდა და ანერვიულებული იმიორებდა:

— ხედავ, მერაბ, რა დღეში ვართ, ვიღაც ჩინელი ინვესტორები მიიღო და ლილოს ტერიტორია დაუთმო. მხოლოდ ისტორიის უცოდინრობამ შეიძლება მიიყვანოს ადამიანი ბრიყვულ გადაწყვეტილებამდე.

ჩინელები, ჩინელები... ცინის დინასტია... 450 მილიონი ჩინელი, 16 სამეფო — გენში აქვთ სხვა ქვეყნებში ინტეგრაციის დაუცხრომელი სურვილი.

მამარდაშვილი: ჭაშმარიტება სამშობლოზე მაღლა დგას!

ზვიადი: შენ გაჩუმდი, არ გაგივა ეს ჩეკისტური აგიტაცია! შენ არ გესაუბრები. ჩემ ძმას, მერაბს ვეკითხები.

მერაბ კოსტავა დალვრემილი იჯდა მაგიდასთან და ერთ წერტილს მიშტერებოდა. არც მიუხედავს ზვიადისკენ, ისე უპასუხა: დასანანია, ქართველი ხალხის მონაპოვარს — ერის თავისუფლებას — უდიერად რომ ექცევიან.

ერი მამულის გარეშე ვის გაუგია?!

მაგიდასთან მჯდომი ულვაშებანკეპილი დარბაისლური გამომტყველების მამაკაცი ჩაერია ზვიადისა და მერაბის დიალოგში.

— თქვენ უდიერებაში, ალბათ, მიწას გულისხმობდით.

კოსტავამ თანხმობის ნიშნად თავი დაუქნია იღიას.

ილია: სრულიად გეთანხმებით. მონობას თავს აღწევ საკუთარი მიწით, როცა მიწას სხვას უთმობ, იმის მონა ხდები, შრომის სუფევა არის განკაცებისა და სრულყოფილი ადამიანობის საფუძველი.

კოსტავა: ყველას სკამი უნდა, მაგრამ ბოლოს ამ სკამს სად დადგამენ?! ეგ არის საკითხავი.

ზვიადი: სკამის რა მოგახსენო, ნავის შეძენა დასჭირდებათ მალე. ეს ვიღაც ფეხბურთელი, ალბათ, ბავშვობაში წყალბურ-თელობაზე ოცნებობდა და რადგანაც ბავშვური ოცნება ვერ აისრულა, საქართველოს ჰესებით ჩაძირვა გადაუწყვეტია. იტალ-იელებმა მე-20 საუკუნის დასაწყისში გეოთერმული ანუ მშრალი ორთქლის ენერგია აღმოჩინეს და ელექტროენერგიის წყაროდ აქციეს. ნუთუ ჰესის გარდა სხვა წყაროთი ენერგიის მიღება არ შეიძლება?

ვაუამ ფანდურის დაკვრა შეაჩერა და თქვა: ბუნებასთან ბრძოლა ვის გადაუწყვეტია?! ვინც ეს მოიფიქრა, მომავალი არ ექნება.

მერაბ კოსტავა: ქართველი მეცნიერი ნასაში მსახურობს, მა-გრამ მთავრობის მონდომებით ვერ მოიცალა ამ საქმისთვის.

ეს პატარა გოგო დიდი ძალის პატრონია, როგორ ემუქრება ექსპრეზიდენტს თუ ჩამოხვალ დაგიჭერთ.

ზვიადი: სად უნდა ჩამოვიდეს? საქართველოში, რაც მისთვის ტურისტული ქვეყანაა მხოლოდ და სხვა არაფერი?!

მერაბ მამარდაშვილი: მხოლოდ მიშას ბრალი არ არის, ქა-რთველების ცნობიერებაში რომ კიდევ არის წითელი კაცი. მათი აზროვნება კოლექტიურია და ბელადის მოთხოვნილება აქვთ.

კოსტავა: პოლიტიკოსების დაპირებამ და არასმათავრობო-ბის განცხადებებმა ხალხიც დაღალა.

ილია: როცა პოლიტიკური დაბეზღვებისთვის ლუკმაპურს აწ-ვდი მაბეზლარს, საზოგადოებრივ წყობას საძირკველს ურყევ. ცილისწამების საქმეს სასამართლო უნდა არკვევდეს, რომ აი-ლაგმოს დაუსრულებელი დაბეზღვებები. რაც შეეხება დაპირებას, სიტყვას და საქმეს შორის დიდი ზღვარია.

იქვე მჯდომი ჩოხაში გამოწყობილი ალექსანდრე ჩაერთო საუბარში: თავისუფალმა ადამიანებმა რა დააშავეს? ყოველთვის რატომ უნდა იმარჯვებდეს უმრავლესობა? რაც მე ამ კედლებში გავიგე ეს წლებია, არ მგონია ერის ხმა და ღვთის ხმა ერთი

იყოს. უსამართლო გარემო ადამიანის უპერსპექტივობის განცდას აჩენს.

მამარდაშვილი: სრულიად გეთახმებით, ალექსანდრე. ხმა არ გვესმის და თვალი არა გვაქვს საკუთარი ბუნების შეცნობის.

ზვიადი: მაგ თვალის ახელას ნიჭი უნდა, როგორც რუსთაველს ჰქონდა, ხოლო დიდი წვრთნა არ სჭირდება ჭკუას, ხალხმა რომ გონიერი გაიძვერა შეიცნოს. შენ რას იტყვი, მიხეილ, შენს სენიაზე?

სათვალიანი მელოტი ჩაერთო საუბარში რუსული აქცენტით: „დრონი მეფობენ და არა მეფენი“. გიუმა გამიმეტა დასახვრეტად. არ მეგონა, ასი წლის შემდეგ თუ დაიბადებოდა ახალი ჯაყო.

ილია: დრო ქვევრივითაა; მხოლოდ იმას ამოიძახებს, რასაც კაცი ჩასძახებს. უსირცხვილო ყოველთვის უნდა შეარცხვინო, რადგანაც მისი მიბაძვით მორცხვიც გაურცხვდება.

ვაჟა: არ მომასვენეთ, რომ დამენერა. ასე მუშაობა არ შემიღლია. იქნებ დამტოვოთ და ილიას სარკე წაუღოთ სისხლიან გიუს, იქნებ თავი დაინახოს და გონებრივი მიძინებიდან გამოიყვანოს. ვინ არის საერთოდ ეს კაცი, მთელი საქართველო მასზე საუბრობდეს და მეც ხელს მიშლიდეს აზრთა წყობაში!

ზვიადი: ასეთები სარკესაც შეაცდენენ. როგორ გაბედა ქართველზე ძალადობა! – ხელებს იმტვრევდა ზვიადი და აჩქარებული ნაბიჯებით ბოლთას სცემდა.

კოსტავა: კარგი იყო, აქ დაედო ბინა, მაგრამ უფალი აქ არ დააბინავებს... რომ მოსულიყო, შევარცხვენდი. არ ვუმტრობდი, რომ მემტრო გაძლიერდებოდა და თანამოაზრებს შემოიკრებდა.

არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია და ეს უფრო მტანჯავს, მაგრამ ბედნიერი ვარ, რომ დღეს საქართველოს მარგალიტებთან ერთად ვიხდი სასჯელს.

მამარდაშვილი: რატომ სასჯელს?

კოსტავა: როცა ზიხარ და უსმენ ყოველდღიურად ქვეყნის პოლიტიკურ მოვლენებს და შენი ხმა არ ესმით, რომ დაეხმარო, სასჯელია, აბა რა არის?!

მოვლენები სწრაფად ვითარდება მსოფლიოში; სარწმუნოებასაც ექმნება საფრთხე. ევროკავშირიც იშლება. ორი იმპერიის სურვილს უნდა გადააყოლონ საქართველო.

დავითი წისქვილის მაკეტის კეთებით იყო დაკავებული.

ილია: შენ რას იტყვი, დავით?

დავითი: სასჯელი ის არის, ქვეყნის მიწა რომ გენატრება და სიკვდილის შემდეგაც ვერ ელირსები გულში ჩაკვრას. ქართლ – კახეთის მეფეთა გაუმძღვობამ და ომმა გაძლიერა ლეკები, რომელმაც ჩემი ცხოვრება შეცვალა. მაგრამ ბედნიერი ვარ, დღეს რომ ქართველის ხმა მესმის და თქვენზე ასაკით უფროსს დიდი პატივი მერგო, ქართული მომესმინა პატიოსანი აზრებით.

თქვენ ყველამ ერთად ერს მიეცით დამოუკიდებლობა, ლიტერატურა, ისტორია... დროა, პოლიტიკოსები საკუთარ თავებს ჩაწვდნენ და სწორი დასკვნები გამოიტანონ.

ალექსანდრე: მათი მსაჯული ხალხია. ეს არ უნდა დაავიწყდეთ!

ილია: და მერე მსჯულებმა დაინდეს ონისე? ასეა ხალხიც, როცა ღვთის ხმას ჩამოსცილდება. თუ საკუთარი ტვინის ძაფები არ აამოქმედა ერმა, საკუთარი ჭკუა არ წაიმძღვარა და საკუთარი მსჯელობა არ იქონია, ფეხსაც ვერ დასძრავს. სხვისი კარნახით ნაბიჯსაც ვერ გადადგამ ერის საკეთილდღეოდ. მტრის შეცნობას ისტორია გასწავლის. პატიოსან მტერთა შორის მოციქულად ნამუსი უნდა გაიხადო, ხოლო თუ დიდმა უპატიოსნო ერმა მოინდომა შენთან კავშირი, თავი ისე უნდა დახარო, ზრდილობად ჩაგითვალონ და არა დამონებად. გიორგი ბრწინვალეს ჩობან ნოინისთვის თავი რომ დაეხარა, ცენტრალური ხელისუფლების განმტკიცება გაუჭირდებოდა, რადგანაც გიორგის მტრობდნენ ერისთავები. ქართველს სჭირდება წინამძღოლი, რადგანაც მისი ხასიათი ახირებულია. გამოცდილი კალამია საჭირო, რომ გამოხატო ქართველის ბუნება. შედეგი ვიცით გამოცდილებით, მაგრამ გრძნობის ძალას ვემორჩილებით. ზოგის გული ტბას ჰგავს, რომელიც არასდროს ალელვდება, თითქოს არ ეხება საზოგადო

განსაცდელი. ორ უკიდურესობას შორის ძნელია ოქროს შუალე-დის პოვნა.

ზვიდი: ეს უკანასკვნელი მაგიურებს ქართველის ხასიათში, გულგრილობა.

მტერშიც უნდა გაგიმართლოს, ალბათ, რომ საბოლოოდ თა-ვისი ადგილი იპოვოს და დაეტიოს.

ვაჟა დაბალ ხმაზე ჩონგურს უკრავდა, შეჩერდებოდა და რა-ლაცას ინერდა უბის წიგნაკში.

ზვიადი: წუხელ ტაბურეტებით დარბოდა მოძღვრები აქციაზე.

ვაჟა: ძალით ვერ მოაქცევ ადამიანს რწმენაზე. შეიძლება ფორმა შეათვისებინო, ფორმა რწმენისა, მაგრამ ასე მართლმორ-ნმუნედ ვერ იქცევა.

ზვიადს გაეცინა, როგორ გეტყობა, ვაჟა, მთაში ქრისტიანობა გვიან რომ მოვიდაო. ახლა რომ გითხრა, ვისი უფლების დაცვას ეწინაღმდეგებოდნენ, ვერ გაიგებ.

ილიას გაეღიმა: როგორც გავიგე, მარადქალური საწყისი ვერ მიიღეს, ალბათ, და სიყვარულის კონცეფცია აკლიათ.

ქრისტე არ ყოფილა მოძალადე. სუსტზე ძალადობა ქრისტიან-ის საქმე არ არის. არც სარწუნოებით კეკლუცობა ვარგა. როცა მოყვასი გყავს შენი გულგრილობით განაწყენებული, ეკლესიაში დანთებული სანთლით სულს ვერ გაადარჩენ.

მერაბი: დღეს უფრო მწვავე საკითხი ერის თვითმყოფადობაა. პალსტუხისმჭამელის რუსებთან ბრძოლა ბალაკლავას ბრძოლას მაგონებს, როცა ყირიმის ომის დროს ინგლისელებმა რუსებთან ბრძოლაში მეომრების უმრავლესობა დაკარგეს, რომ არა სა-ფრანგეთის ზავი, ცუდად დასრულდებოდა ყოველივე. მიშამ თა-ვისი წინდაუხედაობით ხალხიც იმსხვერპლა და ტერიტორიებიც დაკარგა. ახალი წესრიგის დამყარება მოინდომა ძველის დასა-მარებით.

მიხეილი: საფრანგეთის დარბაზში დაიდო ფიცი არისტოკრა-ტიასა და სამღვდელოებას შორის, ხალხს არ მიუღია მონაწილ-ეობა, რასაც მოჰყვა შემდგომ ბასტილიის აღება, საფრანგეთის

რევოლუციის საფუძველი. როცა ხალხს ცრუ დაპირებებით კვებავ, არც შენი ფიცის მონაწილე გახდება და არც თანამოაზრე. ხალხი უპირობო ძალაა.

როცა შენს მიწებზე სხვა ერი ნადირობს და ირგვლივ ამდენი გაზუღუქებული სკამისმაძიებელია, არჩევნებზე გლეხისთვის ძნელია იმის გარკვევა, შერჩენილი ძალა მინის დამუშავებას მოახმაროს და ავდარმა იმედი გაუცრუოს, თუ დრო იმის გარკვევაში მოიხმაროს, ამდენი მოძულე ადამიანიდან ვის ჩააბაროს ძალაუფლება.

ილია: ბანკი როცა დავაარსე, ქვეყნისთვის გავაკეთე ეს; ახლა კი ბანკი ყველაზე დიდი მძარცველია. ხუთი საფულის ქონას და შემოსავლის აზრიან განაწილებას ვერ ასწავლი ხელგაშლილ ქართველს, რადგანაც ამასაც ოთარაანთ ქვრივის ყაირათიანობა უნდა.

ზვიადი: თანამდებობის პირები თავიანთ ოჯახებზე ფიქრობენ. ვის სცალია ქვეყნის მომავალზე ფიქრისთვის.

დავითი: ალბათ, არ იციან, რომ წუთისოფლის მდგმურები არიან.

კოსტავა: ახალი ექვთიმე უნდა დაიბადოს. ექვთიმესნაირი ქართველი საუკუნეში ერთხელ იბადება, საქართველოს სიმდიდრე ხელთ უნდა ჰქონდეს და ერთი თხით გამოიზამთროს. აი, ასეთი პატიოსნება უნდა მართავდეს ქვეყანას.

ილია: როცა ადამინის გონება ნივთებს ვერ სცილდება, უფრო შებრალების ღირსია, ვიდრე გაკიცხვისა. ისე, ზოგ აქ მყოფ მინისტრს სულის საზრდოზე რომ ეფიქრა, სხეული ასე არ დაუმრგვალდებოდა.

ზვიადი: და ვინ არის დღეს ისეთი პატიოსანი, საქართველოს რომ ანდობ?

ვაჟა: ის ხომ არ არის, ხეების მომთაბარეობით რომ დაკავებულა? მას, ალბათ, ჩემი „ხმელი წიფელი“ არ წაუკითხავს. კიდევ კარგი, ტიტაევნა გადარჩა და გაიხარა.

ილია: ივანიშვილი არის ქველმოქმედი და არა პოლიტიკოსი, მხოლოდ მისი მონდომება არ არის საკმარისი. ერთი კაცი ვე-

რას გახდება, როცა მსოფლიო გამოწვევის წინაშე დგას, როცა ხალხის და ღვთის ხმა ერთი არ არის. ადამიანები ვერ არჩევენ ბოროტსა და კეთილს. მხოლოდ ხორციელის ნატვრით სულს არ ჩივიან. ვერ ხვდებიან, თავისუფლება ყველა საშოვარს რომ სჯობს. პატარა ერის გადარჩენისთვის ომს ვერ გამოაცხადებს ევროპა, რომელსაც თავისთვის გასჭირვებია. მხოლოდ ნელი და გონივრული სვლით უნდა ვიაროთ, რომ ვეშაპის ფეხის ქვეშ არ აღმოვჩნდეთ. მთავრობას შეუძლია საჭირო და აუცილებელი სოციალური პროექტები დააფინანსებინოს ამ ქველმოქმედ კაცს, სხვას ამ საუკუნეში პატარა ერი ვერ შეძლებს. აიღონ მაგალითი პატარა ერისაგან, რომელიც განვითარდა სოციალური პროექტებით.

ვაჟა: მარტო ქონებრივი უზრუნველყოფა არ არის გარანტია, ერმა შეინარჩუნოს თავისუფლება, თუ არ აქვს ერს საერთო გონებრივი სიმწიფე, განათლება და ცოდნა. მხოლოდ ბრიყვს ძალუძს აზრის წარმოთქმა საგანზე საგნის შეუსწავლელად. ყველა ერი თავის ცეცხლს უკეთებს და თავის კერძს ჩასცერის და სხვისთვის ხეირი იმდენად უნდა, რამდენაც თავად გამოადგება. თავისუფლება საშუალებაა და არა მიზანი. ადამიანის მიზანი ბედნიერება უნდა იყოს. მიზანად გამხდარი თავისუფლება სიზარმაცებს ბადებს და ვერ იცლის ხალხის კეთილდღეობისთვის.

მამარდაშვილი: ორი საუკუნის ამერიკამ გვაჯობა მართლმსაჯულებაში. საერთოდ, არცერთი ქვეყანა არ უნდა გაიხადო ბატონად, შენს ერს თავად უნდა მიხედო ისე, რომ სხვა ერს არ შეუქმნა საფრთხე.

ილია: მართმსაჯულება არ არსებობს სამართლის გარეშე. ვახტანგ მე-6 ბევრად ადრე გვყავდა. ერს უნდა ჰქონდეს სულიერი მოთხოვნილება დამოუკიდებელი მართმსაჯულებისა.

მერაბი: მათი თავისუფლების მქადაგებელი ჯეფერსონი პლანტატორი ისე მიიცვალა, ერთი მონაც არ გაუთავისუფლებია, მაგრამ მისმა იდეამ საბოლოდ გაიმარჯვა. რუსეთზე უკეთესი ამერიკა იმით არის, მართლმსაჯულებით კეკლუცობს, მაგრამ

სხვის თვითმყოფადობას არად აგდებს. კავკასიურ წრეში ვართ, მაგრამ ჯერ ვერ გაურკვევიათ, ამ კედლებში, რომელია მათ შორის დედა და დედინაცვალი. ქართლის დედა თბილისის გულშია და არა სხვაგან. დროა, ვალიაროთ, სად დავუშვით შეცდომა.

ზვიადი: საკუთარი თავი უნდა ედგას ერს მხრებზე და საკუთარ დედაზე ლოცულობდეს. რაციონალიზმი გვაკლია და სხვის ფანდურზე მოცეკვავე ერი ვართ, სხვა ქვეყნის ინტერესის გამტარებელი. სად ხედავთ გადარჩენას?

– მინიდან უნდა დაიწყონ! – თქვა ვაჟამ და ფანდურს სიმები ჩამოჰკრა.

კოსტავა: მართმსაჯულებით!

ალექსანდრე: ერის ხმა და ღმერთის ხმა ერთი უნდა იყოს!

მამარდაშვილი: განათლებით!

გურამიშვილი: სამშობლოს სიყვარულით!

ილია: სრულიად გეთანხმებით ყველას, მაგრამ დავითს უფრო, რადგანაც სამშობლოს სიყვარულით კეთდება სხვა ყველა დანარჩენი, მთავარი რწმენა, რაზეც დგას სამყარო და რაც ყველაზე მეტად აკლია დღეს ადამინს.

ადამიანს მტკიცე რწმენა უნდა ჰქონდეს! გერმანელ პოეტს ჰქაინრიშ ჰაინრიშ ნათქვამი მახსენდება: „მსოფლიოში არცერთ ხალხს არ ჰქონია უფრო დიდი რწმენა, ვიდრე კელტებს -მათ-გან შეგეძლოთ ფული გესესხათ და საიქიოში დაგებრუნებინათ“. როგორი ნათელი უნდა დარჩე ადამიანი, ასე გჯეროდეს სულის უკვდავების და კეთილშობილების. ბოროტება რაც არ უნდა გაიწელოს დროში, სიკეთე მაინც მარადიულია!

ზვიადი: მტერი ასე ადვილად არ დაგვთმობს და ქართველი კი დათმობს თავის პრინციპებს რწმენის ნაკლებობის გამო.

ვაჟა: მტერი არ არსებობს.

ზვიადი: აბა მე ვინ მომკლა?!?

ვაჟა: გზაბნეულმა.

ზვიადმა კედლის საათს ახედა და თქვა: უკვე 7 საათია... მერაბ, რაღაც უნდა მოვიმოქმედო, რამდენიმე წუთში დამლაგებელი მოვა, მხოლოდ მას ესმის ჩემი ფეხის ხმა.

მამარდაშვილს გაეღიმა: ზვიად, ეს თქვენი განწყობის თეორიაა, რომ გაიგონებს?! იქნებ კოლექტიურად დავაბაკუნოთ!

ზვიადი გაიწია მამარდაშვილისკენ, მერაბი შუაში ჩადგა და უმაღვე განმუხტა სიტუაცია.

ილია წამოდგა, პიჯაკის ჯიბიდან სარკე ამოილო და ზვიადს გადასცა.

წყლის ხმა მოისმა დერეფანში, გასაღები აჩხაკუნდა, დამლაგებელმა კარი გააღო, წყლით სავსე ვედრო და იატაკის საწმენდი შემოიტანა.

ზვიადი კედლის დიდი სარკის წინ დადგა და ილიას პატარა სარკე ამოილო. ორი სარკის შუა ანარეკლი ზვიადის გამოსახულებას ირეკლავდა. ქალი შეცბა და წყლით სავსე ვედრო გაუვარდა, წყალი დაიღვარა, ზვიადის ფეხები მშრალი ჰქონდა. ჭუჭყიანი წყალი ზვიადს არ შეხებია. ზვიადს გაეღიმა. მისმა ნათელმა ღიმილმა ქალს შიში გაუფანტა.

ქალი: ზვიად, შენ... აქ...?!

ზვიადმა ქალს საჩვენებელი თითოთ მარკერის დაფაზე მიუთითა. ქალს მოძრაობა დავიწყებოდა, გაშეშბული მიშტერებოდა ზვიადს, რომელიც ოთახის სარკის წინ იდგა.

ქალმა ფრთხილად მარკერის დაფისკენ თავი მიაბრუნა, სადაც ენერა:

„პრემიერს უთხარი, სამშობლოს სიყვარულზე ფიქრით დაიწყონ ყოველი კეთილი საქმე...ჩვენ ამ ოთახში ვართ, არსად წავსულვართ! ჩვენი აქ ყოფნა მათ რწმენას შემატებს სულის უკვდავებაზე“.

ქალი: სად აქ ?..

ზვიადმა ილიას სარკე პიჯაკის ჯიბეში როგორც კი ჩაიდო, მისი გამოსახულებაც გაქრა.

ქალმა პასუხი ვერ მიიღო; დაფას შეხედა, ნაწერი არ წაშლილიყო.

ქალი კითხულობდა დაფაზე დარჩენილ ნაწერს დაუსრულებლად, სანამ ფეხების ბაკუნი გამოაფხიზლებდა. ქალმა გააცნო-

ბიერა დავალება. ფიქრობდა ახალ მისიაზე და ფიქრებში ეძებდა გზებს მის შესასრულებლად.

სამშობლოზე მოფიქრალი სულები სიხარულით შეჰყურებდნენ შეძენილ დესპანს და იმედით ელოდებოდნენ მომავალს მარადიულ საცხოვრებელში.

„უსამშობლოდ დაკარგულები“-ს მთავარი
მოქმედი გმირი ხასან ჰელიმიშია – პოეტი და
თვითნასწავლი მხატვარი. წიგნში აღნერილ-
ია ხასანის ტრაგიკული ცხოვრების დეტალე-
ბი. უსამართლო სახელმწიფო მართველობამ,
წაართვა ხასანს შესაძლებლობა დაბრუნებო-
და მშობლიურ კუთხეს – ლაზეთს. მხოლოდ
ხასანის შესრულებულ ტილოებს შეეძლო დაე-
ტია უსასრულო ზღვის სიყვარული და დაე-
ტია მონატრება გაღმა ნაპირზე მყოფი ლაზი
ხალხის. ნანარმოებში ნათლად ჩანს აფხაზი
პეტრეს და ლაზი ხასანის მეგობრობა, მათი
საერთო ტკივილი სამშობლოა, მათი ოცნება
ძლიერი და გაერთიანებული საქართველო!

„უსამშობლოდ დაკარგულები“ ეძღვნება
ყველა იმ ადამიანს, რომელსაც უსამართლო
სახელმწიფო მართველობამ წაართვა შესა-
ძლებლობა ეცხოვრა ოჯახთან ერთად სამშ-
ობლოში!

„აშული ვარ. ხელში საზი არა მაქვს,
შინ არა ვარ, სახლი-კარი არა მაქვს,
მე ლაზი ვარ, პატრონი აქ არა მყავს,
ბულბული ვარ, სამშობლო აქ არა მაქვს!“

ხასან ჰელიმიში